

PT/5/2003/ea

"Pax quaerenda est"

შენ ახერხებ ნიშნულს
P E A C E T I M E S



ომი საშინელებაა!

War is a horror!

რედაქტორი: ირაკლი კაკაბაძე
Editor in Chief: Irakli Kakabadze

რედაქტორის მოადგილე: ლელა ცისკარიშვილი
Deputy Editor: Lela Tsiskarishvili

სარედაქციო კოლეგია: სალომე ასათიანი, გიგა ბოკერია, ლაშა ბუღაძე, გიორგი მარგველაშვილი, რუსუდან მშვიდლობაძე, გაგა ნიჟარაძე, გიო სუმბაძე,

რადი ამაღლობელი, გიორგი ხუციშვილი

Editorial Board: Salome Asatiani, Giga Bokeria, Lasha Bughadze, George Margvelashvili,

Rusudan Mshvidobadze, Gaga Nizharadze, Gio Sumbadze, Rati Amaghlobeli, George Khutsishvili

დიზაინი / **Design :** ΓΟΣΛΑΒ

მისამართი:

ივ. მაჩაბლის 5,1 სართული,
თბილისი 380005, საქართველო
საფოსტო მისამართი:

საფოსტო ყუთი 38,
თბილისი 380079 საქართველო

ტელეფონები: 99-99-87, 93-91-78

ფაქსი: 93-91-78

Address:

5 Machabeli Str., 1st Floor,
Tbilisi 380005, Georgia

Post Address:

PO Box 38,
Tbilisi 380079, Georgia

Tel: (995 32) 99-99-87, (995 32) 93-91-78

E-mail: iccn@access.sanet.ge

<http://www.iccn.ge>

© 2002 by ICCN

დრო მშვიდობისა

გამოიცემა კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების
საერთაშორისო კვლევითი ცენტრის მიერ

ფინანსური მხარდაჭერა „ქორდედისა“



The Peace Times

Published by the International Center on Conflict and Negotiation

Supported by Cordaid

სარჩევი/contents:

კევინ ავრუხი, პიტ ბლუი / კონფლიქტების მოგვარება კულტურათაშორის ასპექტში: პრობლემები და პერსპექტივები	6
ირაკლი ცქიტიშვილი / ქართულ-აფხაზური კონფლიქტი და გადაწყვეტის გზების თეორია	20
ნინო მაზიაშვილი / აფხაზეთის კონფლიქტის მიზეზებისა და მოგვარების გზების შესახებ ...	37
შალომ შვარცი / ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის შესახებ	49
მაჰათმა განდი / ომისადმი ჩემი დამოკიდებულება	58
იოჰან გალტუნგი / თანამშრომლობა კავკასიაში	64
თათა საყვარელიძე / რა არის მთავარი სტრუქტურული კონფლიქტი საქართველოში	67
ოსკარ ნუდლერი / კონფლიქტებისა და მეტაფორების შესახებ: მზარდი რაციონალიზმისაკენ სამყაროები და ჩარჩოები	75
თინათინ ასათიანი / მედიის როლი კონფლიქტების გადაწყვეტასა და მშვიდობის მშენებლობაში	93
ჯორჯ სოროსი / გაკოტრებული	104
ჯულია ქიუნინი / ინტერვიუ	114
შაკო ბაკურაძე / ქმრების საკითხავი	117
შოთა იათაშვილი / მოთხრობები	126
შოთა იათაშვილი / ლექსები	133
ზურაბ რთველიაშვილი / ლექსები	139
ირაკლი კაკაბაძე / სიყვარულის დოქტრინა	147

ომი საშინელებაა 1



გოსლაბ-შმაზის კონცენტი
ГОСЛАБ - SHMAZI Cooperation

War is horror 1



PEACE SCIENCE

ՀԻՇՄԱՆՈՐԸ ՂԱՔԱՆԱՅԵՐԸ



კონფლიქტების მოგვარება კულტურა- თაშორის ასპექტში: პრობლემები და პერსპექტივები

კეკელი ავრუხი, პიტ ბლეკი,
ჯორჯ მელისონის უნივერსიტეტი, აშშ.

შესავალი

ამ ნაშრომის მიზანია გავაცნოთ კონფლიქტოლოგიაში მომუშავე სპეციალისტებს, თუ რა პრობლემები წარმოიქმნება, როდესაც კონფლიქტოლოგია კულტურათაშორის კონფლიქტების სიტუაციებში განიხილება. ამ ნაშრომში ჩვენ შევეცდებით კონფლიქტების მოგვარების კულტურულ ასპექტს და „პრობლემების მოგვარებას“, როგორც კონფლიქტების დარეგულირების ერთ-ერთ ტექნიკას. თავის ბოლოს განხილულია ის პრობლემები, რომლებიც მესამე მხარეს შეიძლება შეხვდეს სხადასხვა კულტურათა-შორის ასპექტში.

რამდენიმე წლის წინ ჩვენ დავინტერესდით კულტურისა და კონფლიქტების მოგვარების ურთიერთ მიმართებით. ჩვენ შევისწავლეთ კონფლიქტებისა და მშვიდობის მეცნიერებაში მომუშავე სპეციალისტების ნაშრომები და შემდეგ დასკვნამდე მივედით: ყველა მეცნიერი ცდილობს გამოიყაროს უნივერსალური მოდელი, რომლითაც შესაძლებელი გახდება ყველა კონფლიქტის მოგვარება და ისინი ვერ ითვალისწინებენ,



რომ მალე სერიოზულ შინაარსობრივ და მეთოდოლოგიურ პრობლემებს წააწყდებიან. ეს სირთულეები წარმოიშვა, რადგან კონფლიქტოლოგები კულტურას უკან პლანზე წვევენ და მიიჩნევენ, რომ კულტურა ნიღბავს ადამიანის ბუნებას. კულტურის უკანა პლანზე გადაწევის ძირითადი მიზეზი შემდეგია: კონფლიქტოლოგები მიიჩნევენ, რომ კულტურა ხაზს უსვამს ჯგუფებს შორის განსხვავებას და ამის შედეგად შეუძლებელია კონფლიქტების მოგვარების უნივერსალური მოდელის შემუშავება. სამწუხაროდ, კულტურის უგულვებელყოფა გავლენას ახდენს კონფლიქტების მოგვარების თეორიებსა და პროცესებზე. კონფლიქტოლოგები ხშირ შემთხვევაში მოითხოვენ, რომ კონფლიქტის

მონაწილე მხარეები ჩაერთონ კონფლიქტოლოგიის მიერ შემუშავებულ მოდელში და ამით ხდება იმის იგნორირება, რაც შეიძლება ყველაზე მნიშვნელოვანი იყოს კონფლიქტის მონაწილე მხარეებისათვის. ჩვენი მოსაზრება მართებულია ანალიტიკური „პრობლემების მოგვარების“ პროცესში, რომელიც კულტურულად ტრანსცენდენტულია.

კონფლიქტოლოგიაში გამოყენებული კულტურის კონცეფციის განხილვისას აშკარა ხდება, თუ რატომ ენიჭება მას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა. ამ გაგებით „კულტურა“ ჯგუფებს შორის განსხვავებას ზედაპირულად ასახავს. ზოგადად კულტურა ასოცირდება ტრადიციული, სტერეოტიპული ქცევის სახეებთან, ერთი ჯგუფის მიერ მეორის დახასიათებასთან. აქედან გამომდინარე, კულტურის შესახებ დისკუსიების დროს აქცენტი კეთდება ეტიკეტისა და შემწყნარებლობის საკითხებზე. კულტურაზე საუბრობენ ისე, თითქოს ის არის საგანი, ჯგუფის წევრების ატრიბუტი, „ადათისა“ და „ტრადიციის“ სინონიმი და თითქოს კულტურა დროის განმავლობაში არ იცვლება და არ ვითარდება. ამგვარი დისკუსიების დროს ხშირად ერთმანეთში არეულია განცხადებები კულტურულ საკითხებსა და ინდივიდების ან ინდივიდთა ჯგუფების ქცევის შესახებ. აღსანიშნავია, რომ კულტურა ინდივიდის ქცევამდე არ დაიყვანება; კულტურის „ცოდნა“ არ ნიშნავს, რომ შესაძლებელია ჯგუფის წევრი ყველა ინდივიდის ქმედების წინასწარ განსაზღვრა. ამ ასპექტით, კულტურა არის მხოლოდ ჯგუფების განმასხვავებელი ნიშანი. ეს მოსაზრება განსაკუთრებით მართებულია კულტურათაშორის კონფლიქტებში, როდესაც „კულტურა“ და „ეთნიკურობა“ სინონიმურად გამოიყენება. კონფლიქტის მონაწილეებისა და მესამე მხარის მიერ ამ ტერმინების გაუცნობიერებლად გამოყენება გაუგებრობას იწვევს.

ზემოხსენებული მოსაზრების საწინააღმდეგოდ, ჩვენი ხედვა კულტურის როლის შესახებ სათავეს იღებს სოციალური ცხოვრების კონცეფციიდან, რომელშიც კულტურა განიხილება ადამიანის თვითშეგნების ძირითად მახასიათებლად. კულტურა არის ადამიანის რეალობისა და ქცევის ისეთი გამოვლინების საფუძველი, როგორიცაა კონფლიქტი.

თუ ვინმეს სურს კონფლიქტის მონაწილე მხარეების ქცევის შესწავლა, აუცილებელია ამ მხარეების სოციალური ქცევის აღქმის გაანალიზება. მათი წარმოდგენები, ისევე როგორც სოციალური შესწავლის შედეგად მიღებული სხვა ცოდნა, კულტურულ ცოდნას ჰგავს და სხვადასხვა სირთულის შემთავაზებებად არის ორგანიზებული. ხშირად აღნიშნული წარმოდგენები წინააღმდეგობრივად და სიმბოლურად უფროა ორგანიზებული, ვიდრე ლოგიკურად, ამიტომ უფრო მართებული იქნება თუ ამ აღქმებს „თეორიებს“ ვუწოდებთ. დავაში მონაწილე ადამიანების წარმოდგენების ერთობლიობა კონფლიქტის შესახებ მეტად მნიშვნელოვანია. ჩვენ ამგვარ კულტურულ ცოდნას „ეთნოკონფლიქტური თეორიები“ ვუწოდებთ. აღნიშნული თეორიები საფუძველს უმყარებს კონფლიქტების მოგვარების არსებულ ტექნიკებსა და პროცესებს, რომლებსაც ჩვენ „ეთნოჩვეულებას“ ვუწოდებთ. აუცილებელია განვიხილოთ თეორიები, რომლებიც კონფლიქტების მოგვარების აკადემიკოსებისა და პრაქტიკოსების მიერ ეთნოთეორიისა და ეთნოჩვეულების კუთხით არის დანახული. ყველა თეორია და პრაქტიკა – იქნება „მეცნიერული“ თუ „ხალხური“ – ეფუძნება კულტურულად განპირობებულ ისეთ მოსაზრებას როგორიც არის ადამიანის ბუნების არსი. კონფლიქტის ნებისმიერი თეო-

რია (იქნება ეს აკადემიური თეორია თუ ეთნოკონფლიქტის თეორია) არის ქმედების ზოგადი თეორიის ნაწილი.

როდესაც კონფლიქტის მონაწილე მხარეები სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები არიან – როდესაც კონფლიქტი „კულტურათაშორისია“ – შეუძლებელია იმის დაშვება, რომ მხარეებს საერთო წარმოდგენები გააჩნიათ. მათი ეთნოთეორიები, ცნება კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების შესახებ და ეთნოჩვეულებები, კონფლიქტის მოგვარების ადგილობრივი, მისაღები ტექნიკები, ერთმანეთისგან შესამჩნევად შეიძლება განსხვავდებოდეს. კონფლიქტში ჩართულმა მესამე მხარემ, პირველ რიგში, სერიოზულად უნდა გააანალიზოს განსხვავებული კულტურული განზომილებები. მესამე მხარემ სიტუაციის კულტურული ანალიზი უნდა ჩაატაროს.

კულტურული ანალიზი

კულტურათაშორისი კონფლიქტების მოგვარება მოითხოვს (კონფლიქტის მონაწილე მხარეებისგან და კონფლიქტში ჩართული მესამე მხარისგან) კონფლიქტის ანალიზს, რაც, თავის მხრივ, კულტურულ ანალიზსაც მოიცავს. კულტურული ანალიზი წინ უსწრებს მესამე მხარის ჩართვას კონფლიქტში, თუმცა შეიძლება მოლაპარაკების დროსაც გაგრძელდეს. რას მოიცავს ამგვარი ანალიზი და რა შედეგები მოჰყვება მას?

კულტურა არის „გამადიდებელი შუშა“, რომლითაც ჩვენ მსოფლიოს ვუყურებთ; „ლოგიკა“ (სადი აზრი), რომლითაც ჩვენ მსოფლიოს ვაანალიზებთ; „გრამატიკა“, რომლითაც ჩვენს ანალიზს მნიშვნელობა ენიჭება. კულტურა გვეხმარება დავინახოთ, შევიცნოთ და შევიგრძნოთ სამყარო და განვსაზღვროთ, რა არის ჩვენთვის ნორმალური - გავაცნობიეროთ როგორია არსებული რეალობა და როგორი უნდა იყოს იგი. კულტურათაშორისი კონფლიქტის დროს, ადამიანის ნორმალურობის შეგრძნებას საფრთხე ეშუქრება. მაგრამ ადამიანების უმეტესობას, ნორმალურობის შეგრძნება საკმაოდ გათავისებული აქვს. ასე, რომ ჩვენი საკუთარი ნორმალურობის გაანალიზების



მაგიერად, ხშირად ვამტკიცებთ სხვების არა-ნორმალურობას, უცხოობასა და უცნაურობას: „ფრანგები ქედმაღლები არიან“; „ინგლისელები გულგრილები არიან“; „მაროკოელების ნდობა შეუძლებელია“. კულტურათაშორისი კონფლიქტების უმეტეს შემთხვევაში წარმოშობილი გაუგებრობა იფარება შეფასებითი ტერმინებით. ამის შესახებ ფრანგებს ჩვენგან განსხვავებული მოსაზრება აქვთ და ეს „არ არის სწორი“ (ისინი ქედმაღლები, უხეშები და ა.შ. არიან). ამის შედეგად, კულტურათაშორისი კონფლიქტების დროს უცხო და უცნაური სიტუაციები წარმოიქმნება; ჩვენი სადი აზრი და მორალური პრინციპები

ამგვარ სიტუაციებს დადებითად ან უარყოფითად აფასებენ. გამადიდებელი შუშის მეტაფორას რომ დაუბრუნდეთ, ჩვენი კულტურა გამჭვირვალედ წარმოგვიდგება და მასში დანახული სამყარო რეალობად გვესახება, სადაც ყველაფერი ისეა მოწყობილი როგორც უნდა იყოს. თუ სამყაროს, სხვა კულტურულ ასპექტში შევხედავთ, იგი ბუნდოვნად წარმოგვიდგება; რეალურად არსებულ საგნებსა და მოვლენებს ცხადად ვერ აღვიქვამთ. ჩვენ გამოვყოფთ სხვა კულტურულ ასპექტში დანახულ რეალობას და შემდეგ უგულებელვყოფთ.

კულტურული ანალიზისას, პირველ რიგში, აუცილებელია, რომ გაუგებრობის მომენტში ანალიტიკოსმა პროცესი შეწყვიტოს; შეეწინააღმდეგოს აღნიშნული მომენტების გაძლიერებას მორალის ფარგლებში და ყურადღებით შეისწავლოს წარმოქმნილი სიტუაცია. ანალიტიკოსი მზად უნდა იყოს დამახინჯებული მომენტების თავიდან ასაცილებლად. კულტურული ანალიზი მეტად საყურადღებოა და მას განსაკუთრებული მიზანი აქვს. „კულტურული ანალიზი არის იმის საშუალება, რომ „ნორმალურად“ აღიქვან საგნები, რომლებიც ერთი კულტურის წარმომადგენლებისთვის სხვა კულტურაში „უცნაური“ და „უცხო“, წერს რეიმონდ კეროლი, თავის კვლევაში, რომელიც ფრანგულ-ამერიკულ კულტურებს შორის არსებულ გაუგებრობებს ეხება. კულტურული ანალიზის მეშვეობით შესაძლებელია ერთი შეხედვით გაუგებარი საგნების გაანალიზება. „იმისთვის, რომ მოვახერხო გაუგებარი მოვლენების გაანალიზება, უნდა წარმოვიდგინო სამყარო, რომელშიც „მოკისმომგვრელი“ მოვლენა ნორმალურია და ყველაზე შეუმჩნეველი მოვლენები დიდ მნიშვნელობას იძენენ“, აგრძელებს კეროლი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ კულტურული ანალიზის გადამწყვეტი ტერმინი არის „მნიშვნელობა“. ჩვენი კულტურა გვიდგენს სიმბოლოების სიტემას, რომელშიც თითოეული საგნისა და მოვლენის მნიშვნელობა განსაზღვრულია; კულტურული ანალიზი არის ამ სიმბოლოთა სისტემაში მნიშვნელობის გარეთ აზრის ძიება. როდესაც კულტურული ანალიზი ჩვენგან განსხვავებული კულტურის ანალიზისკენ არის მიმართული, ჩვენ ორიენტირებულნი ვართ სხვა მნიშვნელობების ძიებაზე. აღსანიშნავია, რომ თეორიულად და პრაქტიკულად ჩვენ შეგვიძლია კულტურული ანალიზით ჩვენი საკუთარი კულტურა შევიცნოთ თუმცა, ანთროპოლოგთა უმრავლესობა ამას საკმაოდ რთულ პროცესად მიიჩნევს, რადგან საკუთარი კულტურის ანალიზისას გაუგებრობისა და შეუწყნარებლობის მომენტები ჩვენ არ გვაჩერებს. სწორედ ამის თავიდან აცილების საშუალებას გვაძლევს საკუთარი კულტურა. ადამიანს არაჯანსაღი გონება და შეგრძნების უნარი უნდა ჰქონდეს იმისათვის, რომ გააოცოს და შეაჩეროს რაიმე ნაცნობმა და რეალობის ზუსტად ამსახველმა მოვლენამ. რა თქმა უნდა, ჩვენი საკუთარი კულტურის ანალიზს სხვა კულტურის გაანალიზებისაგან განსხვავებული შედეგი ექნება. საკუთარი კულტურის ანალიზს საშინელი შედეგი მოჰყვება, რადგან ადრე რაც „ნორმალურად“ მიაჩნდათ, შეიძლება უცხო და უცნაური გახდეს. ის, რაც ადრე გამჭვირვალე იყო, შეიძლება ბუნდოვნად გადაიქცეს. საკუთარი კულტურის ანალიზი ზშირად დამანგრეველი, კრიტიკული, ბევრის მიერ დამღუპველად განსაზღვრული და სიურეალური არის (იხილეთ, Clifford, 1988).

რაც შეეხება კულტურულ ანალიზს: რაში მდგომარეობს მისი აზრი? ქეროლი იყენებს სიტყვას „წარმოდგენა“ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად. არის თუ არა ეს

მეთოდოლოგია? ნებისმიერი ანალიზი რომელიც ეხება გამჭრიახ გონებას, არაჯანსაღ მეგრძნებებსა და ავადმყოფურ გაუცხოებას სოციოლოგიებისა და ბიჰევიორისტი მეცნიერებისთვის პრობლემატურია, რომლებიც, როგორც წესი, ჰიპოთეზების დასამტკიცებლად ფორმალურ ტექნიკას იყენებენ. მიუხედავად ამისა, არსებობს მეთოდი კულტურული ანალიზის განსახორციელებლად. რა თქმა უნდა, საჭიროა გარკვეული მგრძნობიარობა და არა მისტიკური ან საიდუმლო მიდგომა იმისათვის, რომ კულტურული ანალიზი ადვილად და სწორად წარიმართოს.

ჩვენ ვისაუბრებთ ერთ კლასიკურ მიდგომაზე, რომელზეც გერცი და ქეროლი საუბრობენ. გერცისთვის კულტურული ანალიზის არსი შემდეგში მდგომარეობს: იგი შედგება „ფართო აღწერისგან“, მოვლენის (საუბარი, პიროვნება, პრაქტიკა, დავა, რწმენა და ა.შ.) ეთნოგრაფიული წარმოდგენისაგან, რაც ხაზს უსვამს მოვლენის მნიშვნელობას იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ამ მოვლენებს ახორციელებენ უფრო ღრმა, მდიდარი და მარავალფეროვანი მნიშვნელობის კონტექსტში (გერცის სიტყვებით, „ზუსტი მნიშვნელობის სტრუქტურა“). ქეროლი ყურადღებას ამახვილებს კულტურულ ანალიზზე კონკრეტული კულტურათაშორისი (ფრანგულ-ამერიკული) გაუგებრობების განსამარტად; ამგვარად, იგი ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ შეიძლება რაიმეს „ფართოდ“ აღწერა.

თუ ცდილობთ განსხვავებული კულტურის გაანალიზებას, მოემზადეთ უცნაური მოვლენებისთვის: ყურადღება მიაქციეთ ბუნდოვან მომენტებს. შეეცადეთ თავი აარიდოთ სოციალური მეცნიერების მცდელობას მაშინვე ახსნან ფენომენი მიზეზ-შედეგობრივი თეორიების გამოყენებით, როგორიცაა: ფსიქოლინამიკური, მატერიალისტური, ეკოლოგიური ან ბიოლოგიური თეორიები (იხილეთ Black, 1991). კულტურა ქცევის „მიზეზი“ არ არის; იგი არ იწვევს აგრესიას, ბიზნესციკლის არსებობასა და ისტორიის განვითარებას; კულტურული ანალიზი მიზეზ-შედეგობრივი კანონზომიერების ანალიზს არ წარმოადგენს. კულტურული და მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის ერთობლივად მოაზრების თაობაზე მრავალი კამათი წარმოიშვა „ახსნითი“ (Geertz 1973) და „განმარტებით“ (Wolf 1990) ანთროპოლოგებს შორის. მარტივად თუ ვიტყვით, ერთი ბანაკის წარ-



მომადგენლები კულტურულ ანალიზს განიხილავენ ეთნოგრაფიის, აღწერილობითი სტადიის საფეხურად – „მონაცემთა ბაზად“ უფრო ფართო მეცნიერებისათვის. მეორე ბანაკის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ კულტურული ანალიზი თავად არის დამოუკიდებელი მეცნიერება. როდესაც საუბარია ადამიანის სოციალურ ქცევაზე, მნიშვნელობის განმარტება და დახასიათება ჩვენი შესწავლის მთავარ საგანს წარმოადგენს. პირველი ბანაკისთვის ეთნოგრაფია მეცნიერებაა, ხოლო მეორე ბანაკისთვის მეცნიერება შედგება ეთნოგრაფიისგან.

ჩვენ არცერთი ბანაკის წარმომადგენლებს არ ვემხრობით; ჩვენ ვცდილობთ

მიზეზების გამოძებნას. ფაქტობრივად, დიდ ყურადღებას ვაქცევთ მიზეზ-შედეგობრივ თეორიებს – ამ თეორიებს სხვა მეცნიერებაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რადგან საშუალება გვძლევს თავიდან ავირიდოთ გამარტივება მანამ, სანამ რაიმეს ახსნას დაეწყო. ამ ვიწრო კონტექსტში ჩვენ ვეთანხმებით გერცსა და ქეროლს იმაში, რომ კულტურული ანალიზისა და მიზეზ-შედეგობრივი ანალიზისას კონცეპტუალური სფეროები განსხვავდება.

კულტურული ანალიზისას მეტად საყურადღებოა თავი ავარიდოთ უცხო მოვლენების შეფასებას ფასეულობათა ფარგლებში („ინგლისელები გულგრილები არიან“; „ფრანგები უხეშები არიან“ და ა.შ.). აღნიშნული ფაქტორები შეიძლება დავუკავშიროთ რიგი მეცნიერების მიერ მოვლენების გამარტივების მცდელობებს: ფასეულობების ფარგლებში შეფასებების გაკეთება იგივე მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ახსნაა; მორალური დისკურსის მოდალურობის ნაწილია; აღნიშნული შეფასებები ჩვენი საკუთარი კულტურის საღი აზრის შემსწავლელი „მეცნიერებაა“. ყველა ჩვენთაგანისთვის მორალური ფასეულობების ფარგლებში გაკეთებული შეფასებები განმარტების სახით დამკამფილებელია. სოციალური მეცნიერების ბევრი წარმომადგენელი ფასეულობების ფარგლებში შეფასებებს იყენებენ როგორც შუალედურ საფეხურს მიზეზ-შედეგობრივი კანონზომიერებების ახსნისთვის: „რატომ გითხრა ეგ შენმა კოლეგამ დეპარტამენტის შეხვედრაზე იცი? ის ფრანგია; ფრანგები კი უხეშები არიან... რატომ არიან უხეშები? ისინი ბავშვობიდან ძმარივით ღვინოს სვამდნენ, არ იცოდი?“ (ფსიქოდინამიკა); „... ისინი წითელ ღვინოს სვამენ იმისთვის, რომ შეაჩერონ ზედმეტი ენდორფინის გამოშვება ორგანიზმში“ (ბიოლოგია) და ა. შ.

როდესაც შესრულდება ჩვენს მიერ კულტურული ანალიზის ჩატარებისთვის საჭირო ზემოაღნიშნული პირობები, შემდეგ შესაძლებელია ჩავუღრმავდეთ ზუსტ აღწერას. ამისათვის საჭიროა მთელი პროცესის ჩაწერა. მარტივად რომ ვთქვათ, ეს მნიშვნელოვანი პროცედურა მოითხოვს „ტექსტის“ სხვაგვარ ინტერპრეტაციას; ტექსტი უნდა ჩაიწეროს განსხვავებული, უფრო ღრმა მნიშვნელობის ჩარჩოების გათვალისწინებით. როდესაც მნიშვნელობის ჩარჩოები ფართოვდება, პირველადი უცხოობა უფრო რბილდება; კულტურული ანალიზის უფრო ფართო კონტექსტში უცანურ მოვლენებს გარკვეული აზრი ენიჭება და შესაძლებელი ხდება დაფარულს ფარდა აეხადოს. ჩვენ შეგვიძლია ყველაფერი გავაანალიზოთ. სწორედ ჩაწერა კონტექსტუა-ლიზაციის პროცესში შეგვიძლია ინტერპრეტაციის გაკეთება და ჩვენი შესასწავლი საგნის ნამდვილი არსის გამოვლენა.

როდესაც გარკვეულ ანალიზს „ინტერპრეტაციას“ ვუწოდებთ, მაშინვე წარმოიშობა შემოწმებისა და ვალიდობის საკითხი. ამგვარი კითხვები მართებულია. ნებისმიერი ინტერპრეტაცია – ყოველ შემთხვევაში, ჩვენს სამყაროში – თანაბარი არ არის. ინტერპრეტაცია უნდა შევაფასოთ იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება და ხსნის კულტურის იმ ასპექტებს, რომლებიც უცნაურად გვეჩვენება ან იგივე ასპექტს, რომელიც კულტურაში სხვა „ტექსტის“ სახით გვევლინება. რა თქმა უნდა, ეს არ არის დამცავი კანონისა და მიზეზ-შედეგობრივი თეორიების მიერ შემოთავაზებული „წინასწარმეტყველება“. იგი უფრო ახლოს არის გრამატიკული ანალიზის „რეტროდიქციასთან“. გვითხარი რაიმე წინადადება და ჩვენ გეტყვით გრამატიკულად

გამართულია თუ არა ის.

და ბოლოს, რადგან ყველა ინტერპრეტაციას წინ უძღვის ჩვენი საკუთარი კულტურული წარმოდგენები და, შედეგად, მთელი პროცესი განმეორებითია, მეცნიერები ყოველთვის ლავირებენ კულტურული ანალიზისას: ლავირებენ სხვა კულტურაში მნიშვნელობის მქონე ინტერპრეტაციასა და საკუთარი კულტურის – ნებისმიერი თარგმნა თავისთავად ინტერპრეტაცია – თარგმნას შორის (ეს არის „ჰერმენევტიკული წრის“ გარეგანი მხარე, რომელიც თარგმანსა და ტექსტს შორის არის ფორმირებული). ამ მნიშვნელობით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ კულტურული ანალიზი, ფაქტობრივად, კულტურათაშორისი დავის პარადიგმული ფორმაა – იმ დავისა, რომლის მოგვარებაც უკვე შესაძლებელია.

კულტურათაშორისი დავები

წარმოვიდგინოთ ამერიკელი ტურისტი უცხო ქვეყანაში. მან უცხო ენა არ იცის. იგი ადგილობრივ მაცხოვრებელს, მოხუც კაცს, სადგურისაკენ გზას ეკითხება. მოხუცი კაცი ინგლისურად არ ლაპარაკობს. იგი ტურისტს გაოცებული უყურებს. ტურისტი კი კიდევ ერთხელ, ამჯერად უფრო ხმამაღლა, იმეორებს კითხვას. მოხუცი კაცი კიდევ უფრო გაოცებულად გამოიყურება, თავს ხრის და მხრებს იჩეჩავს. ტურისტი უფრო და უფრო ხმამაღლა იწყებს ლაპარაკს და მატარებლის ხმის იმიტირებას ცდილობს. მოხუცს გამოხედვა დამცინავი უხდება, თუმცა იგი მაინც ვერ გებულობს ტურისტის კითხვას. ტურისტი მოიხედავს და მოახლოებულ ბიჭს დაინახავს. „ინგლისური იცით?“ „დიახ, ცოტა.“ „ხომ არ იცით, სად არის რკინიგზის სადგური?“ „არა, მაგრამ ამ მოხუც კაცს ვკითხავ.“ ტურისტმა თავის მატარებელს მიუსწრო.

ეს პატარა სცენარი კულტურათა-შორისი წინააღმდეგობის მოდელს წარმოადგენს, რომლის მიზეზიც ენობრივი ბარიერია. ტურისტი ცდილობს მოხუც კაცს კითხვა ხმის ამალვებით გააგებინოს (რეფლექსური ქმედება: ერთენოვან საუბრებში გაუგებრობა ხშირად იმით არის გამოწვეული, რომ ხმაურის ან სხვა მიზეზის გამო ვერ ხერხდება მესიჯის გაგება). შემდეგ ტურისტი საუბართან ერთად ალტერნატიუ-



ლი საკომუნიკაციო ხერხების გამოყენებას ცდილობს: ჟესტი-კულაცია, მიმიკა. პირველი ქმედება, ხმის ამალვება, პირველადი მესიჯის გამეორებაა პირველადი კოდის (განსხვავებული ფიზიკური პარამეტრებით) გამოყენებით. მეორე ქმედება სრულიად განსხვავებულია და მოიცავს პირველადი მესიჯის და კოდის ტრანსფორმაციას. აქ ტურისტი ცდილობს თავისი კითხვა გადათარგმნოს იმ კოდად (ჟესტიკულაცია), რომელიც მას უფრო უნივერსალურად მიაჩნია, ვიდრე ინგლისური. მაგრამ ტურისტი

შეცდა. იმ ქვეყანაში, რომელშიც იგი იმყოფება, ხელის სხეულისკენ მოწვევა ღიზენტერიის შეტევის მანიშნებელია, ხოლო შორისდებული „ჩუქუ, ჩუქუ“ მამაკაცის მიერ ქალის მოწონებისას იხმარება. გასაკვირი არ არის, რომ მოხუცი კაცი დამცინავად უყურებს ტურისტს. საბედნიეროდ, მესამე მხარე გამოჩნდა – ადგილობრივი მაცხოვრებელი – რომელიც მეტნაკლებად ფლობს ტურისტის ლინგვისტურ კოდს; მან შეძლო კითხვის ინტერპრეტირება და თარგმნა.

ამ წინააღმდეგობის „კულტურული ანალიზი“ სრულყოფილი ვერ იქნება. ბუნდოვანება და გაუგებრობა მხოლოდ ენობრივი ბარიერით იყო გამოწვეული; მესამე მხარე თარჯიმანია, ამ ტერმინის ყველაზე მარტივი გაგებით. გარდა ამისა, პრობლემა – რკინიგზის სადგურისაკენ მიმავალი გზის გაგება – საკმაოდ უბრალო იყო და მესამე მხარის, როგორც თარჯიმნის, შეზღუდვებს გადაწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამ სცენარის მიხედვით, მოხუცი კაცისთვის ტურისტის შესტები უფრო სასაცილო იყო, ვიდრე შეურაცხყოფელი ან გამაღიზიანებელი. ადგილობრივი მაცხოვრებელი შეურაცხყოფილი რომ ყოფილიყო, მაშინ მესამე მხარის როლი უფრო რთული იქნებოდა. შესაბამისად, ჩვენი კულტურული ანალიზი უფრო რთული ხდება. ტურისტმა შესტიკულაციაზე გადასვლით, რაც მისი აზრით, უფრო მისაღები და უნივერსალური უნდა ყოფილიყო, სასურველ შედეგს ვერ მიაღწია, მიუხედავად იმისა, რომ მის შესტებს გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. მართალია, მესამე მხარეს ტურისტის კითხვა ესმოდა, მისთვის შეიძლებოდა რთული ყოფილიყო ტურისტის შესტების გადმოთარგმნა და მოხუცი კაცის დამშვიდება. „გადმოთარგმნა“ გულისხმობს მესამე მხარის მიერ ტურისტის შესტების კულტურულ ანალიზს (რას გულისხმობენ ამერიკელები შორისდებულში „ჩუქუ, ჩუქუ“). „დამშვიდება“ გულისხმობს, რომ იგი თავისი ანალიზის შედეგებს მოხუც კაცს უზიარებს. მესამე მხარის, როგორც თარჯიმნისა და პრობლემის გადამწყვეტის შეზღუდვებს – ინტელექტუალური, ტემპერა-მენტული, სოციალურ-სტრუქტურული – შეიძლებოდა სავალალო შედეგი ჰქონოდა.

თუ ამ სცენარს ერთ დეტალს დაუმატებთ – მოხუცი კაცი გაბრაზდა – მაშინ მივიღებთ კულტურული წინააღმდეგობის განსხვავებულ მოდელს. ამ შემთხვევაში, კონფლიქტის მიზეზი უდაოდ „კულტურა“ იქნება. უფრო ზუსტად, კონფლიქტის მიზეზი იქნება კულტურული განსხვავებები მხარეების მიერ ერთი და იგივე მოვლენის მნიშვნელობის ინტერპრეტაციაში: პირველად გაუგებრობას (ამით რისი თქმა გინდა?) შემდეგ მცდარი წარმოდგენა (რა უფლება გაქვს გარყვნილობაში დაგვადანაშაულო?) ემატება. ხანდახან, ამგვარი კულტურათაშორისი კონფლიქტები, რომლის მიზეზი „კულტურა“ არის, წარმოიქმნება. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია შედარებით მარტივი კულტურული ანალიზის ჩატარება, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: განუმარტონ კონფლიქტის მონაწილე მხარეებს ქცევის განსხვავებული ეტიკეტების არსი. ამგვარ შემთხვევებში პრობლემის მოგვარება „კომუნიკაციის განუხორციელებლობით“ გამოწვეული შედეგის აღმოფხვრამდე შეგვიძლია დავიყვანოთ. აღნიშნული კონფლიქტები ყველა კულტურათაშორისი კონფლიქტის ნაწილთან ან დიდი ხნის ისტორიის მქონე კონფლიქტებთან არ უნდა გავაიგივოთ ორი მიზეზის გამო. პირველ რიგში, ბევრი კულტურათაშორისი წინააღმდეგობა ერთნაირ ლინგვისტურ ერთობებში წარმოიქმნება, მაგალითად, ერი-სახელმწიფოს დიპლომატია (დიპლომატები ინგლისურად და ფრან-

კმეონ ავრუხი, პიტ ბლემკი / კონფლიქტების მოგვარება კულტურათაშორის ასპექტში: პრობლემები და პერსპექტივები

გულად საუბრობენ) ან საერთაშორისო ეთნიკური კონფლიქტები. ასეთ შემთხვევაში საერთო ენამ შეიძლება დაფაროს პარალინგვისტური ან უფრო ღრმა კონფლიქტები. იშვიათია ისეთი სიტუაციები, როდესაც კულტურული განსხვავებები არის გაუგებრობის და კონფლიქტის მიზეზი. ამავე დროს, კულტურის მეშვეობით მხარეები აანალიზებენ კონფლიქტის მიზეზებს და მისი მოგვარების გზების გამოძებნას ცდილობენ. ჩვენ ორ განსხვავებულ სცენარს შემოგთავაზებთ: თუ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ორი მხარე მიიჩნევს, რომ ისინი ნამცხვრის (pie) ერთიდაიგივე ნაჭრისთვის იბრძვიან, მაგრამ სინამდვილეში საპონს (lye) გულისხმობენ, პრობლემა უბრალო გაუგებრობის შედეგად არის წარმოქმნილი და სწორი თარგმნის შემთხვევაში პოზიტი-ურად (მოგება-მოგება) მოგვარდება. თუ აღმოჩნდა, რომ ორივე მხარეს ნამცხვარი უნდა და თან მთლიანი, მაშინ თარგმანი კონფლიქტის მიზეზის დაზუსტების საშუალებაა (მნიშვნელოვანი საფეხური); მაგრამ პრობლემის მოგვარების გზად ვერ გამოდგება. კონფლიქტი ეხება ღირებული რესურსის (ნამცხვრის) მოპოვებას. აქ ჩვენ შევეცადეთ მოკლედ გადმოგვეცა „რეალისტური“ პოზიცია საერთაშორისო ურთიერთობებში და „მატერიალისტური“ სხვა სოციალურ მეცნიერებებში. კონფლიქტის დროს იბადება კითხვა: რატომ არის გარკვეული რესურსები ღირებული? როგორ უნდა იბრძოლონ მათ მოსაპოვებლად? როგორ მთავრდება ბრძოლა? რა თანხები იხარჯება ამ ბრძოლისას? კონფლიქტის ეს მხარეები კულტურულად განპირობებულია და ეთნოთეორიას მოიცავს.

რაც შეეხება ჩვენ მიერ მოყვანილ სცენარებს: მათი დახმარებით ჩვენ სურვილის მიხედვით შევძელით ცვალებადობით მანიპულირება. იგივე პროცესები მიმდინარეობს „რეალურ სამყაროშიც“. განვიხილოთ ერი-სახელმწიფოს დიპლომატია. მაგალითად, რეიმონდ ქოენი წერს ეგვიპტე-ისრაელის ურთიერთობების კულტურული მიზეზების გამო გამწვავების შესახებ. იგი ეგვიპტე-პალესტინის ურთიერთობებს „ყრუების დიალოგს“ ადარებს, რომელსაც ორმხრივი გაუგებრობისა და „სიმეტრიული აუტიზმის“ ნიშნები აქვს (1990, p.7). უილიამ ბიშენი (1986) 1979-1981 წლებში ირანში მძევლებთან დაკავშირებული კრიზისის განხილვისას ყურადღებას ამახვილებს კულტურულ „მრწამსზე“, რომელიც გავლენას ახდენს ამერიკელების შეხედულებაზე თუ როგორ უნდა იქნეს განხორციელებული საგარეო პოლიტიკა; რა გავლენა მოახდინა ამ შეხედულებამ ამერიკის მიერ ამ კრიზისის დაძლევის მცდელობაზე და ახალ რევოლუციურ რეჟიმზე ირანში.



რაც შეეხება საერთაშორისო ეთნიკურ კონფლიქტებს (როდესაც ერთენოვანი მოსახლეობაა), თომას კონმანი (1981) განიხილავს იმ კულტურულ განსხვავებებს, რომლის გამოც არსებობდა პრობლემები აშშ-ის აფრო-ამერიკელ და თეთრკანიან მოსახლეობას შორის. ეს განსხვავებები მოიცავს არგუმენტისა და კონფორმტაციის სხვადასხვა ვალენტობას ორივე კულტურაში; ემოციის როლს დისკუსიებისა და

მოლაპარაკებების დროს; რა მნიშვნელობა აქვს ქალისა და მამაკაცის ურთიერთობას; საიდან იწყება რეალური „ბრძოლა“; შეესაბამება თუ არა ინფორმაცია პიროვნების შესახებ მის კერძო საკუთრებას; რა არის „სიძარღვე“ ან სამხილი, დანაშაული ან პასუხისმგებლობა. სინადვილეში საერთო ენა ფარავს იმ ძირითად განსხვავებებს, რომელიც არსებობს აღქმაში, სტილსა და კონფლიქტური ქცევის მორალურ შეფასებაში.

დაახლოებით იგივე სიტუაციას აღწერს ედუარდ ჰოლი ნიუ-მექსიკოში ანგლო-ამერიკელებსა და ლათინო-ამერიკელებს შორის არსებული პრობლემების განხილვისას.

„ანგლო-ამერიკულ დავებში პროცესი საფეხურებრივად ვითარდება – დაწყებული გულგრილობით, დამთავრებული მესამე მხარის დამხმარებით გაგზავნილი მესიჯებით და სიტყვიერი წინააღმდეგობით; შემდეგი საფეხური არის ლეგალური ქმედება და, ბოლოს, ძალის გამოყენება (იმ შემთხვევაში თუ სხვა არაფერი არ მოქმედებს და კანონი შენს მხარეზეა). ლათინო-ამერიკულ დავებში სხვა სისტემა გამოიყენება. რადგან სიტყვიერი კონფრონტაცია უნდა აირიდონ, „მე რომ ჩემი ენა მეპოვა, მას არ დავარტყამდი“ კანონს გამოიყენებენ. პირველი ნიშანი იმისა, რომ გაუგებრობას აქვს ადგილი, არის ძალის გამოყენება. ლათინო-ამერიკელებისათვის ძალა ქმედებათა ჯაჭვის ნაწილი კი არა, კომუნიკაცია არის. ის შექმნილია ყურადღების მისაპყრობად. პროცესის უკანასკნელ საფეხურზე ისინი სასამართლოებს მიმართავენ.“

ზემოაღნიშნული მაგალითები გაცილებით უფრო სერიოზული და რთულია, ვიდრე ჩვენ მიერ მოყვანილი სცენარები მოხუცი კაცის, ახალგაზრდა ბიჭისა და ინგლისურად მოლაპარაკე ტურისტის შესახებ. თითოეულ შემთხვევაში საჭიროა კულტურული ანალიზის ჩატარება იმისათვის, რომ მოხდეს კულტურათაშორისი კონფლიქტის მოგვარება და პრობლემის გადაწყვეტა.

პრობლემების გადაწყვეტა და კონფლიქტების მოგვარება კულტურათაშორის ასპექტში, როგორც ამ სტატიის დასაწყისში მოგახსენეთ, ვერც კონფლიქტების მოგვარებას და ვერც პრობლემების გადაწყვეტის პროცესში კულტურული განსხვავებების სირთულეს ვერ უძკლავდება. როდესაც კულტურა წეს-ჩვეულებებზე დაიყვანება, იქმნება შთაბეჭდილება, რომ იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც ეტიკეტის ან პროტოკოლის ნაწილი. თუ კულტურა ეთნიკურობასთან არის გაიგივებული, მაშინ იგი წარმოგვიდგება როგორც ხალხთა გარკვეული ერთობის სახელი და რესურსები-სათვის ბრძოლის გარკვეული სტრატეგია. პირველ შემთხვევაში – წეს-ჩვეულება – პრობლემის მოგვარებას გამოცდილი „თარჯიმანი“ შეძლებს. მეორე შემთხვევაში – ეთნიკურობა – პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა პრაგმატული, თუნდაც ცინიკური ორიენტაცია, რომელიც დაფუძნებული იქნება პოლიტიკურ „რეალიზმზე“ და უბრალო რიტორიკა ყველასათვის დამაკმაყოფილებელი იქნება.

ჩვენი აზრით, კულტურის ეთნიკურობასა და წეს-ჩვეულებებთან გაიგივება არ არის მართებული. თუ ვაღიარებთ იმ აზრს, რომ კულტურა ეთნიკურობისაგან არ განსხვავდება და ყველა კონფლიქტს უტილიტარისტული მიზეზი გააჩნია (ჩვენი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შესაძლებელია რესურსების გაზრდით), მაშინ აღმოვჩნდებით იმავე სიტუაციაში, როგორშიც იყო ამერიკელი ტურისტი. მას მიაჩნდა, რომ მთელს მსოფლიოში ხალმა ინგლისური იცის და თუ პირველად ვინმე კითხვას

ვერ გაიგებს, ხმის ამაღლებით ყველაფერი მოგვარდება.

პრობლემების გადაწყვეტის სპეციალისტები კულტურის უგულვებელყოფის არ-გუმენტად შემდეგ მოსაზრებას გამოთქვამენ: პრობლემების გადაწყვეტა განსაკუთრებული მიდგომაა, რომელიც სცდება უბრალო მოლაპარაკებასა და ვაჭრობას, პროცესებს, რომლებიც კულტურისადმი სენსიტიურია. ისინი ამტკიცებენ, რომ პრობლემების გადაწყვეტა დაფუძნებულია ანალიტიკურ ტექნიკაზე – მთელ მსოფლიოში ადამიანები ერთნაირად, რაციონალურად აზროვნებენ – და კულტურულ განსხვავებებზე ყურადღების გამახვილებას ტრივიალურად მიიჩნევენ. კულტურული განსხვავებების პრობლემა ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შესწავლილი. აღსანიშნავია ორი მოსაზრება. ჩვენ კარგად უნდა შევისწავლოთ პრობლემების მოგვარების ტექნიკა, რადგან ბევრი მეცნიერის აზრით, იგი კულტურულად ცვალებადი და საერთოა. ჯონ ბარტონი (1990) ერთ-ერთ ტექნიკად მიიჩნევს კონფლიქტების „შეფასებას“. შეიძლება ითქვას, რომ „შეფასება“ ყველა ადამიანის დამახასიათებელია ნიშანია, რომელიც ყველაზე მეტად Homo Sapiens-ს მიესადაგება, რომელიც თავის მხრივ, Homo ეკონომიკუს-ია. ხშირად ჩვენი წარმოდგენები პიროვნებებისა და ადამიანის ბუნების შესახებ მთავრდება იმით, რომ ვცდილობთ განვსაზღვროთ ჩვენი თეორიების „უნივერსალურობა“. რა თქმა უნდა, ამგვარი იდეები კულტურით არის განპირობებული.

მეტად საყურადღებოა, თუ რას ნიშნავს ადამიანის რაციონალური აზროვნების კულტურული გარდამავლობა. კულტურა განვსაზღვრეთ როგორც ლოგიკა, რომლითაც ჩვენ გარესამყაროს აღვიქვამთ. თუ წარმოვიდგენთ, რომ ადამიანები ყველაგან ერთნაირად აზროვნებენ, მაშინ მათი ლოგიკაც ერთნაირია, აქედან გამომდინარე შესაძლებელია თუ არა, რომ პრობლემების გადაწყვეტისას ერთიანი ლოგიკის გამოყენება მოხდეს.

ადამიანის აზროვნების ანთროპოლოგიისა და შემეცნების შესახებ არსებულ ლიტერატურაში ამ კითხვებზე მარტივი პასუხი არ არსებობს. განვიხილოთ ჰამილის ნაშრომი „ეთნო-ლოგიკის“ შესახებ. ჰამილი ადარებს სილოგიკურ (კატეგორიული) ლოგიკურ აზროვნებასა და შემოთავაზება - გა-მოთვლით ლოგიკურ აზროვნებას სხვადასხვა კულტურათაშორისი კონფლიქტების შემთხვევაში. ზოგადად, კატეგორიული აზროვნება, შემოთავაზებითისაგან განსხ-ვავებით, ყველა კულტურაში მსგავსია. თუ ადამიანს შეუძლია „გააკეთოს“ სილოგიზმი, როგორც რაციონალური აზროვნების



ის აუცილებელი ნაწილი, მაშინ ენას და კულტურას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. პრობლემების გადაწყვეტაში მრავალი ასპექტი არსებობს, რომელიც „აკულტურულია“.

შემოთავაზებითი აზროვნება (პირველად ეს ცნება შემოიღეს უაითჰედმა და რასელმა, 1910 წელს გამოცემულ წიგნში Principia Mathematica), რომელშიც არგუმენტებისთვის სემანტიკის ელემენ-

ტები გამოიყენება, სრულიად განსხვავებულია. „შემოთავაზებითი ლოგიკის მაგალითები ენისა და კულტურის მიხედვით განსხვავდება, რადგან არგუმენტების სემანტიკურ ელემენტებს განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. ამგვარი განსხვავება განპირობებულია როგორც ლინგვისტური, ისევე კულტურული ფაქტორებით“ (იხილეთ, Hamill, 1990, p.104). ნებისმიერი ლოგიკა, კატეგორიულის ჩათვლით, მოიცავს მნიშვნელობისა და ლოგიკური სტრუქტურის ურთიერთქმედებას, იმისათვის, რომ განისაზღვროს ვალიდურობა – ან „ჭეშმარიტება“. ჰამილი წერს:

„მნიშვნელობა არა მარტო ქმნის ვალიდურობას ადამიანის აზროვნებაში, არამედ განსაზღვრავს ჭეშმარიტებას. ამგვარად, სილოგიზმი განსხვავებულ კულტურაში სხვადასხვაგვარად იქმნება. ამავე დროს, ჭეშმარიტი კატეგორიული განცხადებების აღწერა კულტურების მიხედვით განსხვავდება. შედეგად, ერთი კულტურის სილოგიზმი მეორეში შეიძლება ვალიდური არ აღმოჩნდეს. წინაპირობები და თანმდევი მიზეზები კულტურაში ცვალებადია.“

მნიშვნელობის განსაზღვრის შემდეგ აშკარაა, რომ კულტურას დიდი მნიშვნელობა აქვს. რასაც არ უნდა ნიშნავდეს იგი პრობლემების გადაწყვეტაში, ჩვენთვის მიუღებელია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეს პროცესი ყველასათვის „საერთო“ და „კულტურის ელემენტის გამომრიცხავია.

მესამე მხარე და კულტურათაშორის კონფლიქტების მოგვარება: გაფრთხილება და პერსპექტივა

კულტურათაშორის წინააღმდეგობაში მესამე მხარეს ქმედების სამი განსხვავებული სცენარის განხორციელება შეუძლია და თითოეულის დინამიკა მსგავსი არ არის:

- (1) კონფლიქტის მონაწილე მხარეები, ისევე როგორც მესამე მხარე, განსხვავებული კულტურის წარმომადგენლები არიან;
- (2) კონფლიქტის მონაწილე მხარეები, მესამე მხარისგან განსხვავებით, ერთი კულტურის წარმომადგენლები არიან;
- (3) კონფლიქტის მონაწილე მხარეები განსხვავებული კულტურის წარმომადგენლები არიან, ხოლო მესამე მხარე რომელიმე ერთი კულტურას წარმოადგენს.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ამ სქემის გარკვეული შეზღუდვები: კულტურა არ არის ერთიანი ცვლადი, რომელიც პიროვნებას „გააჩნია“ ან „არ გააჩნია“; ჩვენ მეტნაკლებად „ვიზიარებთ“ სხვების კულტურას; კონკურენციის გარკვეული ხარისხის არსებობისას ჩვენ ვაკონტროლებთ (იმ გაგებით, რომ ვსაუბრობთ ამა თუ იმ ენაზე ან დიალექტზე) მრავალ კულტურას. ამ სქემაში არ არის გათვალისწინებული ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები, როგორიცაა ძალისა და რესურსების განსხვავება კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის. ამ შეზღუდვების გათვალისწინებით, მოყვანილი სქემა შესაძლებელს ხდის გავაანალიზოთ მესამე მხარის როლი კულტურათაშორისი კონფლიქტების მოგვარებისას. თითოეულ სცენარში მესამე მხარემ განსხვავებული კულტურული ანალიზი უნდა ჩაატაროს, მიუხედავად იმისა, კონფლიქტის მოგვარების რომელი ტექნიკა გამოიყენება.

პირველ შემთხვევაში, როდესაც კონფლიქტის მონაწილეები და მესამე მხარე განსხვავებული კულტურის წარმომადგენლები არიან, „შიდა“ კულტურული განზომილებები მაქსიმიზირებულია. მესამე მხარე მოქმედებს როგორც თარჯიმანი. ამ დროს შესაძლებელია წარმოიშვას გაუგებრობა: მაგალითად, ზოგიერთი საკითხის ინტერპრეტაცია შეიძლება ადვილი იყოს კონფლიქტის მონაწილე მხარეებისთვის, მაგრამ არა მესამე მხარისთვის (ამ შემთხვევაში ერთ-ერთმა მონაწილემ შეიძლება შეწყვიტოს პროცესი და განუმარტოს საკითხი მესამე მხარეს). ზოგჯერ კონფლიქტის მონაწილეები არ იზიარებენ მოსაზრებას მესამე მხარის მნიშვნელობის შესახებ კონფლიქტის მოგვარებაში. ნებისმიერ შემთხვევაში, კულტურული ანალიზი უნდა ჩატარდეს.

მეორე შემთხვევაში, როდესაც კონფლიქტის მონაწილეები, მესამე მხარისაგან განსხვავებით, ერთი კულტურის წარმომადგენლები არიან, საინტერესოა, რა როლი უნდა შეასრულოს მესამე მხარემ - შესაძლებელია ფასილიტატორის როლი. კონფლიქტის მონაწილეები მესამე მხარეს ირჩევენ იმიტომ, რომ მას სურს და შეუძლია მოლაპარაკების დროს დადებული შეთანხმების განხორციელების უზრუნველყოფა. ასეთ სიტუაციაში მესამე მხარემ სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, რათა კონფლიქტის მონაწილეებმა იგი შეცდომაში არ შეიყვანონ.

ბოლო შემთხვევაში როდესაც მესამე მხარე ერთ-ერთი მონაწილის კულტურის წარმომადგენელია, ძალაში განსხვავებისა (რომელი მონაწილის კულტურის წარმომადგენელია მესამე მხარე, სუსტის თუ ძლიერის) და ნეიტრალიტეტის პრობლემა იქმნება. მესამე მხარე უნდა შეეცადოს საკმარისი ყურადღება დაუთმოს იმ მონაწილეს, რომლის კულტურასაც იგი არ წარმოადგენს და ზედმეტად დიდი ინტერესი არ გამოიჩინოს საკუთარი კულტურის წარმომადგენელი მხარისადმი.

თითოეულ შემთხვევაში მესამე მხარის წინაშე განსხვავებული პრობლემები წარმოიქმნება. მეორე შემთხვევაში მესამე მხარის ოპტიმალური როლი არის ის, რომ მიეხმაროს კონფლიქტის მონაწილე მხარეებს მოძებნონ ისეთი ფასილიტატორი, რომელიც მათივე კულტურის წარმომადგენელი იქნება. პირველ შემთხვევაში, როდესაც სამივე მხარე განსხვავებული კულტურის წარმომადგენელია, მესამე მხარემ უნდა მოახდინოს კონფლიქტის ეთნოთეორიებისა და ეთნოჩვეულების მონაწილეებისეული აღქმის ანალიზი. ამისათვის საჭიროა მაღალი ხარისხის თარგმნა (ხშირია ხოლმე სავალალო შეცდომები) და ინტერპრეტაცია.

სამყაროში კულტურათაშორის კონფლიქტებს ხშირად მოჰყვება ძალადობა, სისხლის ღვრა, წამება. სიფრთხილე და ყოყმანი არ უნდა იყოს უმოქმედობის გასამართლებელი მიზეზი. კონფლიქტების მოგვარებაში კულტურული ანალიზის მიზანი (კულტურის ზოგიერთი აკადემიური შესწავლისაგან განსხვავებით) მხოლოდ ესთეტიკურად ღირებული ტექსტების შექმნა არ არის. პირიქით, კულტურული ანალიზი საჭიროა; აუცილებელია სიფრთხილის გამოჩენა, რადგან რეალურ სამყაროში გაუფრთხილებლობას სავალალო შედეგები შეიძლება მოჰყვეს.

ომი საშინელებაა 2



გოსლაბ-შმაზის კონცერნი
ГОСЛАБ - SHMAZI Cooperation

War is horror 2

სადისკუსიო კლუბი

ქართულ - აფხაზური კონფლიქტი
და გადაწყვეტის გზების თეორია

ირაკლი ცქიტიშვილი

მას შემდეგ სულ რაღაც ათიოდე წელი გავიდა...

მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა ქართული სახელმწიფოს განვითარებაში...

მას შემდეგ შეიცვალა მსოფლიო და პროცესები მეტად დაჩქარებულად განვითარდა...

მას შემდეგ ქართულ აზროვნებასა და ლექსიკაში გაჩნდა სიტყვები „ლტოლვილი“ და „დევნილი“...

მას შემდეგ საქართველო გახდა მკერდმოჭრილი, მისთვის ბუნდოვან დემოკრატიულ გზაზე მიმავალი სახელმწიფო.

და ეს ყველაფერი იყო მას შემდეგ.

მაგრამ რა იყო მაშინ?

საქართველო, აფხაზეთი, 1992 წლის 14 აგვისტო. საქართველომ ჯერ კიდევ არ იცოდა რა პროვოკაციას უშზადებდა მას ფანატიზმი და უგუნურება; ქართველმა ხალხმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ათასობით ქართველი ვაჟკაცი და ქალიშვილი შეეწირებოდა ამ პროვოკაციას; ქართულმა საზოგადოებამ არ უწყოდა, რომ ქართველი ბავშვები სიცივისაგან გაიყინებოდნენ საკენი-ჭუბერის უღელტეხილზე; ჩვენ არ ვიცოდით, რომ საკუთარ ქვეყანაში დევნილებსა და ლტოლვილებს დაგვიძახებდნენ; არც ის ვიცოდით, რომ ათ წელზე მეტი დასჭირდებოდა საკუთარ სახლებში დაბრუნებას და ძმათა ჩვენთა საფლავებზე მისვლას. არ ვიცოდით, რომ მშობლიური მიწა ასე სანატრებელი გაგვიჩნდებოდა.

მაგრამ ეს ყველაფერი მოხდა!

მოხდა ისევ და ისევ ჩვენი, ქართველების უგუნური პოლიტიკის შედეგად; მოხდა იმიტომ, რომ ჩვენ, ქართველებს, ყველაზე მეტად ურთიერთშენიშნება გვიჭირს; მოხდა იმიტომ, რომ თავისუფლების იდეით უგონოდ შეპყრობილებმა სრულად ვერ გაგაანალიზეთ შექმნილი მდგომარეობა; მოხდა იმიტომ, რომ ემოციამ გონებას ისევ აჯობა.

მას შემდეგ მთელი ათი წელი გავიდა . . .

* * *

ჩვენ წინაშე მრავალი კითხვაა უპასუხოდ დარჩენილი. რა მოხდა აფხაზეთში? იყო თუ არა ეს მხოლოდ საქართველოს მთავრობის შეცდომა? რა როლი აქვს ამ კონფლიქტში რუსეთს? რა სახის კონფლიქტთან გვაქვს საქმე? არსებობს თუ არა მისი გადაწყვეტის რეალური გზა?

ნებისმიერი კონფლიქტის შესწავლა იწყება მისი გამომწვევი მიზეზებიდან, რისთვისაც აუცილებლად მოგვიწევს ჩავიხედოთ ჩვენი ქვეყნის წარსულში, სადაც ნათლად გამოჩნდება ყველა ის ზემოთ აღნიშნული მიზეზი, რამაც ამ კონფლიქტის ესკალაციას შეუწყო ხელი.

საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით ყოველთვის ცენტრალურ როლს თამაშობდა ევრაზიის კონტინენტზე, იყო რა მაკავშირებელი ხიდი ამ ორ (ევროპა და აზია) კონტინენტს შორის. ტყუილად როდია, რომ „აბრეშუმის გზა“ სწორედ საქართველოზე გადიოდა. ამას გარდა, შავიზღვისპირა რეგიონი ყოველთვის წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს რუსეთის, თურქეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის სტრატეგიულ ინტერესს. განსაკუთრებული როლი აქ, რა თქმა უნდა, რუსეთს უკავია. თავისი იმპერიული მისწრაფებების განხორციელების ერთ-ერთი გამოვლინება სწორედ მისი მრავალსაუკუნოვანი აგრესიაა საქართველოს მიმართ.

იმის თაობაზე, თუ ვინ არიან აფხაზები, გამორჩეული ეთნოსი თავისი დამოუკიდებელი კულტურით თუ ქართველურ ტომთა ერთი ნაწილი, რომელიც საქართველოს დასავლეთ ნაწილში იყო განთავსებული, საკმაოდ ბევრი იწერება. ამ საკითხში განსაკუთრებით აქტიურობა აღინიშნება კომუნისტური წყობის ჩამოყალიბების დასაწყისიდან. ბევრი აფხაზი ავტორი ცდილობს დაანახოს მსოფლიოს თავისი განსაკუთრებული იდენტურობა და ცდილობს დაამტკიცოს, რომ ისინი წარმოადგენენ ერთ-ერთ უძველეს ერს მსოფლიოში, რომელსაც მრავალი საუკუნის მანძილზე გააჩნდა თავისი დამოუკიდებელი სახელწიფო, თუმცა ამის დამამტკიცებელ საბუთებად მოჰყავთ მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის შემდგომ პერიოდში დაწერილი და შექმნილი გამოკვლევები, რომელთა უმრავლესობა რუს მკვლევარებსა და კავკასიის საკითხზე მომუშავე სპეციალისტებს ეკუთვნით, რაც, ამ რეგიონში რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე თავისთავად ეჭვქვეშ აყენებს და აბსურდულს ხდის ამ ჰიპოთეზებს. ჩვენს ამოცანას არ შეადგენს სრულად და ღრმად ჩაწვდეთ ისტორიულ ფაქტებს, მხოლოდ გვსურს წარმოვადგინოთ ის მასალები, რომლებიც სრულად ასახავენ სხვადასხვა პერიოდში აფხაზეთის რეგიონში შექმნილ დემოგრაფიულ, პოლიტიკურ, კულტურულ მდგომარეობას და შევაფასოთ დღეს მიმდინარე კონფლიქტის თვალსაწიერიდან.

ისტორიულ დოკუმენტებში რუს მოგზაურთა, საპატრიარქოს წარმომადგენელთა, სამხედროთა ჩანაწერები სათავეს იღებენ XVII საუკუნიდან. ამ ჩანაწერებიდან ჩანს, თუ როგორ იყო დაინტერესებული რუსეთის მეფის კარი და რუსული ეკლესია ამ ტერიტორიების შესწავლით. უნდა აღინიშნოს, რომ ელჩი მღვდელი გაბრიელი (არაუგვიანეს 1640 წ.)¹ ამბობს: „მთავარი მათი იწოდება „მთავარი ლეონტი“, რწმენა მათი ქრისტიანულია და იგივეა, რაც ქართველთა და წიგნებიც მათ ერთნაირი აქვთ, მხოლოდ ენა აქვთ, რომე ერთმანეთში საუბრობენ“. ცნობილია, რომ ლევან II-მ გააგზავნა მღვდელი გაბრიელ გეგენავა რუსის მეფის კარზე მისთვის „ქვეყნის“ რუსეთის მფარველობის ქვეშ შეყვანის სათხოვნელად, რათა დაეღწია თავი იმერეთის სახელმწიფოს გავლენისგან.

მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულ მონოგრაფიებში ხშირად ვხვდებით საქართველოს ამა თუ იმ კუთხის სახელმწიფოდ (სამთავროდ) მოხსენიებას, ფაქტია, რომ

ყველა ეს სამთავრო ერთად ქმნიდა ერთ დიდ სახელმწიფოს, რომელსაც ქართველური ტომები „საქართველოს“ უწოდებდნენ. მათ შორის გამუდმებით მიმდინარეობდა ქიშპი და ყოველი მხარის დაინტერესება მეზობლით მით უფრო იზრდებოდა, რაც უფრო სუსტი წინააღმდეგობა ექმნებოდათ. განსაკუთრებით საინტერესოა დასავლეთ საქართველოს სამთავროების (აფხაზეთის, სამეგრელოს, იმერეთის) ურთიერთობა XVII საუკუნის ბოლოდან იმდენად, რამდენადაც ამ ურთიერთობებში უდიდეს როლს თამაშობს რუსეთი. აფხაზეთის, სამეგრელოს და იმერეთის მთავრები სხვადასხვა დროს მფარველობას სთხოვდნენ რუსეთის მეფის კარს, რაც უფრო აძლიერებდა რუსულ გავლენას რეგიონში.

აფხაზ-იმერთა კათალიკოსის მაქსიმე II-ს ბესარიონ გაბაშვილისადმი მიწერილი წერილიდან (1789 წ.)¹ ჩანს, რომ მაშინდელი ხელისუფლება მონდომებული იყო აფხაზეთი იმერეთისთვის შეეერთებინა, რაც მისცემდა მათ რუსეთისადმი მტრულად განწყობილი აფხაზების დაოკების საშუალებას და ამით უფრო აღიმძღვრებდნენ რუს ხელისუფალთა კეთილგანწყობას.

აფხაზთა რუსისადმი მტრული განწყობა სრულად გამოიხატა რუსეთ-თურქეთის ომის მიმდინარეობისას, როდესაც აფხაზები აჯანყდნენ რუს სამხედროთა წინააღმდეგ (1877)¹, რის შედეგად გაძარცვულ იქნა ახალი ათონის მონასტერი და შემდგომში აჯანყებულებმა გადაწვეს ქ.სოხუმი. ერთადერთი აფხაზი მთავარი, რომელიც იმ მომენტისათვის რუსებს მიემხრო, იყო ქელეშბეი შერვაშიძე, რომელსაც დღეს ხშირად აფხაზეთის გმირადაც კი მოიხსენიებენ და რომელმაც თავისი ერთგულებისათვის აფხაზეთის მთავრობა მიიღო საჩუქრად. თურქული გავლენა აფხაზთა ისტორიულ განვითარებაზე საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდება, რის შედეგადაც შემდგომში ამ რეგიონში წარმოიქმნება ცივილიზაციათა მრავალფეროვნება.

აფხაზთა კეთილგანწყობა თურქეთისადმი და მტრული დამოკიდებულება რუსეთთან მიმართებაში ხდება „მოჰაჯირობის“ მიზეზი, რის შედეგადაც 60 000-ზე მეტი მოსახლე იქნა გაძევებული საკუთარი მიწა-წყლიდან¹. აფხაზეთის ერთადერთი რეგიონი, საიდანაც არავინ გაუძევებიათ, იყო სამურზაყანო, ვინაიდან იქ მცხოვრებლები იყვნენ არა აფსუები, არამედ ქართველები¹. საკმაოდ საინტერესოა, რომ მომავალში სწორედ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობანი განაპირობებენ აფხაზეთში ჩამოყალიბებულ მსოფლმხედველობასა და რუსეთის სამეფოს მიერ გატარებულ პოლიტიკას.

XIX საუკუნის ბოლოსათვის და XX საუკუნის დასაწყისისთვის უკვე ნათლად ჩანს განხეთქილება ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში. აფხაზური მხარე, რომელიც იმ დროისთვის უკვე თითქმის მთლიანად შეადგენდა ჩრდილოკავკასიელებსა (აფსუებს) და თურქული წარმოშობის მცხოვრებლებს, დაპირისპირებული იყო ძირძველ აფხაზებთან, რომელთაც ზოგიერთ წყაროებში მეგრულ-აფხაზებად მოიხსენიებენ. 1915 წელს არსებულ მდგომარეობას ამ რეგიონში ს. ფირცხალავა ასე აღწერს: „დღესდღეობით სოხუმში 40 ათასზე მეტი მაცხოვრებელია. უმეტესობა ქართველია, რუსები - 15 ათასი, სომხები - 5500. საკუთრების მხრივაც პირველი ადგილი უკავიათ ქართველებს. დღესდღეობით სკოლაში სწავლობს 100 გოგო-ბიჭი, მათ შორის აფხაზი, უფრო სწორედ მეგრულ-აფხაზი, მხოლოდ სამია. სკოლის გამგემ ეს ახსნა იმით, რომ სოხუმში აფხაზები თითქმის არ ცხოვრობენ. ამ წელს სოხუმში გახსნეს მასწავლებელთა სემ-

ინარია, სემინარიაში არ მიიღეს არც ერთი ქართველი, ქართული ენა არ ისწავლება. სოხუმში ოთხი ეკლესიაა და არც ერთში ღვთისმსახურება არ წარმოებს ქართულ ენაზე. მწვავე საკითხს სოხუმისათვის და, საერთოდ მთელი ოლქისათვის, წარმოადგენს ქართულ-აფხაზური ურთიერთობები. არ უნდა დავივიწყოთ, რომ აფხაზებს დიდი კულტურული და პოლიტიკური დამსახურება მიუძღვით ჩვენი ქვეყნის წინაშე. ჩვენი აღმავლობა VIII ს-ში სწორედ აფხაზეთიდან დაიწყო. ჩავედით ათონის მონასტერში. დღეისათვის მონასტერში 300 მღვდელია, ადრე იყო 600-700; ყველა რუსია. ქართველთა მიღება აკრძალულია. ქართველ ბავშვს მოსწავლედაც კი არ იღებენ.

მივალწიეთ გუდაუთას, უცხოელები აქ უფრო მრავლადაა. აქაც ქართველთა ეროვნული ინტერესების დაცინვაა. რამოდენიმე წლის წინ ქართველებმა საკუთარი სახსრებით ააშენეს თავიანთის ეკლესია, ახლა კი ამ ეკლესიას დაუფულნენ რუსები და ქართველები გამოადევს იქიდან. გუდაუთაში არის აფხაზური ინტელიგენციის მცირერიცხოვანი წრე, რომელსაც უნდა ხალხში განათლების გავრცელება. ისინი ძალიან ჩამორჩენილნი არიან და სამოქალაქო ცხოვრებას მხოლოდ ახლა იწყებენ. ყველა მათ ავიწროებდა და ატყუებდა, ქართველებმა კი ვერ შეძლეს გაეწიათ მათთვის ძმური დახმარება.

ქართველების წმინდა მოვალეობაა გაუწიოს აფხაზებს ძმურად ხელი, მათთან დაახლოება და ძველი კავშირისა და ერთობის აღდგენა. ის, რისი გაკეთებაც ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთისათვის, ვერცერთი უცხოელი ვერ იზამს.⁴¹

როგორც ხედავთ, რუსული გავლენა ამ რეგიონში ამ დროისათვის საკმაოა და საქმე იქამდეც კი მიდის, რომ ქართველები საკუთარ მიწა-წყალზე თავიანთი უფლებებისათვის იბრძვიან.

რუსეთის სამხედრო ატაშე საქართველოში ვ.სიტინი 1922 წელს წერდა: „აფხაზეთის საქართველოდან ჩამოშორების შემდეგ ყურადღება უნდა მივაქციოთ სამეგრელოს, რომელიც თავისი ენით და ნაციონალურობით განსხვავდება ქართველებისაგან. სამეგრელოს ტერიტორია დიდია და სტრატეგიული თვალსაზრისით კარგი იქნებოდა მისი დამორჩილება რუსეთისადმი. თუ სამეგრელოს, ისევე როგორც აფხაზეთსა და აჭარას, მიეცემა ავტონომია, ეს მომავალში საქართველოს დაშლის დასაწყისი იქნება“⁴².

გთავაზობთ კიდევ ერთ წერილს, რომელიც გამოქვეყნდა 1905 წლის 22 აპრილს „ცნობის ფურცელში“, ამ სტატიის ავტორია ვინმე მელიტონ გობეჩია, რომელიც ხელს აწერს ფსევდონიმით „აფხაზი“. აი, რას წერს ის: „ჩვენამდე, აფხაზებამდე, მოვიდა ხმები არეულობის შესახებ, რასაც ადგილი აქვს მთელ იმპერიაში, და საკუთარ მოთხოვნილებებზე ალაპარაკდნენ აფხაზებიც, ამით ისარგებლა ზოგიერთმა „წყლის ამღვრევის“, „ძმების ურთიერთდაპირისპირების“ მოყვარულმა, რომელნიც აფხაზებს (წარმომადგენლობით პირებს) ურჩევენ: ვიცით, რომ თქვენ ხართ წყნარი, კეთილი და წესიერი ხალხი, თქვენგან არ არის მოსალოდნელი არანაირი არეულობა, მაგრამ თქვენი მეზობლები, ქართველები არ არიან სანდონი. მათგან მოსალოდნელია რაღაც, მიმართული თქვენს ამოსაწყვეტად, ამიტომ თქვენ უნდა „დაარტყათ მათ“⁴³ - კიდევ ერთი დადასტურება რუსეთის პოლიტიკური ინტერესების გავლენისა აფხაზეთის რეგიონზე, რაც უშუალოდ ხდება მომავალი დაპირისპირებებისა და კონფლიქტების მიზეზი.

ამ პერიოდისათვის მიმდინარეობს გუდაუთის რაიონში თურქული ზეგავლენის ზრდა და მოსახლეობის მუსულმანიზაცია (1914 წელს სოხუმის ოლქში უკვე 44 მოლა იყო). ამ პროცესის შემხედვარე რუსეთის საპატრიარქო მოუწოდებს ქრისტიან აფხაზებს, სთხოვონ მას დახმარება, რათა ხელი შეუშალონ მოსახლეობის მუსულმანიზაციის და ამასთანავე გათურქების პროცესს.

1916 წლის 20 აპრილს აფხაზეთის ინტელიგენციის წარმომადგენლები აკეთებენ განცხადებას რუსეთის უწმინდესი სინოდის მიმართ, სადაც აღნიშნავენ ქართული სასულიერო პირების ღვაწლს აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელებაში, მიუთითებენ რუსეთის მიერ საქართველოს მიერთების შემდგომ ამ პროცესის შეჩერებაზე, რამაც, მათი თქმით, ბევრ რაიონში გამოიწვია მოსახლეობის მუსულმანიზაცია. აქვე აღნიშნულია, რომ რუსეთის უწმინდესი სინოდი აპირებს სოხუმის ეპარქიის ქართული ეგზარქატისაგან ჩამოშორებას, რაც ინტელიგენციის წარმომადგენელთა აზრით კიდევ უფრო დააშორებს მოსახლეობას ეკლესიისაგან, რადგან მათთვის უცხო (რუსულ) ენაზე ღმერთმსახურება წარმოშობს უფსკრულს საზოგადოებასა და ეკლესიას შორის. აქედან გამომდინარე მათ თხოვენ უწმინდეს სინოდს არ გამოყოს სოხუმის ეპარქია არსებული და საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული სტრუქტურისაგან, რომელიც შეიქმნა „საუკუნეების მანძილზე საქართველოსა და აფხაზეთს შორის კულტურული და ისტორიული ურთიერთობებით“.¹

რელიგია აღრმავებს აღორძინებად ეთნიკურ თვითიდენტიფიკაციას, ყოველივე ეს კი აძლიერებს რუსების შიშს სამხრეთის საზღვრების უსაფრთხოების თაობაზე. ეს იგრძნო ა. რუხველტმა. აი, რას წერს იგი: „რუსეთის ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი აღსავსეა სასაზღვრო ბრძოლით სლავებსა და თურქებს შორის. ეს ბრძოლა დაიწყო რუსეთის სახელმწიფოს შექმნის დროიდან ათას წელზე მეტი ხნის წინ. სლავების ათასწლოვან ბრძოლაში მათ აღმოსავლეთ მეზობლებთან ძვეს არა მხოლოდ რუსეთის ისტორიის, არამედ რუსული ხასიათის გასაღებიც. რუსეთის დღევანდელი რეალობა რომ გავიგოთ, არ უნდა დავივიწყოთ თურქული ეთნიკური ჯგუფი, რომელიც რუსების ყურადღებას იპყრობდა მრავალი ასწლეულების განმავლობაში“²

როგორც ცნობილია, კავკასიელი ხალხები, განსაკუთრებით საქართველოს ჩრდილო-დასავლეთით მცხოვრებნი, წერისათვის გამოიყენებდნენ ქართულ ანბანს. აი, რას ამბობს რუსი ენათმეცნიერი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ კორესპონდენტი ბარონი პ. კ. უსლარი კავკასიელ ხალხებში რუსული ენის დანერგვასთან დაკავშირებით: „შეიძლება ითქვას, რომ ის (ქართული ანბანი) ერთ-ერთი უსრულყოფილესი ანბანია ყველა არსებულ შორის... ყოველი ბგერა (ქართულში) გამოიხატება განსაკუთრებული ნიშნით და ყოველი ბგერა მუდამ გამოხატავს ერთსა და იგივე ბგერას. ყველა ევროპულ ენაში არის ქვაკუთხედი – ორთოგრაფია. ქართველებისათვის, მათი ანბანის სრულყოფილების გამო, ეს პრობლემა თითქმის არ არსებობს... აქედან ჩანს, რომ ქართული ანბანის სისტემა შეიძლება იქნეს მიღებული კავკასიურ ენათა საერთო ანბანის საფუძვლად, რომელთათვისაც განათლება უცხოა. მაგრამ თუ ჩვენ ქართველებს დავესესხებით არა მარტო ანბანის სისტემას, არამედ ასოთა მოხაზულობას, მაშინ სავსებით უნებლიედ შევქმნით სირთულეებს, რომლებიც მით უფრო საგრძნობი იქნება,

რაც უფრო განვითარდება კავკასიაში რუსული განათლება... სხვა შემთხვევაში ჩვენ ვრისკავთ შევქმნათ დამატებით ქართულისა და სხვა ავტონომიების მსგავსად აფხაზეთის ავტონომიაც.“¹

კავკასიოლოგი ე.გ. ვეიდენბაუმი ღიად საუბრობს რუსული ანბანის კავკასიის ხალხებისათვის თავს მოხვევის პოლიტიკურ სარჩულზე: „აფხაზური ენა, რომელსაც არ გააჩნია დამწერლობა და ლიტერატურა, განკუთვნილია გასაქრობად ახლო თუ შორეულ მომავალში. საკითხი დგას ასე: რომელი ენით შეიცვლება იგი? ამკარაა, რომ მოსახლეობაში კულტურული იდეებისა და აზროვნების გამტარის როლი უნდა შეასრულოს ქართულმა და არა რუსულმა ენამ. მე ვფიქრობ, სწორედ ამიტომ აფხაზური დამწერლობის შემოღება არ უნდა იყოს მხოლოდ თვითმიზანი, არამედ მხოლოდ საშუალება, რომლითაც ეკლესიისა და სკოლის მეშვეობით შემცირდება მოთხოვნილება ქართულ ენაში და შეიცვლება იგი სახელმწიფო ენით“¹.

სწორედ პ. უსლარმა, შეისწავლა რა აფხაზური ენა სოხუმში ერთ კვირაში, 1862 წელს დაწერა და დაბეჭდა მისი გრამატიკა რუსული გრაფიკის საფუძველზე. პირველი აფხაზური დედაენა გამოიცა თბილისში 1865 წელს, ხოლო 1892 წელს გამოვიდა პირველი საკითხავი წიგნი, რომლის ავტორები იყვნენ კ. მაჭავარიანი და დ. გულია¹.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იმავე დროს კ. მაჭავარიანის მიერ იყო მცდელობა ეთარგმნა ბიბლია აფხაზურად. მაგრამ იმ დროს მომძლავრებულმა რუსულმა შოვინისტურმა მოძრაობამ ქართველები აფხაზების მტრად გამოაცხადა, რის გამოც არცერთი აფხაზი, რომელიც აღიარებულ იქნა ქართველების კეთილმოსურნედ, და მით უმეტეს არცერთი ქართველი არ იქნა დაშვებული ბიბლიის მთარგმნელ კომისიაში. ქართველების მხრიდან აფხაზების დახმარების სასარგებლოდ გამოდიოდა იაკობ გოგებაშვილიც, რომელიც მოუწოდებდა სოხუმში მცხოვრებ ქართველობას ხელი შეეწყობა აფხაზურ ენაზე მწიგნობრობის განვითარებისათვის.

ხემათ მოყვანილი ფაქტები გარკვეულწილად ასახავენ მე-17 – მე-19 საუკუნეებში აფხაზეთში არსებული სიტუაციის, მასში მონაწილე ძალების, ამ ძალთა თანაფარდობის სურათს. ჩვენს ამოცანას არ წარმოადგენს ღრმად გავაანალიზოთ ყველა ისტორიული მოვლენა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა აფხაზეთის ისტორიაში. ჩვენი უპირველესი მიზანია შევისწავლოთ არსებული კონფლიქტი არსებული თეორიების მიხედვით, შევაფასოთ იგი და გამოვძებნოთ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მისი გადაწყვეტის გზები.

საქართველოს ისტორიაში არცთუ ისე ბევრ ეთნოკონფლიქტს ჰქონია ადგილი. თანამედროვე კონფლიქტები განსხვავდებიან ადრეულისაგან როგორც ხანგრძლივობით, ისე დალუპულთა რაოდენობით. ეს კონფლიქტები მოითხოვენ ღრმა შესწავლას. უნდა იქნეს გამოვლენილი ამ კონფლიქტების მიზეზები, რათა მოხდეს მათი გადაწყვეტის გზების ძიება.

თანამედროვე ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები უმეტესწილად ხასიათდებიან უფრო პოლიტიკური, ვიდრე ეთნიკური ხასიათით, გამოძინარე იქიდან, რომ სეპარატისტული მთავრობების ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს საქართველოსაგან გამოყოფა და

ყოველგვარი მსჯელობა მათი კულტურული განვითარების არახელსაყრელი პირობების არსებობის გამო საკმაოდ აბსურდულია. საქართველოში აფხაზურ (თანამედროვე გაგებით) ეთნოსს გააჩნდა ყოველგვარი ხელშემწყობი პირობა, რათა განვითარებულიყო როგორც ერი და მოეხდინა მის გარემომცველ სამყაროში თვითიდენტიფიცირება.

თვითიდენტიფიკაციის პრობლემა ყველაზე ხშირად წარმოადგენს კონფლიქტის მიზეზს. ამ კონტექსტში ქართულ-აფხაზური ურთიერთობების განხილვა საინტერესო იქნება იმ მხრივ, თუ რაოდენ დიდი უნდა იყოს ერისათვის თვითიდენტიფიკაციის მაჩვენებელი, რომ დაკმაყოფილებულ იქნეს მათი ძირითადი მოთხოვნები.

დენის სანდოლეს მიხედვით⁴, არსებობს ოთხი საერთაშორისო და პიროვნებათშორისი პარადიგმა, რომელიც ნებისმიერ დონეზე უკავშირდება კონფლიქტებსა და მათი მოგვარების გზებს:

1. პოლიტიკური რეალიზმი
2. პოლიტიკური იდეალიზმი
3. მარქსიზმი
4. არამარქსისტული რადიკალური აზროვნება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განსახილველად პირველი ორი, რომლებიც წარმოადგენენ ურთიერთსაპირისპირო მიდგომებს. პოლიტიკური რეალიზმი გულისხმობს ძალაზე დაფუძნებულ, მტრულ, კონფრონტაციულ, „ნულოვანი ჯამის“ კონცეფციას, როდესაც ერთი მხარის გამარჯვება აუცილებლად მეორე მხარის მარცხია. მისი ფუძემდებლური აზრია, რომ „ადამიანის ბუნება ბოროტია“. აქედან გამომდინარე, ადამიანი ყოველთვის ორიენტირებულია აგრესიაზე და სხვათა დაჩაგვრაზე საკუთარი მიზნების მისაღწევად.

იდეალპოლიტიკოსთა მიდგომა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რადიკალურად განსხვავდება რეალისტების მიდგომისაგან, მათი ძირითადი იდეაა - „ადამიანის ბუნება კეთილია“ - და მხოლოდ გარემოს გავლენით შეიძლება ადამიანის ბუნება და ხასიათი შეიცვალოს ცუდისაკენ. თუმცა პოლიტიკური იდეალისტები, როგორც რეალისტები, მიიჩნევენ, რომ ძალადობის საფრთხე და ინტენსივობა იზრდება, თუმცა მიუთითებენ ომისა და ძალადობის განსხვავებულ მიზეზებსა და მოგვარებაზე. კონფლიქტების მოგვარების არაწინააღმდეგობრივი, არაკონფრონტაციული, პოზიტიური ჯამის, „მოგება-მოგების“ მიდგომა სწორედ იდეალისტების მახასიათებელი იდეოლოგიაა.

შემდეგი ორი პარადიგმა წარმოადგენს ნარეკს პირველი ორი პარადიგმისა იმ დროისათვის, როდესაც ისინი წარმოიქმნენ, დამახასიათებელი აზროვნების დამატებით და განხილვის არეალით.

უოლცის მიხედვით არსებობს კონფლიქტის ოთხი დონე:

1. ინდივიდუალური დონე
2. სოციალური/ეროვნული დონე
3. ტრანს-სოციალური/საერთაშორისო
4. გლობალური დონე

ინდივიდუალურ დონეზე შეიძლება განვიხილოთ ინტრაპერსონალური და ინტერპერსონალური კონფლიქტები, მიმდინარე ინდივიდუალურ, ფიზიოლოგიურ, შესწავლით

და დისონანსურ ქვედონეებზე. ადამიანს გააჩნია მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილება წარმოადგენს მის მიზანს, მაგრამ მასლოუს მოსაზრებით, მოთხოვნილებები მათი დაკმაყოფილების შემდეგ უფრო მაღალ საფეხურზე გადადიან და წარმოქმნიან ახალ მოთხოვნილებებს, რომელთა დასაკმაყოფილებლად ახალი საშუალებების გამოძებნა ხდება საჭირო. კოესტლერის მოსაზრება ადამიანის ნერვულ სისტემაში პოტენციურად საშიში ნაკლის არსებობის შესახებ, ეფუძნება „ძირითადი მოთხოვნილებების“ თეორიას: მაგალითად, მოთხოვნილება ვინმეს ეკუთვნოდე, „ადამიანების შესაძლებლობა და სურვილი გააიგივონ ტომთან, ერსა და ეკლესიასთან (კოესტლერი, 1978 წელი). კოესტლერი მიიჩნევს, რომ ეს ინტეგრაციული თვითმალელების მიმართულებები არის კაცობრიობის ისტორიის მანძილზე არსებული ძალადობის საფუძველი (კოესტლერი, 1976): „ეგოისტური, პირადული მოტივების საფუძველზე ჩადენილ ძალადობრივ დანაშაულს ისტორიული მნიშვნელობა არ გააჩნია... უფრო საყურადღებოა თავგანწირული ერთგულება დროის, ლიდერის, რელიგიური მრწამსისა და პოლიტიკური რწმენისადმი.“

4

ჰქონდა თუ არა აფხაზ ერს თვითიდენტიფიცირებისა და თვითგამოხატვის საშუალების დეფიციტი?

აფხაზეთი იყო ერთადერთი ავტონომიური რესპუბლიკა ყოფილ საბჭოთა კავშირში, რომლის კონსტიტუციაში იყო მუხლი აფხაზური ენის სახელმწიფოებრიობის შესახებ.

ფუნქციონირებდა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტელევიზია, აფხაზური სახელმწიფო დრამატული თეატრი და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, ეთნოგრაფიული ანსამბლები და მრავალი სხვა ორგანიზაცია კულტურის დარგში. მუშაობდა მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა, არქიტექტორთა კავშირები, იყო ბიბლიოთეკები, გამოდიოდა გაზეთები.

სსრკ უმაღლესი საბჭოს საქართველოს წარმომადგენელ დეპუტატთა შორის 8 იყო აფხაზი, ხოლო საქართველოს უმაღლესი საბჭოს წევრად აფხაზეთიდან ირჩეოდა ორმოცზე მეტი დეპუტატი, რომელთა შორის 15 აფხაზი იყო. აფხაზეთის ბოლოს წინა მოწვევის უმაღლეს საბჭოში იყო 140 დეპუტატი, რომელთა შორის აფხაზი – 57 (40,7%), ქართველი 53 (37,9%), სხვა ეროვნებები 30 (21,4%). საქალაქო და რაიონულ საბჭოებში აფხაზები შეადგენდნენ ერთ მესამედს, ხოლო აფხაზეთის მინისტრთა საბჭოში და კომპარტიის საოლქო კომიტეტში – ნახევარზე მეტს. თუ საზოგადოებრივ წარმოებაში დასაქმებულ აფხაზთა რაოდენობა 17,8% იყო, ხელმძღვანელ თანამდებობებზე მათი რაოდენობა ორჯერ მეტს შეადგენდა.⁵

ზემოთ მოყვანილი ფაქტები ცხადყოფენ, რომ თვითიდენტიფიცირებისა და კულტურული განვითარების პრობლემა აფხაზებს არ ჰქონიათ. პირიქით, მათთვის შექმნილი იყო უფრო მეტი პირობა, ვიდრე ეს ჰქონდა საბჭოთა კავშირის სხვა ავტონომიურ რესპუბლიკებსა თუ ავტონომიურ ოლქებს. „მადა ჭამაში მოდისო“ – და არ შეიძლება არ დავეთანხმოთ მასლოუს თეორიას მოთხოვნილებათა იერარქიის არსებობისა და იმის შესახებ, რომ ადამიანს გააჩნია ყველაზე დაბალი, ფიზიოლოგიური მოთხოვნილებანი, რომელიც დაკმაყოფილების შემთხვევაში იწვევს ადამიანურ მოთხოვნილებათა უფრო

მაღალ საფეხურზე გადასვლას.

ქართულ-აფხაზური პრობლემატიკის გადაწყვეტის გზების ძიებაში შეინიშნება სხვადასხვა მიდგომების გამოყენების მცდელობა. თუ დასაწყისში, კონფლიქტის განვითარებისას გამოიყენებოდა რეალისტური, ძალისმიერი გადაწყვეტის მიდგომები, ბოლო პერიოდში ჭარბობს იდეალისტური კონცეფცია. ამ კონცეფციის თანახმად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონფლიქტის მოგვარება განიხილება უფრო ჰუმანურ ჩარჩოებში. „მოგება-მოგება“ მიდგომა იწვევს კონფლიქტში მონაწილე მხარეების მხრიდან გარკვეულ დათმობებზე წასვლას. საქართველოს მხრიდან დათმობად შეიძლება ვიგულისხმოთ აფხაზეთისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებაზე თანხმობა, რომელიც, პრინციპში, შეიძლება ისევ საქართველოს სახელმწიფოებრიობის საწინააღმდეგოდ იქნეს მიმართული. მაგრამ ამ კონფლიქტის გადაწყვეტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, რომლის ძირითადი იდეა ქართული მხარისთვის არის აფხაზეთის ტერიტორიაზე სახელმწიფოებრივი ელემენტების (საერთო ჯარი, საზღვრები,) დამკვიდრება, აიძულებს მას რეალურ სამყაროში მიმდინარე პროცესების შესაბამისად გარკვეულ დათმობებზე წასვლას. თუ გავითვალისწინებთ გაერო-ს მიერ მომზადებულ არაერთ პროექტს, შეიძლება შევაფასოთ ამ კონფლიქტის მოგვარებისადმი მიდგომა როგორც იდეალისტური. თუმცა საქართველოსთვის ნებისმიერ დათმობაზე წასვლა საბოლოოდ დამარცხება იქნება, ვინაიდან პრობლემა, ერთიანი სახელმწიფო, მაინც გადაუწყვეტელი დარჩება.

უნდა აღვნიშნოთ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მხარე ყოველნაირად ცდილობს აღადგინოს თავისი იურისდიქცია ამ ტერიტორიაზე საკმაოდ მნიშვნელოვან დათმობებზე წასვლით, აფხაზური მხარისათვის მიუღებელი რჩება რაიმეს დათმობა. მათი იდეა – გამოეყონ საქართველოს - რჩება მათთვის მთავარ მიზნად. შეიძლება თუ არა იქნეს კონფლიქტი გადაწყვეტილი, თუ არსებობს დაპირისპირება პრინციპულ საკითხში, როდესაც კონფლიქტში მონაწილე ერთ-ერთი მხარე მაინც არ თმობს საკუთარ პოზიციას და როდესაც ნებისმიერი დათმობა კონფლიქტში მონაწილე მხარეებისათვის ამ დათმობაზე წამსვლელი მხარის პრინციპულ მარცხს იწვევს? იდეალისტური მიდგომით, არა.

რეალისტური მიდგომის თანახმად, მიზანი ამართლებს საშუალებას. საქართველოს არ გააჩნია საკმაო საკუთარი ძალები, რათა განავითაროს ამ კონფლიქტის გადაწყვეტისათვის საჭირო პროცესები. დასავლური გამოცდილების მაგალითზე (აღმოსავლეთ ევროპა), კონფლიქტის გადაწყვეტა შეიძლება მოხერხდეს დამაღების მეთოდით. ჯერჯერობით მესამე ძალა ჩარეულია ქართული პოლიტიკის საწინააღმდეგოდ, რაც ვერანაირად ვერ უწყობს ხელს კონფლიქტის დეესკალაციას. საჭიროა ამ მესამე, რუსული პოლიტიკის, დამაბალანსებელი ძალის ჩარევა, ან რუბინისა და პრუიტის⁶ მიერ შემოთავაზებული ერთ-ერთი პუნქტის შესრულება – გარე დახმარების შეზღუდვა, რათა გათანაბრდეს კონფლიქტში მონაწილე მხარეთა შანსები და სტატუსები. მხოლოდ ამის შემდგომ შეიძლება ამ კონფლიქტის იდეალისტურ ჩარჩოში გადაყვანა და ინტეგრაციული ალტერნატივის ძიება. ძალების ნებისმიერი დისბალანსი გამოიწვევს ძალადობის და აგრესიის რე-ესკალაციას.

შეინიშნებოდა აგრეთვე სხვა მიდგომებიც და მათ შორის პოლიტიკური

კონფლიქტის ეკონომიკური საშუალებებით დარეგულირების მცდელობა. ამ მხრივ აღსანიშნავია „ენგურჰესის“ მუშაობა და კომუნიკაციების აღდგენის პროექტები, რომლებიც შემოთავაზებულ იქნა ამ ბოლო დროს.

ქართულ-აფხაზურ ისტორიულ ურთიერთობებში, რომლის ფაქტებიც დასაწყისში იქნა მოყვანილი, ნათლად ჩანს, რომ საქმე გვაქვს არა ავტოქტონურ ერთეულთან, არამედ ხელოვნურად წარმოქმნილ ეროვნულ ჯგუფთან, რომლის ჩამოყალიბებაშიც საკმაოდ დიდი წვლილი რუსეთს მიუძღვის. მრავალი საუკუნის მანძილზე რუსული ინტერესების არსებობამ ამ რეგიონში აბსოლუტურად შეცვალა ეთნიკური ბალანსი. მიუხედავად იმისა, რომ ცხადად ჩანს აფხაზური ერის აფსუურ-ქართული ნაზავი, დღეს უკვე შეუძლებელია ვივარაუდოთ, რომ ქართული გენის მატარებელი აფხაზები შეიძლება სხვა, უკეთესი, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების შუამავლად გამოდგენ. ისტორიულმა პროცესებმა გარდატეხა შეიტანეს აფხაზური ეთნოსის აზროვნებაში, და ჩამოაყალიბეს მათში უცხო, ქართული კულტურისა და რელიგიისაგან, ქართული აზროვნებისაგან შორს მდგარი ერის წარმოდგენა. კონფლიქტის წარმართვის საუკეთესო საშუალება დღესდღეობით იქნებოდა აფხაზური ერის ჩვენებური აღქმის, როგორც ქართული გენის მატარებელი ერის, უარყოფა და რეალობისთვის თვალის გასწორება. დღესდღეობით აფხაზური მენტალიტეტი განისაზღვრება რუსულ-თურქული აზროვნებით, რაც განაპირობებს აფხაზურ „ეროვნულ მოთხოვნილებას“.

ნებისმიერ საზოგადოების ქცევა განპირობებულია მისი შემადგენელი ადამიანების ფსიქოლოგიური დატვირთვითა და მათ მიერ გარემოს აღქმით. აზროვნებისა და ორიენტაციის შეცვლამ აფხაზურ ეთნოსში გამოიწვია ფსიქოლოგიური ცვლილებებიც, საკუთარი თავის ცალკეულ საზოგადოებად აღქმა. ქართულ საზოგადოებასთან რეალურ დაპირისპირებასთან ერთად წარმოიქმნა „მტრის სინდრომი“, რამაც შეიძლება განაპირობა ფსიქოლოგიურად სხვა პლატფორმაზე მდგომი საზოგადოების შიში საკუთარ უსაფრთხოებასა და იდენტურობაზე. კოესტლერი ომს განიხილავს როგორც თვითამაღლების, თვითიდენტიფიცირების, თვითგამოხატვის ქმედებებს. „პირადული“ სიძულვილი ამ პროცესის შემადგენელი ნაწილი არ არის: „თითოეული მსხვერპლი ისჯება არა როგორც ინდივიდუალური პირი, არამედ როგორც მტრის სიმბოლური წარმომადგენელი.“⁴

ცნობილია, რომ კონფლიქტები ჩნდება „ტრავმირებულ“ საზოგადოებებში, რომლებმაც გადაიტანეს ტოტალიტარული რეჟიმის პრესი და რომ ტოტალიტარიზმის რეპრესიული ზემოქმედების შემცირებას მოჰყვება დესტრუქციულობის აფეთქება, რომელიც თავის მხრივ იწვევს კიდევ მეტ ტრავმას. დესტრუქციულობა ახასიათებს ამ კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარეს. „ზღვაში დახრჩობა სჯობს მდინარეში დახრჩობას“ - ეს მეტაფორაა, რომელიც ხშირად გამოიყენებოდა აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის მისწრაფების გამოსახატავად და რომელიც თვითგანადგურებისკენაა თავიდანვე მიმართული. საბაბად ხშირად იყო მოყვანილი აფხაზური ერის ქართულ საზოგადოებაში ასიმილაციის საშიშროება და გამომდინარე აქედან თვითიდენტურობის დაკარგვის შიში, რომელსაც არანაირი საფუძველი არ ჰქონდა. ხდებოდა პირიქით: მიმდინარეობდა აფხაზური მოსახლეობის მიერ ქართულენოვანი მოსახლეობის ასიმ-

ილაცია, რისი მიზეზიც, პირველ ყოვლისა, აფხაზებისათვის სამსახურებრივი კარიერის გაკეთების საშუალების ხელშეწყობი პირობების არსებობა გახლდათ.⁷

საინტერესოა ფაქტი, რომ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს ხშირად ეძახიან „ეთნიკურს“. აფხაზეთში რუსული პოლიტიკის გატარებამ განაპირობა ამ რეგიონში ფაქტიურად განვითარების რუსულენოვანი მიმართულება. აფხაზური, ისევე როგორც ქართული მხარე, ატარებდა უფრო რუსულ იდეოლოგიას, ვიდრე ქართულ სახელმწიფოებრივს. ამ კონფლიქტის განვითარებას ხელს უწყობდა ქართულ საზოგადოებაში არსებული განხეთქილება, რომელიც წარმოქმნიდა მეორე ფრონტს და იყო უფრო დეზინტეგრაციული, ვიდრე ქართულ-აფხაზური კონფლიქტი. ქართულ აზროვნებაში აფხაზი ყოველთვის იყო გაიგივებული ქართული გენის მატარებელ ხალხთან, ამიტომ ეს კონფლიქტი ქართული მხარისათვის ატარებდა (ყოველ შემთხვევაში, თავიდან) სამოქალაქო ომის იერს ისევე, როგორც კონფლიქტი ზვიად გამსახურდიას მომხრეებსა და არსებულ სახელმწიფო წარმონაქმნს შორის. ამ მხრივ საინტერესოა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძის აზრი, რომელმაც აღნიშნა, რომ “ცენტრალური ხელისუფლების დაპირისპირება აჭარის ხელმძღვანელ ორგანოებთან საკმაოდ დიდია, მაგრამ მას არა აქვს კონფლიქტში გადასვლის საშიშროება მხოლოდ იმიტომ, რომ აჭარლები ქართველები არიან, ქართული გენისა და იდეოლოგიის მატარებლები, მაგრამ რომ ყოფილიყვნენ სხვა ერი, როგორც აფხაზები, ამ დაპირისპირებას აღიქვამდნენ როგორც ეთნიკურს”.

ხემათ მოყვანილი ისტორიული ფაქტები, განვითარებული მოვლენები, დღეს საქართველო-რუსეთს შორის დაძაბული ურთიერთობები ნათელყოფენ, რომ რუსეთის იმპერიალისტურმა პოლიტიკამ, რომელიც ბოლო 3 საუკუნის მანძილზე მიმართული იყო საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევაზე, ქართული სახელმწიფო წარმონაქმნის გათიშვაზე და საკუთარი სტრატეგიული ინტერესების სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე გატარებაზე, შეძლო აფხაზი ხალხისთვის თავს მოეხვია შიშის, ტრავმისა და საქართველოს მხრიდან საფრთხის მოლოდინის სინდრომი, რამაც კონფლიქტის ეს მხარე აიძულა გადაჭარბებული რეაგირება მოეხდინა მოწინააღმდეგის ქმედებაზე. თუ შფოთვის, შიშის, საფრთხისა და ტრავმის მოლოდინი სერიოზულია, მაშინ ადამიანს წაგების მოლოდინიც ვერ შეაჩერებს ომში მონაწილეობისაგან (ზინესი, ნორტი, კოხი, 1961).⁴

არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ადამიანმა უნდა „გამოიგონოს“ მტრები, იმ მიზნით, რომ შეინარჩუნოს საკუთარი როლი და „ჯგუფისადმი იდენტურობა“⁴. თუ გადავავლებთ თვალს 1990-1993 წლებში საქართველოში მიმდინარე პროცესებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ სახელმწიფო გადატრიალების შემდგომ ხელისუფლებაში მოსულ ჯგუფს ესაჭიროებოდა საზოგადოებაში და მმართველ წრეებში დამკვიდრება. სამოქალაქო დაპირისპირება ექს-პრეზიდენტ ზ. გამსახურდიასა და ე. შევარდნაძის მომხრეებს შორის არ იძლეოდა უკანასკნელისთვის უმტკივნეულოდ მიზნების მიღწევის საშუალებას. მაშინ ჯერ კიდევ დომინირებდნენ უმართავი შეიარაღებული ჯგუფები, რომელნიც არა მარტო დესტაბილიზაციის გამომწვევ ძალას წარმოადგენდნენ, არამედ მართავდნენ სახელმწიფო პროცესებს. ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, სხვა მიზე-

ზებთან ერთად, შეიძლება ყოფილიყო ქართული „შეიარაღებული“ ხელისუფლების გადარჩენის საშუალება, მით უმეტეს სრულად არ იყო აღქმული პრობლემა, რომლის წინაშეც ქართულ სახელმწიფოებრიობას მოუწია დადგომა. რუსული ფაქტორი, როგორც ერთ-ერთი უძლიერესი კავკასიის რეგიონში, არ იქნა გათვალისწინებული და შექმნილი იყო წარმოდგენა, რომ აფხაზეთში ისევე ადვილად დამყარდებოდა წესრიგი, როგორც შემდგომ სამეგრელოს რეგიონში, მიუხედავად კვლავაც არსებული სამოქალაქო დაპირისპირებისა. ეს გვაძლევს ვარაუდის საშუალებას, რომ კონფლიქტის გაღვივება გარკვეულწილად ქართული ხელისუფლების (მაშინდელი სამხედრო საბჭოს) ინტერესებშიც შედიოდა.

სემუელ ჰანთინგტონის მიხედვით, დღეს და მომავალში კონფლიქტებს და ომებს განაპირობებს არა იდეოლოგია და ეკონომიკა, არამედ ცივილიზაციური კუთვნილება. ცივილიზაციას ის უმაღლესი რანგის კულტურულ ერთობად, კულტურული იდენტურობის ყველაზე ფართო დონედ განიხილავს. მის უმთავრეს კრიტერიუმად იგი მიიჩნევს ენას, ისტორიას, რელიგიას, ზნე-ჩვეულებებს, ინსტიტუტებს, თვითიდენტიფიკაციას.

ამ კონცეფციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოში შეგვიძლია დავინახოთ რამდენიმე ცივილიზაციური ინტერესის გადაკვეთა. ერთის მხრივ, რუსული ინტერესები, რომელსაც ჰანთინგტონი მიაკუთვნებს მართლმადიდებლურ -სლავურ ცივილიზაციას, (რომელიც უფრო სლავურია, ვიდრე მართლმადიდებლური), მეორეს მხრივ, ისლამური ცივილიზაციის მატარებელი თურქეთი, აქვე ძვეს დასავლური ცივილიზაციის ინტერესები და ქართული ინტერესები, რომლის მიკუთვნება რომელიმე ცივილიზაციისადმი საკმაოდ რთულია. საქართველო გარკვეულწილად თვითონ წარმოადგენს ცივილიზაციურ (იქნებ კავკასიურს, რომელიც ნაზავია მის გარშემო არსებულ ცივილიზაციათა იდეოლოგიების) წარმონაქმნს, მიუხედავად მის მიერ მართლმადიდებლური იდეოლოგიის ტარებისა.

ქართულ-აფხაზური ურთიერთობების კონტექსტში მოხდა სწორედ აფხაზური ერის ცივილიზაციური კუთვნილების გამოცვლა. ქართული იდეოლოგიისა და აზროვნების მატარებელი ერი გახდა ჯერ თურქული, შემდგომ კი თურქულ-რუსული ცივილიზაციის ნაწილი. გაუცხოება იწყება IX საუკუნის ბოლოდან. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ იმის შესახებ, რომ თვით ადგილობრივ მოსახლეობაშიც კი მოხდა აფხაზთა დაყოფა „მეგრელ“ და „აფსუა“ აფხაზებად. ეს ის პერიოდია, როცა თურქული გავლენა საკმაოდ ძლიერია და ძლიერდება აგრეთვე რუსული პოლიტიკური და სამხედრო ზეგავლენა. სწორედ აქ იწყება ხიდიტატეხილობა. აქედან მოყოლებული აფხაზი ერი წარმოადგენს სხვა, არაქართული, ცივილიზაციის ნაწილს, რომელსაც თვითონ აღიქვამს თავის თავს.

ამდენ ცივილიზაციური ინტერესის გადაკვეთას ერთ პატარა რეგიონში უნდა გამოეწვია კიდევაც ეგზოგენური კონფლიქტური გარემოს წარმოქმნა. „რაც უფრო ეგზოგენურია“ კონფლიქტის გარემო, „მით უფრო მეტი ომი დაიწყება, რადგან არ არსებობს მათი შეჩერების ეფექტური მექანიზმები“⁴. განსაკუთრებით იზრდება შანსი, თუ მონაწილე ყველა მხარე ფარულად დაინტერესებულია კონფლიქტის გაჩაღებაში.

ასე თუ ისე, ცივილიზაციური შეჯახება მოხდა საქართველოს ტერიტორიაზე და ეს საკითხი დღესაც საკმაოდ მწვავედ დგას. აფხაზური ელიტის რუსეთზე პოლი-

ტიკური ორიენტაცია და ისლამური კულტურულ-რელიგიური მენტალიტეტი გამორიცხავს ამ კონფლიქტის ეთნიკურ ჩარჩოებში განხილვის საშუალებას. ჰანთინგტონი წერს: „ევრაზიაში იშვიათობას არ წარმოადგენს ეთნიკური კონფლიქტები, არაიშვიათად – „ეთნიკური წმენდის“ ჩათვლით. ყველაზე ხშირად ისინი ხდება ჯგუფებს შორის, რომლებიც სხვადასხვა ცივილიზაციებს ეკუთვნიან, და ამ შემთხვევაში განსაკუთრებით უკიდურეს ფორმებს იღებენ. განსაკუთრებით მწვავე ხასიათს იღებს ეს კონფლიქტები ისლამური სამყაროს საზღვარზე“³

ისლამურ სახელმწიფოთა აგრესიული პოლიტიკის ხასიათი განსაკუთრებით აქტუალური ხდება XXI საუკუნის დასაწყისშივე. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდგომ მსოფლიო ხელდა მიმდინარე პროცესებზე შეიცვალა. აშშ იბრუნებს მსოფლიო პოლიტიკაში ერთპიროვნული ლიდერის როლს, ითავსებს პოლიციურ ფუნქციებს და იყენებს ყველაფერ ამას საკუთარი ინტერესების ახალ სივრცეებში გასატარებლად. ავღანეთის მიმართ განხორციელებული სადამსჯელო ოპერაცია გამაფრთხილებელი გასროლა იყო ტერორიზმისა და სეპარატიზმის წინააღმდეგ, რომელიც ყველა ქვეყანას ახალ რეალობაში აყენებს და იძულებულს ხდის ამ ხედვას დაემორჩილოს. აშშ მშვენივრად იყენებს შექმნილ ვითარებას, მოიპოვებს რუსეთის მხარდაჭერას და მისი თანხმობით 3000-ზე მეტ სამხედრო მოსამსახურეს განათავსებს ყოფილი საბჭოთა კავშირის შუა აზიის ქვეყნებში.

საკმაოდ დამაბუღია ვითარება კავკასიაში, სადაც 3 კონფლიქტი მწვავედ ვითარდება და სხვა დანარჩენის აღმოცენების საშიშროებაც არსებობს. ჩეჩენი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობა აღიარებულია ტერორისტულ მოძრაობად. აფხაზეთში რუსული პოლიტიკის დომინირებას და აფხაზურ სეპარატიზმს ჯერჯერობით რეგიონში დამაბალანსებელი ძალა არ ჰყავს.

აღსანიშნავია საერთაშორისო ორგანიზაციების როლი ამ კონფლიქტის მოგვარების საქმეში. აფხაზური მხარის მიერ ჩატარებული ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა აღიარებული იქნა ეუთო-ს სამიტზე, მაგრამ იმავეს გაკეთება გაერო-ში ვერ ხერხდება ამ ორგანიზაციის მოუქნელობის გამო. ქვეყნები, რომლებიც ვეტოს უფლებით სარგებლობენ, მზად არიან დაბლოკონ ყველა ის საკითხი, რომელიც მათ საკუთარ ინტერესებს ეწინააღმდეგება. ამ შემთხვევაში რუსეთი ყველა დონეზე ბლოკავს გადაწყვეტილებებს და ცდილობს აფხაზური კონფლიქტი ლოკალური უთანხმოების დონეზე დაიყვანოს. საერთაშორისო ინსტიტუტების მოუქნელობა, საქართველოს არაცენტრალური გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობა, რუსული ძალის დომინირება აფხაზეთის კონფლიქტს აჭიანურებს, რითაც აფხაზებში აღვივებს დამოუკიდებლობის შეგრძნებას, რომლის დაძლევა, რაც მეტი დრო გავა, უფრო გაძნელდება. აფხაზი იურისტის, ზურაბ აჩბას აზრით: „საქართველოს არსებობისათვის ესაჭიროება მატერიალური დახმარება. მას, როგორც ქვეყანას, არ შეუძლია იარსებოს გარე ეკონომიკური დახმარების გარეშე. რუსეთს, მისი დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ამის გაკეთება არ ძალუძს: მას ამისათვის რესურსები არ გააჩნია. და დღეს ჩვენ ვხედავთ საქართველოს საოცარ დრეიფს დასავლეთსა და რუსეთს შორის, რაც განპირობებულია, ერთი მხრივ, საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების სურვილით, და მეორეს მხრივ – დასავლური

დივიდენდების შენარჩუნებით. რუსეთი, ესმის რა, რომ მას არ შეუძლია საქართველო ათთვისოს ეკონომიკურად, მზადაა შეინარჩუნოს ეს კონფლიქტი სტაგნაციის სტადიაში საუკეთესო დრომდე. და კიდევ: აფხაზეთი რუსეთისთვის არ წარმოადგენს ტაქტიკურ ინტერესს. სტრატეგიულ ინტერესს მისთვის წარმოადგენს საქართველო. აფხაზეთი გამოიყენება მხოლოდ საკუთარი მიზნების მისაღწევად, იმიტომ, რომ თუ რუსეთი დაკარგავს თავის გავლენას საქართველოზე, მას შეუძლია რეალურად დაკარგოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასია და საერთოდ დაკარგოს გავლენა ამიერკავკასიაში⁴⁸. პრობლემის ასეთი აღქმა ამოძრავებდა სწორედ რუსეთის მთავრობას სხვადასხვა პერიოდში. არც კომუნისტური პერიოდი იყო ამ მხრივ გამონაკლისი. მიხეილ სუსლოვი - „ბრძოლა უნდა დავიწყოთ აფხაზეთიდან. აფხაზეთის გამოყენებით სამეგრელოს, სვანეთს, აჭარას და სხვა კუთხეებს უნდა მივცეთ დამოუკიდებლობა. მათში ცალ-ცალკე უნდა გავადვივოთ კუთხურ-ეროვნული გრძნობა. დასავლეთი საქართველო უნდა დავუპირისპიროთ აღმოსავლეთს. ამის შემდეგ მათ შორის მომრიგებლის როლი უნდა შევასრულოთ“⁴⁹. საქართველოს წინააღმდეგ აგრესიაც სწორედ ამ სცენარით განხორციელდა.

მაშასადამე, ქართულ-აფხაზეთი კონფლიქტი თავის განვითარებაში არ ეყრდნობა მსოფლიოში გავრცელებულ მოდელებს, რომლებიც ძირითადად დაფუძნებულია სოციალურ, ეთნიკურ, რელიგიურ საფუძვლებზე. როგორც აღვნიშნეთ, ეს კონფლიქტი აბსოლუტურად ხელოვნურადაა შექმნილი და შეცდომა იქნებოდა, ამ კონფლიქტის მხარეებად ქართველები და აფხაზები განგვეხილა, რამეთუ ინტერესების შეჯახება ამ რეგიონში ქართულ-რუსული და უფრო მეტად დასავლურ-რუსული ინტერესების გადაკვეთას წარმოადგენს. განსაკუთრებით საინტერესოა 2002 წლის დასაწყისიდან მიმდინარე მოვლენები, როდესაც რუსული აგრესია არ მალავს თავის სახეს და ხმაძარებდა აცხადებს საქართველოში თავისი ინტერესების შესახებ.

საქართველოს სწრაფვა დასავლურ ცივილიზაციაში ინტეგრაციისაკენ და ნატო-სთან ურთიერთობების გაფართოება რეალურ საშიშროებას წარმოადგენს რუსული იმპერიისათვის. რუსულ-ამერიკული დაპირისპირების რუსეთის საზღვრების სიახლოვეს გადმოტანა აიძულებს ჩვენს მეზობელს ღია პოლიტიკური თამაში წარმართოს. აშშ-ს სამხედროთა გამოჩენა საქართველოში იწვევს პანიკას რუსეთის სამთავრობო წრეებში. შეიძლება სრულიად სამართლიანად ვივარაუდოთ, რომ ღღეს საქართველოს ტერიტორიაზე გრძელდება ცივი ომი. საქართველო ხდება დიდი პოლიტიკის მსხვერპლი. ქართულ-აფხაზეთი კონფლიქტის მოგვარების საკითხებიც განხილულ უნდა იქნეს სწორედ ამ ჭრილში.

ქართული პოლიტიკის წარმატებული განვითარებისათვის, რეგიონში უსაფრთხოების შექმნისა და ეკონომიკური განვითარების საწინდარი შეიძლება გახდეს მხოლოდ რეგიონიდან რუსული ინტერესების განდევნა. საქართველოს მარტოს ამის გაკეთება არ ძალუძს. დასავლური და ამერიკული ინტერესები ამ რეგიონში სწორედ უსაფრთხოებასა და ეკონომიკური თანამშრომლობის პრინციპებზეა აგებული და ამ ჭრილში სავსებით ემთხვევა ქართული სახელმწიფოს ინტერესებს. საქართველოში დისლოცირებული რუსული ჯარების გაყვანა ასუსტებს რუსეთის გავლენას რეგიონში, და სწორედ ამ პროცესის გააზრებით ჩვენი დიდი მეზობელი ცდილობს გავლენის

სფეროები სამხედროდან ეკონომიკურ ჩარჩოში გადაიყვანოს, რამაც მომავალში მას უნდა მისცეს იგივე მომგებიანი პოზიცია საკუთარი ჯარების რეგიონიდან გაყვანის შემდგომ, რომელიც მას დღესდღეობით გააჩნია. იმის გამო, რომ რუსეთის ეკონომიკური სიძლიერე ფაქტიურად არ არსებობს და მისი ჩანაცვლება კავკასიის რეგიონში ვერ ხერხდება, რუსეთი მაქსიმალურად ცდილობს შეინახოს არსებული და მის მიერვე ინსპირირებული კონფლიქტები სტაგნაციის სტადიაში, ხელი შეუშალოს რუსული ჯარების გაყვანის პროცესს, ამით მოიგოს დრო, რათა გამონახოს მექანიზმები, რომლებიც ჩაანაცვლებენ მის სამხედრო გავლენას რეგიონში.

საქართველოს ხელისუფლებას ამ მხრივ გარკვეულად მომგებიანი პოზიცია ხშირად უჩნდება ხოლმე, თუმცა საკმაოდ ხშირად მათი ცუდი გამოყენებით ვცოდავთ. რუსეთის ჯარების გაყვანის დაჩქარება ხელს შეუწყობს კავკასიის რეგიონში რუსეთის პოლიტიკის არასტაბილურობას, რაც შეაფერხებს ზემოთ აღნიშნული მიზნების მიღწევის გვემიურ განხორციელებას. ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში გამშველელად ჩამდგარი რუსეთის „ცისფერაფხუზტიანების“ გაყვანა რეალურად ნულამდე დაიყვანს სამხედრო დისბალანსს აფხაზეთის რეგიონში. ამის შესახებ საქართველოს პარლამენტმა მიიღო პრინციპული გადაწყვეტილება, რასაც ქვეყნის პრეზიდენტი მაქსიმალურად ეწინააღმდეგება.

ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია ნორმალური არსებობა და განვითარება მხოლოდ მასზე მოქმედი ძალების დაბალანსების პირობებში. აუცილებელია საქართველომ მაქსიმალურად მიმართოს ძალისხმევა რეგიონში აშშ-ს სამხედრო გავლენის გაზრდისაკენ, რამაც უნდა შეუწყოს ხელი ბალანსის აღდგენას, ან რუსული სამხედრო მანქანის რეგიონიდან გასვლას, რომელიც შეიძლება უფრო პრობლემატური იყოს. აუცილებელია, საგარეო პოლიტიკის წარმართვასთან ერთად შიდა პოლიტიკური საკითხების გადაჭრა. დიდ როლს თამაშობს საკუთარი ერის ფსიქოლოგიური მდგომარეობა. როდესაც გყავს ღატაკი მოსახლეობა, რომელსაც არ გააჩნია სარჩო-საბადებელი, რომელსაც ყოველდღე ეუბნებიან, რომ არ ჰყავს არც ჯარი, არც ფული აქვს, როდესაც არაფერი კეთდება სახელმწიფო იდეოლოგიის ჩამოყალიბებისა და გატარებისათვის, რა თქმა უნდა, შეუძლებელია საუბარი პოლიტიკური მნიშვნელობის სხვა გადაწყვეტილებებზე.


ზემოაღნიშნულიდან კარგად ჩანს, რომ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს არა აქვს შიდაპოლიტიკური ან ეკონომიკური სარჩული. მსოფლიოს ახალი გადანაწილების პირობებში იგი სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტია, სადაც საქართველო წარმოადგენს მხოლოდ რეგიონს, რომლის ტერიტორიაზეც ეს კონფლიქტია გადმოტანილი, და ამდენად მისთვის ყველაზე მტკივნეულია. საუბარი იმაზე, რომ ქართული ეკონომიკის განვითარება და სახალხო დიპლომატიის გააქტიურება ხელს შეუწყობს კონფლიქტის მოგვარებას, ალბათ ზედმეტი არ იქნება, თუმცა მათი განხილვა, როგორც კონფლიქტის გადაწყვეტის მექანიზმებისა, არ შეიძლება. ერთადერთი გზა საქართველოს გადარჩენისა არის მხოლოდ მსოფლიო პროცესებში სწრაფი და მყარი ინტეგრაცია საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნებით. გლობალიზაციის პირობებში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გადაწყვეტის გზა მხოლოდ ამ კონფლიქტის გლობალურ ასპექტში განხილვა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში აქტიური ჩართვაა. ევრაზიის კონტი-

ნენტის ახალი როლის ათვისებასთან ერთად რეგიონის უსაფრთხოების პერსპექტივების სრული გამოყენებით შესაძლებელია არა მარტო ამ კონფლიქტზე გავლენის მოხდენა, არამედ კავკასიაში საერთო კონფლიქტური ფონის პროვენციაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1 Гогия Б Гамахария Д - Абхазия — историческая область Грузии - Тбилиси 1997
2. მიხრუანი თემურ. “აფხაზეთი - აქილევსის ქუსლი“ - „სოხუმის სა-დროშო“ - 21 თებერვალი 2002წ. №3-4, წ.
3. ჰანთინგტონი სემუელ. „ცივილიზაციათა შეჯახება?“ - საქართველოს ახალგაზრდა პოლიტოლოგთა ასოციაციის პლურალიზმის ცენტრი, თბილისი, 1997
4. სანდოლე დენის „პარადიგმები, თეორიები და მეტაფორები კონფლიქტსა და კონფლიქტის მოგვარებაში: შეთანხმება თუ დაბნეულობა“, - „დრო მშვიდობისა“, №3, 2001
- 5 Маршания Л «Правда о трагедии Абхазии»- http://www.geocities.com/abkhazia_dream/marshan/1.htm
6. Jeffrey Z. Rubin, Dean G. Pruitt, Sung Hee Kim “Social Conflict”
7. Габашвили Манана «К психологическому анализу конфликта (на примере вооруженного конфликта в Абхазии)» - http://www.geocities.com/abkhazia_dream/public/10.htm
8. Ачба Зураб “Если я не пойду в политику то политика доберется до меня” — «Нужная Газета» 1999.

ომი საშინელებაა 3



გოსლაბ-შმაზის კონცერნი
ГОСЛАБ - SHMAZI Cooperation

War is horror 3

სადისკუსიო კლუბი

აფხაზეთის კონფლიქტის მიზეზებისა და მოგვარების გზების შესახებ

შესავალი

ნინო მაზიაშვილი

ადამიანი უკვე დაახლოებით 4 მილიონი წელია არსებობს. მას შემდეგ, რაც ადამიანებმა ერთად დაიწყეს ცხოვრება, არეულობა და კონფლიქტები მათი თანამდევია. ისინი თავს იჩენენ, როგორც ცალკეულ პიროვნებათა შორის, ისე დაჯგუფებებში. ადამიანები მუდამ დაობდნენ სანადირო აღჭურვილობაზე, საკვებზე, ქალისა და კაცის გამო, რომელთანაც ოჯახის შექმნა სურდათ. ცხადია, ეს დავა უფრო სერიოზულ სახეს იღებდა და ძლიერ აგრესიაში გადაიზრდებოდა ხოლმე, მაგრამ საინტერესოა, ყოველთვის ომის გაჩაღებამდე მიდიოდა საქმე?

200 ათასი წლის წინათ ადამიანს უკვე ჰქონდა ქვის იარაღი – ცული და სულ ცოტა 35 ათასი წლის წინათ – მშვილდ-ისარი და შურდული. ამრიგად, ტექნიკური წინაპირობა ომის წამოსაწყებად უკვე არსებობდა და მაინც, რამდენადაც ცნობილია, ეს იარაღი მხოლოდ ნადირობისას იხმარებოდა. ომი, როგორც საზოგადოებრივი მოვლენა, არ არსებობდა. არ არსებობდა იარაღის დაგროვება, ჯარის წვრთნა, ომისა და მეომრის განდიდება. კაცობრიობამ თავის ისტორიაში 190 ათასი წელი იცხოვრა იარაღით, მაგრამ ომის გარეშე სამწუხაროდ ჯერაც არ უცხოვრია.

დაახლოებით, 14 ათასი წლის წინა პერიოდამდე, პირველი ომი, როგორც ცნობილია, ევფრატისა და ტიგროსის დელტაზე მოხდა. ადამიანმა მიწის დამუშავება წამოიწყო. როდესაც დამუშავებული მიწის ტერიტორიებს ღობე შემოავლეს, ჩამოყალიბდა ტერიტორიული მენტალიტეტი. დამუშავებული მიწა სხვათაგან უნდა დაეცვათ, ხოლო წყლის ღონე მუდამ ეკონტროლებინათ. ამას უკვე ორგანიზებული სამთავრობო ძალების შექმნა დასჭირდა. ამ ახალგაზრდა ცივილიზაციის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული გამოგონება ჯარისკაცი იყო.

საომარი საშუალებების ზრდასთან ერთად გაიზარდა ბრძოლის მიზნებიც. ის, რაც ერთ დროს ორი ადამიანის პირისპირ შერკინებას წარმოადგენდა და დაფუძნებული იყო მორალურ კოდექსზე, დღეისათვის გადაიქცა მხეცურ მასობრივ მკვლელობად, გართულებული იარაღის გამოყენებით, რასაც მშვიდობიანი მოსახლეობისა და შენობების განადგურება მოსდევს. მეორე მსოფლიო ომში დაღუპულების საერთო რაოდენობის 2/3 სამოქალაქო პირი იყო, ხოლო უკანასკნელ ათწლეულში, სულ 90 %.

შეიარაღებული კონფლიქტებისა და ომების შედეგად ისპობა საზოგადოებები და კულტურები. მოსახლეობა დიდ დარტყმას განიცდის, როდესაც ინგრევა და იბომბება ქალაქები და მიწასთან სწორდება ტყეები. დღითიდღე საგრძნობლად იზრდება ლტოლვილთა რიცხვი, რომლებიც ომის ძალმომრეობასა და გაპარტახებულ გარემოს

ნინო მაზიაშვილი / აფხაზეთის კონფლიქტის მიზეზებისა და მოგვარების შესახებ

მშობლიური ადგილების მიტოვებით აღწევნ თავს.

თანამედროვე კავკასია მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე არასტაბილური რეგიონია და, სამწუხაროდ, არც მომავლის პერსპექტივებია მაინცდამაინც იმედის მომცემი. თანამედროვე კავკასიის ეთნოდემოგრაფიულ და ეთნოგეოგრაფიულ სურათზე დიდი გავლენა მოახდინეს მეზობელმა ძლიერმა სახელმწიფოებმა. შუა საუკუნეებში ირანი და ოსმალეთი ცდილობდნენ, მუსლიმანი ხალხი ჩაესახლებინათ იმ ტერიტორიებზე, სადაც ქრისტიანული მოსახლეობა ცხოვრობდა. ასე გაჩნდა სხვადასხვა თურქულენოვანი ტომების კომპაქტური დასახლებები საქართველოში. XIX ს. დასაწყისიდან ეთნიკურ პოლიტიკას კავკასიაში უკვე რუსეთი წარმართავდა, რომელიც მიზანმიმართულად ახორციელებდა „დაყავი და იბატონეს“ ცნობილ პრინციპს. ამ პოლიტიკის შედეგი იყო ეთნიკური სტრუქტურის მკვეთრი ცვლილებები მრავალ რაიონში. საბჭოთა რუსეთის მიერ კავკასიის ანექსიისა და ძალდატანებითი ბოლშევიზაციის შემდეგ კავკასიის ტერიტორია დაიყო მოკავშირე რესპუბლიკებად, ავტონომიურ რესპუბლიკებად და ავტონომიურ ოლქებად, რაც, ფაქტობრივად, ნელი მოქმედების ბომბების ჩადების ტოლფასი მოვლენა იყო და მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან ყველაზე რთული ეთნოპოლიტიკური მდგომარეობა საქართველოშია, სადაც ეთნიკური უმცირესობები მთელი მოსახლეობის 30 %-ს შეადგენს. (საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, სტატისტიკური კრებული, თბილისი, 1990 წელი). ანექსიისა და გასაბჭოების შემდეგ, საქართველოს ტერიტორია 93 000-დან 70 000 კვ.კმ-მდე შემცირდა. გარდა ამისა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე 3 ავტონომიური ერთეული ჩამოყალიბდა:

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა;
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა;
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

აღნიშნულთაგან ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაზე და ამ იქ წარმოშობილი კონფლიქტის მოსავგარებელი გზების თეორიასა და პრაქტიკაზე.

აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების გზების თეორია და პრაქტიკა


აფხაზეთის ავტონომიური სტატუსი გარანტირებული იყო ჯერ კიდევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციით. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ მოსკოვმა შექმნა საქართველოსაგან დამოუკიდებელი აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (საქართველოს დასუსტებისა და მასზე გავლენის გაძლიერების მიზნით), მაგრამ ეს იმდენად ალოგიკური და გაუმართლებელი ნაბიჯი იყო პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული თუ დემოგრაფიული თვალსაზრისით, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ მალე გააუქმა თავიდანვე მცდარი გადაწყვეტილება და აფხაზეთი კვლავ საქართველოს შემადგენ-

ლობაში დააბრუნა, ჯერ როგორც ხელშეკრულებით დაკავშირებული, ხოლო შემდეგ როგორც ავტონომიური რესპუბლიკა. აღნიშნული მანევრის შედეგი იყო ის, რომ საშიში პრეცედენტი უკვე მოხდა და სეპარატიზმის ბომბი ჩაიღო. მოსკოვის მიზანმიმართული პოლიტიკის წყალობით ქართული ენა და ქართული კულტურა თითქმის არავითარ როლს არ ასრულებდა აფხაზი ხალხის ცხოვრებაში. ჯერ კიდევ 1925 წელს რუსი მეცნიერი შოვინისტი ნ. ტრუბეცკოი წერდა: “აფხაზური ენა უნდა გამოვაცხადოთ აფხაზეთის ოფიციალურ ენად. ყველანაირად შევუწყოთ ხელი აფხაზი ინტელიგენციის შექმნასა და განვითარებას, რათა შემდეგში გამოვიყენოთ ქართველიზაციის წინააღმდეგ ბრძოლაში” (ციტირებულია ჟურნალიდან “პოლიტიკა” №3, 1993 წელი). ამ იდეის არსი ნათელია. ენა, რომელზეც ეს-ესაა შეიქმნა დამწერლობა, მოკლებულია სპეციალურ ტერმინოლოგიას და რომელზეც მხოლოდ 50 ათასი კაცი ლაპარაკობს, ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეასრულებს სახელმწიფო ენის ფუნქციას. იგი ემსახურება მხოლოდ ერთ მიზანს – არ დაუშვას ქართული ენის დამკვიდრება აფხაზეთის ოფიციალურ ენად. ასეთ შემთხვევაში კი როცა აფხაზური ენა ვერ ასრულებს, ხოლო ქართული ენა არ ასრულებს ოფიციალური ენის ფუნქციას, შეუზღუდავი გასაქანი ეძლევა რუსულ ენას, როგორც საქმის წარმოებისა და ერთაშორისი ურთიერთობის ერთადერთ საშუალებას. ეს მოდელი სრულად განხორციელდა აფხაზეთში, რამაც აფხაზი ხალხი მოსწყვიტა ქართულ სამყაროს. საკმარისია ითქვას, რომ აფხაზების მხოლოდ 1,9% ფლობს ქართულ ენას, მაშინ როცა რუსული ენა თავისუფლად იცის 80%-მა (საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, სტატისტიკური კრებული, თბ. 1990).

ეთნიკურ საფუძველზე შექმნილი აფხაზეთის ავტონომიური ერთეული ანუ “რესპუბლიკა რესპუბლიკაში” ცენტრალური ხელისუფლების სისუსტის პირობებში ამიტომ გახდა სეპარატიზმისა და ეთნოკონფლიქტის კერა, მითუმეტეს, რომ ძლიერი მხარდაჭერა არსებობს გარედან.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ შეიარაღებული კონფლიქტებისა და ომების

დანართი, სქემა №1



მიზეზი იშვიათადაა ისეთი მარტივი, როგორცაც ამას დაპირისპირებული მხარეები წარმოგვიდგენენ. როდესაც შეიარაღებული კონფლიქტები იჩენს თავს, მათი მიზეზები ყოველთვის კომპლექსური ანუ მრავალმხრივია (დანართი, სქემა №1).


როგორც სქემიდან ჩანს, კონფლიქტების წარმოშობის მიზეზები შეიძლება შემდეგი იყოს:

1. იდეოლოგიური მიზეზები;
2. სოციალური მიზეზები;
3. ფსიქოლოგიური მიზეზები;
4. გეოგრაფიული ფაქტორები;
5. ეკონომიკური მიზეზები.

ზემოთ აღნიშნულთაგან აფხაზეთში კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებად შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

დანართი, სქემა №2

აფხაზეთის კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები



1. იდეოლოგიური მიზეზები;
2. სოციალური მიზეზები;
3. ფსიქოლოგიური მიზეზები;

4. გეოგრაფიული ფაქტორები;

საკითხის უკეთ გარკვევისთვის თითოეული განვიხილოთ ცალ-ცალკე:

1. იდეოლოგიური მიზეზები

საერთოდ, დაპირისპირებული მხარეები ომისა და კონფლიქტის მიზეზად, არცთუ იშვიათად, იდეოლოგიას ასახელებენ. ეს შეიძლება იყოს პოლიტიკური ან რელიგიური იდეოლოგიების შეჯახება. ომს ხშირად “შენიღბულ იდეოლოგიასაც” უწოდებენ ხოლმე.

რაც შეეხება აფხაზეთს, ამ შემთხვევაში კონფლიქტის უმნიშვნელოვანესი წყაროა ნაციონალიზმის გამოცოცხლება. ქართულ-აფხაზური კონფლიქტი გარდაუვალი იყო, რადგან ამ ხალხების ეროვნული იდეოლოგია და მათი მომავლისა და სახელმწიფოებრიობის მოწყობის მოდელი (ნაციონალური პროექტი) დიამეტრულად განსხვავდება ერთმანეთისგან. არავითარ შემთხვევაში არ ვარბილებთ რუსეთის როლს აფხაზეთის კონფლიქტის გაჩაღებასა და ესკალაციაში, მაგრამ მაინც ვერ დავეთანხმებით იმ აზრს, რომ კონფლიქტების წყარო ერთი მუჭა სეპარატისტები და რუსეთის ხელისუფლებაში მოკალათებული მათი მფარველები იყვნენ. კონფლიქტის მიზეზები გაცილებით ღრმა და სერიოზულია და დაპირისპირებული მხარეების ეროვნულ წარმოდგენებს უკავშირდება. კერძოდ, ქართველებისათვის აფხაზეთი საქართველოს ერთ-ერთი პროვინციაა და ყოველთვის მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, ქართველებისათვის საქართველო აფხაზეთის გარეშე წარმოუდგენელია და არასოდეს დათანხმდება მის გამოყოფას.

2. სოციალური მიზეზები

როგორც ისტორიული პრაქტიკა გვიჩვენებს კონფლიქტის წამომწყები მხარე, ზოგჯერ სოციალურ და ეთნიკურ მიზეზებსაც იშველიებს, რათა გაამართლოს კონფლიქტის წარმოშობა. ასეთ მიზეზს, რიგ შემთხვევაში, ხშირად წინასწარი შეგონება და ურთიერთეჭვიც წარმოადგენს. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ხალხს შეგნებულად უღვივებენ სიბუღილს “მემკვიდრეობითი მტრების”, ანუ ხალხისა და ერისთვის საშიში ჯგუფების მიმართ. ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებული დაძაბულობა, ხშირად უბიძგებს სახელმწიფოთა ლიდერებს ომი წამოიწყონ იმისთვის, რომ ქვეყანა ბოლოს და ბოლოს ერთიანი გახდეს. ასეთი მომენტი არსებობს აფხაზეთის კონფლიქტის წამოჭრის თეორიის საკითხშიც.

3. ფსიქოლოგიური მიზეზები

კონფლიქტებს შეიძლება ფსიქოლოგიური მიზეზებიც ჰქონდეს. ამ შემთხვევაში შეიძლება, ერთი დასკვნა გავაკეთოთ: საზოგადოება, რომელიც “ძალმომრეობის კულ-

ტურის” მატარებელია, ანუ კარგადაა შეიარაღებული, ძალმომრეობა განდიდებს და თანაც შოვინისტურ იდეებს ქადაგებს, უფრო ადვილად ებმება შეიარაღებულ კონფლიქტში, ვიდრე ის საზოგადოება, რომელიც არაძალმომრეობის იდეალებზეა აღზრდილი. ჩვენი აზრით, აფხაზეთის კონფლიქტის შემთხვევაში ფსიქოლოგიური ფაქტორი გააღრმავა რუსეთმა.

4. გეოგრაფიული ფაქტორი

ყველა პოლიტიკურ დაპირისპირებას თავისი გეოგრაფიული ფაქტორით გამოწვეული მიზეზებიც გააჩნია. კავკასია ხიდია ევროპასა და აზიას შორის და ამავე დროს არის საზღვარი ქრისტიანულ და ისლამურ სამყაროს შორის, სადაც ერთმანეთს ეჯახებოდა სხვადასხვა იმპერიის ინტერესები. უკვე ეს გარემოება საკმარისია პოლიტიკური დაძაბულობისთვის იმ შემთხვევაშიც კი, საქართველო ეთნიკურად ერთგვაროვანიც რომ ყოფილიყო, მაგრამ საქართველო ერთ-ერთი მრავალფეროვანი რეგიონია და აქ თითქმის ყველა პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური თუ კულტურული პრობლემა ეთნიკურ ფორმას იღებს. ამიტომ კონფლიქტების მოგვარება უაღრესად რთული ხდება.

მოსახლეობის ეთნოგეოგრაფია ანუ ტერიტორიული განლაგების ეთნიკური სურათი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია აფხაზეთის კონფლიქტში. აქ ერთმანეთს არ ემთხვევა ეთნიკური და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული საზღვრები, რაც ეთნოკონფლიქტის მთავარი მიზეზია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამკარაა, რომ აფხაზეთის კონფლიქტს ღრმა და სერიოზული ფესვები აქვს და მათი განხილვა სეპარატისტებისა თუ რუსეთის გარკვეული ძალების პროვოკაციად, რბილად რომ ვთქვათ, პრობლემის ძალიან გაუბრალოვებაა. კონფლიქტის თითოეულ მონაწილეს თავისი საკუთარი სიმართლე აქვს და დარწმუნებულია მის ჭეშმარიტებაში. პასუხი კითხვაზე - რა არის საქართველო?; ან რა არის აფხაზეთი?; სრულიად საპირისპირო იქნება იმის მიხედვით, თუ ვინ პასუხობს - ქართველი თუ აფხაზი. იგივე გამეორდება სხვა კონფლიქტში მონაწილე მხარეების შემთხვევაში. უკვე აქედან ჩანს, რა სირთულეებთან არის დაკავშირებული აღნიშნულ რეგიონში მიმდინარე კონფლიქტების მოგვარება.

ქართველები, მაგალითად, თანახმა იქნებიან, მისცენ ფართო ავტონომია აფხაზეთს, მაგრამ ეს არ იქნება საკმარისი აფხაზებისთვის. მათ უბრალოდ არ სურთ იყვნენ ეროვნულ-უმცირესობები საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში. ეს არაფრით არ ეთანხმება მათ ნაციონალურ პროექტს.

ყოველივე ამის გამო, აფხაზეთის კონფლიქტი შეუძლებელია განვიხილოთ, როგორც ჩვეულებრივი შიდასახელმწიფოებრივი ეთნოკონფლიქტი უმრავლესობასა და უმცირესობას შორის, როცა ეთნიკური უმცირესობა იბრძვის თავის უფლებებისთვის, ხოლო უმრავლესობა ეწინააღმდეგება ამ უფლებების განხორციელებას. თვით ეთნოკონფლიქტის დასავლეთის ქვეყნებში მიღებული გაგება, როგორც უმცირესობის პასუხი

უმრავლესობის ძალადობაზე (Hurst Hannun, Autonomy, Sovereignty and Self-determination, Philadelphia, 1993), ნაკლებად შეეფერება აფხაზეთის სიტუაციას. შესაძლოა, რომ ეს თეზისი ჭეშმარიტებაა უკვე ჩამოყალიბებული და ხანგრძლივი ისტორიის მქონე სახელმწიფოების პირობებში, სადაც უმრავლესობა ვალდებულია, დაიცვას უმცირესობის უფლებები, მაგრამ, უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველო არ იყო დამოუკიდებელი ქვეყანა, როცა აქ კონფლიქტმა იფეთქა. ამდენად, ძნელი წარმოსადგენია, რომ აფხაზეთის ქმედებები საქართველოს მიერ განხორციელებული ძალადობის პოლიტიკის პასუხი ყოფილიყო, რადგან ასეთ პოლიტიკას საქართველო უბრალოდ ვერ განახორციელებდა მაშინ, როცა თვითონ იმყოფებოდა მოსკოვის უმკაცრესი დიქტატის პირობებში და მის თითოეულ ნაბიჯს ცენტრი განსაზღვრავდა.

საინტერესოა ისიც, რომ კონფლიქტებში მონაწილე თითოეული მხარე უარყოფს ამ კონფლიქტების ეთნიკურ ხასიათს. ქართველები ხშირად უსვამენ ხაზს, რომ მათ აფხაზი ხალხი კი არ ებრძვის, არამედ აფხაზი სეპარატისტები, რომლებიც ხელყოფენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. აფხაზეთის ლიდერებსაც არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ისინი ქართველ ხალხს კი არ უპირისპირდებიან, არამედ ქართველ იმპერიალისტებს, რომლებიც ფეხქვეშ თელავენ ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას. ამ შემთხვევაში თვით ეთნოკონფლიქტის ცნება ხდება გაურკვეველი. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ცნება “ეთნოკონფლიქტი” დასავლეთში გამოიყენება მხოლოდ განვითარებადი ქვეყნების მიმართ და არასოდეს ევროპასა და ამერიკაში წარსულში თუ დღეს მიმდინარე ანალოგიური ხასიათის მოვლენებზე საუბრისას. ამით თითქოს ხაზი ესმება ეთნოკონფლიქტებში ჩაბმულ მხარეთა ჩამორჩენილობასა და არაცივილიზებულობას.

ფაქტია, რომ აფხაზეთის კონფლიქტი გაჭიანურებულ ხასიათს იღებს, თუმცა მის გადაჭრაში აქტიურად არიან ჩაბმული უმთავრესი საერთაშორისო ორგანიზაციები. საქართველოს არ აქვს შესაძლებლობა პრობლემები შეიარაღებული გზით გადაჭრას, როცა ასეულ ათასობით დევნილი ჰყავს და უმძიმესი ეკონომიკური კრიზისის პირობებში იმყოფება. და თუნდაც ამის შესაძლებლობა ჰქონდეს, ეს არ იქნება კონფლიქტის მოგვარება, რადგან ამის ერთადერთი გზა საერთო კომპრომისი და ორმხრივი შეთანხმება შეიძლება იყოს.

მაინც როგორი სცენარით შეიძლება განვითარდეს მოვლენები აფხაზეთის კონფლიქტურ ზონაში. განვიხილოთ შემდეგი ვარიანტები:

I ვერსია

აფხაზეთი გამოდის საქართველოს შემადგენლობიდან. ქართველი დევნილები ვერ ბრუნდებიან აფხაზეთში. არც აფხაზეთისათვის და არც ქართველებისათვის არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, თუ რა სტატუსი ექნება აფხაზეთს – იქნება ის დამოუკიდებელი, თუ შევა რუსეთის შემადგენლობაში. მთავარია, რომ ის არ არის საქართველოს ნაწილი. კონფლიქტის ასეთი გადაწყვეტა შეესაბამება აფხაზეთის ნაციონალურ

პროექტს და სავსებით აკმაყოფილებს მათ ინტერესებს. სამაგიეროდ აბსოლუტურად მიუღებელია ქართველებისათვის და საეჭვოა, რომ ოდესმე ისინი ამაზე დათანხმდნენ. ასეთი დასასრული არც რუსეთისათვის იქნება მისაღები, თუნდაც აფხაზეთი მის შემადგენლობაში გადავიდეს, რადგან იგი დაკარგავს საქართველოს და შეიძლება მთელ სამხრეთ კავკასიასაც. ამიტომ ასეთი დაბოლოება ნაკლებად სავარაუდოა.

II ვერსია

აფხაზეთი რჩება საქართველოს შემადგენლობაში ფართო ავტონომიის უფლებით. აფხაზეთის კონსტიტუცია შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციასთან, ხოლო ცენტრის (საქართველოს ხელისუფლების და რეგიონის, აფხაზეთის ხელისუფლების) უფლება – მოვალეობები მკაცრად არის განსაზღვრული. ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე აფხაზურიც და ქართულიც სახელმწიფო ენებია. ასეთი მოდელი საუკეთესო ვარიანტია ქართული მხარისათვის, მაგრამ მკვეთრად ეწინააღმდეგება აფხაზური მხარის წარმოდგენას აფხაზეთის მომავალზე. მათთვის ეს იმ უპირატესობის დაკარგვაცაა, რაც კონფლიქტის შედეგად მოიპოვეს და ცხადია, ნებაყოფლობით არასოდეს დათანხმდებიან ასეთ შედეგს. კონფლიქტის ასეთი დასასრული მიუღებელია რუსეთისათვისაც, რადგან იგი კარგავს საქართველოზე ზეწოლის მთავარ საშუალებას და ამიტომ ყველანაირად შეეცდება, წინ აღუდგეს ამ მოდელს. შესაბამისად კონფლიქტის მოგვარების ეს ვერსია შესაძლებელი იქნება მხოლოდ ძირეული გეოპოლიტიკური ძვრების შემთხვევაში.

III ვერსია

აფხაზეთის დღევანდელი ტერიტორია ნაწილდება საქართველოსა და აფხაზეთს (ან რუსეთს) შორის. ეს ვარიანტი მიუღებელია ქართველებისთვის და არც რუსეთისთვისაა ხელსაყრელი. მაგრამ ქართველებისათვის უკეთესი ვარიანტია, ვიდრე პირველი ვერსია. ხოლო აფხაზებს, ალბათ, ასეთი ბოლო ურჩევნიათ კონფლიქტის მოგვარების მეორე ვერსიას. ეს იქნება კონფლიქტის მოგვარების ძალისმიერი მეთოდით, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული იძულებითი ღონისძიება, რადგან ყველა სხვა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა (ბოსნიის მაგალითი). ეს ვერსია, ერთი შეხედვით, მიუღებელია, მაგრამ შესაძლოა კონფლიქტის მოგვარების ერთადერთი გზა იყოს.

IV ვერსია

აფხაზეთი ხდება დამოუკიდებელი, სუვერენული, მაგრამ დუალისტური (ქართულ – აფხაზური) სახელმწიფო. ქართველი ლტოლვილები ბრუნდებიან აფხაზეთში. ქართული და აფხაზური ენები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ და აქვთ სახელმწიფო ენების სტატუსი. აფხაზეთის კონსტიტუცია უზრუნველყოფს ქართველებისა და

აფხაზების პროპორციულ წარმომადგენლობას ქვეყნის პარლამენტსა და მთავრობაში. საქართველოსა და აფხაზეთს აქვს თანასწორი და მეგობრული ურთიერთობა, საერთო საბაჟო სივრცე და უვიზო მიმოსვლა (ბელგიისა და ლუქსემბურგის მაგალითი). ეს ვარიანტი შეიძლება მისაღები იყოს ქართველებისთვისაც და აფხაზებისთვისაც, მაგრამ მხოლოდ შემდეგი თაობებისთვის, როცა ქართველებისათვის აფხაზეთის გამოყოფა კატასტროფად არ აღიქმება, ხოლო აფხაზებისათვის ქართველთა რიცხობრივი უპირატესობა, ქართველი პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი და ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი აფხაზეთში ტრაგედია არ იქნება. დღეს კი ასეთი მოდელი ორივე მხარისთვის მიუღებელია, მაგრამ ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე კონფლიქტის ასეთი დასასრულისა იქნება რუსეთი, რადგან 1. ის დაკარგავს საქართველოს, დაკარგავს ასევე აფხაზეთს. 2. იქნება პრეცედენტი, როცა ყოფილი ავტონომიური რესპუბლიკა დამოუკიდებელი სახელმწიფო ხდება. თუ გავიხსენებთ, რომ რუსეთის შემადგენლობაში 21 რესპუბლიკაა, აშკარა გახდება, თუ რა შედეგები შეიძლება მოიტანოს ამ მაგალითმა რუსეთისათვის.

V ვერსია

კონფლიქტი დაკონსერვებულია, ანუ რჩება იმ მდგომარეობაში, როგორიც ის დღესაა: 300 ათასამდე დევნილი, მძიმე კრიმინოგენული სიტუაცია, ეკონომიკური კრიზისი, პარტიზანული მოძრაობა და ა.შ. ასეთი მდგომარეობა, აბსოლუტურად მიუღებელია როგორც ქართველებისთვის, ისე აფხაზებისთვის. სამაგიეროდ, რუსეთს სავსებით აძლევს ხელს, რადგან ეს ის მოდელია, როცა იგი მთლიანად აკონტროლებს აფხაზეთს და თავისი გავლენის ქვეშ იმორჩილებს საქართველოს. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ რუსეთი არ არის დაინტერესებული ქართულ-აფხაზური და საერთო კავკასიური კონფლიქტების მოგვარებით.

რაც შეეხება ქართველ პოლიტიკოსებს, მათი ერთი ჯგუფის აზრით, აფხაზეთის კონფლიქტის გადაჭრა შეუძლია რუსეთს. ისინი დარწმუნებულები არიან, როგორც კი პრეზიდენტი შევარდნაძე აღარ იქნება, ეს საკითხი მაშინვე გადაწყდება, რადგან რუსები შევარდნაძეს არ ენდობიან. პოლიტიკოსები ამბობენ, რომ აფხაზეთი საბრძოლო მოქმედებითაც შეიძლება დავიბრუნოთ, მაშინ როცა მზად ვიქნებით, რაც ამ ეტაპზე არ შეგვიძლია. ამიტომ უნდა გაეზუმდეთ, მაგრამ ყველა ვარიანტში რუსეთთან ურთიერთობა უნდა გავარკვიოთ.

ცალკე საკითხად გვინდა განვიხილოთ ამერიკის დამოკიდებულება აღმოსავლეთ ევროპის, ტრანსკავკასიური ქვეყნებისადმი და კერძოდ, საქართველოსადმი.

აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპას შორის ცივი ომი დამთავრდა. ახლა ახალი სერიოზული კონფლიქტი იკვეთება. ვინ გაიმარჯვებს ამ მარათონში? ვინ დაეუფლება აღმოსავლეთ ევროპას?: დასავლეთი ევროპა გერმანიის ლიდერობით, იაპონია თუ აშშ?

აშშ-ს აღმოსავლეთ ევროპაში იზიდავს დიდძალი ბუნებრივი სიმდიდრე, იაფი

მუშახელი; ინვესტორებს თეთრკანიან ხალხებთან ურჩევნიათ გარიგებები, რომლებსაც ჯანმრთელობისა და განათლების უფრო მაღალი სტანდარტები აქვთ, ვიდრე ლათინურ ამერიკას (Noam Chomsky, What Uncle Sam Really Wants).

ზემონათქვამიდან გამომდინარე, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, განსაკუთრებით ამიერკავკასია და კერძოდ კი საქართველო, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით აშშ-ს ინტერესების სფეროში მოექცნენ. თავისი გეგმების განხორციელებისათვის აღმოსავლეთ ევროპაში საქართველო აშშ-ს დასაყრდენია. აფხაზეთის საქართველოსთვის დაბრუნებაში რუსეთი არასოდეს შეასრულებს დადებით როლს. აფხაზეთის ჩამოცილება საქართველოდან მისი დიდი ხნის ოცნება იყო. რაც შეეხება აშშ-ს, მისთვის საქართველო აფხაზეთიანად უფრო საინტერესოა, ვიდრე მის გარეშე

დასკვნა


ნაშრომის ბოლოს ჩვენ შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ აფხაზეთის კონფლიქტის გამომწვევი მიზეზებისა და თანმდევი შედეგების სქემა (დანართი, სქემა №3).

ჩვენს მიერ შედგენილი სქემიდან შეიძლება ამგვარ შედეგებზეც ვისაუბროთ: რას მოგვითმის აფხაზეთის კონფლიქტი?

1. მასში ჩაბმული აფხაზეთისა და ქართველების მძიმე მდგომარეობას (განადგურებას), განსაკუთრებით ბავშვების მდგომარეობის გათვალისწინებით;

დანართი, სქემა №3

აფხაზეთის კონფლიქტის ანაღოზის მოდელი



2. ქართული და აფხაზური კულტურების, საზოგადოების დაკნინებასა და განადგურებას;

3. ბუნებრივი პირობებისა და ჩვენი საცხოვრებელი პირობების გაუარესებას და ა. შ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აფხაზეთის კონფლიქტის გამწვავებაში ბევრი სხვადასხვა მიზეზი მოქმედებს:

1. იდეოლოგიური
2. სოციალური
3. ფსიქოლოგიური
4. გეოგრაფიული

როდესაც ჩვენ საბოლოოდ გავიაზრებთ აფხაზეთის კონფლიქტის მიზეზებსა და შედეგებს, უფრო ადვილი იქნება შევიძუშაოთ წინადადებები იმ კონკრეტულ ზომებთან დაკავშირებით, რომლებიც უნდა მივიღოთ კონფლიქტის შედეგების შემსუბუქებისა და გამომწვევი მიზეზების დაძლევისათვის. ამ შემთხვევაში, ჩვენ საქმე გვქმნება ორი ტიპის ღონისძიებასთან:

1. შევარბილოთ და შევამსუბუქოთ შედეგები
2. მოვსპოთ მიზეზები, რათა თავიდან ავიცილოთ შეიარაღებული კონფლიქტის ხელახალი გაღვივება

აღნიშნული ღონისძიებები გატარდება, თუ მიღწეული იქნება ორმხრივი კომპრომისი, რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში:

როცა კონფლიქტის მონაწილე მხარეები – აფხაზეთი და საქართველო – ერთმანეთში შეთანხმდებიან და მივლენ იმ გადაწყვეტილებამდე, რომელიც ორივე მხარის გარკვეულ დათმობებზე წასვლას გულისხმობს.

ომი საშინელებაა 4



გოსლაბ-შმაზის კონცერნი
ГОСЛАБ - SHMAZI Cooperation

War is horror 4

ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის შესახებ

შალომ შვარცი
თარგმნა შორენა ლორთქიფანიძემ

გთავაზობთ შალომ შვარცის მიერ იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტში წარმოდგენილი მოხსენების ტექსტს, რომელიც ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის რამდენიმე საინტერესო ასპექტს შეეხება

ძვირფასო კოლეგებო,

ფსიქოლოგიური კომუნიკაციის თვალსაზრისიდან გამომდინარე, ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მიმდინარეობა შესაძლოა ძლიერისა და სუსტის ურთიერთმართებიდან გამომდინარე განვიხილოთ. გამოვიყენოთ თეზისი, სუსტი უფრო იტანჯება. სუსტის მძიმე მდგომარეობა იწვევს თანაგრძნობასა და ობიექტურ შემოფთვას. ტანკებითა და თვითმფრინავებით შეიარაღებული ისრაელის სახელმწიფო გოლიათს გვაგონებს. არ არის გასაკვირი, რომ მოქალაქეები და მთავრობები ბევრ ქვეყანაში ისრაელს ჰკიცხავენ და პალესტინელი ხალხის მიმართ სიმპათიას გამოხატავენ. მე ვიზიარებ ამ თანაგრძნობას და ვწუხვარ ჩემი მთავრობის ქმედებაზე. იმავე აზრს იზიარებენ ჩემი კოლეგები უნივერსიტეტიდან და უახლოესი მეგობრები. ბევრი ჩვენგანი გამოხატავს აღშფოთებას ღია ქმედებების მიმართ. ჩვენი წინააღმდეგობა გამიზნული უნდა იყოს სხვა მთავრობებისა და ინდივიდების მიმართ, ვინც ჩვენს მდგომარეობაზე პასუხისმგებელია.

ადამიანის ფსიქიკაში ტანჯული ადამიანების მიმართ გაჩენილი თანაგრძნობა ღრმად იჭრება. ამგვარი რეაქციები კარგი დასაწყისია. მაგრამ მათ ჩვენ ხელი არ უნდა შეგვიშალონ ვითარების სწორი ანალიზისას. კონსტრუქციული და მორალური გზები უნდა შევარჩიოთ იმ კომპლექსური რეალობების მიმართ, რომელთა წინაშეც ვიმყოფებით.

პირველ რიგში, მე გამოვყოფდი იმ ქმედებებს, რომელთაც ვგმობ. შემდეგ შევეცდები ადამიანთა გრძნობები და ფიქრები გამოვხატო, მათი რეაქციების საფუძველს ჩავებიო, არსებული ვითარების კვლევით. საბოლოოდ კი მე აღვწერ მომავლის ჩემეულ სურათს.

მე ვგმობ პალესტინის ხელისუფლებას, რომელიც ხელს უწყობს ფანატიკოსი თვითმკვლელების არსებობას, ისრაელის მოქალაქეებზე იერიშის მიტანას, ასევე ვგმობ ჩვენს დღევანდელ მთავრობას, რომელიც პოლიტიკური მიზნების გამო უარს ამბობს „შემოღობილ საზღვრებზე“, რაც მრავალი ადამიანის სიცოცხლეს გადაარჩენდა.

მე ვგმობ ჩვენს დღევანდელ ხელისუფლებასა და პალესტინის მთავრობას, რადგანაც ისინი მოლაპარაკებებს თავს არიდებენ, რითაც კონფლიქტის სტიმულირებას ახდენენ წამებულ მიწაზე ხმელთაშუა ზღვასა და მდინარე იორდანეს შორის.

მე ვგმობ ისრაელისა და პალესტინის ხელისუფლებას, რადგანაც ისინი არ ასწავლიან თავიანთ ხალხს კონფლიქტი რეალისტური მხრიდან დაინახონ. პალესტინის ხელისუფლება და არაბული სახელმწიფოები საგანმანათლებლო სისტემას ახალგაზრდებში ისრაელის მიმართ ზიზლის დასანერგად იყენებენ.

მე ვგმობ პალესტინისა და ისრაელის მთავრობებს, რომლებიც არ ცდილობენ ნდობა გაადვიონ ხალხებს შორის, რაც ასე მნიშვნელოვანია. ახლა, საჭიროა სახელშეკრულებო ვალდებულებების აღება.

მე ვგმობ ევროპის, აშშ-სა და არაბული სახელმწიფოების მთავრობებს, რადგანაც ისინი შემწყნარებლურად ექცევიან პალესტინის კორუმპირებულ ხელისუფლებას, რომელიც არღვევს აბსოლუტურად ყველა შეთანხმებას და არაფერს აკეთებს ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით, და ხშირად აფინანსებს კიდევ მას.

ეს ნუსხა შეიძლება გაიზარდოს. ნება მიბოძეთ, არსებული ვითარება ჩემეული ხედვით წარმოვაჩინო. გრძელი ისტორიული დებატები დღეს ყოველგვარ აზრსაა მოკლებული, მას ღირებულება არა აქვს. ამიტომ მე შევეხები მხოლოდ ადამიანების მიერ კონფლიქტის განცდის ზოგიერთ ასპექტს. ვიდრე წარმოვადგენდე იმას, თუ როგორ განიცდის ხალხი, გაგაცნობთ გამოკითხვების შედეგებს. მათ დაგვანახეს ადამიანების განწყობების რეალური სურათი. ისრაელში ებრაელი მოსახლეობისა და პალესტინაში პალესტინელთა გამოკითხვის შედეგად გამოაშკარავდა რეალურად არსებული სურათი. აღნიშნული გამოკითხვები ჩატარდა გამწვავებულ მდგომარეობაში, თუმცა მაშინაც კი, კამიკაძეების მიერ განხორციელებული დაბომბვები პიკს აღწევდა. ეს შეხედულებები არანაკლებ რადიკალურია დღეს.

პალესტინელთა უდიდესი უმრავლესობა ისრაელის სახელმწიფოს დამხობაზე ოცნებობს, ან მოკლევადიან პერიოდში, ან გარკვეული ეტაპის შემდეგ, თუ ეს საჭირო იქნება. ამგვარი განწყობა ეხმიანება ჰამასისა და ისლამური ჯიჰადის პოლიტიკას. დღეს აღმოჩენილი დოკუმენტები ცხადყოფს, რომ პალესტინის მთავრობა, თავის ქმედებებში ბოლო წლების განმავლობაში აშკარად გამოხატავდა ზემოთ აღნიშნული მიზნის პრიმატს. არაფატიც ამ აზრს იზიარებს.

ებრაელთა უდიდესი უმრავლესობა, პალესტინის ხელისუფლების დამხობასა და პალესტინის ტერიტორიაზე ისრაელის სამხედრო კონტროლის დამყარებას უჭერს მხარს. სამხედრო კონტროლი უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ არ მოხდება პალესტინის დემილიტარიზაცია. პალესტინის სახელმწიფო კი, დასავლეთ სანაპიროსა და ღაზას ზოლზე შეზღუდული მასშტაბებით უნდა ჩამოყალიბდეს. სწორედ, ეს წარმოადგენს ისრაელის პოლიტიკის მთავარ პოსტულატს.

მე დარწმუნებული ვარ, რომ პალესტინის ტერიტორიაზე მცხოვრები ბევრი პალესტინელი წუხს ებრაელებზე სხვადასხვა მიზეზის გამო. მათ გადაიტანეს უდიდესი გაჭირვება როგორც ისრაელის ქმედებების გამო, ასევე საკუთარი ხელისუფლების

უმოქმედობიდან გამოდინარე. შესაძლოა, ეს გაუსაძლისობა შემსუბუქებულიყო კიდევ, თუ ბარაქისა და ქლინთონის გეგმა მოწონებულ იქნებოდა, ან თუ გაგრძელდებოდა მოლაპარაკების პროცესი. ამის ნაცვლად პალესტინის მთავრობამ მოამზადა და წამოიწყო ახალი ინტიფადა (შეიარაღებული ბრძოლა ისრაელის ოკუპაციის წინააღმდეგ დაიწყო 2000 წლის სექტემბერში). მსოფლიოს სხვა ქვეყნები დამნაშავეები არიან, იმაში, რომ არ აიძულეს მხარეები მოლაპარაკებებზე წასულიყვნენ.

ის, რაც იმალება პალესტინის შეხედულებების მიღმა, მედიის ყურადღების ცენტრს წარმოადგენს. მე შევეცდები ავხსნა ის, თუ რა დგას ისრაელის ხედვის მიღმა. უნდა აღინიშნოს, რომ ისრაელში ღია სამშვიდობო მოძრაობა მიმდინარეობს, ამაზე საუბრობენ სასამართლოებსა და გაზეთებში. პალესტინაში კი ამგვარ მოძრაობას ადგილი არა აქვს. შესაძლოა ეს იმის გამო ხდება, რომ მას მხარს არ უჭერენ, შესაძლოა იმიტომ, რომ, ვინც ამ ბრძოლას უნდა ედგეს სათავეში, თავის სიცოცხლეს უფროსილდება.

რატომ პრეკალირებს ისრაელში აზრი იმის შესახებ, რომ პალესტინის ტერიტორიების სამხედრო კონტროლი აუცილებელია, რატომ უარყოფენ ორი სახელმწიფოს მიერ კონფლიქტის გადაწყვეტას? ბოლო 54 წლის მანძილზე მიმდინარე მოვლენებმა, განსაკუთრებით, კი უკანასკნელი წლების ამბებმა დაარწმუნა ისრაელის მოსახლეობა, რომ მეზობლები იმწამსვე გაანადგურებენ ისრაელს, როგორც კი ამის საშუალება მიეცემა. ბოლო წლების მოვლენებმა სახელმწიფოს წინაშე არსებული რეალური საფრთხის შიში განაახლა, რამაც დაარწმუნა მრავალი ებრაელი, რომ არაბული სახელმწიფოები ჯერ ვერ შეძლებენ ახლო აღმოსავლეთიდან ისრაელის ამოგლეჯას. არაბები კი, არ მოითმენენ არაისლამური სახელმწიფოს არსებობას ისლამის სუვერენიტეტის ქვეშ. ისრაელის მხრიდან ომი რელიგიურ გამართლებას ამორიცხავს.

მე პირადად, არ ვიზიარებ იმ აზრს, რომ ჩვენს მეზობლებს ჩვენი განადგურება აქვთ განზრახული. ამგვარი აზროვნება შესაძლოა გაცილებით იოლია ჩემთვის, რადგანაც აშშ-ში ვიზრდებოდი იმ დროს, როდესაც ჩვენი მეზობლების ექსტრემისტული განზრახვები დაუჯერებლად მეჩვენებოდა. მე მას უარყოფდი, რადგანაც ეს ჩემს, როგორც ფსიქოლოგის აზროვნებას, ეწინააღმდეგებოდა. არსებობს რწმენა, რომ ცხოვრების პირობები - შეზღუდვები და შესაძლებლობები, წახალისება და დასჯა - მართავს ადამიანის ქმედებას. თუ ეს ასეა, ცხოვრების პირობების შეცვლა მომავალში არაბებს ისრაელის განადგურების სურვილს შეუცვლის. როცა მე ჩემს თანამემამულეებს ვესაუბრები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის გადარჩენას სამხედრო ძლიერების შენარჩუნებაში ხედავენ, მე არ შემიძლია მათ დავეთანხმო, თუმცა შესაძლოა ისინი მართლებიც იყვნენ. იქნებ ჩემი ოპტიმიზმი გულუბრყვილოა, ისინიც ხომ ამასვე მეუბნებიან.

ბევრი ებრაელი შეძრწუნებულია შარონის მთავრობის პოლიტიკით. უპასუხოდ უჭერს მხარს დასავლეთ სანაპიროზე ებრაელების ჩასახლებას, პოლიტიკური მოწყობის საკითხი კვლავ გადაუჭრელია. მაგრამ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ექუდ ბარაქის მთავრობა ხელისუფლებაში მოვიდა კონფლიქტის მოლაპარაკებების გზით გადაწყვეტის საკმაოდ ძლიერი მანდატით. კემპ დევიდში ბარაქის მიერ შეთავაზებულ

იქნა ორი სახელმწიფო პროექტი. როგორც ამერიკელი დამკვირვებლები ღენის როსი, მაღლენ ოლბრაიტი და ბილ კლინტონი აღნიშნავენ, ისინი ამ პროექტის სერიოზული მხარდამჭერები იყვნენ. დამკვირვებელთა თქმით, არაფატი არც არაფერს სთავაზობდა და არც შეთავაზებულ ვარიანტებს იღებდა, იმის მაგიერ, რომ დათანხმებულიყო, ან მხარი დაეჭირა კემპ დევიდის მოლაპარაკებისთვის. ამას მოჰყვა ახლო აღმოსავლეთში ძალადობის გამძაფრება. სამშვიდობო პროცესი ჩაიშალა. ამის გამო ბარაქი არჩევნებში დამარცხდა და შარონმა გაიმარჯვა, რითაც სამშვიდობო მოძრაობას წერტილი დაესვა.

სამხედრო ძლიერების მიუხედავად, რატომ არის ისრაელი მუდმივი საფრთხის ქვეშ? მე შევეცდები მოკლედ ვუპასუხო და არ მოვახდინო მოვლენის დრამატიზება. უბრალოდ, მსურს გაგიზიაროთ, თუ რამდენი ებრაელი გრძნობს რეალობას. 1948 წელს, სახელმწიფოს დაარსებასთან ერთად, ჩვენ ყოველი მხრიდან შემოგვიტყვეს ჩვენმა მეზობლებმა. ომი დამოუკიდებლობისათვის ისრაელის არსებობის პირველი დღეებიდანვე ებრაელი მოსახლეობის სიცოცხლის ფასად დაჯდა. 1956, 1967 და 1973 წლების ომებში კვლავ მეზობლებისაგან ვიცავდით თავს. 1973 წელს ისრაელმა იგრძნო, რომ განკითხვის დღე ახლოვდებოდა. შეიარაღებული ძალები გადასროლილ იქნა ჩრდილოეთ ისრაელში გოლანის მაღლობების სირიის ჯარებისაგან დასაცავად. ამ კამპანიამ ჰოლოკასტის მოგონებები ამოატივტივა და გაჩნდა ებრაელთა განადგურების გადათამაშების შიში. 1973 - 1999 წლებში მიუხედავად მრავალი კონფლიქტისა, ებრაელებმა თანდათან გააცნობიერეს, რომ მეზობლები არსებით საფრთხეს არ წარმოადგენენ ისრაელისათვის.

2000 წლის შემდეგ ინტიფადამ კიდევ ერთხელ გააღვიძა საფრთხის შეგრძნება ებრაელებში. არაბი კამიკაძეების მომრავლებამ ისრაელის პატარა თუ დიდ ქალაქებში, როდესაც ისინი გზებსა და შოსეებზე შეიარაღებულ შეტაკებებს ახორციელებენ (აღარ ვსაუბრობ დასავლეთ სანაპიროზე და ღაზას სექტორზე მოსახლეობის მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე), ებრაელები დაარწმუნა, რომ თითოეული პიროვნულად და დაუცველი. დღეს მხოლოდ ბრმა თუ ვერ იგრძნობს იმ საფრთხეს, რომელიც ყოველ ნაბიჯზე დაგვდევს, მაღაზიაში, თეატრში, რესტორანსა თუ კაფეში. მე და ჩემი ცოლი ბედნიერები ვართ, რომ ჩვენი შვილები აქ არ სწავლობენ და არც სკოლაში დადიან. როდესაც სროლის, ან აფეთქების ხმა გვესმის ჩვენი სახლიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით, ჩვენ ის მაინც ვიცით, რომ ჩვენი შვილები აფეთქებულთა შორის არ არიან. მაგრამ ჩვენ ვხედავთ ჩვენი თანამემამულეების მწუხარებას. მათ ძალიან ბევრი მიზეზი აქვთ თავი საფრთხეში იგრძნონ. სწორედ, ეს განაპირობებს კონფლიქტის მათეულ ანალიზს.

სამოქალაქო პირებზე თავდასხმები მნიშვნელოვნად გაიზარდა. ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში კვირაში ერთზე მეტი თავდასხმა ხდებოდა, ეს მაჩვენებელი 2-3 ჯერ გაიზარდა, დღეს კი 24 საათის განმავლობაში რამდენიმე ტერაქტი შეიძლება განხორციელდეს. ისრაელის მთავრობამ ზომები მიიღო, პალესტინის ტერიტორიებზე შეიყვანა ჯარები. ტელევიზორში ახალი ამბების დროს სუნთქვა გეკვრება, გემინია რა მოხდა, ვინ შეეწირა ახალ ტერაქტს. ვიცით, რომ მიუხედავად იმისა, რომ გუშაგები იცავენ სკოლებს, საბავშვო ბაღებს, მაღაზიებს და სხვა საზოგადოებრივ ადგილებს,

საფრთხის განცდა მუდმივად არსებობს, უსაფრთხოდ თავს ვერავინ იგრძნობს.

როგორც ფსიქოლოგები, ჩვენ შესანიშნავად ვაანალიზებთ იმას, თუ რა განწყობებს წარმოშობს გონების ამგვარი მდგომარეობა. ჩემი მიზანია ვაჩვენო, რას გრძნობენ და როგორ მოქმედებენ ებრაელები. როდესაც ებრაელები მიიჩნევენ, რომ პალესტინის ტერიტორიაზე ომი გამართლებულია, ეს უკვე აღარ მეტყველებს ჩვენს ძლიერებაზე, სუსტის დაჩაგვრისათვის დავისჯებით. თუმცა, ებრაელები ღრმად მადლიერნი არიან თავიანთი ძლიერების, რადგანაც ვიცით, რომ თუ ძლიერები არ ვიქნებით, დავმარცხდებით. სჯობს იყო განკიცხული, ვიდრე მკვდარი. მთავრობას არ შეუძლია უარყოს ეს შეხედულება მოქალაქეთა ღალატის გარეშე.

პროპორციულად, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, ისრაელში გაცილებით მეტი ადამიანი იღუპება, ვიდრე ტყუპებზე განხორციელებული ტერაქტების დროს დაიღუპა აშშ-ში, რაც საფრანგეთსა და გაერთიანებულ სამეფოში ქუჩაში ჩადენილი დანაშაულებების გამო მოკლული ადამიანების რაოდენობის ტოლფასია. თან გავითვალისწინოთ, რომ ტერორიზმს სახელმწიფოები აფინანსებენ, რას უნდა მოელოდეს მოსახლეობა მათი მთავრობებისაგან?

მარტის თვეში დასავლეთ სანაპიროზე ისრაელის ჯარების შესვლის შემდეგ 130 ებრაელი იქნა მოკლული სამოქალაქო პირებზე თავდასხმის დროს და ასზე მეტი სერიოზულად დაშავდა. იყო თავდასხმები ავტობუსებზე, მაღაზიებზე, ქორწილების დროს, რელიგიურ დღესასწაულებზე. უფრო მეტიც, თუ მარტი შეტევების თვალსაზრისით ყველაზე ტრაგიკული თვე იყო, არანაკლები ტერაქტებით გამოირჩეოდა სხვა თვეებიც. არც ერთი მთავრობა არ დაუშვებს თავისი მოქალაქეების ამგვარ წამებას. ამგვარი პროვოკაციები აიძულებდა ისრაელს შეჭრილიყო პალესტინის ტერიტორიებზე და ამით დაერწმუნებინა პალესტინის ხელმძღვანელობა, უარი ეთქვა საომარ სტრატეგიაზე.

ახლა კი, ნება მიბოძეთ შევეხო ისრაელის არმიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებს დასავლეთის სანაპიროზე. ეს მეტად მტკივნეული საკითხია, რადგანაც შეიარაღებული ძალები ომში ზოგჯერ მორალურად გაუმართლებელ ქმედებებს ჩადიან. თუმცა, ჩვენ მას თვალი უნდა გავუსწოროთ და უნდა დავსვათ კითხვა, იმსახურებს თუ არა ის დავმობას, რასაც ხშირად ვისმენთ. მე აღვწერ მოვლენებს, ბევრი თქვენგანის მსგავსად ინფორმაციას ვიღებ BBC-სა და CNN-საგან. ვუყურებ ორ ებრაულ სატელევიზიო არხს. ვუსმენ რადიოს და ვკითხულობ „ჰერალდ ტრიბუნსა“ და ებრაულ გაზეთს „ჰაარეს“. ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ ტელევიზიისაგან მიღებულ შთაბეჭდილებებს. ტელევიზია აუდიტორიაში ემოციებს აღძრავს. ამგვარი სცენები ქმნის „ფაქტებს“, რომელთა ობიექტურობის შემოწმება ჩვენ არ შეგვიძლია. ინფორმაციის ყველაზე სარწმუნო წყარო ჩემთვის არის ებრაელი ჯარისკაცი, რომელსაც ვესაუბრები, რომელიც იბრძოდა და იბრძვის პალესტინის ტერიტორიაზე. მე განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ მემარცხენე პოლიტიკური შეხედულების მქონე ჯარისკაცებს. ისინი აკრიტიკებენ ისრაელის დღევანდელ ხელისუფლებას და ემხრობიან პალესტინის სახელმწიფოს.

ბევრი საერთაშორისო წყარო ავრცელებს ინფორმაციას სამოქალაქო პირების

წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის შესახებ, თუმცა ეს ინფორმაცია არასწორია. წარსულის გამოცდილებამ აჩვენა, რომ გაზეთებისა და სატელევიზიო არხების უმეტესობა არაფერს აკეთებს გარდა სისხლისღვრის ფაქტების გამოცხადებისა. და თუ რამეს აკეთებენ, როგორც სოციალური ფსიქოლოგიის კვლევიდან ვიცით, მას ნეგატიური ეფექტი აქვს. მე ვფიქრობ, რომ ისრაელმა დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც პრესა „ბრძოლის ველს“ მოაშორა. რადგანაც ამ ტაქტიკამ ჭორებსა და ყალბ ინფორმაციას გაუხსნა გზა. სურათი, ალბათ, არ იტყუება. პალესტინის ქალაქების ნგრევა, ჯენინის ლტოლვილთა ბანაკის ძალადსართულიანი შენობების განადგურება, ომის დამანგრეველ ეფექტზე მიუთითებს. ნუთუ ისრაელისაგან უნდა წამოვიდეს ბრალდების წვიმა?

უნდა ითქვას, რომ ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკა, განსაკუთრებით, მისი სწორხაზოვანი მიდგომა კონფლიქტის დარეგულირებისადმი, ომის წინაპირობად იქცა. პალესტინის მთავრობა, იასირ არაფატის ხელმძღვანელობით, აგრესიას აგრესიით პასუხობს. დღეს ნათელი გახდა, რომ „ადამიანი ბომბები“, რომლებიც ათასობით ადამიანის სიცოცხლეს საფრთხეში აგდებენ, ფინანსდება მისი ინიციატივით, მათ ფულს უხდიან და ამზადებენ. თუმცა ის თავად უარყოფს ამ ფაქტს. ამ ფაქტების გარეშე ომს ნაკლებ გამანადგურებელი ეფექტი ექნებოდა.

ვიდრე ომის სუსტ და ძლიერ მხარეს გამოვყოფდეთ და ძლიერის პოზიციას დავგმობდეთ, საინტერესოა, რომელიმე მხარეს უდანაშაულო მსხვერპლის შეძცირებაზე თუ უფიქრია ოდესმე. ისრაელი აცხადებს, რომ ჯარისკაცები სპეციალურად არიან გაფრთხილებულნი, არ დაუშვან სამოქალაქოთა მიმართ შეიარაღებული ძალადობა. ბევრი ჯარისკაცი ადასტურებს ამგვარ ბრძანებას ხელმძღვანელობის მხრიდან. მაგრამ რას ამტკიცებს რეალობა? ისრაელისა და პალესტინის ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციები აცხადებენ, რომ ბევრი ებრაელი ჯარისკაცი საკუთარი სიცოცხლის ფასად არ დაიცავს უდანაშაულო პალესტინელის სიცოცხლეს. მაგალითად, იქ სადაც პალესტინელი სნაიპერები იმალებოდნენ, ებრაელი ჯარისკაცები მათ კვალს მიჰყვებოდნენ. ზოგიერთი სარწმუნო წყაროს თანახმად, ებრაელ ჯარისკაცებს ხშირად კომენდანტის საათის დამრღვევები მოუკლავთ, რომლებიც შემდეგ აბსოლუტურად უდანაშაულოები აღმოჩენილან. მე აღმოვაჩინე ამგვარი ქმედებები. ისრაელის არმიის სნაიპერებს თვით ებრაელი ჯარისკაცები მოუკლავთ, რომლებიც პალესტინელთა სახლებში კვალს ეძებდნენ. აქ შეცდომას აქვს ადგილი, მტრის განადგურებით ნაკარნახევი მოქმედებაა.

ცდილობენ თუ არა ებრაელი ჯარისკაცები, არ შეეხონ სამოქალაქო პირებს? ამის შესახებ არმიის საბრძოლო გეგმა მეტყველებს. ისრაელის არმიას ჰყავს თვითმფრინავები, რომელთაც შეუძლიათ იერიში მიიტანონ ქალაქებზე, ეს იგივეა, რასაც ამერიკელები ავღანეთში აკეთებდნენ, თუმცა ეს არ ხდება. დაბომბვამდე მოქალაქეებს აფრთხილებენ მოსალოდნელი იერიშის შესახებ. ტანკები ნამდვილად გამოიყენება, ეს გაცილებით მეტ ნგრევას იწვევს. მაგრამ მათი გარეგნობა გამაფრთხილებელია, პალესტინელები თავდაცვის მობილიზებას ასწრებენ, რაც ამცირებს დანაკლისს სამოქალაქოების მხრიდან.

ჯენინის ბრძოლას „სისხლისღვრა“ უწოდეს. დიახ, 100-ზე მეტი პალესტინელი

შეეწირა ამ შეტაკებას, მგრამ არა ათასობით ლტოლვილი, როგორც მასმედია იუწყებოდა თავის გაზვიადებულ გადაცემებში. სიკვდილი სიკვდილია. მაგრამ შეიძლება თუ არა რვადღიან შეტაკებას ვუწოდოთ „სისხლისღვრა“, როდესაც მას მხოლოდ 23 ებრაელი ჯარისკაცის სიცოცხლე შეეწირა? პალესტინელთა უდიდესი უმრავლესობა, რომელიც შეტაკების დროს დაიღუპა, ისრაელის ფეხოსანი არმიის ჯარისკაცებს ესროდა. დაღუპული სამოქალაქოები პალესტინელი მეზობლების მიერ გაკეთებულ ნაღმებს შეეწირნენ. ჯავშანტრანსპორტიორები მხოლოდ შეტაკების ბოლო დღეებში იქნა გამოყენებული ებრაული არმიის მიერ, მას შემდეგ, რაც წარმოუდგენელი გახდა დანაღმული ტერიტორიების ათვისება, რომელსაც 13 ებრაელი ჯარისკაცის სიცოცხლე შეეწირა.

ჯარისკაცების ქმედებები დამობილია, მაშინ, როდესაც ისინი სამოქალაქო პირების სიცოცხლეს უფროთხილდებოდნენ, თავიანთი სიცოცხლის ფასად. თუმცა ბევრმა შეირცხვინა თავი. ბევრი ადამიანი, მათ შორის უნივერსიტეტის რეზერვისტი სტუდენტები, საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში აგდებდნენ სხვების გადასარჩენად მაშინ, როდესაც მოხუცებიც კი საფრთხეს წარმოადგენენ. ნებისმიერ შემთხვევაში, ჯარისკაცების მიმართ ზიზღი არსებობს. ეს ბუნებრივია, როდესაც პალესტინელი უყურებს თავის მეგობარს თუ ნათესავს, რომელიც ციხეშია, ან სხვა განსაცდელში იმყოფება.

პასუხისმგებლობა თითოეულ მოკლულზე და დაჭრილზე პალესტინელებს უნდა დაეკისროთ, რადგანაც ისინი ირჩევენ ბრძოლის მეთოდს. იმ სოფლებსა და ქალაქებში, სადაც პალესტინელები მცირე შეიარაღებულ აჯანყებას აწყობენ, სამოქალაქო დანაკლისი თითქმის არ არსებობს. უდანაშაულო ადამიანები ძირითადად მაშინ იღუპებიან, როდესაც პალესტინელი მეზობლები მათ სახლებში იმალებიან და მათ ფარად იყენებენ. რაც არ უნდა იყოს მათი საბოლოო მიზანი, მათი დამოკიდებულება პალესტინელთა სიცოცხლისა და საკუთრების მიმართ ზედაპირული და არაფრის მთქმელია.

განა არ იმსახურებს ისრაელის არმია, დავკმოთ ძალადობრივი აქტებისათვის, იმისათვის, რომ აიძულებენ ადამიანებს დატოვონ თავიანთი სახლები, ხელს უშლიან სასწრაფო დახმარების მანქანებს ადამიანები გადაარჩინონ? ჩემი პასუხია კიცი და არაც. ბრძოლის ველზე ძნელია ბევრ სიტუაციაში გარკვევა. თუ უდანაშაულო ხალხს თავის სახლებში დავტოვებთ, შეტაკების დროს უფრო მეტი ზარალი შეიძლება გვქონდეს. უნდა მივანიჭოთ სასწრაფო დახმარებას სრული თავისუფლება. ბრძოლა სიფრთხილეს მოითხოვს.

მე დავწერე იმაზე მეტი, ვიდრე უნდა დამეწერა. თუმცა ჯერ კიდევ არსებობს უამრავი საკითხი, რომელსაც არ შევხებივარ. ამ ჯერზე კი, საკმარისია. ერთადერთი, რაც ძალიან მალეღვებს, მიწის უმცირეს მონაკვეთზე მცხოვრები ორი ხალხის საეკოლოგიური ბედი. ებრაელები და პალესტინელები შიშში, სიბრაზესა და ტკივილში ჩაძირულან. ისრაელის ხმამაღალი განკიცხვა ვითარების გამოსწორებაში არ დავგეხმარება. ტერორისტული აქტების შეწყვეტის თვალსაზრისით, პალესტინელებზე ზეწოლა ზორციელდება. სამშვიდობო პროცესი უნდა აღდგეს, თუმცა ამის გაკეთება ტერორიზმის საშუალებით შეუძლებელია. ირლანდიის განმათავისუფლებელი არმიის მიმართ ამგვარ პოზიციას აფიქსირებდა ბრიტანეთი, აშშ კი უარყოფს ძალადობას, როგორც

მოლაპარაკების იარაღს. მოლაპარაკებების პროცესში საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ისრაელსა და პალესტინაზე უნდა განხორციელდეს გარკვეული ზეწოლა.

ნება მიბოძეთ, შემოგთავაზოთ კონფლიქტის გადაწყვეტის ჩემუელი გზა. უნდა გითხრათ, რომ ამ მიზნის მიღწევას შესაძლოა ათწლეულები დასჭირდეს, მრავალი სიცოცხლე შეეწიროს. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მთავრობების დახმარება და ზეწოლა შეთანხმების მიღწევაში მეტად მნიშვნელოვანია, დახმარება და ზეწოლა სხვადასხვა სახეს მიიღებს.

პალესტინისა და ისრაელის სახელმწიფოები იარსებებენ ზღვასა და მდინარე იორდანეს შორის არსებულ ტერიტორიაზე. აღდება 1967 წლამდე არსებული საზღვრები მცირედენი შესწორებებით. პალესტინის მთავრობას არ უნდა მიეცეს საშუალება მართოს ებრაელთა დიდი ნაწილი, და პირიქით (ეს გულისხმობს, რომ არაბებს მიეცემათ საშუალება დაბრუნდნენ ისრაელში, თუ ამის სურვილი ექნებათ). ანუ ტერიტორიულ განაწილებაში გარკვეული მცირე ცვლილებები შევა.

ახალმა საზღვრებმა პალესტინას დასავლეთ სანაპიროზე და ღაზას სექტორზე გასასვლელი უნდა მისცეს. გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის ფაქტი, რომ ისრაელის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი 8 მილის ფართობზე ცხოვრობს. ებრაული დასახლებები ღაზას სექტორიდან და დასავლეთ სანაპიროდან უნდა გადავიდეს. იერუსალიმი და წმინდა ადგილები უნდა გადანაწილდეს ორ სახელმწიფოს შორის.

კონფლიქტის მოგვარების ეს პროექტი „ქლინთონის გეგმასა“ და ბარაქის მთავრობის მიერ შემოთავაზებულ გეგმას ემთხვევა. ეს პროექტი არაფაქტმა და პალესტინის ხელმძღვანელობამ დაიწუნა. იმ დროს არც ებრაელები და არც პალესტინელები არ აღფრთოვანებულან ამ გეგმით, მაგრამ მასზე მუშაობა შეიძლებოდა. 2000 წლის სექტემბრის შემდეგ მრავალი რამ შეიცვალა, დღეს საერთაშორისო მონაწილეობა აუცილებელი გახდა კონფლიქტის მოგვარებისა და ორი ხალხის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ჩვენ უდა შევძლოთ, ადამიანებს გავუქროთ შეხედულება იმის შესახებ, რომ მათ ერთმანეთის განადგურება სურთ. რაც მოგვცემს იმის შესაძლებლობას, რომ ოდესმე მივალწით იმ პოზიციას, რომელსაც დღეს უარვყოფთ. იქნებ ამას მივალწით კიდევ.

ომი საშინელებაა 5



გოსლაბ-შმაზის კონცერნი
TOS/AAB - SHMAZI Cooperation

War is horror 5



ომისადმი ჩემი დამოკიდებულება

მაჰათმა განდი

მისმა უწმინდესობამ, დე ლითმა, მომწერა გრძელი წერილი, რომელშიც იგი ჩემს საქციელს აკრიტიკებს, იმის გამო, რომ აჰისმას (აჰისმა) ფონზე ბოერისა და 1914 წლის დიდ ომში ჩავერიე. იგი ჩემი საქციელის ახსნას მთხოვს. სხვა მეგობრებმაც იგივე შეკითხვა დამისვეს და მოხარული ვარ, რომ ჩემი საქციელის ახსნის საშუალება მომეცა.

თუ ჩემს საქციელს აჰისმას პერსპექტივიდან შევაფასებ, მაშინ თავს ვერ გავიმართლებ. მე მათ, ვინც იარაღით იბრძვის და წითელ ჯვარში მუშაობს, ერთმანეთისაგან არ განვასხვავებ. ორივე მხარე ომში მონაწილეობს და ვითარებას ამწვავებს. ისინი სამხედრო დამნაშავეები არიან. წლების განმავლობაში, თვითდაკვირვების შემდეგ, დავასკვნის, რომ მე სხვა არჩევანი არ მქონდა: იმ მიმართულებით უნდა წავსულიყავი, რომელიც ბოერის, ევროპული ომისა და 1906 წლის ზულუსების აჯანყების დროს ავირჩიე.

ცხოვრებას მრავალი ძალა განაპირობებს. ძალიან ადვილი იქნებოდა, ადამიანს მხოლოდ ერთი, ზოგადი პრინციპით რომ განესაზღვრა საკუთარი ქმედებები. მე ჩემს ცხოვრებაში ვერ ვიხსენებ ვერცერთ გადაწყვეტილებას, რომელიც ადვილად მივიღე.

ყოველთვის ომის წინააღმდეგი ვიყავი. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი შესაძლებლობა მქონდა, არასოდეს მისწავლია იარაღის გამოყენება. ამის მიზეზი ალბათ ის არის, რომ ადამიანი არასდროს მომიკლავს. მე ისეთ სისტემაში ვცხოვრობდი, რომელშიც სახელმწიფო ძალადობაზე იყო დაფუძნებული და გარკვეულ პრივილეგიებს მთავაზობდა. მე ამგვარ სახელმწიფოს მხარდაჭერა ვარჩიე, როდესაც ის ომში იყო ჩაბმული.

ნება მიბოძეთ, უკეთესად აღვწერო მოვლენები. მე იმ ინსტიტუტის წარმომად-

დგენელი ვარ, რომელსაც მიწის რამდენიმე აკრი ეკუთვნის; მასზე მოსულ მოსავალს მაიმუნებისაგან განადგურება ემუქრება. მჯერა, რომ სიცოცხლის ნებისმიერი ფორმა წმინდაა და მაიმუნებისადმი ზიანის მიყენება აპისმას დარღვევად მიმაჩნია. ამავე დროს, მე უყოყმანოდ შევუტევდი მაიმუნებს მოსავლის გადასარჩენად. ჩემი აზრით, ინსტიტუტის დატოვების ან დაშლის გზით ამ ბოროტების თავიდან აცილება შესაძლებელია. მაგრამ მე ასე არ ვიქცევი, რადგან არ მეგულება საზოგადოება, რომელშიც სოფლის მეურნეობა არის განვითარებული და რომელიმე ქმნილების არსებობას საფრთხე არ ემუქრება. შიშითა და სინანულით მაიმუნების განადგურებაში ვმონაწილეობ და იმედი მაქვს, რომ ოდესმე ეს პროცესი შეწყდება.

ასევე მივიღე მონაწილეობა სამ საომარ ქმედებაში. მე საზოგადოებისაგან განცალკევება ვერ შეძელი. სამივე შემთხვევაში ბრიტანეთის მთავრობასთან თანამშრომლობის შეწყვეტა აზრადაც არ მომსვლია. ამ მთავრობისადმი ჩემი დამოკიდებულება დღეს განსხვავებულია. მიუხედავად ამისა, ამ ომებში ნებაყოფლობითი მონაწილეობა არ უნდა მიმეღო და თუ ვინმე იარაღის გამოყენებას დამაძალებდა, ჩემი თავისუფლება უნდა გამსხვებოდა.

ეროვნული სახელმწიფოს არსებობის შემთხვევაში, მსურველებისათვის სამხედრო წვრთნების ჩატარების შემოღებისათვის ხმის მიცემა ჩემი მოვალეობა იქნებოდა, რადგან არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც არა ძალადობის არ სჯერათ, ისე როგორც მე მჯერა. ადამიანის ან საზოგადოების იძულებით, არა ძალადობრივად შეცვლა შეუძლებელია.

არა ძალადობა მისტიური ხასიათისაა. მამაკაცის საქციელი არა ძალადობის ფარგლებში ანალიზს არ ექვემდებარება; მაშინაც კი, როცა ადამიანი მშვიდობისმოყვარეა, იგი შეიძლება ძალადობრივ ქმედებებს ახორციელებდეს. ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია, არის ის, რომ ჩემი ქმედება არა ძალადობის ინტერესებით იყო განპირობებული. შემიძლია განვაცხადო, რომ არც ეროვნული ან სხვა ინტერესი არ მამომძრავებდა.

სხვა არგუმენტებს აღარ მოვიყვან. ენის საშუალებით აზრის სრულყოფილად გამოთქმა შეუძლებელია. ჩემთვის არა ძალადობა უბრალო ფილოსოფიური პრინციპი არ არის. ის ჩემი ცხოვრების წარმმართველი კანონია. ვიცი, რომ ხშირად გაუცნობიერებელ შეცდომებს ვუშვებ. მაგრამ ეს ინტელექტის კი არა, გულის ბრალია. ჭეშმარიტების შეცნობა მხოლოდ ღმერთის იმედით, თავმდაბლობით, საკუთარი თავის უარყოფით და სიცოცხლის გაწირვით არის შესაძლებელი. ამის მიღწევა ჭეშმარიტად მამაც ადამიანებს შეუძლიათ. მე კარგად ვიცი, თუ რა შეცდომები მაქვს დაშვებული.

მაგრამ ჩემს სულში სინათლე მაინც არსებობს. ჩვენ მხოლოდ ჭეშმარიტება და არა ძალადობა გადაგვარჩენს. ომი ბოროტებაა. ჩემი აზრით, სისხლისღვრით მოპოვებული თავისუფლება ჭეშმარიტი თავისუფლება არ არის. მე ძალადობის მხარდაჭერაში დამდეს ბრალი. ძალადობასა და სიცრუეს კი არა, არა ძალადობას ვუჭერ მხარს. ჭეშმარიტება ჩვენი სიცოცხლის წარმმართველი ერთადერთი კანონია.

მაჰათმა განდის პასუხი ვლადიმერ ტჩერეტკოვის წერილისადმი

1928 წლის 13 სექტემბერს გაზეთში „ახალგაზრდა ინდოეთი“ გამოქვეყნდა ჩემი სტატია სათაურით „ომისადმი ჩემი დამოკიდებულება“. ამ სტატიას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მე მომივიდა ტოლსტოის მეგობრის, ვლადიმერ ტჩერეტკოვის წერილი, რომელსაც ქვემოთ მოვიყვან:

„თქვენი რუსი მეგობრები გულითად მოკითხვას გითვლიან და ღმერთისა და ადამიანების სამსახურში წარმატებას გისურვებენ. თქვენს ცხოვრებასა და საქმიანობას დიდი ყურადღებით ვადევნებთ თვალს. ყოველი თქვენი წარმატება ჩვენში სიხარულის გრძნობას აღძრავს. თქვენი ქვეყნის მიღწევები იგივე ჩვენი მიღწევებია. მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებულ პირობებში ვცხოვრობთ, ჩვენ ერთ საქმეს ვემსახურებით. დიდ მადლობას გიხდით იმისთვის, რომ მაგალითს გვაძლევთ თქვენი ცხოვრების წესითა და სოციალური საქმიანობით. ჩვენ სულიერად ვართ გაერთიანებულნი.“

რაც უფრო მჭიდრო იქნება ერთობა, მით უფრო ნაკლები გაუგებრობა წარმოიქმნება ჩვენ შორის. სწორედ ერთ-ერთი გაუგებრობის გამო გწერთ ამ წერილს.

თქვენმა სტატიამ „ომისადმი ჩემი დამოკიდებულება“, რომელიც გაზეთ „ახალგაზრდა ინდოეთში“ დაიბეჭდა, ბევრ თქვენს თაყვანისმცემელსა და მეგობარს იმედი გაუცრუა. საჭიროდ ჩავთვალე ამასთან დაკავშირებით ჩემი მოსაზრება გამომეთქვა. იმედი მაქვს, ჩემს წერილს საწყენად არ მიიღებთ.

თქვენ ამართლებთ თქვენს მონაწილეობას ბრიტანეთის სამ ომში. რამდენიმე წლის წინ იმავე საკითხზე თქვენ განსხვავებული აზრი გამოთქვით. მაშინ თავს არ იმართლებდით. რამდენადაც მახსოვს, თქვენმა მზადყოფნამ საკუთარი შეცდომები გელიარებინათ, თბილი გრძნობები გამოიწვია ჩემში და ჩემს მეგობრებში. უკანასკნელ სტატიაში კი თქვენ თავს იმართლებთ იმ ზოგადი არგუმენტებით, რომლითაც როგორც წესი ომის დაწყებას ასაბუთებენ ზოლმე. თქვენ ამბობთ: „ცხოვრებას მრავალი ძალა წარმართავს. ძალიან ადვილი იქნებოდა, რომ ადამიანს საკუთარი ქმედებები მხოლოდ ერთი, ზოგადი პრინციპით განესაზღვრა“. გარკვეულწილად მართალი ბრძანდებით, ამგვარი მოსაზრების პრაქტიკულ მნიშვნელობას თუ გავითვალისწინებთ; მაგრამ არსებობს ისეთი ქმედებები, რომლებსაც ამ მოსაზრებით ვერ გავამართლებთ. ეს ისეთი ქმედებებია, რომელიც, ჩვენი აზრით, არღვევს მორალურ და ღვთაებრივ კანონებს. ამ კატეგორიას განეკუთვნება ადამიანის განზრახ მკვლელობა, რასაც გამართლება არ აქვს.

აღნიშნული ქმედების სახელმწიფოსადმი სიმპათიით გამართლება არ შეიძლება. მიუხედავად ამისა, თქვენ ამბობთ: „ეროვნული სახელმწიფოს არსებობის შემთხვევაში ჩემი ვალი იქნებოდა ხმა მიმეცა მსურველებისთვის სამხედრო წვრთნების ჩატარების

შემოღებისათვის“. ამგვარად თქვენ სახელმწიფოს მხარდამჭერ სხვა ადამიანებს ომი-სათვის მომზადებისაკენ უბიძგებთ. თქვენ ხართ ადამიანი, რომელიც იმდენად უარყოფს ომს, რომ არ მონაწილეობს სამხედრო ქმედებებში, მაგრამ ამავე დროს, სამხედრო წვრთნების შემოღებას ხმას აძლევთ.

შემდეგ თქვენ აღნიშნავთ, „რომ საზოგადოების ყველა წევრს არა ძალადობის არ სჯერა“ და „შეუძლებელია ადამიანი ან საზოგადოება იძულებით არა ძალადობრივი გახადო“. სამხედრო წვრთნებისადმი ხმის არ მიცემით მე არავის ვაიძულებ რაიმეს გაკეთებას.

თქვენ მაიმუნების მიერ განადგურებული მოსავლის მაგალითი მოიტანეთ. მაიმუნების მაგალითის ადამიანებზე გადატანით თქვენ გაუგებრობას იწვევთ. მაიმუნების მაგივრად მოსავალს ადამიანები რომ ანადგურებდნენ, მაშინ რას გააკეთებდით? მოსავლის გადასარჩენად ადამიანებს დახოცავდით? თქვენ აცხადებთ, რომ საზოგადოებისაგან ვერ განცალკევდით; ცხოვრობდით ძალაზე დაფუძნებულ სახელმწიფოში და სარგებლობდით მის მიერ შემოთავაზებული პრივილეგიებით, სწორედ ამიტომ ამოუდევით გვერდში ომში ჩაბმულ ხელისუფლებას.

საზოგადოების მიერ განხორციელებულ ბოროტებაში მონაწილეობისაგან თავის შეკავებით, მე მას არ ვემიჯნები, პირიქით, მე ამ კავშირს ვიყენებ საზოგადოებისათვის უკეთესი სამსახურის გასაწევად.

თუ მე რომელიმე ქვეყანაში ვცხოვრობ და ვალდებული ვარ სახელმწიფოს ომის წარმართვაში მხარი დაეუჭირო, მაშინ, ყველა ღონე უნდა ვიხმარო, რომ ძმთა მკვლელობა შევაჩერო. ამავე დროს, სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული პრივილეგიების ძალადობის გარეშე გამოყენება სავსებით შესაძლებელია.

ჩვენი აზრით, გაუგებრობა წარმოიშვა იმის გამო, რომ თქვენ მკვეთრად არ განასხვავებთ ძალადობა და მკვლელობა. ხშირ შემთხვევაში, რთულია იმის განსაზღვრა, მოხდა თუ არა ძალადობის განხორციელება. მაგრამ რაც შეეხება ომს, ეჭვგარეშეა, რომ ძალადობა ხორციელდება მკვლელობების სახით. ამ შემთხვევაში ჩვენ ერთმანეთს ვეთანხმებით.

იმედი მაქვს, რომ სწორად გაიგებთ ჩემი წერილის შინაარსს. ეს გაუგებრობა რომ არა, მე ასეთ წერილს არ მოგწერდით.

ბოლოს, ისევ მინდა ხაზი გავუსვა თქვენდამი ჩემს პატივისცემას და ყოველივე საუკეთესო გისურვოთ.“

მინდა დავარწმუნო ბატონი ტჩერეტკოვი, რომ ასეთი წერილის მიღება მიხარია.

წერილში მოყვანილ ყველა პუნქტზე დეტალურ პასუხს არ გავცემ. ჩემი აზრით, ომი უდიდესი ბოროტებაა. ომის მიმართ ჩემს ზიზღზე საუბარს არ დავიწყებ. მაგრამ განსჯა ერთია, ხოლო სწორი ქმედება მეორე. ის, რაც ერთი ომის მოძულესთვის მართებული შეიძლება იყოს, მეორესთვის მიუღებელია, მიუხედავად იმისა, რომ მათ ერთნაირი დამოკიდებულება აქვთ ომის მიმართ. ეს წინააღმდეგობა ადამიანის ბუნების

სირთულთ არის გამოწვეული. მე მეცნიერებს შემწყნარებლობისკენ მოვუწოდებ.

რაც შეეხება წერილს, ციტატებს აღარ მოვიყვან. ბრიტანეთს მხარი დავუჭირე, მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა ინდოეთისა და ზოგადად კაცობრიობისთვის საზიანო იყო. ომში იარაღით ბრძოლის გამო სინდისი რომ ქვენჯნიდეს, მუდმივად მემახსოვრებოდა და აზრს ჩემს მონაწილეობაზე არ შევიცვლიდი.

მე ყველაფერს საჭიროების გამო ვაკეთებდი. მინდა განვაცხადო, რომ ჩემი ყველა ქმედების მიზანი მშვიდობის დამყარება იყო.

შესაძლებელია, მე სუსტი ვიყავი და დღემდე ასეთი ვარ, რადგან ჩემს შეცდომას ვერ ვაცნობიერებ, ისევე როგორც უსინათლო ადამიანი ვერ ხედავს იმას, რასაც მისი მეზობლები ხედავენ. ვიცი, რომ ყოველდღიურად საკუთარ თავს ვატყუებ.

ამავე დროს, ვერ ვიტყვი, რომ საკუთარ თავს ვატყუებ. მშვიდობას ჩემი ევროპელი მეგობრებისაგან განსხვავებულად აღვიქვამ. მე იმ ქვეყნის შვილი ვარ, რომლის ხალხი იძულებით განაიარაღეს და რომელიც საუკუნეების განმავლობაში დამონებული იყო. მშვიდობის შესახებ ჩემი წარმოდგენები სხვების მოსაზრებებისაგან მკვეთრად განსხვავდება.

მინდა მაგალითი მოვიყვანო. წარმოიდგინეთ, რომ კატებს და თაგვებს მშვიდობის დამყარება სურთ. იტყვიან კატები უარს ომის წარმოებაზე? როგორ მოახერხებენ თაგვები მშვიდობის შენარჩუნებას? საჭიროა თუ არა მათი ხმა? წარმოიდგინეთ, რომ კატების ასამბლეაზე მშვიდობის პაქტი დადეს, მაგრამ ისინი მაინც აგრძელებენ თაგვებზე თავდასხმას. როგორ მოიქცევიან თაგვები ამ შემთხვევაში? მათ შორის შეიძლება გამოჩნდნენ გამოცდილი თაგვები, რომლებიც იტყვიან: „კატების ყურადღებას ჩვენზე გადავიტანთ და ამით თავს გაეწირავთ, სანამ მათ ნადირობა არ მოებზრდებათ“. ამით ისინი თავიანთ კულტს შექმნიან. ამავე დროს, ჩნდება კითხვა: როგორ მოექცევიან ისინი (მშვიდობისმოსურნე თაგვები) მათ, ვინც მტრისგან გადასარჩენად იარაღს შეიძენს? ჩემი აზრით, გამოცდილი თაგვები მხარში ამოუდგებიან მამაც და გაბედულ თაგვებს. ამის მიზეზი პოლიტიკა კი არაა, ამაღლებული გრძნობები იქნება. სწორედ ასეთია ჩემი დამოკიდებულება. არა ძალადობის გაანალიზება და დამკვიდრება ადვილი არ არის, რადგან სუსტები ვართ. ჩვენ ყოველდღიურად უნდა ვილოცოთ და ღმერთს შევევედროთ, რომ თვალი აგვიხილოს. მუდმივად მზად უნდა ვიყოთ, რომ ვიმოქმედოთ ღმერთის შთაგონებით. ჩემი, როგორც მშვიდობისმოსურნე ადამიანის მიზანია, ინდოეთის გათავისუფლებისათვის ბრძოლა არა ძალადობრივად წარიმართოს. თუ ინდოეთი შეძლებს თავისუფლების ამ გზით მოპოვებას, მსოფლიოში მშვიდობის დამყარება უფრო ადვილი იქნება. ევროპელ ომის მოწინააღმდეგეებს შეუძლიათ საკუთარ ქვეყნებში საზოგადოებრივი აზრის შექმნა იმის შესახებ, რომ ბრიტანეთმა შეწყვიტოს ინდოეთის განადგურება.

ოზი საშინელებაა 6



გოსლაბ-შმაზის კონცერნი
ГОСЛАБ - SHMAZI Cooperation

War is horror 6



თანამშრომლობა კავკასიაში

დოქტორი იოჰან გალტუნგი, ნორვეგია

დღესდღეობით კავკასიის მთავარი პრობლემა უსაფრთხოებაა, რომლის უზრუნველყოფა მხოლოდ თანამშრომლობით არის შესაძლებელი. კონფერენცია/კავკასიაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია ამგვარი თანამშრომლობის პირველი საფეხურია. შესაძლებელია ბუდმივი უსაფრთხოების საბჭოს შექმნა, რომელიც ეუთო-ს მფარველობის ქვეშ მოექცევა და გაეროსთან მყარი კავშირი ექნება. ამგვარი თანამშრომლობის საბოლოო შედეგი კავკასიის კონფლიქტების დამოუკიდებლად მოგვარება უნდა გახდეს.

უსაფრთხოების საბჭოს შექმნას კავკასიის პარლამენტის დაარსება უნდა მოჰყვეს, რომელშიც წარმომადგენლებს თავად ქვეყნების მთავრობები დანიშნავენ, ან მოსახლეობა აირჩევს.

ამგვარი თანამშრომლობის საუკეთესო მოდელი ნორდიული საბჭო იქნება, რადგან ამ ორგანიზაციაში ცხრა განსხვავებული სახელმწიფო შედის: ხუთი დამოუკიდებელი ქვეყანა (დანია, ნორვეგია, შვედეთი, ფინეთი და ისლანდია), ერთი ნახევრად დამოუკიდებელი სახელმწიფო (გრენლანდია), კუნძულების ორი ჯგუფი: დანიის (ფარერის კუნძულები) და ფინეთის კუნძულები (ოლენდის კუნძულები, სადაც მოსახლეობა შვედურად ლაპარაკობს), ერი, რომელიც ნორვეგიაში, შვედეთსა და ფინეთში ცხოვრობს (სემაი). მართალია, კავკასიის რეგიონი, აღნიშნულიასაგან განსხვავებით, უფრო რთული და კომპლექსურია, ჩემს მიერ შემოთავაზებული ფორმულა სრულყოფილი არ არის.

კავკასიის პარლამენტი შეიძლება რეგიონის სამივე ქვეყანას მოიცავდეს, მათი ძირითადი შემადგენელი ნაწილებით.

განსხვავებული მოდელის მოყვანაც შეიძლება. კავკასიის პარლამენტი ორ პალატად დაიყოს: ერთ პალატაში შევიდეს სამი სახელმწიფო, ხოლო მეორეში კავკასიის ხალხები. უკანასკნელის ფუნქცია რეგიონის პრობლემების განხილვა ან გადაწყვეტილების მიღება იქნება (აშშ-ის კონგრესის მსგავსად) ორ პალატას შორის უთანხმოების წარმოქმნის შემთხვევაში.

რაც შეეხება უსაფრთხოების საკითხს: ნორდიული საბჭოს მსგავსად შეიძლება შემდეგი საკითხების განხილვა:

- კავკასიის რეგიონში სავიზო და შემდეგ საპასპორტო რეჟიმის გაუქმება;
- რეგიონში საერთო სამუშაო ბაზრის შექმნა;
- არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის და შეხვედრების ფასილიტაცია;

- ერთობლივი საწარმოების შექმნისადმი ხელშეწყობა;
- რეგიონში არსებული კონფლიქტების მოგვარება.

უმცირესობები, რომლებიც თავს დაჩაგრულად მიიჩნევენ, პრობლემების რეგიონულ დონეზე განხილვას შეძლებენ, ხოლო კავკასიის სხვა ერები მედიატორების როლს შეასრულებენ.

კავკასიის პარლამენტის აუცილებელი განხილვის საგანი ორმაგი მოქალაქეობის შემოღება შეიძლება გახდეს: პიროვნებას შესაძლებლობა მიეცემა იმ ქვეყნის მოქალაქეობა მიიღოს, რომელშიც იგი ცხოვრობს და, ამავე დროს, იყოს იმ ქვეყნის მოქალაქე, რომელთანაც იგი თავს აიგივებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ორმაგად ხმის მიცემის, სამხედრო სამსახურისა და გადასახადების საკითხს.

ამგვარმა მოდელმა შეიძლება თანამშრომლობის საბჭოს, საერთო ბაზრის, კონფედერაციის ან ფედერაციის შექმნის სახე მიიღოს.

დასაწყისი: კავკასიაში სამშვიდობო ზონის შექმნა

კავკასიის სამ უდიდეს ქვეყანას (აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო) საერთო წერტილი გააჩნიათ, „წითელი ხიდი“ რეგიონის შუაგულში, რომელიც ნაკლებად დასახლებულია. იქ არ არის არც მთები და არც ტბები. სხვა რეგიონებში, როგორცაა ნორდული საბჭო, ამგვარი საერთო წერტილი არ არსებობს (მხოლოდ დანია და შვედეთი მდებარეობენ ერთმანეთთან ახლოს, დანარჩენ სამ ქვეყანაში, ნორვეგიაში, შვედეთსა და ფინეთში საზღვარი საკმაოდ რთულ გეოგრაფიულ არეალში მდებარეობს).

თუ კავკასიის სამივე ქვეყანა რამდენიმე კვადრატული კილომეტრის გამოყოფას შეძლებს (თავისი ნაწილების შენარჩუნებით) სამშვიდობო ზონის შექმნისთვის, რეგიონში თანამშრომლობის მიღწევა შესაძლებლად გაადვილდება.

დასაწყისისთვის სასურველი იქნება კულტურული თანამშრომლობის განხორციელება. ზონაში ჩატარდება კონცერტები, სადაც ახალგაზრდა მომღერლები და მუსიკოსები მშვიდობის დამყარების შესახებ მოსაზრებებს გამოთქვამენ. მონაწილე ქვეყნები საუკეთესო იდეებისთვის პრიზს დააწესებენ და გამარჯვებულები მათ პოლიტიკოსებს გადასცემენ, რაც ხალხის მიერ საჩუქრის გადაცემის სიმბოლო იქნება. ამგვარი ქმედება იუნესკოს მთავარი მიზნის, მშვიდობიანი კულტურის, განხორციელება იქნება. მუდმივი გამოფენებისა და რელიგიურ საკითხებზე დიალოგების ჩატარება მეტად სასურველი იქნება.

რაც შეეხება ეკონომიკის საკითხს: ზონაში რეგიონული აეროპორტის შექმნა შესაძლებელია, რომელიც სამი ქვეყნის დედაქალაქს დააკავშირებს. რეგიონში რეისების განსახორციელებლად შესაძლებელია საერთაშორისო ავიაკომპანიების დაინტერესება. ერთობლივი საწარმოებისთვის და იმპორტის განხორციელებისათვის ეკონომიკური ზონის შექმნა (იპონიის მოდელის მსგავსად) მეტად მნიშვნელოვანია.

სამხედრო თვალსაზრისით ზონა დემილიტარიზებული უნდა იყოს. კავკასიის სამშვიდობო ძალების მიერ წვრთნების ჩატარება მეტად საყურადღებოა.

პოლიტიკურად აღნიშნული ზონა ნეიტრალური იქნება, სადაც შეიქმნება კავკასიური ინსტიტუტები და ისინი გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების საკითხებს განიხილავენ. თუ რეგიონი ერთობად ან კონფედერაციად გამოცხადდება, ლოგიკური იქნება კავკასიის ერთპალატიანი (სახელმწიფოებისთვის) ან ორპალატიანი (სახელმწიფოებისა და ერებისთვის) ასამბლეის შექმნა.

სხვა ქვეყნებიდან ზონაში ჩამოვლენ დამკვირვებლები და ოთხი ყველაზე ძლიერი სახელმწიფო დაადასტურებს, რომ ამ წამოწყებით მათ საფრთხე არ ემუქრებათ. ჩრდილოეთი კავკასიისთვის სამი ქვეყნის საერთო წერტილი ღირებულებას არ წარმოადგენს; ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონთან თანამშრომლობა პან-კავკასიის ფორმულის გათვალისწინებით სასურველი იქნებოდა.

კონკრეტულობა სასურველია, მაგრამ, ამავე დროს, ზიანის მომტანი შეიძლება იყოს. სამშვიდობო ზონის შექმნა შთაგონების წყარო შეიძლება გახდეს; ეს იქნება პირველი ადგილი, სადაც გარკვეული იდეების განხორციელება იქნება შესაძლებელი. საშიში იქნება თუ ამ იდეას

ომი საშინელებაა 7



გოსლაბ-შმაზის კონცერნი
ГОСЛАБ - SHMAZI Cooperation

War is horror 7

თვალსაზრისი

რა არის მთავარი სტრუქტურული კონფლიქტი საქართველოში

თათა საყვარელიძე

სამყაროს განვითარების ისტორიაში მრავლად არის ძალადობის ფაქტები. საზოგადოების ქვეცნობიერებაში ჩადებული იერარქიული მომენტები და სხვა სახის დომინაციის ელემენტების შედეგი გახლავთ სტრუქტურული ძალადობა, რაც თავის მხრივ პირდაპირი წყაროა აგრესიული ძალადობისა. ძალადობის აღმოფხვრა და დამარცხება ყველა საზოგადოების მთავარ ამოცანად რჩება.

თუმცა მრავალი მოაზროვნის მსჯელობით, ადამიანის ბუნებაში ჩადებული, დაბადებისთანავე ჩანერგილი ძალაუფლებისკენ სწრაფვა არასოდეს შემცირდება. არამედ პირიქით, იგი სულ უფრო დიდ მასშტაბებს მიაღწევს, თუ ადამიანმა ძალაუფლება მცირე მასშტაბით მაინც გამოისცადა.

როგორც მოგეხსენებათ, სამყაროში მომხდარი, მიმდინარე და მოსახდენი მოვლენის ან მოვლენების ახსნას მრავალი მხარე გააჩნია. ზევით ხსენებული აზრიც არ არის გამონაკლისი. იმის თქმა მინდა, რომ არსებობს მრავალი სხვა მოსაზრება კონფლიქტის შესახებ. თუნდაც ის, რომ ადამიანებს არა აქვთ დაბადებიდან გამოუსწორებადი ბუნება, არამედ ეს ყოველივე მათ აღზრდაზე და მათ ირგვლივ არსებულ საზოგადოებაზეა დამოკიდებული. თუმცა, ეს ორი ურთიერთსაპირისპირო აზრი ერთმანეთს მაინც ეთანხმება იმაში, რომ კონფლიქტი გარდაუვალია და აუცილებელიც. კონფლიქტი, თუ იგი მზარდი აგრესიის და ძალადობის გარეშე გვევლინება, განვითარების საფუძველია და საკმაოდ დადებითი მოვლენაა საზოგადოებისთვის.

კონფლიქტი თავის მხრივ ღინამიური ფენომენია და მოიცავს გარკვეულ ეტაპებს:

- 1) ინიციატივა
- 2) ესკალაცია
- 3) კონტროლირებადი მხარდაჭერა
- 4) შესუსტება
- 5) მოგვარება

რასაკვირველია, კონფლიქტი, როგორც ცალმხრივი, ასევე ორ ან მრავალმხრივი მოვლენაა. ცალმხრივი კონფლიქტი ეს ის მიმდინარე ურთიერთსაპირისპირო პროცესებია, რომელიც ყველა ადამიანის ბუნებაში და აზრებში ისახება. ორ ან მრავალმხრივი კონფლიქტი კი ის მდგომარეობაა, რომლის დროსაც ორი ან მრავალი ადამიანის ან ადამიანების ინტერესები, სურვილები და მისწრაფებები ერთმანეთის საპირისპირო მდგომარეობაში გვევლინება. ძალაუვნებურად ისმის კითხვა: როგორ შეიძლება კონფლიქტი მოგვარდეს?

არსებობს სამი ძირითადი მოსაზრება იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება კონფლიქტის მოგვარება.

- 1) წინააღმდეგობა – როდესაც ერთი მხარე ცდილობს თავისი გავლენის, ძალაუფლების, ავტორიტეტის საშუალებით აიძულოს მეორე მხარე დაემორჩილოს პირველის მისწრაფებებს, მიზნებს, ინტერესებს.
- 2) დათმობა – როდესაც ორი ან მეტი მხარე თმობს თავის მისწრაფებებს და აღწევს შეთანხმებას.
- 3) პრობლემის გადაჭრა – როდესაც ორი ან მეტი მხარის პირველადი ინტერესები ნაწილობრივ იცვლება, მაგრამ მიღებული გადაწყვეტილება ყოველი მხარისათვის მისაღებია.

კონფლიქტი თავის მხრივ წარმოიშობა მაშინ, როდესაც ინდივიდს ან ინდივიდთა ჯგუფს გააჩნია მისწრაფებები, რომელიც მათი აზრით მიუღწეველია ან მათ მიმართ სწრაფვის პროცესი შეჩერებულია. ამ შემთხვევაში ადამიანები (ან მათი ჯგუფი, ანუ ადამიანების ჯგუფი) განიცდიან ფრუსტრაციას და შემდგომ უკვე აგრესიას, თუმცა ეს შეიძლება პირიქითაც მოხდეს. ასევე - შედარებით დეპრივაციას (შედარებითი ჩაგვრის გრძნობა), რომელიც შეიძლება ასევე კონფლიქტის მიზეზად მოგვევლინოს, თუმცა სრულებით არ არის აუცილებელი ადამიანმა შეიგრძნოს, რომ იგი მეორესთან შედარებით დაჩაგრულია, იმისათვის, რომ მას მისწრაფება და ინტერესი ჰქონდეს უკეთესისკენ, ან უბრალოდ ცვლილებისკენ.

იმისათვის, რომ უკეთესად გავიგოთ თუ რა არის შედარებითი დეპრივაცია (ერთ-ერთი მიზეზი კონფლიქტისა), აუცილებელია მისი უკეთესად ახსნა. როგორც უკვე მოგახსენეთ, იგი წარმოიშობა, როდესაც ადამიანები თავიანთ მიზნებს ვერ აღწევენ. ეს არის სხვაობა ადამიანის მოლოდინსა და მის შესაძლებლობებს შორის, რაც უფრო დიდია სხვაობა, მით უფრო მეტი შესაძლებლობაა კონფლიქტის წარმოქმნისა და, თუ ეს გრძნობა (სხვაობა) მასშტაბურად მზარდია (განიცდის ადამიანების ჯგუფი და არა მხოლოდ ერთი ადამიანი), იგი სოციალურ კონფლიქტად ყალიბდება.

როგორც მოგეხსენებათ, აგრესია კონფლიქტის წარმოქმნის ერთ-ერთი საბაბია (თუმცა აგრესია ინდივიდმა შეიძლება მისი მდგომარეობის ამაღლების მიზნითაც გამოიყენოს), ხოლო თვით აგრესიას განაპირობებს შემდეგი ფაქტორები:

- 1) იგი ინსტინქტურია, ანუ ადამიანის ბუნებაში ღევს და ადამიანური ბუნების ნაწილია.
- 2) იგი შეძენილია, ანუ გარკვეული მიზეზების შედეგია.
- 3) იგი ფრუსტრაციით არის გამოწვეული.

როდესაც ვსაუბრობთ აგრესიაზე და მის გამომწვევ მიზეზებზე, უნდა ვახსენოთ ასევე დისონანსი - სხვაობა ინდივიდის წარმოდგენასა (მისი სამყაროს აღქმა) და ობიექტურ რეალობას შორის. მაშინ, როდესაც დისონანსი წინაპირობაა ფრუსტრაციის ან აგრესიის, რომელიც თავის მხრივ კონფლიქტის მიზეზად გვევლინება.

ასევე მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ძალიან ხშირად ფრუსტრა-

ცია, აგრესია იწვევს აპათიურ და არა კონფლიქტურ მდგომარეობას. აქვე შეიძლება პასუხი გავცეთ კითხვას, თუ რომელი მდგომარეობა არის უმჯობესი და ალბათ პასუხად მაინც კონფლიქტს მივიღებთ. აპათია - ერთ სტადიაზე გაჩერებას გულისხმობს, მაშინ, როდესაც არაძალადობრივი კონფლიქტი პოზიტიური, დინამიური მოვლენაა.

და მაინც რამდენად ხშირია ჩვენს ცხოვრებაში სტრუქტურული კონფლიქტი? ალბათ ძალიან ხშირია. ხშირია ერთი ადამიანის მიერ ძალაუფლების გამოყენების ფაქტი იმისთვის, რომ მან შედარებით სუსტი დაჩაგროს. ასევე შეიძლება ითქვას, რომ ხშირია საზოგადოების ზეწოლა ინდივიდზე და მრავალი სხვა.

ცალმხრივ კონფლიქტზე საუბრისას გვახსენდება საზოგადოების და ადამიანის ფროიდისეული აღქმა.

იდი, რომელიც ყველაფერი ცოცხალის დასაბამია, ანუ ენერგიის მწარმოებელი.

ეგო, რომელიც იდისგან იღებს ენერგიას და მიზანდასახულად მიმართავს.

სუპერეგო, რომელიც კრძალავს იმას, რაც იდის საშუალებით ეგოს უნდა რომ შეძლოს.

ფროიდის აზრით, კონფლიქტი ადამიანის შიდა სამყაროში გარდაუვალია, რადგან არ არსებობს საზოგადოება, რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს ინდივიდის მოთხოვნილებები. დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებებით გამოწვეული გრძნობა კი მუდამ თან სდევს ადამიანს. კულტურა თრგუნავს ინდივიდის როგორც სოციალურ და ზოოლოგიურ არსებობას, ასევე მის ინსტინქტებს, თუმცა ეს დათრგუნვა პროგრესის განუყოფელი ნაწილია. ინდივიდი კი თავის მხრივ სწავლობს პირველადი ინსტინქტების გაკონტროლებას. სიამოვნების პრინციპი გარდაიქმნება რეალობის პრინციპად. ადამიანი ცხოვრობს ორ, ქვეცნობიერ და არაქვეცნობიერ განზომილებაში. როდესაც ადამიანის პირველადი ინსტინქტები მოდის კონფლიქტში სამყაროსთან, სხვა ადამიანებთან, ხდება მატერიალური პროცესის პროგრესი. ადამიანი ივებს, რომ მისი მოთხოვნილებების და სურვილების დაკმაყოფილებას საზოგადოება ვერ შეძლებს. აქედან მას უყალიბდება რეალობის პრინციპი და ადამიანი იწყებს ორგანიზებულ ეგოდ ქცევას. იგი ცდილობს დანაკლისის გარეშე მიიღოს ის, რაც მისთვის სასარგებლოა, მაგრამ იმის ქვეცნობიერი აღქმა რომ მისი მოთხოვნილებების ნაწილი დაუკმაყოფილებელია, იქნება მუდამ. აქედან გამომდინარე, იქნება ბრძოლა ცივილიზაციისა და რეალობის პრინციპებს შორის. ადამიანმა სრული თავისუფლება მხოლოდ თავის ფანტაზიებში შეიძლება ჰპოვოს. მას ყოველთვის ექნება გაუცნობიერებელი კონფლიქტი საზოგადოებასთან (სუპერეგოსთან), ხოლო საზოგადოება, თავის მხრივ, ყოველთვის დაჩაგრავს ადამიანს, ყოველთვის შეეცდება იგი ჩარჩოში ჩასვას და დაიქვემდებაროს. აქედან გამომდინარე, იარსებებს კონფლიქტი ინდივიდსა და საზოგადოებას შორის.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ინდივიდი მუდმივად ებრძვის ქვეცნობიერ და არა-ქვეცნობიერ სამყაროს, რაც თავისთავად წარმოშობს კონფლიქტს ინდივიდის როგორც შიდა, ასევე გარე სამყაროსთან. სწორედ ინდივიდთა ჯგუფებს შორის კონფლიქტი ხდება რევოლუციის საფუძველი. როდესაც ჩაგრულ ადამიანთა ჯგუფი კვლავ ეგუება

მჩაგვრელთა უღელს და ძალადობით ცდილობს ბატონყმური სტრუქტურის შეცვლას. ამ მდგომარეობის მოსაგვარებლად, მარქსის აზრით, საჭიროა ერთი კლასის (პროლეტარიატის) გაბატონება და მაშინ არ იქნება კლასთა შორის უთანასწორობა, რადგან მხოლოდ პროლეტარიატი იბატონებს და ეს აუცილებლად ძალადობრივი გზით მოხდება, თუმცა ამ მოსაზრებას მისი მოწინააღმდეგეები არ ეთანხმებიან და თვლიან, რომ ცვლილება შეიძლება მოხდეს არა ძალადობრივი გზით, რომ შეიძლება სტრუქტურის ცვლილება და სრულებით არ არის საჭირო ეს ყოველივე სისხლის-მღვრელი ძალადობის შედეგად მოხდეს.

განდის აზრით, იმისათვის, რომ კაცობრიობამ გვერდი აუაროს ამ სახის პრობლემებს, საზოგადოების კომუნიკად დაყოფაა საჭირო. აუცილებელია ადამიანებმა თავიანთი მზარდი მოთხოვნილებები შეზღუდონ და ინდივიდის მოთხოვნილებებზე უფრო მაღალ საფეხურზე, საზოგადოების მოთხოვნილებები დააყენონ. თუმცა მისი ფილოსოფია სრულებით არ გულისხმობს ადამიანის ძირეული მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობას. ადამიანებს შეუძლიათ იცხოვრონ ჰარმონიაში ბუნებასთან და ერთმანეთთან.

განდი ინდუსტრიალიზაციაში ხედავს დადებით ფაქტორებს, მაგრამ ამავდროულად იგი არ გვევლინება ინდუსტრიალიზაციის აქტიურ მომხრედ, რადგან, მისი აზრით, ეს პროცესი ადამიანებში გაუცხოების გრძნობას იწვევს. განდის ფილოსოფიის მიხედვით, აუცილებელია კომუნიკად დაყოფილმა საზოგადოებამ აწარმოოს პროდუქცია, რომლის ნაწილიც მოხმარდება თვით კომუნის საზოგადოებას, ხოლო დანარჩენი კი გაიცვლება მეზობელ კომუნებთან. რა თქმა უნდა, ეს ერთ-ერთი შესაძლებლობაა იმისა, თუ როგორ უნდა მოხდეს კონფლიქტის თავიდან აცილება, თუმცა ამ აზრს ალბათ ძალიან ბევრი არ დაეთანხმება. არ არის აუცილებელი ინდუსტრიალიზაციის როგორც ნეგატიური პროცესის აღქმა, რადგან სწორედ ამ პროცესით არის შესაძლებელი ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. რადგან ინდივიდის მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობა კონფლიქტის წარმოქმნის წინაპირობაა, ბუნებრივია აუცილებელია იმის გარკვევა, თუ რა იგულისხმება ინდივიდის მოთხოვნილებებში.

მასლოუს პირამიდის მიხედვით, ადამიანის მოთხოვნილებები იყოფა ხუთ ძირითად საფეხურად:

- 1) ძირითადი - ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები: საკვები, წყალი, ტანისამოსი, სექსი, ჰაერი.
- 2) უსაფრთხოების მოთხოვნილებები: ფიზიკური და ფინანსური უსაფრთხოება.
- 3) კუთვნილებითი მოთხოვნილებები: მეგობრობა და სიყვარული.
- 4) პატივისცემის მოთხოვნილებები: პატივისცემა, სტატუსი.
- 5) თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილებები: თვითკმაყოფილება, თვითრეალიზაცია.

აუცილებელია პირველი საფეხურის მოთხოვნილებები იქნას დაკმაყოფილებული იმისათვის, რომ ინდივიდის შემდგომი საფეხურის მოთხოვნილებები დაკმაყოფილდეს, არსებობს მოსაზრება, რომ არ არის აუცილებელი მოთხოვნილებები იყოს პირამიდის ფორმით, შესაძლებელია ისინი ე. წ. ერთ სიბრტყეზე იდგეს.

ბარტონის მიხედვით, კონფლიქტის მთავარი გამომწვევი მიზეზი სწორედ ონტოლოგიური მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობაა. რაც უფრო მეტად არის დაკმაყოფილებული ონტოლოგიური მოთხოვნილებები, მით უფრო ნაკლებად არის შესაძლებელი კონფლიქტის წარმოქმნა. ონტოლოგიური მოთხოვნილებების დიდი ხნით ლიმიტირება შეუძლებელია, ისინი გააჩნია ყველას, განუსხვავებლად იმისა, იგი ბავშვი, ძველი ბიჭი თუ სხვა ადამიანია. ხოლო თვით კონფლიქტს რაც შეეხება, მისი ხედვით, აუცილებელია გვესმოდეს განსხვავება კონფლიქტსა და უთანხმოებას შორის. უთანხმოება მოგვარებადია, ხოლო კონფლიქტის მოგვარება შეიძლება სასამართლოს ან არბიტრაჟის საშუალებით.

კონფლიქტები ხდება იმიტომ, რომ არ არსებობს მათი შემაჩერებელი არანაირი მექანიზმი. ამ მექანიზმის აღსანიშნავად მან სპეციალური ტერმინიც კი შემოიღო „პროვენცია“. პროვენცია არის ის მექანიზმი, რომელიც არ მისცემს კონფლიქტს ჩამოყალიბების საშუალებას. დღევანდელ საქართველოს ასპექტში, ძალიან საინტერესოა არსებული პრობლემების და მწვავე კონფლიქტების შეფასება ბარტონისეული პრიზმით. ძალიან მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ რამდენად არის დაკმაყოფილებული ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილის მატერიალური, ფსიქო-სოციალური და აგრეთვე ონტოლოგიური მოთხოვნილებები. ხდება თუ არა გარკვეული სამთავრობო ჯგუფების მიერ იმის გააზრება, რომ ამ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობამ შეიძლება მიგვიყვანოს მასობრივ ძალადობამდე ან სოციალურ კატასტროფამდე. სწორედ ამ მოვლენების შესაჩერებლად შემოიღო ბარტონმა ტერმინი „პროვენცია“. ისმის ლოგიკური კითხვა, რამდენად არსებობს პრევენციული საშუალებები საქართველოში? სოციალური მდგომარეობის და სტატუსის გაუმჯობესება ადამიანს ნაკლებად აგრესიულს და შესაბამისად საზოგადოებისთვის ნაკლებად საშიშს ხდის. რამდენად ხდება დღეს საქართველოში კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრაზე მუშაობა. ალბათ სამთავრობო ჯგუფები ძალიან ხშირად, საერთოდ არ ფიქრობენ იმაზე, თუ რამდენად არის ადამიანის მდგომარეობა და სტატუსი შენარჩუნებული, რომ აღარ ვილაპარაკოთ გაუმჯობესებაზე. ბოლო ათმა წელიწადმა, საქართველოს საზოგადოების მდგომარეობა სულ უფრო გააუარესა, რამაც, თავის მხრივ, მასობრივი აგრესიის გრძნობა გამოიწვია საზოგადოებაში, ხოლო ხანგრძლივი აგრესია აპათიურ მდგომარეობაში გადაიზარდა. როგორც უკვე მოგახსენეთ, აპათიური მდგომარეობა საზოგადოებისთვის უფრო ნეგატიურია, ვიდრე არაძალადობრივი კონფლიქტი, მაგრამ ხანგრძლივი ბრძოლის და სტრესის შემდეგ იფიტებიან და აპათიურ მდგომარეობაში ვარდებიან. აქვე ისმის შემდეგი კითხვა, რამდენად არის ადამიანის უსაფრთხოების მოთხოვნილება დაკმაყოფილებული? ათწლიანი არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შედეგად, საქართველოს მოსახლეობა ფსიქო-სოციალურ და ეკონომიკურ უსაფრთხო სივრცეში არ იმყოფება, რაც თავისთავად უარყოფითად მოქმედებს საზოგადოების წინსვლის პროცესზე. რამდენად დაკმაყოფილებულია თვითგამორკვევის მოთხოვნილება? ეთნიკური

საკითხი ბოლო წლებში ძალიან მწვავედ წარმოჩნდა, მაგრამ ჩვენში ძალიან იშვიათად საუბრობენ კლასობრივ და რელიგიურ იდენტურობაზე, თუმცა ამ უკანასკნელზე სულ უფრო და უფრო ხშირდება საუბარი და კამათი. არადა ამ მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა ხომ უეჭველად იწვევს სოციალურ კონფლიქტებს, და ბოლოს, რამდენად პატივისცემით ეპყრობიან ჩვენს ქვეყანაში მოქალაქეებს? რამდენად არ ასხვავებენ ერთმანეთისგან “ქალაქელებს”, ”სოფლელებს”? რამდენად არ იგრძნობა განსხვავება უბნებს შორის?

რასაკვირველია, ყველა ამ კითხვაზე ჩვენ თვითონ უნდა ვიპოვოთ პასუხი, მაგრამ ბარტონისეული ჩარჩოები შეიძლება ძალიან გამოსადევი აღმოჩნდეს სწორი სოციალური დიაგნოზის დასმისთვის. საინტერესოა მისი თეორიის გაანალიზება და შემდგომ უკვე საკუთარ პრიზმაში გატარება იმისათვის, რომ კონფლიქტის შემაჩერებელი მექანიზმი ავამოქმედოთ როგორც ჩვენ, ასევე სამთავრობო ჯგუფებმა.

რამდენად შესაძლებელია ზემოაღნიშნულის მიხედვით, დღევანდელ საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარება? ალბათ პირველ რიგში ადამიანებმა თავის თავთან ჰარმონია უნდა იპოვონ იმისათვის, რომ საზოგადოება აღმავლობის გზაზე დადგეს. თუმცა ეს ყოველივე თავისთავად იმ პრობლემებთან არის დაკავშირებული, რომლებზეც ცოტა ხნის წინ ვსაუბრობდი. ინდივიდი თავის თავთან ჰარმონიის მოპოვებას მხოლოდ მაშინ შეძლებს, როცა მისი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული იქნება. რამდენად არის საზოგადოების თითოეული წევრის ძირითადი მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული? დამეთანხმებით, რომ დღეს საქართველოში მრავლად მოიძიება ადამიანები, რომლებსაც ეს მოთხოვნილებები დაუკმაყოფილებელი აქვთ. როგორ დაგაკმაყოფილოთ ეს მოთხოვნილებები? ამ პროცესში არა მხოლოდ საზოგადოება, არამედ სამთავრობო ჯგუფებიც ძალიან დიდ როლს თამაშობენ. აუცილებელია ადამიანებს ჰქონდეთ შექმნილი ის პირობები, რომლებიც მათ ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში დაეხმარებათ. საჭიროა ინდივიდებმა თავი უსაფრთხოდ იგრძნონ, განსაკუთრებით ბოლო პერიოდის შემდგომ. რისი მიღწევაც, გარკვეული სტაბილური ქვეყნის შიდა ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობით ხდება შესაძლებელი. წარმოუდგენელია ადამიანს არ ჰქონდეს საკვები, წყალი, ტანისამოსი და იგი არ იყოს აგრესიული, ასევე შეუძლებელია ადამიანმა მუდმივი შიშით იცხოვროს და სულ ერთსა და იმავე კითხვაზე ცდილობდეს პასუხის გაცემას: “არის თუ არა შესაძლებელი მისი ფიზიკური, ისევე როგორც ფინანსური უსაფრთხოება?” რა თქმა უნდა, გარკვეული სტაბილიზაციის შედეგად, ადამიანებს მოეხსნებათ საფრთხეში ყოფნის შეგრძნება. ის უიმედობის გრძნობა, რომელსაც ახლა მთელი საქართველო განიცდის, ნელ-ნელა აღვიღს დაუთმობს რწმენას, რომ სახელმწიფო მათ იცავს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ.

პროგრესის შედეგად ადამიანები ნაკლებად აგრესიულები ხდებიან, არც ქართველი საზოგადოება იქნება გამონაკლისი. ადამიანებს უფრო მეტი დრო ექნებათ დადებითი

ემოციებისათვის (მეგობრობა, სიყვარული). თუმცა უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად ყველა პრობლემისა, საქართველოში მაინც მრავლად მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც ამ დადებითი ემოციების მატარებლები არიან.

პროგრესი ადამიანების როგორც ქვეცნობიერ, ასევე არაქვეცნობიერ სამყაროსაც ეხება. რაც უფრო მეტად პროგრესულია ადამიანის აზროვნება, მით უფრო მეტ პატივისცემას იმსახურებს და მით უფრო მეტად სცემს პატივს სხვას.

ამ თემაზე საუბრისას, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოში, შორეული დროიდან მოყოლებული, ურთიერთობები ყალიბდებოდა ურთიერთპატივისცემაზე. მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ძალიან ხშირად ჩვენში ურთიერთპატივისცემა თავს მოხვეული უფროა, ვიდრე დამსახურებული, ძალიან ხშირად თვით სიტყვა პატივისცემა ჩვენში არასწორად არის გაგებული.

დღესაც ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც სამსახურში ახალგაზრდა მუშაკებს, ან ქალებს, იმავე დონეზე არ აყენებენ მესამე მუშაკთან იმიტომ, რომ ის უფროსი ადამიანია. ახალგაზრდები, რომლებიც ახალი იდეებით მოდიან, ვერ ამჟღავნებენ თავიანთ პოტენციალს ბოლომდე, თუ მათი იდეები უფროსი თაობის მუშაკების შეხედულებებს არ ემთხვევა. რაც შეეხება ქალებს, ისინი, შეიძლება ითქვას, უარეს მდგომარეობაში არიან. მათ მამაკაცი თანამშრომლები სრულებით არ აღიქვამენ მამაკაცი თანამშრომლების დონეზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ქალები არიან.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მხოლოდ საზოგადოების დახმარებით არის გამოსწორებადი. “ყველაფერს შეხედულება განაპირობებს, ამას ცხადყოფს კინიკოსი მონიძე, მაგრამ ცხადია ისიც, რომ მისი სიტყვებით სარგებლობას შეძლებს მხოლოდ ის, ვინც გონების ღრმადმხედველი თვალთ ჭვრეტს მათ ჭეშმარიტ არსს.” (მარკუს ავრელიუსი „ფიქრები“).

და ბოლოს, ნათქვამია, რომ კაცობრიობა არასდროს შეეჭიდება ისეთ პრობლემას, რომლის გადაჭრის ძალაც მას არ შესწევს. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია ადამიანმა შექმნას ისეთი კონფლიქტი, რომლის გადაჭრაც მას არ ძალუძს. „ყოველთვის უნდა გახსოვდეს როგორია სამყაროს ბუნება და როგორია შენი ბუნება, როგორ მიემართება ეს უკანასკნელი პირველს და რომელი მთელის ნაწილია იგი. გახსოვდეს: არავის ძალუძს ხელი შევიშალოს იმაში, რომ ყოველთვის მოქმედებდე და მსჯელობდე ბუნების თანახმად, ბუნებისა, რომლის ნაწილიც ხარ შენ“ (მარკუს ავრელიუსი „ფიქრები“).

ომი საშინელებაა 8



გოსლაბ-შმაზის კონცერნი
ГОСЛАБ - SHMAZI Cooperation

War is horror 8

კონფლიქტებისა და მეტაფორების შესახებ:

მზარდი რაციონალიზმისა და სამყაროები და ჩარჩოები

ოსკარ ნუდლერი

ოსკარ არიასის მშვიდობის უნივერსიტეტის რექტორი
თარგმნა შორენა ლორთქიფანიძემ

მინდა განსაკუთრებული ტიპის კონფლიქტებზე შევაჩერო თქვენი ყურადღება, სამყაროებისა და ჩარჩოების კონფლიქტებზე. უპირველეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ, რამდენიმე სიტყვით მოგახსენოთ ტექსტში გამოყენებული ტერმინების შესახებ.

უილიამ ჯეიმსი „ფილოსოფიის პრინციპებში“ სამყაროს ადამიანური კონტექსტის მიხედვით წარმოადგენს. დავუსვით საკუთარ თავს კოპერნიკისეული კითხვა: რა პირობებში ხდება საგნები და მოვლენები რეალური? პასუხი ამგვარია: სელექციური ყურადღება განსხვავებულ „სამყაროებსა“ და „ქვესამყაროებს“ ჩვენთვის რეალურს ხდის: „თითოეული სიტყვა თავისი არსით რეალური ხდება, მხოლოდ რეალობა იქცევა ყურადღებას“. ჩვენ ერთი სამყაროდან მეორეს ვერთვებით, სამყაროები მრავალგვარია, მეცნიერების, მითების, თამაშებისა და ა.შ. თუმცა ზოგიერთი სამყარო სხვებზე ძლიერია, სხვებზე უფრო რეალურია, რადგანაც ის დანარჩენებისთვის საყრდენს, საფუძველს წარმოადგენს. ჯეიმსმა მას „გრძნობათა სამყარო“ უწოდა. ფენომენოლოგიურ-პერმენენტული ტრადიციიდან გამომდინარე მას სიცოცხლის, ყოველდღიური ცხოვრების ან უბრალოდ „დიდი ასოთი“ სამყაროს უწოდებენ. სამყარო რეალობის აღქმის სისტემას ქმნის.

ინგლისურენოვანი ავტორები, განსხვავებით რამდენიმე ფენომენოლოგისგან, რომლებიც ინგლისურ ენაზე წერენ, ამჯობინებენ თავი აარიდონ ჯეიმსის მიერ გამოყენებული „სამყაროს“ ცნების გაშიფრვას. ამ ტერმინის ნაცვლად იყენებენ შემდეგ სიტყვებს: „კოდი, სქემა, პარადიგმა და ა.შ. თუმცა მრავალი მიზეზის გამო ამ ტერმინების შემცვლელებად მიჩნევა არ არის მართებული. ერვინგ პოფმანმა გააკრიტიკა რა ჯეიმსის მიერ შექმნილი ტერმინი, მის სხვა შემცვლელებთან ერთად, შემოიღო „ჩარჩოს“ ცნება. ჩემი ვარაუდით, მოვლენებს ორგანიზების პრინციპები მართავს, მათ შესაბამისად ვითარების განმარტება იქმნება. სოციალური მოვლენები და მათში ადამიანების სუბიექტური მონაწილეობა ორგანიზების პრინციპების მიხედვით განისაზღვრება. სიტყვა „ჩარჩოს“ საშუალებით ჩემს მიერ აღქმადი ელემენტების იდენტიფიცირებას ვახდენ. ეს ჩარჩოს ჩემი უფრო განსაზღვრებაა.

ხელოვნული ინტელექტის კვლევის სფეროში „ჩარჩოს“ ცნებას იმავე დატვირთვით იყენებენ. მერვინ მინსკი წერს: „ჩარჩო სტერეოტიპული სიტუაციის წარმოსადგენად მონაცემთა სტრუქტურას წარმოადგენს, კვულისხმობთ განსაზღვრული

ოსკარ ნუდლერი / კონფლიქტებისა და მეტაფორების შესახებ: მზარდი რაციონალიზმისა და სამყაროები და ჩარჩოები

ტიპის სასტუმრო ოთახში ყოფნას, ან ბავშვის დაბადების დღის წვეულებაზე წასვლას. ჩვენ ჩარჩო სახეებისა და ურთიერთობების ქსელად წარმოგვიდგენია. ჩარჩოს „უმაღლესი დონეები“ უტყუარ ჭეშმარიტებას ასახავს. „დაბალი დონეები“ კი, სხვადასხვა არსის მქონეა, მას „სლოტებს“ უწოდებენ, რომელიც სპეციფიკური მონაცემებით უნდა ამოივსოს.“

„სამყარო“ და „ჩარჩო“ ვარაუდთა და პრინციპთა ერთსა და იმავე სისტემას წარმოადგენს, რაც ჩვენ შექმნილი ვითარების წარმოდგენასა და გააზრებაში გვეხმარება. ეს ორი ტერმინი გარკვეულწილად ერთმანეთს გადაფარავს და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისინი ერთ სივრცეს მოიცავს. მაშინ, როდესაც „სამყარო“ ადამიანური ცხოვრების ისეთ მატერიებს ეხება, როგორიცაა მეცნიერება, ხელოვნება, ყოფიერება, „ჩარჩო“ შეზღუდული სპექტრის მატარებელია და სოციალურ ურთიერთობებს ასახავს. სასურველია ორივე ტერმინი გამოვიყენოთ.

სამყაროების (გარკვეულწილად „ჩარჩოების“) ერთობლივი დახასიათება ძირითადი ღირებულებების არა-რეფლექტური, კრიტიკის გარეშე მიღებაა. როგორც კი ჩვენ არსებულ, დამკვიდრებულ შეხედულებებს კრიტიკული თვალთ შევაფასებთ, ჩვენ არსებულ სამყაროს გადავაბიჯებთ, ის კი, რამდენად გვჯერა ამ შეხედულებების, უკვე ნაკლებ საინტერესოა. პოლანი წერს:

„როდესაც ჩვენ გარკვეულ წარმოდგენებს ვიღებთ, ვეთანხმებით და მათ მიხედვით ვაგებთ შეხედულებათა სისტემას (ვიყენებთ მათ როგორც ინტერპრეტატიულ ჩარჩოს), ჩვენ ისევე ვსახლდებით მათში, როგორც ჩვენი სული საკუთარ სხეულშია დამკვიდრებული. მათი კრიტიკის გარეშე მიღება ასიმბალანსის პროცესის საფუძველია. ჩვენ საკუთარი თავის იდენტიფიცირებას არსებულ შეხედულებათა სისტემასთან ვახდენთ. They are not asserted and cannot be asserted, for assertion can be made only within a framework with which we have identified ourselves for the time being.“

ვიტგენშტაინი ასევე განიხილავს ძირითად შეხედულებათა კრიტიკული ანალიზის სივრცის მიღმა დარჩენის იდეას.:

ვიძლევიტ რა საფუძველს და ვამტკიცებთ მას, ამით მივდივართ დასასრულამდე; მაგრამ დასასრული დაუყოვნებლივ არ გვატყვევებს, როგორც ჭეშმარიტება, ის ჩვენეული ხედვა არ არის: ეს ჩვენი ქმედებაა, რაც ენობრივი თამაშის საფუძველს წარმოადგენს.*

პიროვნული სამყაროები გარკვეულწილად უნიკალურია. ეს უნიკალურობა იმდენად ღრმად არის ჩვენში ჩაბეჭდილი, სხვისთვის დახურული რჩება. სიგიჟე ან გენიოსობა პიროვნული უნიკალურობის ნიშანია. თუმცა ენა და კულტურა ერთობლივ ჩარჩოს ქმნის, რომელშიც მრავალი ადამიანი ერთმანეთს საკუთარ სამყაროებს უზიარებენ.

სამყაროები ერთმანეთთან კონფლიქტში იმყოფებიან. დაპირისპირება იწყება მაშინ, როდესაც კონკრეტული სიტუაცია სოციალურ კონტაქტს მოითხოვს. მაგრამ ადამიანებს შორის არსებული ყველა უთანხმოება პიროვნულ სამყაროებს შორის დაპირისპირებას ნამდვილად არ გულისხმობს. წარმოვიდგინოთ ამგვარი ფაქტი, ორი განსხვავებული სამყაროს მქონე ადამიანი ერთმანეთს ლუკმაპურისთვის ედავება. ამ შემთხვევაში კონფლიქტის წყაროს შიშშილი წარმოადგენს და არა განსხვავებული

მსოფლალქმა. სამყაროებს შორის არსებული განსხვავება წარმოადგენს სამყარო-თაშორისი კონფლიქტის მიზეზს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამყაროების განსხვავებულობა თავისთავად, და არც ერთი სხვა მიზეზი (მაგალითად, მატერიალური ან არამატერია-ლური რესურსების შეზღუდულობა) არ წარმოადგენს კონფლიქტის მიზეზს. რა საკვირველია, კონფლიქტები წარმოადგენს ფაქტორების ერთობლიობას, რომლებიც ართულებს სამყაროსა ან ჩარჩოს მთავარი კომპონენტის გამორჩევას. თაობათაშორისი და ეთნიკური კონფლიქტები ის შემთხვევებია, როდესაც ამგვარი კომპონენტი უფრო მარტივად შეინიშნება. მაგალითი რომ წარმოვიდგინოთ, მარიამას მიერ აღწერილ წიგნში, რომელიც ეხება აშშ-ში ეთნიკურ კონფლიქტებს, „სამყაროს“ ცნება ჩანაცვლებულია „ეპისტემოლოგიით“, აღნიშნული ტერმინი ნათლად აღწერს სამყაროებს შორის კონფლიქტს:

„ამერიკული კულტურის საბაზისო ეპისტემოლოგია დედუქციურ ლოგიკაზე დაფუძნებული ბერძნულ-ევროპული ეპისტემოლოგიიდან მომდინარეობს, იგი გულისხმობს მოსაზრებას ერთმხრივი კაზუალური მიმდინარეობის შესახებ და იერარქიული სოციალური წესრიგის შერწყმას ამერიკულ მსოფლმხედველობასთან, რომელიც აღიარებს ერთგანზომილებიან სამყაროს, კონკურენციის, ტექნოცენტრიზმისა და უნიკულტურული ასიმილაციის არსებობას...თუმცა ცოდნის ამგვარ ნამდვილობას სხვა ცოდნის აღმოცენებამ გაუწია წინააღმდეგობა. ამგვარ ეპისტემოლოგიას იზიარებდნენ აშშ-ში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები, რომელთაც სოციალური უმრავლესობა არ აღიარებდა: ამის მაგალითებია, არაიერარქიული ორმხრივობა ნავახოსა და ესკიმოსების ტომებში, ბუნებაში არსებული ბალანსის ფილოსოფია ადგილობრივ ამერიკელებში (ამერიკელი ინდიელები) და ჩინელი და იაპონელი იმიგრანტების მიერ აშშ-ში შემოტანილი ორმხრივი კომპლემენტარიზმის იდეა.“

ისმის კითხვა: კონფლიქტის მიზეზად ვასახელებთ სამყაროთა უბრალო განსხვავებულობას, წინააღმდეგობა სულაც არ არის აუცილებელი პირობა ძალადობრივი კონფლიქტების აღმოცენებისათვის, რატომ ხდება ასე? ვიდრე ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, ნება მიბოძეთ, რამდენიმე სიტყვა ვთქვა სამყაროებისა და ჩარჩოების ბუნებაზე.

პრინციპში, თუ ფაქტებს გავყვებით, ეს კონფლიქტები სრულებით არ იწვევს არსებით უთანხმოებას, რომლის მოსაგვარებლადაც აუცილებელია მივმართოთ რეალურ საფუძველს. გეშტალტის ორაზროვანი ფიგურები ამ თვალსაზრისის ილუსტრირებას წარმოადგენს.



ანტილოპა/პელიკანის ორაზროვანი ფიგურა
წყარო: ჰანსონი (1965)

თუ ერთი მხარე აცხადებს, რომ ეს არის ანტილოპა, ხოლო მეორე მხარე ამბობს, რომ ეს პელიკანის ფიგურაა, არავითარი ემპირიული საფუძველი არ იარსებებს კონფლიქტის მოსაგვარებლად. ნათელია, რომ კამათი უსაგნოა მანამ, სანამ თითოეული

მხარე ადრე, თუ გვიან არ მიიღებს, ან არ უარყოფს გამოცდილების მისეულ ფორმულირებას. ჩვენს წინაშეა ანტილოპასა და პელიკანის სამყარო, რაც შეზღუდული პერსპექტივითაა წარმოდგენილი. არც ერთი მხარე არ არის მართალი, თუმცა ჭეშმარიტია, გარკვეული სამყაროს, ან ჩარჩოს ფარგლებში.

ვშიშობ, რომ გამოსავალი, თუ ის ჯერონად დამუშავებული არ არის, გემტალტის ანალოგიის შეზღუდულობაზე მიუთითებს. კონფლიქტის რეალურ შემთხვევებში, როდესაც არსებობს განსხვავება ჩარჩოებს შორის, ადამიანები არ უშვებენ სხვა ალტერნატივას. ეს არ არის ჩვეულებრივი შემთხვევა. ჩვენ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ თუ ორივე მხარე რაციონალურად უდგება საკითხს, პრინციპებისა და წესების ჩვეულებრივ ლოგიკას მიჰყვება, ადრე თუ გვიან ისინი დაინახავენ ანტილოპა/პელიკანის შემთხვევას. მხარეები ერთმანეთის შეხედულების არსებობას დაუშვებენ. ამის შედეგად, არცერთი წინააღმდეგობრივი სამყარო არ შეიცვლება, მაგრამ ბრმა კონფორტაციას ნამდვილი დიალოგი ჩაანაცვლებს.

ამ წერტილის მიღწევა, რა თქმა უნდა, არ არის ადვილი. ის, ჩვეულებრივ, მესამე მხარის დახმარებას საჭიროებს, მესამე მხარე აღჭურვილია არა მარტო კეთილი ნებით, არამედ განსაკუთრებული თვისებებით. გავლენიანი შეხედულების მიხედვით, ეს პრობლემის ანალიტიკური გზით გადაწყვეტის შესაძლებლობებია. პერსპექტიულ ნაშრომში, რომელსაც სიტყვასიტყვით „კონფლიქტის ანალიტიკური გზით გადაწყვეტა“ ეწოდება, ამ შეხედულების დაცვაა წარმოდგენილი. ავტორების მიხედვით, კონფლიქტის წარმატებულად გადაწყვეტის გასაღები ანალიზის გაკეთების შესაძლებლობაში დევს:

„ეს ნათლად ფიქრის უნარია, ტერმინების სწორად გამოყენების ნიჭი, ძირითადი შეხედულებების ფორმულირება, ლოგიკურობა, აქედან გამომდინარე კი, სიცოცხლისუნარიანი დასკვნების გამოტანა. ამ გზით ჩვენ ნებისმიერი ფენომენის თუ ვითარების ადეკვატურ ახსნამდე მივდივართ. ეს შემთხვევა კონფლიქტის გადაწყვეტის შესაძლებლობას აადვილებს“.

კონფლიქტების გადაწყვეტაში ანალიზის უნარს ავტორები სარწმუნოდ მიიჩნევენ:

„თითოეული ადამიანის უნარი, კულტურული მემკვიდრეობა და განათლების დონე მისი ანალიზის შესაძლებლობას განაპირობებს, ამით ეს ადამიანები მესამე მხარეს ეხმარებიან. კულტურების, რელიგიებისა და კლასების კვეთას წარმოადგენს ანალიტიკური კომპონენტი, რომელიც კონფლიქტის გადაწყვეტის შესაძლებლობას რეალურს ხდის. მხარეებს შორის ურთიერთობებში სამხედრო, ეკონომიკური, თუ ძალის საკითხებიდან ფოკუსი ანალიტიკურ მიდგომაზე გადადის. ანალიტიკური მიდგომის საშუალებით ხდება „ძლიერი მხარის“ ინფორმირება შესაძლო შედეგის შესახებ, თუ ეს ნააზრევი ანალიტიკური არ არის, ის დროებითი ხდება.“

ანალიზის უნარი და ლოგიკურობა ჩარჩოს, ან სამყაროს შიგნით კონფლიქტის გადაწყვეტას უზრუნველყოფს, და ნაკლებად აღმოფხვრის დაპირისპირებას სამყაროებს შორის. თუმცა არც იმის თქმა შეიძლება, რომ ანალიტიკური იარაღი უსარგებლოა სამყაროებისა თუ ჩარჩოების დაპირისპირების მოსაგვარებლად. უბრალოდ, მათ სხვა კომპონენტები უნდა დაეხმაროს, განსხვავებულ უნარებს უნდა მივმართოთ, რათა კონფლიქ-

ტი გადაწყვეტას დაემორჩილოს, ან, უბრალოდ, თავიდან ავიცილოთ გამანადგურებელი ეფექტი და უფრო კრეატიული გავხადოთ. ამ საკითხს თავის ბოლოს მივუბრუნდები. ახლა კი ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე მეცნიერებაში, თუ ჰუმანიტარულ დარგებში არსებულ კონფლიქტებს შევხები. თუ მეცნიერების ჩემუელი ხედვა, როგორც მე ვფიქრობ, კორექტულია, ის უმაღლეს შეგვასხენებს, რომ ანალიტიკური გადაწყვეტა საკმარისი არ არის მეცნიერებაში ყველა ტიპის კონფლიქტის მოსაგვარებლად. მორალი საუკეთესო ანალიტიკური დომენია, ის იმთავითვე ჭეშმარიტია ადამიანური ცხოვრების სხვა მხარეებთან ერთად.

კონფლიქტები მეცნიერებაში

სამყაროებისა და ჩარჩოების კონფლიქტი კონფლიქტების იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთა გადაწყვეტისათვის როგორც ემპირიული საფუძველი, ასევე ლოგიკა არარელევანტური და არასაკმარისია, ეს მიდგომა კი, თავისთავად სიახლეს არ წარმოადგენს. მე-19 საუკუნის ისტორიციზმმა დასაბამი მისცა „ცაიტგეისტის“ (საუკუნის გონი) ცნებას. იგი წარმოდგენილია ფართოდ გავრცელებული და უნიკალური გონებისა და რეალობის სტანდარტებით. ისტორიციზმის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ მანძილი განსხვავებულ ცაიტგეისტებს შორის იმდენად დიდია, რომ მათ შორის კონფლიქტიც კი წარმოუდგენელია. კონფლიქტს საერთო პლატფორმა განაპირობებს. კონფლიქტი გარკვეულ ტერიტორიაზე ან რაღაც სცენაზე მიმდინარეობს. მაგრამ ისტორიციზმი, აცხადებს, რა ცაიტგეისტებს შორის შესაბამისობის არარსებობას, ამით თავისთავად აცლის საერთო საფუძველს. ფრანგი ფილოსოფოსის მიშელ ფუკოს წიგნი „სიტყვები და საგნები“ ჩვენს ეპოქაში ამ თვალსაზრისის საუკეთესო გამოვლინებაა. ევროპის ეპისტემების „არქეოლოგიური ისტორია“ სამყაროებს შორის უკიდურესი წყვეტის ისტორიაა იმავე დროს:

„ეპისტემაში უფრო მეტი კონფლიქტია, ვიდრე საწინააღმდეგო თეორიებს შორის. ეპისტემები კი კიდევ უფრო დაპირისპირებული არიან. უფრო მეტიც, მათ შორის წყვეტა ღრმაა და დაუკავშირებელი.“

სამყაროებს შორის შესაძლო დიალოგზე რადიკალურად პესიმისტური შეხედულება მცირე მხარდაჭერას პოულობს ანგლო-საქსურ წრეებში. სეპირ-უორფის თეზისი კი განსხვავებულია, იგი აზროვნების ლინგვისტურ დეტერმინაციას (განსაზღვრას) ეხება. 50-იან წლებამდე ისტორიციზმისა და რელატივიზმის ტალღის შეხება მეცნიერული ცოდნის სფეროსთან, ფაქტობრივად, არ არსებობდა. მეცნიერების ფილოსოფოსები სხვასაზვა სკოლას ეკუთვნოდნენ. ლოგიკური პოზიტივისტები, პოპერიანელები და მარქსისტებიც კი, ალთუსერის ჩათვლით, მიიჩნევენ, რომ მეცნიერება რაციონალურია მეცნიერული ჰიპოთეზებისა და თეორიების მიღებისა და უარყოფის თვალსაზრისით. თითოეული გამოგონება, თუ აღმოჩენა დამოკიდებულია არა კულტურულ სუბიექტურ თვალსაზრისზე, არამედ ემპირიულ, საფუძვლიან და ლოგიკურ არგუმენტებზე. ამგვარი კრიტერიუმების სპეციფიკური ბუნება ინტენსიური უთანხმოების საგანი იყო (მაგალ-

ითად, ინდუქცივისტებსა და დედუქცივისტებს შორის), თუმცა მისი ობიექტურობა ეჭვის ქვეშ არ დაყენებულა. მეცნიერების ფილოსოფოსთა უმრავლესობა თავიანთ ამოცანას განმარტავენ, როგორც არსებული მეცნიერული პრაქტიკის რაციონალურ და ლოგიკურ რეკონსტრუქციას (მოიაზრება ბუნებითი მეცნიერებები, ფიზიკა). ლოგიკური კონსტრუქტივისტები მეცნიერებას მიიჩნევენ არა მარტო როგორც რაციონალურ წარმოებას, არამედ ადამიანის უმაღლესი რაციონალური შესაძლებლობების გამოყენების პარადიგმატულ შემთხვევას.

კონკურენცია და კონფლიქტი მეცნიერებაში, რასაკვირველია, დაშვებულია ორთოდოქსული ეპისტემოლოგიის მიერ, იგი წარმოდგენილია მეცნიერული პროგრესის მამოძრავებელ ძალად. სამყაროებისა და ჩარჩოების კონფლიქტი, ზემოთ მოყვანილი განმარტების თანახმად (კონფლიქტები, რომელთა გადაწყვეტა არც ემპირიულ საფუძველზე და არც ლოგიკურობაზე არ არის დამოკიდებული), მეცნიერების სამყაროსაგან გაუცხოებულია. არ აქვს მნიშვნელობა რამდენად შეესაბამება სხვა სახის კონფლიქტებს - რელიგიურს, კულტურულს, იდეოლოგიურს და ა.შ. - მისი გამოყენება კონფლიქტებთან მეცნიერებაში არ ხდება. პრობლემათა გადაწყვეტა მეცნიერებაში გვთავაზობს იმგვარ მოდელს, რომელიც სხვა ნებისმიერ კონფლიქტს მოერგება. გონივრული მაგალითი: თუ მეცნიერებაში გამოყენებული მეთოდები ამგვარ დიდ წარმატებას მიაღწევს, რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ისინი სხვა სფეროებში?

მეცნიერების ორთოდოქსული იმიჯის დანგრევა 50-იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც მეცნიერთა, ფილოსოფოსთა და ისტორიკოსთა ჯგუფი ამის წინააღმდეგი გამოვიდა, განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც 1962 წელს გამოიცა კუნის წიგნი „მეცნიერული რევოლუციის სტრუქტურა“. ერთიმეორეზე მიყოლებით, ამ იმიჯის ყველა მთავარი კომპონენტი წინ წამოიწია და არნახული დებატების საგანი გახდა, ეს დებატები დღესაც მიმდინარეობს. მე შევნიშნავდი, მეცნიერების ემპირიული საფუძველი, წარმოდგენილი ობზერვაციული ენით,* თეორიულ ენასთან შედარებით მეცნიერული ინტერპრეტაციების მიმართ ნეიტრალური და დამოკიდებულია. ამგვარი დამოუკიდებლობა, ტრადიციულად, მეცნიერული ობიექტურობის გარანტიას წარმოადგენს, დღეს კი ეს საკითხი მძლავრ კრიტიკას განიცდის.

ორთოდოქსული პერსპექტივიდან გამომდინარე, მეცნიერება წარმოდგენილი დატვირთვის მიხედვით არ ქმნის სამყაროს ზემოთ. ამ უკანასკნელის მიხედვით, აღმქმელის სამყარო არ უნდა იქნას გამოყოფილი აღმქმელის რეალობის გაგებისაგან, რადგანაც სწორედ ისინი უზრუნველყოფენ მის აღქმას. დაკვირვებისა და თეორიის დიხოტომია გააკრიტიკა რუსელ ჰანსონმა 1958 წელს. მაგალითად, მან განაცხადა, რომ ტიხო ბრაჰე და კეპლერი ხედავდნენ – სიტყვის ერთი მნიშვნელობით – ერთსა და იმავე მზეს, მაგრამ სხვადასხვა მნიშვნელობით – ისინი ხედავდნენ ჰორიზონტზე ამოძვალ სხვადასხვა მზეს: „აქ არის შეგრძნება, ხედავ კი თეორიული ხაზია“.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი თეორიები არ შეიძლება მიჩნეულ იქნას წმინდა, ნეიტრალური ხედვის საგანგებო ინტერპრეტაციებად. უნდა მოხდეს მათი ერთმანეთში ინკორპორაცია.

მეცნიერულმა თეორიამ და პრაქტიკამ სახე იცვალა. მან „სამყაროს“ მისცა დასაბამი, უფრო ზუსტად კი, გააცოცხლა მეცნიერული რევოლუციებისა და აზრების უამრავი ახალი „მსოფლიოები“.

მე არ შემიძლია უკეთ ავხსნა, საპირისპირო პარადიგმების დამცველები სხვადასხვა სამყაროში მიმართავენ თავიანთ საქმეს. ერთი შეიცავს დაძაბულ სხეულს, რომელიც ნელა ეცემა, მეორე კი, ქანქარას წარმოადგენს, რომელიც მუდმივად იღრიკება. პირველი სიბრტყეზეა განთავსებული, მეორე მრუდზე, სივრცის მატრიცაზე. სხვადასხვა სამყაროებში მყოფი მეცნიერები ერთსა და იმავე საგნებს სხვადასხვაგვარად ხედავენ.

პოლანი წარმოადგენს სამყაროს იდეას, აღწერს რა მეცნიერებაში სწავლების პროცესს:

„მოდით, ერთი წამით წარმოვიდგინოთ სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი, რომელიც რენტგენის სხივებს შეისწავლის პალმონარული დაავადებების დიაგნოსტიკაში. ის აკვირდება ფლუორესცენტულ ეკრანზე მოძრავ ჩრდილს და თავის ასისტენტს ტექნიკურ ენაზე კარნახობს ჩრდილების სპეციფიკურობას. თავიდან სტუდენტი სრულიად დაბნეულია, ის ვერაფერს ამჩნევს, თუმცა, თუ ის გამოიჩენს დაკვირვებას, მრავალი რამ გაიხსნება მის წინაშე: ფსიქოლოგიური ვარიაციები და პათოლოგიური ცვლილებები, ქრონიკული ინფექციები და დაავადების ნიშნები. ის ახალ სამყაროში აღმოჩნდება.“

მეცნიერული საქმიანობის სურათი სუბიექტურ და კულტურულ პლასტებთან ერთად ეპისტემოლოგიური ქანქარის რხევას აძლიერებს ექსტრემალურად საწინააღმდეგო ორთოდოქსული ლოგიციზმის მიმართულებით, ეს კი სამყაროებს შორის რაციონალიზმისა და პროგრესის სტანდარტების სრული იგნორირებაა, და უკიდურეს რელატივიზმს წარმოადგენს. კუნისა და სხვა ორთოდოქსიზმის კრიტიკოსების ზოგიერთი დებულება (ერთ-ერთი მათგანი ზემოთ მოვიყვანეთ), განსაკუთრებით კი ფოიერაბენდის არაპროპორციულობის თეზისი, გამოდის ლოგიკურ კონსტრუქციონიზმსა და რელატივიზმს შორის კავშირის აუცილებლობის მტკიცებით. რიჩარდ რორტი წიგნში „ფილოსოფია და ბუნების სარკე“ აძლიერებს დებულებას იმის შესახებ, რომ ფილოსოფოსების ტრადიციული პრეტენზია ცოდნის სადავეების ფლობის შესახებ ყოველგვარი კონცეპტუალური ჩარჩოს გარეშე უნდა უარყვოთ. ეს შემდეგნაირად შეიძლება შეჯამდეს, არსებობს საშუალო სივრცე უკიდურეს ლოგიციზმსა და უკიდურეს რელატივიზმს შორის. განათლებისა და რაციონალურობის სტანდარტები არ არის სრულიად დამოუკიდებელი განსაზღვრული მეცნიერული თეორიებისაგან, რომლებიც კუნისეული პარადიგმის სტატუსს უახლოვდება. ან კვლევით პროგრამებს ლაკატოსის კონტექსტში, ისინი ასევე არ არიან სრულად დაქვემდებარებული თეორიაზე. ლარი ლოდანის მიხედვით შინაგან და გარეგან სტანდარტებს შორის პრაქტიკაში ურთიერთკავშირი არსებობს.

ეპისტემოლოგიური დისკურსის სამი ათწლეულის მანძილზე მე შემდეგი აზრი ჩამომიყალიბდა, ორთოდოქსული რწმენა უნივერსალურ, უცვლელ ლოგიკურ „პატერნში“, რომელსაც მეცნიერები ცნობიერად ან არაცნობიერად ადგენენ, კონფლიქტების მოგ-

ვარება მითია. მეცნიერება უფრო „ჰუმანურია“, ვიდრე ლოგიკის კონსტრუქციონისტები ამას აცხადებენ. მეცნიერები ქმნიან რა მეცნიერებას, ადგილს იმკვიდრებენ მასში და გარკვეულ შემოსაზღვრულ სივრცეში იძირებიან. სამყაროების არაპროპორციულობა კი აუცილებელი არ არის. მე ვამტკიცებ, რომ არსებობს სამყაროთა შორისი სივრცე, რაც დიალოგის საშუალებას იძლევა და რაც რაციონალურობის ვიწრო განსაზღვრების მიღმა დგას. ვიდრე შევეხებოდე ამ გადამწყვეტ საკითხს, მოდით, ვნახოთ, რატომ ქმნიან ადამიანები სამყაროებს. ამ კითხვას პასუხი მხოლოდ მოთხოვნილებათა თეორიის კონტექსტში შეიძლება გავცეს.

ცხოვრების საზრისის მოთხოვნილება

მოთხოვნილებათა თეორია წინააღმდეგობებით აღსავსე სფეროა. მასში შეიძლება მოიძებნოს საწინააღმდეგო შეხედულება ყველა ფუძემდებლური საკითხის შესახებ. მოთხოვნილებათა განსაზღვრებიდან დაწყებული – იქნებ მოთხოვნილება განსხვავდება სურვილებისაგან, სად შეიძლება გაივლოს გამყოფი ხაზი? – „მოთხოვნილებათა სისტემის“ ორგანიზებისა და კულტურული საფუძვლების ჩათვლით – არის ეს სისტემა იერარქიული? და რას წარმოადგენს ის – არსებობს თუ არა უნივერსალური მოთხოვნილებები? და თუ ასეა, დავასახელოთ. მე დეტალურ დისკუსიას არ გავმართავ, ნება მიბოძეთ, მიდგომის ზოგიერთ შესაბამის ასპექტს შევეხო განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ამ მიდგომის თანახმად, მოთხოვნილებები სამ კატეგორიად იყოფა – არსებობა, განვითარება და ტრანსცენდენტურობა. ყოფიერების მოთხოვნილება ინდივიდს უვითარებს უნარს შეინარჩუნოს არსებობა ფსიქიკურად და ფიზიკურად (ამ მოთხოვნილებას მყოფადობას უწოდებენ). განვითარების მოთხოვნილება ადამიანში ყოველგვარ პოტენციალს აღვიძებს და წარმართავს მას, ერთი მხრივ, განსხვავებოდეს სხვებისაგან და, მეორე მხრივ, ინტეგრირდეს საზოგადოებაში (კომპლექსური ერთიანობა). ტრანსცენდენტურობა კი ხელს უწყობს ადამიანის ინტეგრირებულობას ბუნებასთან, ღმერთთან და პარტიასთან. ადამიანი საკუთარი ინდივიდუალურობის მიღმა გადაინაცვლებს და ფიზიკურად, მენტალურად და სულიერად ტრანსცენდენტურ სამყაროსთან შედის კონტაქტში.

ამ მოდელში მოთხოვნილებები იზოლირებულ მთლიანობებს არ წარმოადგენენ, ისინი სისტემას ქმნიან. ამ სისტემისათვის დამახასიათებელია დამახულობა, ცვლილებები, დინამიკური ურთიერთქმედებები. მაშინ, როდესაც ფუნდამენტური მოთხოვნილებები უნივერსალურია, მათი დამაკავშირებელი მოთხოვნილებათა სისტემა ცვალებადია სპეციფიკური კულტურული და პიროვნული გარემოებების მიხედვით. განსხვავებას ძირითადი მოთხოვნილებების უნივერსალურობასა და მოთხოვნილებათა სისტემის ცვალებადობას შორის წარმოქმნის ფუნდამენტურ მოთხოვნილებათა ტრანსფორმაცია, რომელიც კულტურისმიერია. მაგალითად, ყოფიერების ფუნდამენტური მოთხოვნილება,

თავისთავად, სხვა მოთხოვნებიც წარმოშობს: მათი რანჟირება ხდება საკვებისა და თავშესაფრის მოთხოვნებიდან გაურკვევლობის აღმოფხვრამდე. მეორე ეტაპზე წარმოქმნილი მოთხოვნები გადაიზრდება სურვილებში.

ჩემს მიერ წარმოდგენილი მოდელის უპირატესობა შემდეგში მდგომარეობს: ამ მოდელს გააჩნია უნივერსალური და მოთხოვნათა კულტურაზე დამოკიდებული ასპექტების ერთ ამხსნელ ჩარჩოში ინტეგრირების უნარი. მოთხოვნებათა სისტემა, რომელიც ერთი და იგივე ბაზისური ელემენტებისაგან შედგება, წარმოდგენილია სხვადასხვა მდგომარეობაში, მათ განსხვავებული შიდა და გარე ფაქტორები აყალიბებს. ზოგიერთი მდგომარეობა იერარქიულ ორგანიზებას გულისხმობს. სხვები უფრო ქსელს წააგავს, ზოგიერთი კი, წონასწორობის სისტემას, არის არაწონასწორობის სისტემებიც. ადამიანის მოთხოვნებათა არქიტექტურის განმსაზღვრელი ფიქსირებული, უნივერსალური პატერნი არ არსებობს.

ათი წელია მოთხოვნებათა თეორიაზე ვმუშაობ, და ვგრძნობ, რომ რაღაც მეტად მნიშვნელოვანი გამოგვრჩა. ვიქტორ ფრანკლის გავლენით, მე ვაღიარებ, რომ მოდელს კიდევ ერთი მოთხოვნა, საზრისის მოთხოვნა უნდა დაემატოს. მაღიმ ეს მოთხოვნა აღწერს, როგორც სიმბოლიზების, წარმოსახვისა და განსჯის ერთობა. მაღის აღწერას მე საინტერესოდ მივიჩნევ. ჩემთვის განსაკუთრებით ნიშანდობლივია მისი მიზანი თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების პათოლოგიების აღწერის შესახებ. მე საზრისის მოთხოვნებს დავახასიათებდი, როგორც თითოეული ადამიანის მოთხოვნებს შექმნას სამყარო და იცხოვროს მასში (ზემოთ წარმოდგენილი სუბიექტური თვალსაზრისით). ყველა ცოცხალ არსებასთან ერთად, ადამიანს სჭირდება გარემო, რომელსაც სიმბოლური საშუალებებით სამყაროდ გადააქცევს.

„მაშინ, როდესაც ვაღიარებთ, რომ ყოველი ქმედება შეიძლება რაღაცას ნიშნავდეს, ჩვენ თავიდან ავიცილებთ ეგზისტენციალურ შეკითხვას, თუ რატომ ვდგებით დილით, ან უფრო მნიშვნელოვანი, რატომ ვაგრძელებთ ცხოვრებას.“ სამყაროები ადამიანის მოთხოვნების საფუძველია.

ახლა კი გავარკვეოთ, თუ რატომ არის ასეთი რთული სამყაროებს შორის არსებული კონფლიქტების რეგულირება. შეიძლება არსებობდეს ალტერნატივა, ცხოვრების საზრისის მოთხოვნების მიღწევის პარალელური გზები არსებობს, თუმცა ისინი შესაძლოა ადამიანმა საფრთხედ მიიჩნიოს. ამ საფრთხის შემცველი პოზიციები კონფლიქტში უფრო მეტად ემოციურია და ნაკლებად რაციონალური კომპრომისისა და მოლაპარაკებაში, ვიდრე კონფლიქტები მატერიალური რესურსების შეზღუდულობისას. რასაკვირველია, ორივე კომპონენტის მომცველი კონფლიქტები, მაგალითად, როდესაც კლასობრივი და ეთნიკური დაპირისპირება ერთმანეთს ემთხვევა, წარმოსადგენად მეტად რთულია, განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც მათი კომპლექსურობის იგნორირებას ან დაკნინებას ვახდენთ. ამ საკითხის საუკეთესო შემთხვევას ზოგიერთი ნეო-მარქსისტის მიდგომა წარმოადგენს სამყაროებსა და ჩარჩოებს შორის არსებულ კონფლიქტთან მიმართებაში.

მეტაფორული დიალოგი

„ძირეული მეტაფორა“ წარმოადგენს ყველა ჰიპოთეზის – ფორმიზმის, მექანიზმის, ორგანიზმის, კონტექსტუალიზმის – საფუძველს, აღნიშნავდა სტეფენ პეპერი მეცნიერების ისტორიაში „მსოფლიო ჰიპოთეზების“ ბუნებაზე საუბრისას. „ძირეული მეტაფორა“ ბუნებრივ ან ადამიანის მიერ შექმნილ საგანს, მანქანას, ორგანიზმს ან ისტორიულ მოვლენას გულისხმობს. 40-იანი წლების შუა ხანებში ჩრდილოეთ ამერიკაში განვითარდა ლოგიკური პოზიტივიზმი, თუმცა ამ ახალი მიმდინარეობისათვის იმდროინდელი საზოგადოებები ჯერ კიდევ არ იყო მზად. ლოგიკური პოზიტივიზმი გაბატონდა მეცნიერების ყველა დარგში. ყველაფრის მომცველი მეტაფორები ინტელექტუალების მიერ მიჩნეულ იქნა, როგორც მეცნიერების საფუძველი. ფაქტობრივად, ცოდნის ყველა დიდი დასავლელი ფილოსოფოსი, რაციონალისტები, თუ ემპირიზმის მიმდევრები, ამგვარი მიდგომის მოწინააღმდეგენი უნდა გამოსულიყვნენ. როლი ტრადიციულად მეტაფორაშია დაფარული და მეტყველების სხვა ფორმებში. პოეზია, ლიტერატურა, რიტორიკა მისი სამყაროა.

ამგვარი მოსაზრებები 60-იანი წლებიდან კრიტიკის საგანი გახდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1962 წელს გამოქვეყნდა მაქს ბლაქის პატარა წიგნი „მოდელები და მეტაფორები“. ამის შედეგად, მეტაფორის კოგნიტური მნიშვნელობა აღიარებულ იქნა და მისი შესწავლა მეცნიერთა დიდმა ნაწილმა დაიწყო. იგი სემინარებისა და დისკუსიების ყველაზე აქტუალურ და პატივცემულ საგნად იქცა, მისით აღფრთოვანებულ და მის მოწინააღმდეგეთა შორის. ამგვარი ხანგრძლივი დებატები ეპისტემოლოგიიდან დაწყებული ყველა სფეროს მოედო განათლებისა და პოლიტიკის ჩათვლით. მეტაფორა აკავშირებს სხვადასხვა დარგებს. ყველა სხვა სფეროს გვერდზე გადავდებ და ამ კონტექსტში განვიხილავ კონფლიქტების დარეგულირების თეორიასა და პრაქტიკას.

მე მინდა შევეხო კონკრეტულ სოციალურ პრობლემასთან დაკავშირებული კონფლიქტური მიდგომის მეტაფორათა ანალიზს. დონალდ შონის მიხედვით, რამდენიმე ძირითად პუნქტს გამოვყოფთ.

შონი მოგვითხრობს ორ ტიპურ ამერიკულ ამბავს (თუმცა ამგვარი ისტორიები სხვაგანაც შეიძლება მოხდეს).

პირველი ისტორია 50-იან წლებში მოხდა. ერთ დროს ჯანმრთელი ქალაქი დაავადდა და დასნეულდა. დამეგემა, უყურებდა რა ქალაქს ამ მომაკვდავ მდგომარეობაში, ცდილობდა მოეფიქრებინა გეგმა, რომლის მიხედვითაც ქალაქი კვლავ თავის სახეს დაიბრუნებდა, უნდა აშენებულიყო ახალი სახლები, სკოლები, ეკლესიები, პარკები, სავაჭრო ცენტრები. მაგრამ ამის მიღწევა შესაძლებელი იყო მხოლოდ მთელი ტერიტორიის ხელახალი დაპროექტებით, გაწონასწორებული და ინტეგრირებული გეგმის საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ტერიტორია კვლავ დასნეულდებოდა.

მეორე მოთხრობის მიხედვით, რომელიც 60-იანი წლებიდან იწყება, „სლამი“ იგივე მნიშვნელობას აღარ ატარებს. „სლამები“ სილატაკის ადგილს წარმოადგენს. თუმცა ვესტ ენდი და ნორს ენდი ბოსტონში, ან ისტ ვილიჯი ნიუ იორკში ყველაზე დაბალშემოსავლიანი რაიონებია, ისინი თავის რეზიდენტებს სთავაზობენ ფორმალურ

სერვისს და არაფორმალურ მხარდაჭერას, რაც იწვევს კომფორტისა და კუთვნილების შეგრძნებას. ამოცანა ამ რაიონების ხელახლა დაპროექტებასა და აშენებაში კი არ მდგომარეობს, არამედ მათ გამაგრებასა და რეაბილიტაციაში.

მეტაფორების ასახვისას შონი ხაზს უსვამს ორ მოთხრობას: „ურბანული ვითარება დანახულია, როგორც სენი, რომელიც უნდა განიკურნოს, იგი საფრთხეს უქმნის მოსახლეობას, რომელიც უნდა იქნას დაცული და აღდგენილი.

რასაკვირველია, ეს ორი მეტაფორა ერთი და იმავე ფაქტის კონფლიქტურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს, ასევე დაგეგმარებისა და მოქმედების სხვადასხვა კურსის გატარებას. ბევრ შემთხვევაში ამ კონფლიქტური ჩარჩოების ინტეგრირება არ ხერხდება. გადაწყვეტილება ხშირად გულისხმობს, რომ თუ ჩარჩოები (სამყაროები), ზემოთ ნათქვამის მიხედვით, მეტაფორებშია ფესვგადგმული, ჩარჩოს ანუ სამყაროს დიალოგი გულისხმობს მეტაფორულ დიალოგს. საინტერესოა ამგვარი დიალოგის ბუნება. უნდა ვაღიარო, რომ ამ საკითხზე მრავალი წლის მუშაობის მიუხედავად, ზოგადი თეორიის დადგენა გამძაბრდა. მხოლოდ ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით შევძელი აზრის განვითარება. მე მოკლედ შევეხები ზოგიერთ ამ შემთხვევათაგანს, იმ იმედით, რომ ის მეტაფორული დიალოგის შესახებ რაიმე წარმოდგენას შეგვიქმნის.

მაგალითი, რომელიც მე ავირჩიე, წარმოადგენს ფსიქოლოგიური თეორიის შექმნაში სივრცითი მეტაფორის მნიშვნელობას. ფაქტობრივად, სივრცითი ორიენტაციის პოლარობები (ზემოთ-ქვემოთ, შიგნით-გარეთ, მარჯვნივ-მარცხნივ, წინ-უკან, ცენტრი-პერიფერია) მეტაფორის საფუძველს წარმოადგენს, რაც მრავალ ჩვენს ორდინალურ კონცეფციას აყალიბებს. მაგალითად, ზემოთ-ქვემოთ პოლარობა, როგორც ლაკოფი და ჯონსონი გვიჩვენებენ, გვთავაზობს მეტაფორულ საფუძველს მრავალი კონცეპტუალური სფეროსათვის, დაწყებული ჯანმრთელობიდან და სიცოცხლიდან, ავადმყოფობიდან და სიკვდილიდან (ლაზარე მკვდრეთით აღდგა; ის დასნეულდა), დასრულებული კეთილშობილებითა და ბოროტებით (ის არაჩვეულებრივია, მას შეუძლია მარგოს მე).

გავეცნოთ ფსიქოლოგიის თეორიაში სულ ცოტა სამი ორიენტაციული მეტაფორის (ზემოთ-ქვემოთ. მარცხნივ-მარჯვნივ, ცენტრი-პერიფერია) როლს. დასავლურ ფსიქოლოგიაში ზემოთ-ქვემოთ მეტაფორა ხშირად გამოიყენება. არ არის გასაკვირი, დასავლურ კულტურაში ვერტიკალური ხაზი ანუ ზემოთ-ქვემოთ მიმართებები დომინანტურია. ყველა სივრცითი მეტაფორა გამოცდილებისა და ფსიქიკურ საფუძველს ემყარება, ანუ სხეულის ორიენტაციას სივრცეში. თითოეულ კულტურას ორიენტაციები და კონცეფციები გააჩნია, რომლებიც ძირითადი მეტაფორების მხარდაჭერას უზრუნველყოფენ.

დავიწყოთ ვერტიკალური მეტაფორის გაანალიზებით, ფროიდის წმინდა ფსიქოლოგიური მოდელი, დეტალურად აღწერილი „სიზმრების ინტერპრეტაციაში“, ამგვარი მეტაფორის ილუსტრაციას წარმოადგენს. ფროიდი „ფსიქიკურ აპარატს“ ზემო, ცნობიერ და ქვეცნობიერ და ქვემო, არაცნობიერ დონეებად ყოფს. როგორც ვიცით, იგი ხარისხობრივი განსხვავების ხაზს ავლებს მოცემულ ორ დონეს შორის, მაშინ, როდესაც ზემო დონე არის კოგნიტური ფუნქციების სფერო, მასში გაერთიანებულია აღქმები და იდეები, ქვემო დონე ინსტინქტებისა და სურვილების დომენია.

დრო, ლოგიკა, მიზეზშედეგობრიობა, ფროიდის მიხედვით, ამ სფეროში არ არსებობს. ეს მოდელი ზემო და ქვემო ძირეული მეტაფორისა და პოსტულატის წყვეტილობის კომბინაციას წარმოადგენს.

მათ შორის, როლებიც ზემო-ქვემო მეტაფორაშია, (რაც ეწინააღმდეგება ფროიდის დიალოგს), ჩვენ ორი ქვეჯგუფის გამოჩენა შეგვიძლია, ისინი, რომლებიც სისტემას ქვემოდან უყურებენ და ისინი, რომლებიც მას ზემოდან აკვირდებიან. კოგნიტური ფსიქოლოგია და ხელოვნური ინტელექტი პირველ ქვეჯგუფში თავსდება, ურთიერთ-დაკავშირებულები დამატებითი მეტაფორით ერთიანდებიან: გონების კომპიუტერული მოდელი. ეს მოდელი ბუნებრივად ერგება აბსტრაქტულ აზროვნებას, პრობლემის გადაწყვეტასა და მაღალ მენტალურ შესაძლებლობებს, იგი ვრცელდება დაბალ კოგნიტურ ფუნქციებზე ალქმა - მეხსიერება, და უფრო ღრმა მენტალურ პროცესებზე, წარმოსახვა, სიზმრები და ა.შ. ამ მოდელის პერსპექტივიდან გამომდინარე ფროიდის თეორიით რეინტერპრეტირებულია კომპიუტერისმაგვარი ინფორმაციული პროცესის მიდგომა.

ქვემოდან თუ შევხედავთ სისტემას, ჩვენ უნდა ვახსენოთ ზოგიერთი კოგნიტური ფსიქოლოგი, რომლებიც აკრიტიკებენ მათ კოლეგებს პრობლემის გადაწყვეტისა და მოქმედების მაღალი სტანდარტების ვითარებაში გამოყენებისათვის, როგორც ექსკლუზიური მონაცემთა ბაზა. ულრიხ ნაისერი (მეორე ეტაპზე), ჯონ ბრანსფორდი და ვალტერ ვეიმარი ამ ტიპის კოგნიტურ ფსიქოლოგებს წარმოადგენენ. ვეიმარი, მაგალითად, იცავს ტექნიკური შესაძლებლობების გამოყენებას (და არა აბსტრაქტულ აზროვნებას) გონების, როგორც მთელის გაგებისათვის.

თუ ცენტრისა და პერიფერიის მეტაფორას მიუბრუნდებით, მილტონ როკინი რწმენათა სისტემის არაჩვეულებრივი წარმომადგენელია. ამ მოდელის მიხედვით, „დაკავშირებულობა“ არის ხარისხი, რომელიც განსაზღვრავს რწმენათა სისტემაში რწმენების ადგილს: რაც უფრო დაკავშირებულია რწმენა, უფრო ცენტრალურია და, პირიქით.


რწმენათა სისტემა ახალ ინფორმაციას იღებს, ის, თუ რა ხდება მაშინ, როკინის ცენტრალურ-პერიფერიული მოდელის მიხედვით აიხსნება. ხდება ინფორმაციის ყურადღებით გადამოწმება, რათა განისაზღვროს სისტემასთან მისი შესატყვისობა. თუ შესატყვისია, სისტემაში მისი პირდაპირი ინკორპორაცია დასაშვებია, მაგრამ წინააღმდეგ შემთხვევაში უარყოფითი რეაქცია ჩნდება, რომლის მიზიდულობა ახალი რწმენის ძირითადობის უკუპროპორციულია. კოგნიტური სტრატეგიები ძირითად რწმენებთან შეუსაბამობის შემთხვევებში წარმოადგენს ან უარყოფას (ინფორმაცია მცდარად, ან შეუსაბამოდ ცხადდება), ან რეინტერპრეტაციას (რათა შემცირდეს მისი შეუსატყვისობის ასპექტები) და ფაქტების არადეფორმირებას, რაც მას ადგილს პერიფერიაში მიუჩენს. ჩვეულებრივ, ერთ-ერთი ამ სტრატეგიის გამოყენება ამცირებს რწმენათა სისტემაში შეჭრილი კოგნიტური დისონანსის წარმოშობას. არსებობს მნიშვნელოვანი ინდივიდუალური განსხვავებები ამ მიმართებით. ერთ ბოლოში არიან ადამიანები, რომელთა რწმენათა სისტემა უცვლელი რჩება პერიფერიული რეგიონების მიღმა („დახურული გონება“, თუ როკინის ტერმინს გამოვიყენებთ) და მეორე ბოლოში - ადამიანები, რომელთაც აკლავთ მკაცრი კოგნიტური თავდაცვის მექანიზმები და შეუძლიათ შეცვალონ ძირითადი რწმენები („გახსნილი გონება“). ამგვარი ცვლილებები უკიდურესად ძნელია, რადგანაც

ცვლილება გულისხმობს რწმენათა სისტემის გარდაქმნას, და შესაბამისად, პიროვნული სამყაროს სახეცვლას.

დაბოლოს, მოკლედ შევეხოთ მარჯვენა-მარცხენა მეტაფორებს, რომლებიც პოპულარული გახდა როგერ სპერისა და ჯოზეფ ბოგენის კვლევების შემდეგ ტვინის ორ ნახევარსფეროს შორის ფუნქციური განსხვავებების შესახებ. ნახევარსფეროებს შორის განსხვავება ხსნის არა მარტო ინდივიდუალურ ქმედებებს, არამედ სოციალურ ორგანიზაციის, ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ სტილს და ა.შ. ერთი პერიფერიისადმი ცალმხრივი მიდგომა განათლებაში, სოციალური ინსტიტუტების ფორმირებაში, ხელოვნებასა და ლიტერატურაში ძირითადი მიმართულებების არსებობაში ცალმხრივი აქცენტების საფუძველია. ნათელია, რომ კავშირი ტვინის განსხვავებულ ნახევარსფეროებსა და სხვადასხვა სფეროებში არსებულ მრავალფეროვნებას შორის მიზეზშედეგობრიობის მიხედვით შეფასდეს, ეს მეტაფორული კავშირია.

ავსახეთ დასავლურ ფსიქოლოგიაში გაბატონებული სამი სამყარო, ანუ ჩარჩო და მათთან შესაბამისი ძირეული მეტაფორა, ახლა ნება მიბოძეთ, გამოვიკვლიო რა მოხდება, თუ ჩართული მხარეები, საკუთარ მეტაფორაში ჩაკეტივის ნაცვლად, სხვა მხარეებთან შევლენ დიალოგში. მაშინ ახალი ტიპის სწავლების პროცესი იწყება, რაც ბრმა, არაფრისმომცემი კონფლიქტის შეცვლას გამოიწვევს. (დამატებითი ოპოზიცია ინ/იანის ტიპის). იმისთვის, რომ ვაჩვენო ეს, მე მოკლედ წარმოგიდგენთ თუ რას სწავლობს თითოეული პერსპექტივა დანარჩენების შესისხლხორცებით.

* observational language (ობზერვაციული ენა)



კომბინირებული სამი მეტაფორა, რომლებიც პერსონალურ სისტემას წარმოადგენს.

1. ზედა-ქვედა მიდგომა რას სწავლობს მარცხენა-მარჯვენა მიდგომისაგან? პასუხი ამგვარი შეიძლება იყოს, ზედა ცნობიერ ღონეს ანდა ქვედა არაცნობიერ ღონეს მარცხენა და მარჯვენა მხარეები აქვს და ამ განსხვავებების შესწავლაა სწორედ არსებითი ჩვენთვის. ამას კი, თავისთავად მივყავართ: პირველი, ცნობიერების აქტივობების ტიპებსა და მათ პერსპექტიულ ენებს შორის (ციფრული ანალოგიურის პირისპირ) ფსიქოლოგიურ განსხვავებებზე აქცენტის გადატანაზე (მაგალითად მეცნიერება ხელოვნების პირისპირ) და მეორე, არაცნობიერი აქტივობების ტიპებთან (მაგალითად, ონეირიკული და ვერბალური, როგორც ექსპერიმენტული სიზმრების კვლევაშია მოცემული).
2. რას სწავლობს მარცხენა - მარჯვენა მიდგომა ქვედა და ზედა მიდგომისაგან? პასუხი ამ შემთხვევაში ამგვარი იქნება: პირველ რიგში, მარცხენა-მარჯვენა გამორჩეული განსხვავებები ემატება ცნობიერებასა და ცოდნას, მეორე, ვაწესებთ საზღვრებს მარცხენასა და მარჯვენას შორის. ჩვეულებრივ, ზედას ქვემოთ, ნერვული სისტემის უფრო ახალი (ევოლუციური პირობებით) სექციებია, რომელთა შორის არ არის ამგვარი განსხვავებები.
3. ზედა-ქვედა და მარცხენა-მარჯვენა მიდგომები რას სწავლობენ ცენტრი-პერიფერიისაგან? ისინი მკვეთრად განსხვავებული არიან, როდესაც იმყოფებიან პერიფერიულ სისტემაში და რაც უფრო უახლოვდებიან ცენტრს, ერთმანეთში ირევიან.
4. რას სწავლობს ცენტრი-პერიფერია მიდგომა დანარჩენი ორი მიდგომისაგან? პასუხი ამგვარია, არ არსებობს მხოლოდ ერთი პერიფერია, ოთხი პერიფერია გვაქვს, თითოეული მათგანის მიმართება ცენტრთან თავისებურია.

კითხვების ზემოთ მოცემული სია მხოლოდ ფსიქოლოგიის თეორიაში იძენს მნიშვნელობას. ფაქტობრივად, მას შეიძლება მიემართოს სხვადასხვა სფეროებში, რომელთა ორიენტაციული მეტაფორები წამყვან როლს თამაშობს თეორიის შექმნაში. მაგალითად, სოციალურ და პოლიტიკურ თეორიებში მარქსიზმი, განდიზმი და ანარქიზმი ზედა-ქვედა, ცენტრი-პერიფერია და ჰორიზონტალური მიდგომების გამოვლინებაა, ეპითემოლოგია - იერარქიულობის, ქსელური ჰოლისტური მიდგომები წარმოადგენენ კოგნიტური სისტემატიზაციის ალტერნატიულ მოდელებს.

რასაკვირველია, ზემოთ წარმოდგენილი პატარა ნუსხა საჭიროებს შემდგომ მუშაობას. ორიენტაციული მეტაფორების შემთხვევა უფრო კომპლექსურ მეტაფორებთან შედარებით, რომლებიც თეორიას ქმნიან, გაცილებით მარტივად გამოიყურება. რა შემთხვევაც არ უნდა იყოს, მისი მიზანია მეტაფორული დიალოგის მნიშვნელობა შეგვასხენოს, როგორც სწავლის პროცესის. თითოეული პერსპექტივა დიალოგში შესვლასთან ერთად მდიდრდება, ამისათვის არ არის სავალდებულო ახალი პასუხები, საკმარისია ახალი კითხვების ინკორპორირება. ეს პროცესი არ გულისხმობს მაინცა და მაინც პროგრესს პრობლემის გადაწყვეტაში, ის პრობლემის დასმას გულისხმობს.

პროგრესი აუცილებელია სამყაროსა და ჩარჩოებს შორის კონფლიქტების გადასაწყვეტად, ეს ფაქტობრივად, sine qua non პირობაა გადაწყვეტის ან კონსტრუქტიული რედეფინიციისათვის.

მეტაფორული დიალოგი გვაძლევს სრულ შესაძლებლობას მეტაფორის, როგორც აზროვნების „კონდენსირებული“ ფორმის ევრისტიკული შესაძლებლობებით სრულად დაგეგმილი, ამავე დროს გვეხმარება დავძლიოთ ჩვენი საკუთარი მეტაფორის მიერ თავსმოხვეული შეზღუდული შეხედულებები. მეტაფორის ლოგიკის შექმნას და არალოგიკურობის განვითარებას მძიმე მუშაობა და შინაგანი ჭვრეტა სჭირდება. დასაწყისისათვის ჩემთვის ნათელი ხდება, რომ ის კლასიკური ლოგიკის ალტერნატივას არ წარმოადგენს, არასტანდარტული ლოგიკის სისტემების პრეტენზიების თვალსაზრისიდან გამომდინარე. პირიქით, „მეტაფორის ლოგიკა“ სამყაროსა და ჩარჩოებს შორის დიალოგსა თუ კონფლიქტის შემთხვევაში ჭეშმარიტად დამხმარე ანალიტიკურ, ლოგიკურ და განსაკუთრებით საჭირო ინსტრუმენტს წარმოადგენს. კათოლიკე ფორსაიტი არაჩვეულებრივად აღწერს დამხმარე ლოგიკას, როგორც გონების არქიტექტურასა და ინჟინერიას:

„სწავლების შესახებ ახალ შეხედულებებს შორის არსებული ფუნდამენტური განსხვავებები წარმოადგენს ადამიანის გონებისეულ სამყაროს ხედვას, რომელიც ანალოგიურ აზროვნებას, როგორც გონების არქიტექტურას და ანალიტიკურ აზროვნებას, როგორც გონების ინჟინერიას მოიაზრებს... მეტა დიზაინი დაფუძნებულია არა ჰიპოთეზებსა და სილოგიზმზე, არამედ ანალოგიასა და ურთიერთობებზე, რაც ფორმას საშუალებას აძლევს ძირეული ლოგიკიდან იდეის მორფოგენეზამდე განვითარდეს.“

ბოლოსიტყვაობა და დასკვნა

როგორც დასაწყისში იყო აღნიშნული, ეს თავი კონფლიქტებს ეხებოდა, რომლებიც წარმოიქმნება განსხვავებულ (სუბიექტურ) სამყაროსა და ჩარჩოებს შორის. განსხვავებით ჩარჩოებისა და სამყაროების შიგნით არსებული წინააღმდეგობები-საგან, ამგვარი კონფლიქტების ნებისმიერი სახის ანალიზი მხოლოდ საწინააღმდეგო ინტერესების, არგუმენტების ფაქტებისა და/ან ლოგიკის შესახებ უთანხმოების შედეგია და მხარეები შეუსაბამო და არასრული მიმართებებით არიან შეზღუდული. მიჩნეულია, რომ თავისი ბუნებით სამყაროსა და ჩარჩოებს შორის კონფლიქტები ნაკლებად ტრადიციულ ანალიტიკურ საშუალებებს საჭიროებენ (მაგალითად, ძირითადი მეტაფორების კვლევა, რომლებიც თითოეული მხარის ხედვასა და მათი ქცევის მოდელს განსაზღვრავს).

კულტურებსა და ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებული დაპირისპირებები სამყაროსა და ჩარჩოებს შორის კონფლიქტების ნათელი მაგალითებია. ადამიანები ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ცხოვრობენ, მაგრამ სხვადასხვაგვარად წარმოიდგენენ ტერიტორიის „მოხაზულობას“. მეორე მხრივ, არსებობს ადამიანთა საქმიანობის იმგ-

ვარი სფეროები, რომლებშიც ამ ტიპის კონფლიქტები არ წარმოიქმნება. მეცნიერების შემთხვევაში, მისი ორთოდოქსული სახისმეტყველების მიხედვით, უნივერსალური ენა და მეთოდი, რაც აღემატება მეცნიერთა იდეოსინკრეტულ დახასიათებას, ყოველთვის იძლევა საშუალებას მიღწეულ იქნეს სარისკო პრობლემის საერთო განსაზღვრება და სავარაუდო გადაწყვეტის შესაძლებლობის შესახებ გაზიარებული მსჯელობა. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, მეცნიერება „ერთი სამყაროს შიგნით“ არსებული საქმიანობაა.

გავაანალიზოთ კუნისა და სხვა მეცნიერების მიმართებები მეცნიერების ორთოდოქსული სახისმეტყველების შესახებ, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ამგვარი სახისა და მის რადიკალური კრიტიკოსების საწინააღმდეგოდ, მეცნიერული წარმოების ბუნება გვთავაზობს, როგორც სამყაროებს შიგნით, ასევე სამყაროებს შორის კონფლიქტების არსებობის შესაძლებლობას. თუ ეს ასეა მეცნიერების შემთხვევაში, სოციალური ურთიერთობის არც ერთი ფორმა არ შეიძლება აპრიორი გამოცხადდეს სამყაროებსა და ჩარჩოებს შორის კონფლიქტისაგან გათავისუფლებულად. როგორც ზემოთ ვახსენეთ, ამგვარი კონფლიქტები არატრადიციულ ანალიტიკურ საშუალებებს საჭიროებენ, მაშინ წარმოდგენილი დასკვნა შეესატყვისება კონფლიქტის ანალიზსა და თეორიის გადაწყვეტას.

მცირედი განსხვავება და არა წინააღმდეგობა საკმარისია კონფლიქტის გასაღვევლად, ეს სამყაროებსა და ჩარჩოებს შორის კონფლიქტის დამახასიათებელი ნიშანია. იმისათვის, რომ ავხსნათ ეს ნიშანი, წარმოვიდგენთ მოთხოვნილებათა თეორიის კონტექსტში მცირე წინადადებას. სამყაროებსა და ჩარჩოებს შორის კონფლიქტი ცხოვრების საზრისის მოთხოვნილებას ბადებს. თითოეული განსხვავებული სამყარო ჩვენს საკუთარ სამყაროს, ცხოვრების საზრისსა და მყოფადობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. ამგვარი განსხვავებები ღრმა ძირეული კონფლიქტის საფრთხეს აჩენს. სამყაროებისა და ჩარჩოების კონფლიქტი ანალიზისა და გადაწყვეტის რაციონალური მეთოდის მიღმა რჩება. ამგვარმა მოსაზრებამ ჯერ კიდევ კუნთან და ფოკუსთან გაიჟღერა, როდესაც საუბარი იყო პარადიგმებსა და ეპისტემებს შორის შეუსაბამობაზე, ამის მაგალითი იყო სეპირ-უორფის აზროვნების ლინგვისტური გამოხატვის თეზისიც. ამ პოზიციის საწინააღმდეგოდ, სამყაროებისა და ჩარჩოების კონფლიქტი მისაწვდომია რაციონალური მეთოდებისათვის, „რაციონალობის ცნება ვიწრო კარტეზიანულ გაგებას სცილდება. ეს გულისხმობს მეტაფორის, არა მხოლოდ რიტორიკულ და პოეტურ, არამედ კოგნიტურ საშუალებად გამოყენებას. მაგალითი დეტალებშია წარმოდგენილი, რაც საშუალებას გვაძლევს ვიხილოთ, როგორ უწყობს ხელს „მეტაფორული დიალოგი“ სწავლების პროცესის განვითარებასა და სამყაროებისა და ჩარჩოების კონფლიქტის გადაწყვეტის შესაძლებლობას.

კარგი იქნება, თუ ამ თავს დავასრულებთ სამყაროებისა და ჩარჩოების კონფლიქტების გადაწყვეტის ეტაპების წარმოდგენით, რომლებიც ზემოთ აღნიშნული დისკუსიიდან გამომდინარეობს.

ეტაპი 1: პრიმიტიული კონფლიქტი

ამ ეტაპზე თითოეული მხარე მეორეს უკიდურესად უარყოფითად ახასიათებს: მცდარი, უსამართლო, ამორალური, და ა.შ. ნამდვილი დიალოგის გამართვა შეუძლებელია, რადგანაც არ არსებობს ორმხრივი ნდობა. კონტექსტიდან გამომდინარე, ადგილი აქვს განსხვავებული ტიპის შემთხვევებსა და სისტემატურ ძალადობას. „სხვას“ ერთმევა არსებობისა და მყოფადობის უფლება.

ეტაპი 2: თანაარსებობა

ამ ეტაპზე, აღიარებულია მეორე მხარის არსებობის უფლება, თუმცა კვლავ იგრძნობა ორმხრივი ნდობის ნაკლებობა. თანაარსებობის შედეგად ოპონენტის ფიზიკური და მორალურ-ზნეობრივი სიძლიერე ბადებს აგრესიისა და თვითგანადგურების რისკს. თუმცა, ამ ეტაპის უფრო განვითარებულ საფეხურებზე ჩნდება დიალოგის, როგორც სასარგებლო ქმედების, გაცნობიერების შეგრძნება.

ეტაპი 3: დიალოგი

ამ ეტაპზე, თითოეული მხარე მზადაა დიალოგში შევიდეს მეორესთან, ეს ხშირად მესამე მხარის დახმარებით ხდება, მას ფასილიტატორი მხარე ეწოდება. კოგნიტური თვალსაზრისიდან გამომდინარე, „ნამდვილი დიალოგი“ გულისხმობს თითოეული მხარის უნარს, აღიქვას მეორე მხარის მეტაფორა და რაღაც ისწავლოს მისგან. ორმხრივი შეკავებასა და უნდობლობას ეტაპობრივად ცვლის მეორის მოთხოვნების გაგებაზე დაფუძნებული დიალოგი და მათი წარმოჩინების გზები.

ეტაპი 4: რესტრუქტურირება

ეს უმაღლესი ეტაპია კონფლიქტების გადაწყვეტაში. თითოეული მხარე იწყებს თანამშრომლობას, იქმნება ახალი ჩარჩო. ეს არ გულისხმობს, რომ კონფლიქტი დასრულდა, მაგრამ კონფლიქტის ძველი პრიმიტიული ფორმები აღარ არსებობს. კონფლიქტების ახალი ფორმები შესაძლოა წარმოიშვას და კონფლიქტების გადაწყვეტის ახალი ციკლები განვითარდეს.

სამყაროსა და ჩარჩოების კონფლიქტები ურთულესი კონფლიქტებია. სიძულვილსა და ძალადობაში მათი გადაზრდა მეტად ადვილია. თუმცა, მათში დიდია შეცდომის პოტენციალი.

მათი ბუნებისა და დინამიკის გაგება საშუალებას მოგვცემდა, დაგვეკავშირებინა მათში ჩადებული ენერგია პოზიტიურ შემოქმედებით ფორმებთან. თეორეტიკოსთა და პრაქტიკოსთა ერთობლივმა მუშაობამ შესაძლოა სერიოზული შედეგი გამოიღოს ამ მიმართულებით.

ომი საშინელებაა 9



გოსლაბ-შმაზის კონცერნი
ГОСЛАБ - SHMAZI Cooperation

War is horror 9



მედიის როლი კონფლიქტების გადაწყვეტასა და მშვიდობის მშენებლობაში

თინათინ ასათიანი

მშვიდობის მშენებლობის კონცეფცია მნიშვნელოვნად ეფუძნება კონფლიქტების მოგვარების, მართვის, თეორიასა და პრაქტიკას. მშვიდობის მშენებლობის სფეროში მომუშავე მეცნიერები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იმის გარკვევას, რა არის მშვიდობა და რა იწვევს ომს, აგრეთვე კონფლიქტის, ძალადობის პროცესების ანალიზს და იმას, თუ რა როლი აქვთ არასამთავრობო ორგანიზაციებს, სამოქალაქო საზოგადოებასა და მედიას არაძალადობრივი, სამშვიდობო პროცესების განვითარებაში.

მშვიდობის ცნება არაძალადობასთანაა ასოცირებული. თუმცა მშვიდობას ვერ განვსაზღვრავთ, როგორც მხოლოდ ძალადობის, ან ომის საპირისპირო ცნებას. იგი ბალანსის, სტაბილობისა და, ამაღდროულად, განვითარების რთული, პოზიტიური მდგომარეობაა. სწორედ ამიტომ, მშვიდობა გულისხმობს არა უმოქმედობას ან პასიურობას, არამედ პირიქით - მუდმივ აქტიურობას მისი შენარჩუნებისათვის.

მშვიდობაზე ორიენტირებული მედია მშვიდობის მშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. დასავლეთის ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც სამშვიდობო მედიის მნიშვნელობა კონფლიქტების თავიდან არიდებასა და პრობლემების არაძალადობრივ გადაწყვეტაში დღითიდღე იზრდება, ჩვენში მისი პოტენციალი არ არის სათანადოდ შეფასებული და ამოქმედებული. ამ სფეროში არსებული ცოდნისა და გამოცდილების გადახედვა და გააზრება, ახალი იდეების განვითარება, უდაოდ კონფლიქტების მოგვარების ხელშეწყობასა და მშვიდობიანი ცხოვრების უზრუნველყოფას ემსახურება.

კონფლიქტური სიტუაციები მრავალგვარია, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში მედიის მიერ გავრცელებული შეტყობინებები დიდ გავლენას ახდენს პროცესების შემდგომ განვითარებაზე. მნიშვნელოვანია, რას იტყვის ჟურნალისტი და რას გამოტოვებს, რომელ წყაროს დაეყრდნობა, და რამდენად მოახერხებს თავის რეპორტაჟებში ჟურნალისტური ეთიკის პრინციპების დაცვას.

სამშვიდობო ჟურნალისტიკა ორიენტირებულია იმაზე, რომ მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, შეძლებისდაგვარად, ობიექტური იყოს. იგი საზოგადოებას სთავაზობს ინფორმაციის ალტერნატიულ წყაროებს, ავრცელებს ისეთ ინფორმაციას,

რომელიც ასუსტებს ომის მედიის შეტყობინებებს, ცდილობს ისეთი ალტერნატიული თვალსაზრისების მიწოდებას, რომელიც ხელს უწყობს გამწვავებული პრობლემების მშვიდობიანი გადაწყვეტისაკენ შემობრუნებას. იგი ცდილობს უზრუნველყოს გახსნილი კომუნიკაცია, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია სტაბილურობისა და წესრიგის აღსადგენად. სამშვიდობო ჟურნალისტიკის აქტიური მონაწილეობა კონფლიქტების თავიდან არიდებაში, მათ დარეგულირებასა და გადაჭრაში დღითიდღე მატულობს.

ტერმინი - სამშვიდობო ჟურნალისტიკა (Peace Journalism) ეკუთვნის იოჰან გალტუნგს, ნორვეგიელ მეცნიერს, პროფესორს მშვიდობის დარგში და მშვიდობისა და განვითარების ქსელის (TRANSCEND-ის) დირექტორს. ეს ტერმინი მან პირველად გამოიყენა 1970-იან წლებში. გალტუნგი აღნიშნავდა, რომ „ომის ჟურნალისტიკის“ (War Journalism) მიერ გამოთქმული მოსაზრებები დიდადა დაფუძნებული და წააგავს „სპორტის ჟურნალისტიკის“ (Sport Journalism) მოსაზრებებს, სადაც ფოკუსირება ხდება გამარჯვებაზე, როგორც ერთადერთ შესაძლო გზაზე თამაშში ნულოვანი ჯამით, სადაც ერთი მხარე იგებს/იმარჯვებს, ხოლო მეორე, აუცილებლად მარცხდება. ამის სანაცვლოდ, გალტუნგმა გააკეთა შემდეგი შემოთავაზება: სამშვიდობო ჟურნალისტიკა უნდა ჰგავდეს კარგ „ჯანმრთელობის ჟურნალისტიკას“, სადაც კორესპონდენტი აღწერს, თუ როგორ ებრძვის პაციენტი მიმდინარე დაავადებას. იგი გვესაუბრება ამ დაავადების მიზეზებზე - მის სასიცოცხლო ციკლზე, გარემოზე, გენეტიკურ საფუძველზე და ა.შ., და ამავე დროს, გვისახავს მკურნალობისა და თავიდან არიდების შესაძლო საშუალებების სრულ სპექტრს.

„სამშვიდობო ჟურნალისტიკა არის ამბების თხრობისა და ასახვის უფრო სრული, თანმიმდევრული გზა, კონფლიქტის ანალიზისა და ტრანსფორმაციის ფრთხილი ამოწევა, გაგება. ეს მიდგომა ავლენს ახალ მიმართებებს/კავშირებს ჟურნალისტებს, მათ წყაროებსა და იმ ამბებს შორის, რომელზეც ისინი საუბრობენ, ჟურნალისტების მოღვაწეობის შედეგებზე, ჟურნალისტური ჩარევის ეთიკაზე“ (Annabel McGoldrick and Jake Lynch, “Peace Journalism, How To Do It”, 2000).

ის, თუ რამდენად აქვს უნარი ჟურნალისტს იმუშაოს მშვიდობის და არა ომის ხელშესაწყობად, დიდად არის დამოკიდებული მის პროფესიონალიზმზე, რადგან თავად იმ მოთხოვნებში, რასაც ჟურნალისტიკა უყენებს ამ სფეროში მომუშავე პროფესიონალს, თავისთავად დევს მთელი რიგი პუნქტებისა, რომლებიც პირდაპირ ეხმაურება იმას, რომ მათ შეატყობინონ ადამიანებს სიმართლე, ზიანის მიყენების გარეშე. მაგალითად, არსებობს სრულიად გარკვეული რჩევები იმისათვის, რათა ხარისხიანად მომზადდეს ახალი ამბები. მათ შორისაა ისეთი პუნქტები, როგორიცაა – “ისაუბრეთ კონკრეტულზე”, “ნუ გამოიყენებთ სტერეოტიპებს” და ა.შ., რაც უმნიშვნელოვანესია სამშვიდობო ჟურნალისტიკისათვისაც; ან, მაგალითად ის, რომ კარგი ჟურნალისტი პრობლემური სიტუაციის ანალიზისას არ დარჩება მოვლენების ზედაპირზე და სხვა მრავალი.

ამავე დროს, არსებობს გარკვეული ქმედებები, კონკრეტული ხერხები, რომელთა გამოყენებაც ჟურნალისტს სჭირდება, ერთი მხრივ, თავისი პროფესიული საქმიანობის წარმატებული განხორციელებისათვის, და მეორე მხრივ, იმ პირობებიდან თუ სირთულეებიდან გამომდინარე, რაც მას კონფლიქტზე, ან კონფლიქტის ზონაში მუშაობისას ხვდება. ეფექტური კომუნიკაცია, მოსმენა, კონფლიქტის ანალიზი, დაპირისპირებულ მხარეთა თვალსაზრისის მიუკერძოებელი წარმოჩენა, პრობლემების ერთობლივი გადაწყვეტა, კრეატიულობა და ა.შ. მედიის მუშაკისაგან მნიშვნელოვან ცოდნასა და

უნარ-ჩვევებს მოითხოვს.

კონფლიქტურ ზონაში მომუშავე ნებისმიერი პროფესიონალისთვის, რომელსაც არ სურს გახდეს დაპირისპირების, შუღლის, სისხლისღვრის ხელშემწყობი, ამგვარი ცოდნა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ხოლო, თუ ეს ადამიანი, ამავედროულად, თვითონაა კონფლიქტური ზონიდან (რაც ჩვენს სინამდვილეში ხშირია) – ამოცანის სირთულე ორმაგდება.

სამშვიდობო ჟურნალისტიკა, მასთან დაკავშირებული წარმატებები და პრობლემები, მისი წვლილი და პასუხისმგებლობა, მისი პოტენციალი და რესურსები – აი, ის საკითხები, რისი განხილვა და გააზრებაც მნიშვნელოვნად წაადგება მედიის მუშაობას და იმოქმედებს სამშვიდობო პროცესების განვითარებაზე.

მედიის როლი ერთნაირად მნიშვნელოვანია კონფლიქტამდე, კონფლიქტის დროს და კონფლიქტის შემდეგაც: კონფლიქტამდე – კონფლიქტის თავიდან არიდების მიმართულებით; კონფლიქტის დროს – მოვლენების ობიექტური გაშუქების თვალსაზრისით; და კონფლიქტის შემდეგ – საზოგადოების მხარდაჭერისა და განვითარებისათვის, რათა ადამიანებმა სწორად შეაფასონ მოვლენები და გამოვიდნენ იმ უძძიმესი მდგომარეობიდან, რომელშიც ომის შედეგად აღმოჩნდნენ. წარსული ტრაგედიების მოშუშებას და უკეთესი მომავლის წარმოსახვას ძალუძს კონსტრუქციული ქმედებების გაძლიერება აწყოში.

მედიას შეუძლია კონსტრუქციული განვითარების ხელშეწყობა, თუმცა ცნობილია არა ერთი შემთხვევა, როდესაც მან, ნებით თუ უნებლიეთ, გაამწვავა ესა თუ ის პრობლემური სიტუაცია.

“ჩვენ გვჯერა, რომ ნებისმიერი ქმედება არსებული ან პოტენციური კონფლიქტის შიგნით, თუ მის ირგვლივ, ზემოქმედებას ახდენს ომსა და მშვიდობაზე”, წერენ ამერიკელი მეცნიერები ლუკ რეიჩლერი და ტანია პაფენჰოლცი თავის წიგნში “მშვიდობის მშენებლობა”. ეს სიტყვები, ალბათ, გასათვალისწინებელია მედიის წარმომადგენლებისთვისაც, რადგან ისინი, პროფესიიდან გამომდინარე, აქტიურად არიან ჩართული, როგორც სამშვიდობო, ასევე ომთან დაკავშირებულ პროცესებში.

ეძებენ რა ახალ ინფორმაციას, “ნადირობენ” ცხელ-ცხელ (ხშირად, სკანდალურ) ამბებზე, რიგ შემთხვევებში, ჟურნალისტებს ავიწყდებათ ან ვერ აცნობიერებენ პროცესებში მათი ჩარევის მნიშვნელობასა და იმ შედეგებს, რაც მათ საქმიანობას შეიძლება მოჰყვეს. მედიის წარმომადგენლები პასუხისმგებელნი არიან იმ პროცესების განვითარებაზე, რომელშიც, ერთი შეხედვით, უმნიშვნელოდ ერევიან.

ჟურნალისტები არა მარტო კონფლიქტურ ზონებში მუშაობენ აქტიურად, არამედ მათი საბუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირად უხდებიათ შეხება საზოგადოების შიგნით მიმდინარე სხვადასხვა სიმძაფრის დაპირისპირებებთან, პრობლემურ სიტუაციებთან. ზოგჯერ, მათ ყველაზე მეტი შესაძლებლობა აქვთ მიაწვდინონ ხმა დაპირისპირებულ მხარეებს, დააყენონ პრობლემა, გაანხილან მხარეების ინტერესები, იმუშაონ მათთან ერთად პრობლემის გადაწყვეტაზე და ა.შ. მიუკერძოებელ, მშვიდობაზე ორიენტირებულ ჟურნალისტს შეუძლია უდიდესი როლი ითამაშოს, როგორც დაპირისპირების გარკვევასა და დარეგულირებაში, ასევე მის გამწვავებაშიც. ყოველივე ამის გააზრება და აღიარება ჟურნალისტებისათვის არც ადვილია, და ზოგჯერ, არც ღირდად სასურველი.

ერთი კი უდაოა, მედიას გააჩნია მნიშვნელოვანი, ჯერ კიდევ გამოუყენებელი პოტენციალი, რომელიც შეიძლება გახდეს მშვიდობიანი განვითარების და, კერძოდ,

კონფლიქტის მართვის/მოგვარების/ტრანსფორმირების ხელშეწყობი. ამისათვის აუცილებელია, რომ ჟურნალისტები ერეკოდნენ იმ პროცესებში, რომელიც უშუალოდ კონფლიქტებთან და მათ მართვასთანაა დაკავშირებული.

არსებობს უამრავი კარგი ჟურნალისტი, რომელიც წერს კონფლიქტზე, ომზე, კრიტიკულად აფასებს ამა თუ იმ პრობლემურ სიტუაციას, მაგრამ არსებობს ზოგიერთი ფაქტორი, რომელიც ჟურნალისტების მიერ არ არის სათანადოდ გააზრებული კონფლიქტების ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის ჭრილში. სწორედ ეს ფაქტორები ქმნის მთელ რიგ პრობლემებს, როგორც ჟურნალისტურ საქმიანობაში, ასევე კონფლიქტური სიტუაციების განვითარების თვალსაზრისით. მაგალითად, ცნობილია, რომ სიმართლის ძიება, ობიექტური ინფორმაციის მიწოდება, ჟურნალისტის მოვალეობაა და ამავე დროს მისი პროფესიონალიზმის მაჩვენებელიც. ობიექტურობის საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც საუბარია ამა თუ იმ ტიპისა თუ ღონის კონფლიქტზე. კონფლიქტების თეორიასა და პრაქტიკაში კარგადაა ცნობილი ობიექტურობის მნიშვნელობაც და ფასიც. მართლაც, ობიექტურობა პროფესიონალური ჟურნალისტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, იდეალთან მიახლოებული მიზანია და პროფესიონალი ჟურნალისტი სწორედ მისკენ ისწრაფვის, მაგრამ არის კი შესაძლებელი ამ მიზნის ბოლომდე განხორციელება? როგორ მივაღწიოთ ობიექტურობას, როდესაც თითოეულ მხარეს თავისი სიმართლე აქვს, და თავად ჟურნალისტიც, რაც არ უნდა ნეიტრალური იყოს იგი, ადამიანია, თავისი გრძნობებითა და მოვლენებისა და ფაქტების მისეული აღქმით? რა მოუხერხოთ იმას, რომ კონფლიქტის დროს ობიექტურობაზე, სიმართლეზე საუბარი, ხშირად დესტრუქციული განვითარების ხელშეწყობი ხდება ხოლმე, რადგან მაინცდამაინც რომელიმე მხარის სიმართლესთან ასოცირდება? ეს საკმაოდ რთული საკითხებია და ამაზე საუბრისას გასათვალისწინებელია, რომ ერთი მხრივ, ადამიანებს (განსაკუთრებით დაპირისპირებულ მხარეებს) აქვთ თავისი სუბიექტური რეალობა და აქედან გამომდინარე მოვლენების მათეული ხედვა/აღქმა, რაც მრავალი ფაქტორითაა განპირობებული, და მეორე მხრივ, სინამდვილე თავისთავად რთულია და მრავალწახნაგოვანი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე კონფლიქტს ეხება. სიმართლის ძიება დაპირისპირების შემთხვევაში, ხშირად, გართულებებისა და სიტუაციის გამწვავების პირობად იქცევა ხოლმე. კიდევ უფრო რთულია ვითარება, როდესაც ჟურნალისტი ამზადებს მასალას იმ კონფლიქტის შესახებ, რომლის მიმართაც ვერ იქნება მიუკერძოებელი - იგი იმ მხარის წარმომადგენელია, რომელიც ჩართულია კონფლიქტში, ან ერთ-ერთი დაინტერესებული მხარისა და მისთვის ობიექტურობა, მიუკერძოებლობა იმდენადვე მნიშვნელოვანია, რამდენადაც რთული მისაღწევი.

ყველა ადამიანს თავისი სუბიექტური, უნიკალური ემოციური სამყარო აქვს. ერთი და იგივე ობიექტურად არსებულ მოვლენას სხვადასხვა ადამიანი თავისი სუბიექტური რეალობიდან გამომდინარე სხვადასხვანაირად აღიქვამს. ხშირად ჩვენ გვგონია, რომ კონკრეტულმა მოვლენამ სხვაშიც ისეთივე გრძნობები უნდა გამოიწვიოს, რაც ჩვენში, მაგრამ, ფაქტიურად ემოციებს იწვევს არა ესა თუ ის მოვლენა თავისთავად, არამედ ის საზრისი, რასაც ჩვენ მასში ვდებთ.

როდესაც ჩვენ ვთხოვთ სხვას, შეიცვალოს თავისი სუბიექტური რეალობა, ფაქტიურად ეს ნიშნავს იმას, რომ ვცდილობთ, უარი ვათქმევინოთ მას საკუთარ გამოცდილებაზე. პრობლემას ვერასოდეს გადავწყვეტთ სხვისი სუბიექტური რეალობის შეცვლის გზით. პრობლემის მოგვარება იწყება მაშინ, როდესაც ჩვენ მზად ვართ, გა-

ვუგოთ სხვას და ვალიაროთ მისი სუბიექტური სამყარო. გვახსოვდეს, რომ აღიარება არ ნიშნავს დათანხმებას.

მედია - ეკონომიკა და კონკურენცია. მანიპულირების პრობლემა

მედია მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზეწოლას განიცდის, არასაკმარისი სახსრების გამო ჟურნალისტებს უჭირთ ოპერატიული რეაგირება. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ხშირად მედია ინტერესდება პრობლემებით მხოლოდ მაშინ, როდესაც უკვე კრიზისთან გვაქვს საქმე და როდესაც არანაირ პრევენციაზე საუბარი აღარ შეიძლება.

„კარგი ამბავი - ამბის არქონააო“ ამბობენ, მაგრამ კონფლიქტი ხომ კარგად იყიდება! ჟურნალ-გაზეთებს, სატელევიზიო და რადიო არხებს შორის კონკურენცია ბუნებრივი მოვლენაა. ჟურნალისტი იბრძვის, რათა მოიპოვოს სკანდალური ინფორმაცია და შესაბამისად, პირველობა და პოპულარობა. იგი განიცდის დროის და ფინანსების ნაკლებობას, ცოდნისა (კონფლიქტების სფეროში) და ინფორმაციის ნაკლებობასთან ერთად. აქედან გამომდინარე, იგი ხმაურიანი ამბების გარდა ვეღარაფერზე ახდენს კონცენტრაციას. როგორც წესი, ამგვარი ხმაურიანი ამბები სწორედ ის ქმედებებია, რომელიც კონფლიქტს თან ახლავს, მაგრამ ჟურნალისტს უჭირს კონფლიქტის გაანალიზება, რადგან არც კონკრეტული კონფლიქტის ისტორია იცის და არც მისი ანალიზის ხერხებს ფლობს. მისი რეპორტაჟი, ზედაპირული მაგრამ ხმაურიანი, საზოგადოებას საშინელ, დრამატულ სურათებს სთავაზობს. ეს ის მასალაა, რომელიც ვერ ასახავს კონფლიქტის მთელ სირთულეს და ძალაუნებურად ცალმხრივი, არაობიექტური ხედვის მატარებელი ხდება. ასეთი ინფორმაცია კონფლიქტის გამძაფრებისა და ერთ-ერთი მხარის სასარგებლო პროპაგანდის ინსტრუმენტად იქცევა ხოლმე. აქვე დგება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. ეს არის ჟურნალისტური ეთიკის საკითხი, რომელიც თავისუფალი ჟურნალისტიკის, სიტყვის თავისუფლების პარალელურად უნდა განიხილებოდეს.

ნებისმიერი გაურკვეველი, საეჭვო ინფორმაციის გადამოწმება, მისი სანდოობის უზრუნველყოფა ჟურნალისტიკის ერთ-ერთ ძირითად კანონად ითვლება. ჯერ ერთი, ეს საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს. და მეორე, ხშირად ინფორმაცია, რომელსაც ჟურნალისტი ამა თუ იმ წყაროდან მოიპოვებს, შემდგომი ძიების შემთხვევაში „არასწორი“ აღმოჩნდება ხოლმე. ირკვევა, რომ წყაროებს - მთავრობას, სამხედროებს, პოლიტიკოსებს და მედიას ფაქტების სრულიად განსხვავებული ინტერპრეტაცია და განსხვავებული გეგმები აქვთ. ხშირად ისეც ხდება, რომ კონფლიქტის მხარეები თვითონაც კარგად არ არიან ინფორმირებული კონფლიქტის შესახებ, რადგან მათ არც დრო აქვთ, არც რესურსი და არც საკმარისი პასუხისმგებლობა, რათა სათანადოდ გაერკვნენ კონფლიქტის ისტორიასა და განვითარებაში. მაგალითად, 1991 წელს აშშ კონგრესში ახალგაზრდა ქალმა კუვეიტიდან (იგი, მისი თქმით, იყო ერთ-ერთი ჰოსპიტლის მედლა) თქვა, რომ ერაყელი ჯარისკაცები ახალშობილ ბავშვებს სასიკვდილოდ იმეტიბენ - ისინი ინკუბატორებს ელექტროენერგიას უთიშავდნენ. ამის შემდეგ, ეს ამბავი პრეზიდენტმა ბუშმა თავის რამოდენიმე გამოსვლაში მოიხსენია ერაყზე თავდასხმის საჭიროების დასაბუთების მიზნით. მოგვიანებით ე.წ. მედლა კუვეიტის ელჩის ქალიშვილი აღმოჩნდა, რომელიც დიდი ხანია საერთოდ არ ყოფილა კუვეიტში. ომის შემდეგ, იმ ჰოსპიტალში ნამუშევარი მედლები ამბობდნენ, რომ ასეთი რამ მათ ჰოსპიტალში არ მომხდარა.

თინათინ ასათიანი / მედიის როლი კონფლიქტების გადაწყვეტასა და მშვიდობის მშენებლობაში

კიდევ ერთი პრობლემაა ზეწოლა, რომელიც მრავალ ქვეყანაში ხორციელდება მედიაზე ხელისუფლების მხრიდან. იმისათვის, რომ ჟურნალისტმა გააკეთოს კარგი, პროფესიული რეპორტაჟი, ხშირად მას დიდი წინააღმდეგობისა და ხიფათის გადალახვა უხდება. მედია მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება, მაგრამ დემოკრატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი ხომ სიტყვის თავისუფლებაა, ხოლო ჟურნალისტიკა კი პასუხისმგებელია იმაზე, რომ საზოგადოებას ხელი მიუწვდებოდეს ინფორმაციაზე, რათა იგი აქტიურად იყოს ჩართული ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებში. და აქ ისევ ჟურნალისტური ეთიკისა და ჟურნალისტის პასუხისმგებლობის საკითხი დგება, რადგან უპატიოსნო ადამიანის ხელში ინფორმაცია შეიძლება საშინელ იარაღად იქცეს.

ჟურნალისტური ეთიკის კოდექსებში, ჩვეულებრივ, ჟურნალისტის სამი ძირითადი მოვალეობა ფიგურირებს: სიმართლის ძიება, დამოუკიდებლობა და ზიანის მინიმუმამდე დაყვანა. ჟურნალისტი უნდა შეეცადოს სამივე ამ კომპონენტის დაბალანსებას, რათა თავისი საქმიანობით ზიანი არ მიაყენოს ადამიანებს, საზოგადოებას, ქვეყანას. ადამიანის უფლებათა უნივერსალურ დეკლარაციაში საუბარია სიტყვის თავისუფლებაზე, მაგრამ ამავე დროს საუბარია იმაზეც, თუ რა არის მიუღებელი. სრულიად მიუღებელია სიძულვილის ენით საუბარი, მსჯელობა რასობრივ (ან სხვა რაიმე სახის) უპირატესობაზე, ან სიძულვილზე. სამწუხაროდ, ჟურნალისტიკა ძალიან ხშირად, ამა თუ იმ მიზეზით, სწორედ ამგვარ ხერხებს მიმართავს ხოლმე.

სიძულვილის ენა – გულისხმობს დამამცირებელ გამონათქვამებს ინდივიდის, ან ადამიანების ჯგუფის მიმართ, რომელიც პრეჯუდიცებითაა (წინასწარი დამოკიდებულებით) განპირობებული. სიძულვილის ენა არა ერთხელ იქნა გამოყენებული სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა ეპოქაში, როგორც შუღლისა და სიძულვილის გავიქცევის საშუალება. ნაცისტური გერმანიის რადიო და ტელევიზია აქტიურად იყენებდა ამ საშუალებას, რათა გაეღვივებინა რასობრივი სიძულვილი და შემდგომში ადვილად განეხორციელებინა თავისი გეგმები. დღესაც, დედაძმის მრავალ წერტილში სიძულვილის ენა მედიის ხელშეწყობით ნოყიერ ნიადაგს ქმნის ომების გასამართლებლად და მხარდასაჭერად, რასაც ეფუძნება გენოციდი და ეთნიკური წმენდა.

სატელევიზიო და რადიო გადაცემები საკმაოდ წარმატებით ზემოქმედებენ ადამიანების ფართო მასების იდეების და მოსაზრებების ფორმირებაზე, ხოლო გამოცდილ ჟურნალისტს მკითხველზე, მსმენელსა, თუ მაყურებელზე საკმაოდ დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია, თუნდაც მხოლოდ მასალის მიწოდების სტილით, მიმდევრობით და სხვ. მაგალითად, რუანდაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა სიძულვილის რადიო, რომელიც პოლიტიკური მიზნებით გამოიყენებოდა. რადიო პროგრამის საქმიანობა კარგად იყო დაგეგმილი და მან უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა გენოციდის დაწყებაში. რადიო შეიქმნა 1993 წლის შუა პერიოდში, იყო „დამოუკიდებელი“ (კერძო საკუთრებაში), მაგრამ მიუხედავად ამისა, მას აკონტროლებდა მთავრობა და მფლობელები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ როგორც მმართველ რეჟიმთან, ასევე საიდუმლო სამსახურებთან. 1993 წლის ივლისში და ოქტომბერში რადიო გადაცემები უმთავრესად მოიცავდა მუსიკას და მცირე რაოდენობით ახალ ამბებსა და კომენტარებს და აგებული იყო დასავლური რადიო-მოუს პრინციპებზე. რადიო მაუწყებლობას კიგალის (რუანდის დედაქალაქი) მოსახლეობის დიდი რაოდენობა უსმენდა. 1993 წლის 21 ოქტომბრის შემდეგ, როდესაც მოკლეს მეღზიორ ნდადაიე (ბურუნდის პირველი პრეზიდენტი,

რომელიც არჩეული იყო დემოკრატიული გზით და მიეკუთვნებოდა ზუტუს ხალხს), ეს პროგრამა სწრაფად გადაიქცა ეთნიკური შუღლისა და სიძულვილის მთესველ პროგრამად. ამის შემდეგ მოხდა რამდენიმე ფორმალური გაფრთხილება კანონდარღვევებთან დაკავშირებით, და საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან არაფორმალური შემოფრთხილების დაფიქსირება. მთელი რიგი გადახრების საკითხი მსჯელობის საგანი იყო, მაგრამ სერიოზულად არ განხილულა. ფაქტიურად, გენოციდის პირველი რამდენიმე კვირის განმავლობაში არაფერი არ კეთდებოდა და რადიოც ყოველდღიურად აგრძელებდა სიძულვილით აღსავსე მაუწყებლობას, 24 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა პოლიტიკური პროპაგანდა, ხდებოდა „ორდერების“ გაცემა ტუტსის ხალხის წარმომადგენელი კონკრეტული პიროვნებებისა და ჯგუფების განადგურებაზე, რადიო მოსახლეობას სისხლისღვრისაკენ მოუწოდებდა. ყოველივე ამან შეიწირა მილიონზე მეტი ადამიანი და გაცილებით უფრო მეტი უსახლკაროდ დატოვა. საქმე ისე შორს წავიდა, რომ რადიოთი გადაიცემოდა იმ ადამიანთა სია, ვინც უნდა განადგურებულიყო.

სიძულვილის მედიისა და ენის არსებობა არანაკლებ პრობლემატური იყო ყოფილ იუგოსლავიაშიც. სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ფართოდ გამოიყენებოდა ნაციონალური შუღლისა და სიძულვილის გასაღვივებლად. ხელისუფლების მიზანი იყო ძალაუფლების შენარჩუნება ნებისმიერი გზით. ამისათვის იგი აწარმოებდა ნაციონალისტურ პროპაგანდას, მხარეებს შორის განვითარებული სისხლისმღვრელი დაპირისპირებაც მის მიერ იყო ინსპირირებული და მედიის დახმარებით ხორციელდებოდა.

კონფლიქტურ სიტუაციაში მოწინააღმდეგის უპირველეს ამოცანას კომუნიკაციის დამახინჯება, საკომუნიკაციო კავშირების დარღვევა წარმოადგენს. იმ შემთხვევაში, როდესაც საუბარია შიდა და საგარეო პოლიტიკურ დაპირისპირებებზე, ეს იმაში გამოიხატება, რომ ხორციელდება თავისუფალ საინფორმაციო საშუალებებზე კონტროლი. ხდება სიტყვის თავისუფლებით სპეკულირება, რათა სიძულვილის შეტყობინებათა გავრცელება განხორციელდეს.

ზღვარის გავლება სიძულვილისა და თავისუფალ მედიას შორის ადვილი არ არის, რადგან, ერთი მხრივ, ჟურნალისტი “სიმათლის თქმისა” და ზიანის მინიმუმამდე დაყვანის დილემის წინაშე დგას, ხოლო, მეორე მხრივ – მისი დამოუკიდებლობის საკითხია პრობლემატური. კიდევ ერთი პრობლემაა, მაგალითად, ის, რომ საკმაოდ ხშირია ეთნიკური კონფლიქტების შემთხვევაში, ადგილობრივი ენის გამოყენება, რომელიც ყველას არ ესმის, და შესაბამისად, არ ხდება საერთაშორისო ყურადღების მიპყრობა მანამ, სანამ უკვე ძალიან დაგვიანებული არ არის. არსებობს მრავალი მოსაზრება იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება სიძულვილის ენასთან, სიძულვილის მედიასთან გამკლავება. ერთ-ერთი მათგანია – სამშვიდობო მედიის ეფექტურობისა და ოპერატიულობის ზრდა.

მაშ, ერთი მხრივ, მედიას რთულ პირობებში უწევს მუშაობა და იგი მუდმივად იმ ზიფათის წინაშე დგას, რომ აღმოჩნდება ზეწოლის ქვეშ და ფაქტობრივად მანიპულირებადი იქნება ხელისუფლებისა, თუ სხვა რომელიმე დაჯგუფების მხრიდან. ამასთანავე, ხშირად იგი თავადაც მანიპულირებს საზოგადოებით. მეორე მხრივ კი, სავსებით შესაძლებელია, რომ ჟურნალისტის მიერ მომზადებული რეპორტაჟი ტოლერანტობისა და შერიგების ხელშემწყობიც გახდეს. არჩევანი თავად ჟურნალისტ-მოქალაქეზეა.

1982 წლიდან მოყოლებული უამრავი განსხვავებული მედიაპროექტი

იქნა განხორციელებული ისეთ ქვეყნებში, როგორცაა მაკედონია, ბოსნია, ბურუნდი, რათა განხორციელებულიყო კონფლიქტურ სიტუაციებზე პოზიტიური ზემოქმედება. მაგალითად, ცნობილია, რომ ბურუნდიში შექმნილი იყო სტუდია - ჯამბო (კირუნდის ენაზე - “ბრძნული სიტყვები”). სტუდია დაკომპლექტდა ხუტუსა და ტუტსის წარმომადგენლების მიერ. პროექტი მომზადდა 1995 წელს, როდესაც მეზობელ რუანდაში გენოციდის პიკი იყო. ჯამბოს ჟურნალისტები მუშაობდნენ ერთობლივ ეთნიკურად შერეულ გუნდად და აკეთებდნენ რეპორტაჟებს მათ ქვეყანაში ომისა და არსებული არამყარი მშვიდობის შესახებ. ისინი გადმოსცემდნენ ახალ ამბებს და იმ საკითხებზე, რომელიც ყველაზე მეტად აინტერესებდა მშვიდობასა და პროგრესში დაინტერესებულ ბურუნდის ხალხს. ისინი თავს არიდებდნენ ჭორებს და თავის რეპორტაჟებში არ შეჰქონდათ დაუსაბუთებელი ინფორმაცია. ამგვარი საქმიანობით მათ მოიპოვეს ბურუნდიში ყველაზე სანდო საინფორმაციო წყაროს რეპუტაცია.

მაკედონიაში (ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა) მუშაობდა ჟურნალისტების პილოტაჟური პროგრამა, რათა განხორციელებულიყო ეთნიკური დაძაბულობის შემცირების, ეთნიკური ჯგუფების ურთიერთგაგების და თანამშრომლობის ხელშეწყობა. ჟურნალისტების შერეული ეთნიკური შემადგენლობის გუნდი აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. მომზადებული მასალა (მისი იდენტური ვარიანტები) კონფლიქტის თითოეული მხარის გაზეთებში ქვეყნდებოდა. შერეულ ჯგუფად მუშაობა ეხმარებოდა ჟურნალისტებს, ესაუბრათ წყაროებზე, რომელთაც არ ჰქონდათ უშუალო მიდგომის საშუალება და თანაც თავიდან აერიდებინათ სტერეოტიპები სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან მიმართებაში.

მედია შუამავლის როლში

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მედიის, როგორც შუამავლის როლი და ამ როლიდან გამომდინარე მისი შესაძლო ფუნქციები. არსებობს არა ერთი პროექტი, სადაც ხდებოდა მედიის თანამშრომლების პირდაპირი ჩართვა ერთობლივ მუშაობაში კონფლიქტის დროს დანგრეული საზოგადოებისა და ურთიერთობების აღსადგენად.

ცოცხალი ინტერაქტიული მაუწყებლობა დაპირისპირებული მხარეების დედაქალაქებს შორის – 1986 წელს დაწყებული დიალოგი პირდაპირ ეთერში მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის იმ დროისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგან შესაძლებელი გახდა კონფრონტაციაში მყოფი ქვეყნების ლიდერების, და არა მხოლოდ ლიდერების პირდაპირი კომუნიკაცია. საკმაოდ დიდი აუდიტორიის პიროვნულ დონეზე არსებული მოსაზრებების გაცვლა-გამოცვლამ იმედის ნაპერწკალი გააჩინა კონფლიქტში მონაწილე თითოეულ მხარეში.

სამხრეთ აფრიკაში მხარეებს შორის “ვიდეო-დიალოგი” განხორციელდა სიტუაციაში, როდესაც მათ ფიქრიც კი არ სურდათ ერთ მაგიდასთან დასხდომაზე.

იმისათვის, რომ მედიამ პოზიტიური როლი შეასრულოს, აუცილებელია, ერთის მხრივ, მისი როლის უკეთ გაგება და გაცნობიერება, და მეორე მხრივ, ამ მიმართულებით მოქმედების კონკრეტული გზებისა და საშუალებების ცოდნა.

ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ მშვიდობის მშენებელმა ჟურნალისტმა, საკუთარ თავზე მედიატორის როლი უნდა აიღოს? ამგვარი რამ არც მთლად კორექტული იქნებოდა და არც შესაძლებელი. აქ საუბარია იმაზე, თუ რაოდენ დიდი წვლილის

შეტანა შეუძლია მედიას და ყოველ კონკრეტულ ჟურნალისტს შიდა და საგარეო პოლიტიკური პრობლემებისა და დაპირისპირებების გადაწყვეტაში, მსოფლიოში და დედამიწის თითოეულ წერტილში მიმდინარე პროცესების სამშვიდობო განვითარებაში.

ქვემოთ მოტანილია მედიაციიდან აღებული რამოდენიმე უნარ-ჩვევა, რომელთა ცოდნა და პრაქტიკული გამოყენება, შესაძლოა, კონფლიქტთან მომუშავე ჟურნალისტს გამოადგეს:

- მხარეების მაგიდასთან დასმა. ჟურნალისტს აქვს მხარეებთან კონტაქტში შესვლის, მათთან ურთიერთობის განსაკუთრებული საშუალება და ხშირად იმის ძალაც შესწევს, რომ ისინი ერთ მაგიდასთან დასვას. მას შეუძლია წარმართოს დიალოგი მხარეებისათვის აქტუალური, მწვავე საკითხების ირგვლივ.

- აქტიური მოსმენა. ჟურნალისტს შეუძლია წახალისოს მხარეები უკეთ მოსმენაში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც საქმე გვაქვს პრობლემურ სიტუაციასთან. ამას ის შეძლებს, თუკი თვითონ გამოიყენებს ეფექტური მოსმენის ხერხებს. ჟურნალისტს შეუძლია აიყოლიოს მხარეები, თუკი თავად განახორციელებს აქტიურ მოსმენას, მოახდენს შეჯამებებს, რითაც იგი შეძლებს თითოეული მხარის თვალსაზრისის უკეთ გაგებას და წარმოჩენას.

- მხარეების გადაყვანა პოზიციებიდან ინტერესებზე. როგორც წესი, დაპირისპირებული მხარეები საუბრობენ პოზიციებიდან გამომდინარე და ჟურნალისტებიც მათი დამძიმებული პოზიციების ციტირებას ახდენენ ხოლმე. ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე „X-მა თქვა, Y-მა განაცხადა“ ფორმულით. ამის ნაცვლად, ჟურნალისტს შეუძლია განახორციელოს მხარეების ინტერესების წინა პლანზე წამოწევა, რითაც იგი ხელს შეუწყობს მათ გადაყვანას პოზიციებიდან ინტერესებზე და დაეხმარება მათ საერთო ინტერესების მოკვლევაში.

- დაგეგმვა. ეს საკითხი უკავშირდება პროაქტიული ჟურნალისტიკის განვითარებას. იგი გულისხმობს ხალხისათვის, მთავრობისათვის საყურადღებო საკითხების წამოწევას. იმ საკითხებისა, რომელთა გადაწყვეტაში ამ უკანასკნელთა ჩართულობა, რეალური მონაწილეობა მნიშვნელოვანია; არსებული სიტუაციის, განხორციელებული ქმედებების (შესაბამისი მასალების) გაანალიზებას; უამრავი მტკიცებულების და იმ სოციოპოლიტიკური ასპექტების დაყენებას, რომელიც წამოწევასა და გაანალიზებას მოითხოვს.

- არასწორი აღქმისა და სტერეოტიპების გაფანტვა. დაპირისპირებულ მხარეებს ხშირად აქვთ ხოლმე ერთმანეთისადმი რიგიდული (ხისტი) დამოკიდებულება და ერთმანეთის არასწორი აღქმა. ჟურნალისტს შეუძლია, დაინტერესდეს თითოეული მხარის ამგვარი არასწორი აღქმით, გაარკვიოს და ამ გზით გაფანტოს იგი.

- მოსაზრებების მიმართ კითხვის დასმა. კარგი ჟურნალისტი კითხვის ქვეშ აყენებს როგორც საკუთარ, ასევე სხვის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს – სვამს კითხვას. მაგალითად, “მოგგვრით კი შვებას სიმართლის გარკვევა?” ან “ხომ არ გაართულებს პოლიტიკური სპექტრის ამგვარი სიჭრელე გადაწყვეტილებების მიღებას?”

- ენის გასუფთავება. ენას უზარმაზარი ძალა აქვს. სიტყვას შეუძლია საშინელი ზიანი მიაყენოს ადამიანსაც და საქმესაც, შექმნას სტერეოტიპები, დააშორიშოროს მხარეები, ვიწრო ჩარჩოში ჩაკეტოს ჟურნალისტიც და მაყურებელიც. განსაკუთრებით ფაქიზად უნდა მოეპყრას სიტყვებს ჟურნალისტი. მისი ძალისხმევა ენის გასუფთავების, იარაღებისაგან და არაკორექტული ტერმინებისგან მისი განტვირთვის მიმართულებით

კონფლიქტების მართვისა და მოგვარების თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია.

- პრობლემების ერთობლივი გადაწყვეტა. საუკეთესო ვარიანტია, როდესაც ჟურნალისტი, თავისი რეპორტაჟებითა და დიალოგების მოწყობა/ფასილიტაციით მხარეებს (ხელს უწყობს მათ) კონფლიქტის მართვის/მოგვარების მიმართულებით მოქმედებისაკენ უბიძგებს. ამ დროს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ წინასწარ მოხდეს კონფლიქტის სტრუქტურირება და იმ საკვანძო პრობლემის იდენტიფიცირება, რომლის ირგვლივაც უნდა წარიმართოს მუშაობა. გარდა ამისა ჟურნალისტს შეუძლია იმ მომენტების თუ შემთხვევების გაშუქება, სადაც ამგვარი აქტიობა (პრობლემების ერთობლივი გადაწყვეტა) მუშაობს, და იმ პროცესისაც, რომლითაც მხარეებს შეუძლიათ ამგვარ ქმედებაზე მივიდნენ.

მნიშვნელოვანია, რამდენად შეძლებენ კონფლიქტში ჩართული მხარეები, მთავრობები, საერთაშორისო და ჰუმანიტარული ორგანიზაციები ოპერატიულ რეაგირებას კრიზისის დასაწყისშივე. რამდენად მოახერხებენ ისინი პრევენციული საშუალებებისა, თუ საპასუხო ზომების, სრული სპექტრის გამოყენებას. ამასთანავე, სამშვიდობო პროცესების განვითარებაში არანაკლებ მნიშვნელოვანია მედიის როლი. ეს მნიშვნელობა დღითიდღე სულ უფრო მატულობს. იგი უკვე აღიარებულია კონფლიქტების თავიდან არიდების, მათი მართვისა და გადაწყვეტის ერთ-ერთ ქმედით იარაღად. მედიის წარმატება მშვიდობის მშენებლობის პროცესში დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად იმუშავებს იგი კონფლიქტის ანალიზისა და ინფორმაციის გამოყენების თვალსაზრისით. ამგვარად, კონფლიქტურ ზონებში მედიის კონსტრუქციული მოქმედება და სამშვიდობო მედიის მხარდაჭერა მნიშვნელოვნად გაზრდის ამ მიზნების მიღწევის შესაძლებლობას.

ყოველივე ეს სჭირდება არა მხოლოდ მედიას, არამედ მათაც, ვინც ასე ცდილობს მედიის ყურადღების მიპყრობას. ცვლილება უნდა მოხდეს არა მხოლოდ მედიის, არამედ საზოგადოების ცნობიერებაში და ქმედებებშიც, რადგან სწორედ ისაა მედიის მიერ შექმნილი პროდუქციის ძირითადი მომხმარებელი და შესაბამისად დამკვეთიც.

1. Lindsey Hilsum, "Where is Kigali?" Autumn 1995, 148
2. Noam Chomsky (1997), Media Control in the Spectacular Achievements of Propaganda, New York (N.Y. Seven Stones Press), 5.
3. U.S. Institute of Peace, Virtual Diplomacy Paper, Washington, D.C.
4. Sheldon Himmelfarb, Executive Producer of Common Ground Productions, "Impact is the Mantra" from "The Common Ground Approach to Media."
5. Media and Human Rights, press release, 23 February 1997.
6. Luc Reyhler and Thania Paffenholz, Peace-Building, A Field Guide, 2001.

ომი საშინელებაა 10



გოსლაბ-შმაზის კონცერნი
ГОСЛАБ - SHMAZI Cooperation

War is horror 10

გაკოტრებული

ანუ რატომ ვერ უშველის ბაზარი საკუთარ თავს

ჯორჯ სოროსი

თარგმნა შორენა ლორთქიფანიძე

გთავაზობთ ჯორჯ სოროსის მეტად საყურადღებო სტატიას, რომელიც სექტემბრის დასაწყისში ამერიკულ ჟურნალ „New Republic“-ში გამოქვეყნდა. სტატიაში ავტორი ცდილობს ფინანსურ ბაზრებზე არსებულ პრობლემებს მოჰფინოს ნათელი. მისი განცხადებით, ბაზარი საკუთარ თავს ვერ არეგულირებს. მან სტატიას „Busted“- „გაკოტრებული“ უწოდა, რაც კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ თანამედროვე ეკონომიკამ შესაძლოა მარცხი იწვნოს, თუ ის რეფორმების გზით არ წავა. ჯორჯ სოროსი საბაზრო ფუნდამენტალიზმს აკრიტიკებს, რაც თავისუფალი ვაჭრობის თანამედროვე სახეცვლილებაა; მისი განცხადებით, თანამედროვე ეკონომიკამ უკუქმედებისა და სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის არარსებობის პირობებში შესაძლოა სრული მარცხი იწვნოს. სტატიაში ხაზგასმულია საზოგადოებრივი ინტერესების უპირატესობა კერძო ინტერესებზე. ავტორის აზრით, საერთო ინტერესები ეკონომიკის გამაჯანსაღებელი საშუალებაა. სოროსი კაპიტალიზმის შეზღუდულ შესაძლებლობებზე საუბრობს მაშინ, როდესაც თავად კაპიტალიზმის წიაღში „აღმოცენდა“.

მთელი ქვეყანა კორპორაციული ინტერესებისა და ფინანსური მაქინაციების ხელში იმყოფება. განრისხებას თან ერთვის გაკვირება: როგორ შეიძლება მომხდარიყო ასეთი რამ? ეს კიდევ არაა გასაკვირი. 90-იანი წლების ეკონომიკური აღმავლობა და რეფორმების ბუმი, რომელსაც თან დღევანდელი ჩავარდნა მოჰყვა, ფაქტობრივად, ფინანსური ბაზრების მომავალს წარმოადგენს. გასაკვირია, რომ, მიუხედავად ამდენი აღმავლობისა და რეცესიისა, ჯერ კიდევ გაურკვეველია, როგორ მოქმედებს ფინანსური ბაზრები.

არსებული ცოდნის თანახმად, ბაზარი წონასწორობისკენაა გადახრილი, ანუ მყიდველი და გამყიდველი ერთმანეთს აბალანსებენ. შესაძლოა, ეს მოსაზრება ჩვეულებრივი ბაზრის მუშაობას ხსნიდეს, მაგრამ არ ხსნის ფინანსური ბაზრების ხასიათს. ფინანსურ ბაზარზე წონასწორობის მიღწევა ძნელია, რადგანაც ფინანსური ბაზარი ეხება უცნობ რაოდენობას, ის ისევე ცდილობს მომავლის გამოცნობას, როგორც აწმყოსას. ფინანსურ ბაზარზე მიმდინარე ვითარება გავლენას ახდენს ეკონომიკის საფუძვლებზე. ბაზარზე აისახება საფონდო ბირჟების რაოდენობის დრამატული და შესაძლოა არარაციონალური ზრდა და ასევე შემცირება. მიწოდებასა და მოთხოვნას შორის საბაზრო ფასების მიხედვით ერთმხრივი კავშირის მაგიერ, ორმხრივი კავშირი არსებობს: საბაზრო ფასი ცვლის მოთხოვნისა და მიწოდების პირობებს. 1987 წელს გამოცემულ წიგნში „ფინანსების ალქიმია“, მე ამგვარ ორმხრივ კავშირს „რეფლექსურობა“ ვუწოდებ. და ვფიქრობ, რომ ის გაცილებით უკეთ ხსნის ფინანსურ ბაზარს, ვიდრე საყოველთაოდ

აღიარებული თეორია წონასწორობის შესახებ.

ორმხრივი კავშირის მიხედვით, წარმოდგენელია იმის განსაზღვრა, თუ სად გადის წონასწორობის ხაზი. მონაწილეებს გამოუცნობ მომავალთან ერთად შეუცნობელი მომავლის მოლოდინი უწევთ. რეფლექსურობის თეორია შედეგის განსაზღვრის ახალ გზას არ გვთავაზობს, ის აცხადებს, რომ შედეგის განსაზღვრა წარმოდგენელია. მაგალითად, მოსალოდნელი იყო ინტერნეტის საყოველთაოდ გავრცელება, მაგრამ არავინ იცოდა, როდის მოხდებოდა ეს. გზის ყოველ მონაკვეთზე არსებობს გადაწყვეტილების ხე, ახალი კურსის აღება მაშინ იწყება, როდესაც გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. ამგვარი შეხედულებები ძირს უთხრის ეკონომისტთა მეცნიერულ შეხედულებებს. როდესაც რეფლექსურობის ნამდვილობას ვაღიარებთ, მაშინ მოგვიწევს იმის აღიარება, რომ სოციალურ მეცნიერებაში ზოგადად და, კერძოდ, ეკონომიკაში, მეცნიერული პროგნოზები ხშირად მცდარია. ეს პარადიგმული ცვლილებაა, რომელიც არ არსებობდა.

რეფლექსურობა ვერ აკეთებს პროგნოზს, თუმცა მას ძლიერი ამხსნელი ძალა აქვს. პირველ რიგში, მისი საშუალებით ვხსნით იმას, თუ რა შემთხვევაშია ფინანსური ბაზრის ცვლილება თვითგამაძლიერებელი ან თვითდამასუსტებელი. იმისათვის, რომ შევქმნათ ქიმერა, პრევალირებულ მიმართულებას თვითგამაძლიერებელი ეფექტი უნდა ჰქონდეს, ვიდრე ის ვეღარ შეძლებს საკუთარი თავის შენარჩუნებას, ანუ დაიწყება თვითდასუსტების პერიოდი. ეკონომიკურ ციკლში ყველა ჩავარდნა და ბუმი ამ თარგის მიხედვით განისაზღვრება. მეორე, ფინანსური გადაწყვეტილებები არ შეიძლება ემყარებოდეს შედეგების შესახებ ფირმის პროგნოზს, რეფლექსურობა ყურადღებას აქცევს, რა როლს ასრულებს ბუმისა და ჩავარდნის პირობებში ფორმალურად მცდარი მოსაზრება. 60-იანი წლების კონგლომერატული ბუმის დროს შემოსავალი წილზე ერთნაირად ღირებული იყო, რადგანაც ის მიიღებოდა შიდა ზრდით, ან შესყიდვებით. მე ნათლად მახსოვს კონგლომერატული ბუმის კოლაფსის შემდეგ ოგდენ კორპორაციის პრეზიდენტმა (მას ჩემი ძმის საინჟინრო ბიზნესი მიეყიდე) ერთ-ერთი სადილის დროს მითხრა, კომპანიის შემოსავლები მცირდება, რადგანაც მას აუდიტორია არ ჰყავს, „ვის წინაშე ითამაშებს.“ კაპიტალის ფასი მცირდებოდა, მას აღარ შეეძლო ეს კაპიტალი სხვა კომპანიებისათვის მიეყიდა და ამით თავისი ბიზნესი კვლავ ფეხზე დაეყენებინა.

დღეს ჩვენ იმავე სიტუაციაში ვიმყოფებით. ეკონომიკური აღმავლობის პირობებში კორპორაციები შემოსავლებისა და ფასების ზრდის მიზნით ყველა შესაძლო საშუალების გამოყენებას ცდილობენ. ფინანსური ინჟინრები ახალ საშუალებებს ქმნიან, ზოგიერთი მათგანი ლეგიტიმურია, ზოგი კი, არაკანონიერი. ბაზრის ცვლილების პირობებში ზოგიერთი არალეგიტიმური პრაქტიკა გამოიყენება ხოლმე. მაგალითად, ენრონი, სხვა კომპანიების მსგავსად, სპეციალური მიზნის ქვეგანყოფილებებს (special purpose entities) იყენებდა, რითაც ვალები კომპანიის ბალანსში არ აღირიცხებოდა. მაგრამ სხვა კომპანიებისაგან განსხვავებით, ის თავის კაპიტალს ვალების აღსარიცხად აუცილებლად იყენებდა. როცა კაპიტალის ფასი დაეცა, სქემა გამოვლინდა და ენრონი გაბანკროტდა, სხვა მაქინაციებიც გამომჟღავნდა. ენრონის გაკოტრებამ საფონდო ბირჟაზე აქციების ფასის დაცემა გამოიწვია, რამაც ასევე ნათელი მოჰფინა სხვა კომპანიებში არსებულ მდგომარეობას. ჩვენს წინაშეა რეფლექსურობის კარგი მაგალითი, რომელიც ააშკარავებს, თუ რა კავშირშია ერთმანეთთან აღნიშნული ორი მოვლენა და რატომ

ხდება კორექტული ქმედებისა და თვითგაძლიერების წახალისება.

მოვლენათა ამგვარ განვითარებაში გასაკვირი არაფერია. ასეთი რამ ადრეც ბევრჯერ მომხდარა. გასაკვირი ის არის, რომ ჩვენ დავრჩით გაკვირვებული. ბოლოს და ბოლოს, დღეს დაგმობილი ოპერაციები ოდესღაც ღიად ხორციელდებოდა. ყველამ კარგად იცოდა, რომ ისეთი გიგანტი კომპანიები, როგორიცაა „მაიკროსოფტი“ და „ჯენერალ ელექტრიკი“ ზრდიდნენ რიცხვებს იმიჯის შენარჩუნების მიზნით. ინვესტორები კი, პრემიებს ზრდიდნენ მენეჯმენტის შესაძლებლობების გაფართოებისათვის. სპეციალური მიზნის ქვეგანყოფილებები თაროზე გადაინაცვლებდა და საინვესტიციო ბანკები ქმნიდნენ სტრუქტურირებულ დეპარტამენტებს, რომლებიც მომხმარებლის სურვილის მიხედვით ყალიბდებოდა. ტაიკოს მენეჯმენტი სიამაყით აცხადებდა, რომ შემოსავლების ზრდას ახალი კომპანიების შესყიდვით შეძლებდა, ტაიკოს ბერმუდას ინკორპორაციის წყალობით ახალი ფირმები ოფშორულ ზონაში იდებდა ბინას და ინვესტორები მასზე მნიშვნელოვან შემოსავალს მიიღებდნენ. აქციის შესაძლებლობა არა მარტო შეთანხმებული იყო, არამედ მიჩნეული იყო აქციონერთა ღირებულების ზრდის მნიშვნელოვან საშუალებად, ვიდრე ისინი მიიღებდნენ აღმასრულებელ კომპენსაციას ყოველგვარი დანახარჯის გარეშე, რაც მენეჯმენტის წახალისებას წარმოადგენდა მაშინ, როდესაც აქცენტი გაკეთებული იყო აქციის ფასებზე.

დღევანდელ კრიზისსა და 60-იანი წლების კონგლომერატულ ბუმს შორის სივრცობრივი განსხვავებაა. მაშინ ინვესტორები იძლეოდნენ წილზე გაზრდილ მოგებას, იმის მიუხედავად, როგორ იყო ის მიღწეული. კონგლომერატული ბუმი ფასიანი ქაღალდების ბაზრის მცირე სეგმენტს შეიცავდა, ანუ კონგლომერატებსა და კომპანიებს, რომელსაც შეისყიდოდნენ. ასევე მოიცავდა ე.წ. საჯარო საინვესტიციო ფონდებს, რომელსაც „მიდი-შიაწე“ ფონდები ეწოდება. როდესაც კონგლომერატები დაემუქრა მთლიან ფინანსურ ისტებლიშმენტს, მან გაილაშქრა მათ წინააღმდეგ. განსხვავებული ვითარება იყო 90-იანი წლების ბუმის დროს, მან მოიცვა მთელი კორპორატიული და საინვესტიციო საზოგადოება, ასევე დღევანდელი პოლიტიკური ელიტა, რომელიც ამ პროცესში მთლიანად მონაწილეობს. „ენრონის“, „კორლდკომისა“ და „ართურ ანდერსენის“ ეკონომიკიდან წასვლა მთელი ამერიკული საზოგადოების დარაზმვამ გამოიწვია, მათ წინააღმდეგ დაიძრა კორპორატიული ელიტები, პოლიტიკოსები, მედია და მთელი საზოგადოება. მიუხედავად იმისა, რომ კონგლომერატული ბუმი დასრულდა, საზოგადოების პროტესტიდან გამომდინარე, ახალი გზების ძიება დაიწყო. დაიწყო კორექტული ზომების ძიება ახალი კურსის აღების მიზნით მხოლოდ კოლაფსის შემდეგ. დღესაც კი, ბიზნესის სფერო ზარალის შეფასებას არ ცდილობს. გამოსავლის ძიებისას არ არის საკმარისი კანონდამრღვევთა მაგალითის მოყვანა. ამ პროცესის მონაწილე ყველა ჩვენგანია და ერთად უნდა განვიხილოთ ჩვენი შეხედულებები.

რეფლექსურობის თეორიის მიხედვით, შეცდომები და არასრულყოფილი იდეები ნაწილობრივ მაინც პასუხისმგებელია ეკონომიკურ აღმავლობასა და დაცემაზე. 90-იანი წლების ანალიზისას ჩვენ შეგვიძლია ორი სპეციფიკური ელემენტის გამოყოფა: პროფესიული სტანდარტების დაცემა და ინტერესთა კონფლიქტის დრამატული ზრდა. ისინი უფრო ფართო პრობლემის სიმპტომებს წარმოადგენს: ფინანსური მიღწევების განდიდება იმისდა მიუხედავად, როგორ იქნა მიღწეული. ადვოკატის, ბუღალტრის, აუ-

დიტის სპეციალისტის, ფინანსური ანალიზის ექსპერტის, კორპორაციის ოფიცრისა და ბანკირის პროფესია სარგებლის მომტანია, რაც თავისთავად აღემატება პროფესიული სტანდარტის მიღწევას. ფინანსური ანალიზის ექსპერტები ცდილობენ აქციების გაყიდვის ხელსაყრელი გარემო შექმნან, ამით კი საბანკო საინვესტიციო ბიზნესის გამართვას უწყობენ ხელს. ბანკირები, ადვოკატები და აუდიტორები მიმართავენ კანონდარღვევებს იმავე მიზნის გამო. შესაბამისად, მოხდა ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა მოგების გაზრდის პირობებში. მაშინ, როდესაც ადამიანების მცირე ჯგუფი კრიმინალს სჩადის, დანარჩენი საეჭვო ოპერაციებს ახორციელებს. ისინი ამ პრაქტიკას მიმართავენ, რადგანაც კანონმდებლობა ამის საშუალებას აძლევს. ჯერ ერთი, არსებობს საზოგადოდ მიღებული საბუღალტრო პრინციპები და მეორე, სხვებიც იგივეს სჩადიან. როდესაც ზოგადი პრინციპები კოდიფიცირებულია (რასაც წარმოადგენს საზოგადოდ მიღებული საბუღალტრო ანგარიშები), წესების არიდება, რამდენად პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ამ შემთხვევაში, იოლდება. ამ ინდუსტრიას სტრუქტურირებული ფინანსები ეწოდება და, ძირითადად, რეგულირების თავიდან აცილებას ითვალისწინებს. წარმატებით იქნა წარმოდგენილი ფინანსური ინოვაცია, რომელიც მთლიანად გაყალბებულია. მისაღების შეზღუდვები უარყოფილ იქნა ფუნქციონირების მიერ. ბუნებრივი შერჩევის პროცესი ამუშავდა: ვინც უარი განაცხადა, გავლენის ქვეშ აღმოჩენილიყო, ჩრდილში მოექცა, ის კი, ვინც პროცესს უძღვებოდა, ვერ ამჩნევდა საშიშროებას, რადგანაც წარმატებამ მას თავებურ დაახვია და ამავე დროს სხვების გავლენას განიცდიდა. როგორც „Financial Times“ წერდა: „ისინი ვერ ამჩნევდნენ აისბერგს, რადგანაც მის წვერზე ისხდნენ.“

ფინანსური წარმატებისაკენ დაუცხრომელი მისწრაფების ხაზგასმა წარმოადგენს დომინირებულ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც, ვიწრო, კერძო ინტერესების განხორციელება საერთო ინტერესებს ემსახურება. მე-19 საუკუნეში მას „laissez faire“-ს უწოდებდნენ. დღეს მისი მიმდევრები ფრანგულად არ ლაპარაკობენ, მე ამ მიმდინარეობას უფრო თანამედროვე სახელი დავარქვი: საბაზრო ფუნდამენტალიზმი. საბაზრო ფუნდამენტალიზმი 1980 წლიდან ხდება გაბატონებული მიმართულება ეკონომიკაში. ესაა პერიოდი, როდესაც ამერიკის პრეზიდენტი ხდება რონალდ რეიგანი, ხოლო გაერთიანებული სამეფოს პრემიერ მინისტრად ირჩევენ მარგარეტ ტეტჩერს. საბაზრო ფუნდამენტალიზმის უმთავრეს მიზანს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე, კაპიტალისა და მეწარმეობის თავისუფალი მოძრაობა წარმოადგენდა. იგი სახელმწიფოს როლს ეკონომიკის რეგულირებაში სრულიად გამორიცხავდა. ფინანსური ბაზრების გლობალიზაცია საბაზრო ფუნდამენტალიზმის უმთავრეს პროექტს წარმოადგენდა. ვიდრე მისი უარყოფითი მხარეები გამოვლინდებოდა, საბაზრო ფუნდამენტალიზმი წინ გადადგმულ ნაბიჯად იყო მიჩნეული.

საბაზრო ფუნდამენტალიზმი ცრუ და საშიში იდეოლოგიაა. ცრუ ორი მიზეზით: პირველი, ის არასწორად ხსნის ფინანსური ბაზრების მოქმედების პრინციპს—ბაზრები წონასწორობისაკენ ისწრაფვიან და წონასწორობა რესურსების ოპტიმალურ დაგროვებას განაპირობებს. მეცნიერი ეკონომისტები საზოგადო წონასწორობის მიღმა იკვლევდნენ, ისინი მრავალ წონასწორობაზე საუბრობენ. საბაზრო ფუნდამენტალისტები მიიჩნევენ, რომ მათ ზურგს უმაგრებს მეცნიერება, არა მარტო ეკონომიკური, ასევე ჩარლზ დარვინის ძლიერის გადარჩენის თეორია. მეორე, ისინი კერძო ინტერესებს

უთანაბრებენ საზოგადო ინტერესებს. საბაზრო ფუნდამენტალიზმი კერძო ინტერესებს ზნეობრიობასთან აკავშირებს.

მაგრამ თუ ფინანსური ბაზრები არ არის წონასწორობაში, როგორც ამას რეფლექსურობის თეორია აშუქებს, კერძო ინტერესები არ შეიძლება გაუთანაბრდეს საზოგადო ინტერესებს. ფინანსური ბაზარი სოციალურ გარღვევებს იწვევს.

ხდება საბაზრო მექანიზმების მორალურ თვისებებთან გათანაბრება. ბაზრის უმთავრესი თვისება კი ამორალობაა. უნდა ითქვას, რომ ზნეობრიობა საბაზრო ფასებში არ პოულობს გამოხატულებას. ეს იმიტომ, რომ განსაზღვრების მიხედვით, თვითკმარ ბაზარს უამრავი მონაწილე ჰყავს, და ვერც ერთი მათგანი გავლენას ვერ ახდენს საბაზრო ფასებზე. თუ ბაზრის ზოგიერთი მონაწილე მორალური შეზღუდვების გამო უკან იხევს, სხვა მარგინალურად განსხვავებულ ფასებს აწესებს. მაგალითად, მორალისტები ალკოჰოლისა და თამბაქოს კომპანიებს ხელს ვერ შეუშლიან მეტ-ნაკლებად გაზარდონ კაპიტალი. ამის შედეგად, ბაზრის ანონიმური მონაწილეები, მარგინალური ხდებიან. ფინანსური ბაზრების ამორალობა განაპირობებს ბაზრის თვითკმარობას. მოწილეები მაქსიმალურად ზრდიან მოგებას და სრულიად არ ითვალისწინებენ სოციალურ საკითხებს. (რასაკვირველია, თვითკმარი ბაზრის კონცეფცია აბსტრაქტიაა. რეალურად კი, ბაზრის ბევრი მონაწილე არ არის ანონიმური და მათი გადაწყვეტილებები სხვებზე მოქმედებს). იქიდან გამომდინარე, რომ ბაზრები ამორალურია, მათ მთელ რესურსებს ვერ დავეუბნებთ. საზოგადოება ვერ შეინარჩუნებს ერთობას, თუ საერთო ინტერესები არ არსებობს. თუ კერძო ინტერესები ვერ უთანაბრდება საზოგადო ინტერესებს, საზოგადოებრივი ინტერესები ბაზრის გარდა სხვა ფორმით უნდა გამოვლინდეს.

უნდა განვსხვაოთ წესების შექმნა წესებით თამაშისაგან. როგორც ბაზრის მონაწილეები, ვთამაშობთ რა წესებით, საკუთარი ინტერესების განხორციელებას უნდა ვესწრაფოდეთ. მაგრამ როგორც წესების შემქმნელებმა, საერთო ინტერესებით უნდა ვიხელმძღვანელოთ, დემოკრატიაში ხომ ყველა წესების შემქმნელია. იმის გამოცხადებით, რომ საზოგადო ინტერესებს განსაზღვრავს კერძო ინტერესები, საბაზრო ფუნდამენტალისტები განსხვავებას ქმნიან. ამ კომფორტული იდეოლოგიის დახმარებით, ფუნდამენტალისტებს სინდისი სრულებით არ ქენჯნით, წესები საკუთარ სარგებელს დაუქვემდებარონ. შედეგად ვიღებთ არა სრულყოფილ კონკურენციას, არამედ ჩაკეტილ კაპიტალიზმს, სადაც მდიდარი და ძლიერი საკუთარ პრივილეგიებულ მდგომარეობას მორალურ გამართლებას უსადაგებს.

საბაზრო ფუნდამენტალიზმის საფრთხეები საერთაშორისო ასპარეზზე ნათლად გამოიკვეთა. საფინანსო ინსტიტუტების განვითარებამ ფეხი ვერ აუწყო გლობალური ფინანსური ბაზრების ზრდას. 1980 წლის შემდეგ რამდენიმე საერთაშორისო კრიზისის მოწმენი გავხდით. ჩვენს ეკონომიკაზე კრიზისების გავლენა შედარებით უმნიშვნელო იყო, ამის მიზეზად ფედერალური სარეზერვო სისტემის მწყობრში ყოფნა შეიძლება დავასახელოთ. 1998 წლის კაპიტალის მენეჯმენტის გრძელვადიანი კრიზისის დროს ფედერალური სარეზერვო სისტემა სწრაფად ამუშავდა. მაგრამ ბევრი სხვა ქვეყანა რამდენჯერმე იქნა მიწასთან გასწორებული, მათ რიცხვს მიეკუთვნება არგენტინა, ბრაზილია, მექსიკა, ტაილანდი, ინდონეზია, კორეა, რუსეთი. იმის აღიარების ნაცვლად, რომ

ფინანსური ბაზრები იმთავითვე არასტაბილურია, და დიდი ბაზრები ძლიერ ფინანსურ ინსტიტუტებს მოითხოვენ, საბაზრო ფუნდამენტალისტები საპირისპირო დასკვნას აკეთებენ: ისინი საერთაშორისო სავალუტო ფონდს არასტაბილურობაში სდებენ ბრალს. ისინი აცხადებენ, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი დახმარების გაწევით „მორალურ რისკს“ ქმნის, ბაზარი უფრო მეტ კრედიტს იძლევა, ვიდრე სხვა შემთხვევაში. ამ ზეწოლის გავლენით სავალუტო ფონდი ახალ სტრატეგიას იმუშავებს, კრედიტს აძლევს კერძო სექტორს და ნაკლებად ქვეყანას. მას შემდეგ, რაც საინვესტიციო ბანკები ნაკლებ ქველმოქმედებას ეწევიან, მათი მიზანია შიდა კრედიტის სანაცვლოდ რაიმე უპირატესობა ჰქონდეთ, ეს გულისხმობს მაღალ საპროცენტო განაკვეთს, რაც, საბოლოოდ, განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას აფერხებს.

1997-1999 წლების ფინანსურმა კრიზისებმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოლიტიკა შეცვალა, დებიტორ ქვეყანაში შემავალი კაპიტალის ღირებულება გაიზარდა. ამის შედეგად, ბოლო წლებში შეინიშნება კაპიტალის ღირებულება პერიფერიიდან განვითარებულ ქვეყნებში. ეს კი, აშშ-ს მზარდმა ფინანსურმა დეფიციტმა აჩვენა. იგი 400 მილიარდ დოლარს შეადგენს, რაც მშპ (მთლიანი შიდა პროდუქტი) 4%-ს წარმოადგენს. ეს მეორე „ბუშტის“ შექმნას გულისხმობს, რომელიც ასევე მალე გასკდება, თუმცა დროის დადგენა გაგვიჭირდება. დოლარის დასუსტება საფრთხეს შეიცავს, მაშინ, როცა მისი ალტერნატივა ვალუტები, ევრო და იენი არც ისე ძლიერი ვალუტებია. ბრაზილიის ფინანსური კრიზისი კიდევ უფრო საშიშ პერსპექტივას ქმნის. საბაზრო ფუნდამენტალიზმის შეხედულებიდან გამომდინარე ბრაზილიამ ყველაფერი არაჩვეულებრივად გააკეთა. ფასიანი ქაღალდები 20%-იან შემოსავალს იძლევა, არც ერთ ქვეყანას ასე მაღალი საპროცენტო განაკვეთის პირობებში არსებობა არ შეუძლია. ბუშის ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 30 მილიარდი დოლარი გამოყო კრიზისის დაძლევის მიზნით, თუმცა ბაზარზე ამას მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მოჰყოლია. მორალური რისკიდან გამომდინარე, ბაზრები ვალის თავიდან აცილებას ცდილობდნენ. საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა, ბრაზილია საკუთარი რესურსებით ცდილობს კრიზისიდან გამოსვლას. თუ ბრაზილია ვერ შეძლებს ფეხზე დადგომას, საერთაშორისო ფინანსურ სისტემასაც იგივე ბედი ელოდება. გლობალური ფინანსური ბაზრები დღევანდელ სახეს ვეღარ შეინარჩუნებს, ის რეფორმას უნდა დაემორჩილოს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეფორმა გარდაუვალია. უნდა გაძლიერდეს მისი, როგორც გამსესხებლის ფუნქცია, რომელიც დააფინანსებს კერძო სექტორს და დაეხმარება განვითარებად ქვეყნებს შიდა ზრდის მიღწევაში. ეს კი, მნიშვნელოვან ინსტიტუციონალურ ცვლილებებს მოითხოვს. თუმცა ბუშის ადმინისტრაცია ამის საჭიროებას არ გრძნობს. ისინი საბაზრო ფუნდამენტალიზმზე მიბუღლნი რჩებიან.

საბაზრო ფუნდამენტალიზმის მიხედვით, საერთაშორისო ასპარეზზე, ისევე როგორც ქვეყნის შიგნით, კერძო ინტერესების კოლექტიური მისწრაფება ეკონომიკურ სტაბილურობას უზრუნველყოფს. მაგრამ, როგორც დღევანდელი არეულობა მოწმობს, ეთიკური პრინციპებისა და სოციალური საკითხების გაშუქების უკმარისობა ხელისუფლებისა და მის წინაშე ანგარიშვალდებული ზალხის მიერ მნიშვნელოვან არასტაბი-

ლურობას ქმნის. ღირებულებების ჩამოყალიბება უკუქმედების პროცესის შედეგად ხდება, მსგავსად საბაზრო ფასების შექმნისა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ორმხრივი კავშირი არსებობს ღირებულებებსა და ეკონომიკურ ფუნდამენტალიზმს შორის (მთავრობისა და კომპანიების ეკონომიკური ქმედება) ერთი მხრივ, და საბაზრო ფასებს შორის, მეორე მხრივ. ეკონომიკის თეორიაში აღნიშნულია, რომ მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდები განსაზღვრავს ფასებს. არსებობს ინვერსიაც, როდესაც ბაზარზე მიმდინარე პროცესები გავლენას ახდენს მონაწილეთა ღირებულებებსა და ე.წ. საფუძვლებზე. რაც უფრო არასტაბილური ხდება სისტემა, მით უფრო მგრძნობიარეა მონაწილე საბაზრო განვითარებებზე. ეთიკური, პროფესიული და სოციალური პრინციპები ღუზის როლს თამაშობს და ამით ფინანსური ბაზარი სტაბილურობას ინარჩუნებს. პირობები ამ შემთხვევაში, უახლოვდება ეკონომიკური თეორიის პრინციპებს: ღირებულებები მეტ-ნაკლებად არის დამოკიდებული ბაზარზე, ხოლო შედეგი მეტ-ნაკლებად სტაბილურ წონასწორობაშია. მაგრამ როდესაც ადამიანები ფინანსურ წარმატებას ესწრაფვიან სხვების მოსაზრებების გათვალისწინების გარეშე, ისინი საკუთარი თავის განადგურებას უწყობენ ხელს.

ეს სწორედ ისაა, რაც მოხდა ეკონომიკური აღმავლობა/დაცემის ციკლის დროს. უორენ ბაფეტი და სხვა რამდენიმე ეკონომისტი უარყოფენ იმ ფაქტს, რომ მათ არ განუცდიათ 90-იანი წლების ირაციონალური აღმავლობის გავლენა და მათი გადაწყვეტილებები ეკონომიკური ქმედებების საფუძვლებს ეყრდნობა. ინვესტორების დიდი უმრავლესობა წალეკილი აღმოჩნდა თვითგამდიდრების ტალღით, დიდი ფული დაბანდლა ბირჟაზე. სამეწარმეო და გამომგონებლური უნარების წახალისება შეზღუდვების მოხსნამ გამოიწვია. აქციონერთა ინტერესები ყველაფერზე წინ დადგა. რაც შეეხება აღმავლობას, ის სრულიად ირაციონალური არ ყოფილა. როდესაც ეკონომიკის საფუძვლები არ შეესატყვისება მოლოდინებს, პროცესი არამყარია ხდება. ამიტომაც, რომ ეთიკური და პროფესიული პრინციპები პროცესს ვერ ხდის შეკრულს.

არგუმენტი სტაბილურობის შესახებ შეესაბამება არა მარტო ბაზრებს, არამედ საზოგადოებას ზოგადად. როგორც ვნახეთ, ფინანსური ბაზრები ამორალურობით ხასიათდება, საზოგადოება კი ვერასოდეს გახდება სტაბილური საერთო პრინციპების არარსებობის დროს. თუმცა ამორალობა ფინანსური ბაზრების ეფექტიანობასა და არაჰუმანურობას უწყობს ხელს, ჰუმანურობის შეგრძნება პოლიტიკურმა პროცესმა უნდა წარმოქმნას, თუნდაც ეს გულისხმობდეს ეფექტიანობის დაკარგვას, რომელიც მშპ იზომება. ეს ის ძირითადი ხედვაა, რომელიც ამერიკულ პოლიტიკას აკლია. საბაზრო ფუნდამენტალისტები არწმუნებენ საკუთარ თავს და სხვებს, რომ პოლიტიკის ძირითად მიზანს ბაზრის დაცვა წარმოადგენს, ეფექტიანობისა და ეკონომიკური ზრდის ინტერესებიდან გამომდინარე. ისინი აღნიშნავენ, რომ სოციალიზმმა ყველა ფორმით კრახი განიცადა. მაგრამ ეს არგუმენტი მცდარ ლოგიკაზეა აგებული. ის არ გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ რეგულირება არ არის სრულყოფილი და დაურეგულირებელი ბაზარი სრულყოფილია. ყველა ადამიანური კონცეფცია, მათ შორის ბაზარი, რაღაც თვალსაზრისით არ არის სრულყოფილი. სრულყოფილება ჩვენი მიღწევების მიღმაა. აი, რაში მდგომარეობს საბაზრო ფუნდამენტალიზმის სისუსტე, ისინი საბოლოო ჭეშმარიტებაზე აპელირებენ.

ახალი მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავებისას უნდა გვახსოვდეს, რომ მას უარყოფითი მხარეც შეიძლება ჰქონდეს. მაგრამ უკუქმედების მექანიზმის დახმარებით კორექტირება იოლდება. სწორედ, უკუქმედების მექანიზმის არსებობა განაპირობებს ცენტრალურ დაგეგმარებაზე ბაზრის რეგულირების უპირატესობას. უკუქმედება კონტროლის საშუალებას იძლევა. დემოკრატია ამ კონტროლს უზრუნველყოფს.

90-იანი წლებიდან ფინანსურ ბაზრებს დიდი თავისუფლება მივანიჭეთ. ნება მივეცით კორპორაციებს მოგების მაქსიმიზაციაზე ეზრუნათ თანასწორი შესაძლებლობების, ეკოლოგიური ფაქტორისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების გათვალისწინების გარეშე. პროფესიული სტანდარტები დაეცა. ინტერესთა კონფლიქტი გახშირდა. ამგვარი ვითარების კორექტირება მთავრობის ჩარევას მოითხოვს. საინტერესოა ის, რომ ბოლო პერიოდში გარკვეული რეფორმის მცდელობას ჰქონდა ადგილი. 947 უდიდესი კომპანიის ფინანსების სპეციალისტების სერტიფიცირება მოხდა. მათ კრიმინალში ედებოდათ ბრალი იმ შემთხვევაში, თუ ფინანსები კომპანიას წესრიგში არ ექნებოდა, თუნდაც ანგარიშები საზოგადოდ მიღებული საანგარიშო პრინციპების მიხედვით ყოფილიყო წარმოდგენილი. ღირებულებები ბუნდოვანია და გაყალბების საშუალებას მაინც იძლევა. ის ზოგადი პრინციპების უპირატესობას აღიარებს კონკრეტული ხასიათის პრინციპებზე. ამ სიახლით თითქოს ძველ დროს ვუბრუნდებით, როდესაც, მაიკ მილკენის დროს, შიდა ვაჭრობისა და ბირჟაზე მანიპულაციის წესები კოდიფიცირებული ჯერ კიდევ არ იყო.

კანონმდებლობა პასუხის მხოლოდ ნაწილია. კანონში ცვლილებებს თან უნდა ახლდეს ახალი დამოკიდებულებები. ბოლო ანალიზში პროფესიული სტანდარტების წახალისება პროფესიონალების მიერ უნდა მოხდეს. ინტერესთა კონფლიქტის უგულვებელყოფა კი, მხოლოდ კერძო ინტერესებზე მაღლა საერთო ინტერესების დაყენებიდან მომდინარეობს. აზროვნებაში ცვლილებების გარეშე ახალი რეგულირების მექანიზმებისა და ახალი კანონების დანერგვა ახალ პრობლემებს შექმნის.

არარეალისტურია, რომ პროცესში მონაწილეთა ცვლილება ერთბაშად მოხდეს. მაგრამ შეუძლებელია საზოგადოებრივი აზრი და საზოგადოებრივი დისკურსი, რომელსაც 90-იანი წლებში ჰქონდა ადგილი, არ აღიბეჭდოს ინდივიდების ქმედებებზე. ამერიკელებმა უნდა ისწავლონ განსხვავება ინდივიდთა კოლექტივსა და ადამიანთა საზოგადოებას შორის, პირველი კერძო ინტერესებით ხელმძღვანელობს, მეორე კი, საერთო ინტერესებით. ამის გაცნობიერებაზეა დამოკიდებული ამერიკისა და მსოფლიოს ეკონომიკური სტაბილურობა და კეთილდღეობა.

ომი საშინელებაა 11



გოსლაბ-შმაზის კონცერნი
ГОСЛАБ - SHMAZI Cooperation

War is horror 11



**შემოქმედება,
თანაგრძნობა,
არაქაღადობა**

**CREATIVITY,
EMPATHY,
NONVIOLENCE**



ინტერვიუ

ჯულია ქოუნინი

გთავაზობთ, ამერიკელი მოქანდაკის, ჯულია ქოუნინის ინტერვიუს. ჯულია ქოუნინმა საქართველოში თექის დამზადება შეისწავლა და შემდეგ ბიზნესი წამოიწყო. მან თექის აქსესუარების დიზაინი შეიმუშავა. თელავში მზადდება თექის ნიმუშები, რომლისგანაც აშშ-ში იკერება აქსესუარები და იქვე იყიდება. ვფიქრობთ, ჯულია ქოუნინის აზრი საქართველოს შესახებ საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისთვის.

1. როგორ შეიტყვეთ საქართველოს არსებობის შესახებ?

პირველად საქართველოს შესახებ მაშინ შევიტყვე, როდესაც ჩემი ძმა, დენიელ ქოუნინი, საქართველოში ჩამოვიდა. ეს ჯერ კიდევ სამოქალაქო ომამდე მოხდა. მოგვიანებით, 1997 წელს, როდესაც ჩემმა ძმამ ცოლი მოიყვანა, უკვე საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობას, ისტორიასა და კულტურასაც გავეცანი. მე ქორწილში ჩამოვედი. მეგობრებთან და ოჯახთან ერთად საქართველოს მრავალი კუთხე მოვინახულე. იმ წლიდან ზუსტად ვიცოდი, რომ საქართველოში კვლავ დაგბრუნდებოდი.

2. რა მოგწონთ საქართველოში ყველაზე მეტად?

პირველ რიგში, ადამიანები. ქართველები ძალიან მეგობრული და გულთბილი ხალხია. ჩემთვის, როგორც უცხოელისთვის, აქ ჩამოსვლა ყოველთვის დიდი სიამოვნებაა. საქართველოში არაჩვეულებრივი ტრადიციებია. მე მომწონს აქაური სამზარეულო და ღვინოები.

3. როგორ გადანწყვიტეთ თექის დამზადების ტექნოლოგიის შესწავლა?

აქ ჩამოსვლის შემდეგ დავდიოდი მუზეუმებში და ვათვალიერებდი ქართული ხალხური რეწვის ნიმუშებს. შემდეგ გადაწყვიტე, რომ უბრალოდ ჩამოსვლასთან ერთად, რაიმეს გაკეთებაც მესწავლა. ამერიკაში გავიცანი ქართველი ქალბატონი, ირინა პოპიაშვილი, რომელსაც ნიუ-იორკში გაღერეა აქეს. სწორედ მან მიჩნია თექის დამზადების შესწავლა. 1999 წელს კვლავ ჩამოვედი საქართველოში, უკვე იმ მიზნით, რომ მისი რჩევა განმეხორციელებინა.

4. რა არ მოგწონთ თანამედროვე ქართულ ყოფაში?

პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო არსებული გაჭირვება. ეს ჩემთვის მეტად სამწუხაროა. ჩემთვის, როგორც ფემინისტისთვის, მეტად საწყურადღებოა ქალების პრობლემა. აქ ქალები დამოუკიდებელნი არ არიან. მე ვგულისხმობ ფინანსურ დამოუკიდებლობას. ქალებს არა აქვთ საშუალება, მიიღონ კარგი განათლება და შემდეგ ნორმალური სამსახური მოიძიონ. მეორე, რაც არ მომწონს, ქართველების გარემოსადმი დამოკიდებულებაა. საქართველო ისეთი ლამაზია, მოსახლეობა არც კი ფიქრობს იმაზე, რომ რამენაირად მოუფრთხილდეს ბუნებას. ჩვენ, შეიძლება ითქვას, „დაგვაპროგრამეს“, რომ ქუჩაში ნაგავი არ დავყაროთ და გარემო არ დავაბინძუროთ. ჩემი აზრით, ამ პრობლემის მოგვარება შეიძლება, თუკი ბავშვებს სკოლის ასაკიდანვე ჩაუნერგავენ, რომ ქუჩების დანაგვიანება არ შეიძლება. ერთხელ, ალაზნის ველზე პიკნიკზე ვიყავით გასული. წამოსვლისას მასპინძელმა ნაგავი მდინარეში ჩაყარა. ვერ წარმოიდგენთ ჩემს აღშფოთებას.

5. რას ფიქრობთ ქალთა მდგომარეობაზე საქართველოში?

ქალებს აქ მრავალი პრობლემა აქვთ. როგორც აღვნიშნე, მე ფემინისტი ვარ და ჩემთვის მათი პრობლემა მნიშვნელოვანია. ჩემი აზრით, საქართველოში არსებული პრობლემების მსგავსი სირთულეები ბევრ სხვა სახელმწიფოშიც არსებობს. პირველ რიგში, ეს პრობლემები ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარეობს. ქალები ეკონომიკურად დამოუკიდებელნი არ არიან. მეორე რამ, რაც მინდა აღვნიშნო, არის ის, რომ საქართველოში არ მოქმედებს კანონის უზენაესობის პრინციპი. ქალებს არა აქვთ იმედი, რომ მათ ძალადობისაგან კანონი დაიცავს. აშშ-შიც არსებობს ქალთა პრობლემა. იქაც ცდილობენ ქალების მდგომარეობის გაუმჯობესებას. აშშ-ში არსებობს სპეციალური თავშესაფრები ქალებისათვის.

6. რას ფიქრობთ საქართველოში არსებული სიღარიბის შესახებ; თქვენი აზრით, შეიძლება თუ არა მისი დაძლევა?

პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ ქუჩებში მათხოვრების დანახვა ჩემთვის ძალიან სამწუხაროა. სოფლებშიც უამრავი ხალხი შიმშილობს. ვიცი, როგორ ცხოვრობენ დევნილები. მე ექსპერტი არა ვარ, მაგრამ, ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა, თუ სახელმწიფო ხელს შეუწყობდა სოფლებში მცირე ბიზნესის განვითარებას.

7. თქვენი აზრით, მომგებიანია თუ არა უცხოელებისთვის საქართველოში ბიზნესის დაწყება?

ზოგადად ბიზნესის განვითარებაზე ვერ ვისაუბრებ. მე შევიძუმავე თექის ყვავილებისა და აქსესუარების დიზაინი. ძირითადად ვამზადებთ ქუდებსა და ჩანთებს. თექის მასალა საქართველოში, თელავში მზადდება და შემდეგ ნიუ-იორკში იგზავნება. იქ იკერება შესაბამისი აქსესუარი და შემდეგ სხვადასხვა მაღაზიაში იყიდება. ჩემი ბიზნესი აქ ძალიან მცირეა და, შესაბამისად, მოგებაც დიდი არ გვაქვს. დიდი ბიზნესი სრულიად სხვა სფეროა.

8. აპირებთ თუ არა აშშ-ში თექის დამზადების ტექნოლოგიის გაფართოებას? ასწავლით თუ არა სხვებს თექის დამზადებას?

ნიუ-იორკის ერთ-ერთ სკოლაში ხელოვნებას ვასწავლი. რამდენიმე ხნის წინ მივიწვიე მანანა სულაკაური და ნინო ყიფშიძე ბავშვებისთვის გაკვეთილების ჩასატარებლად. მათ ბავშვებს თექის დამზადების რამდენიმე გაკვეთილი ჩაუტარეს. ბავშვები აღფრთოვანებულნი დარჩნენ.

9. რომელი ქართველი მხატვრები მოგწონთ?

მე ძალიან მომწონს ძველი ქართული სამკაულები. ჩემი ერთ-ერთი საყვარელი მხატვარია კარლო კაჭარავა. თანამედროვე მხატვრებიდან მე მომეცა შესაძლებლობა, გამეცნო მამუკა ჯაფარიძე. იგი ვენეციის ბიენალეზე საქართველოს წარმოადგენდა. ჩემი აზრით, მისი ნამუშევრები ძალიან საინტერესოა. მე მისი თაყვანისმცემელი ვარ.

10. რას უსურვებდით საქართველოს მომავალში?

პირველ რიგში, გისურვებთ, რომ მუდამ დამოუკიდებელი სახელმწიფო იყოთ. შეეცადეთ, განავითაროთ ეკონომიკა, რადგან ამის გარეშე ზოგადად სახელმწიფოს განვითარება შეუძლებელია. იმედი მაქვს, რომ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის გაყვანის შემდეგ საქართველოში უფრო მეტი ინვესტიციები შემოვა და ეს ქვეყანას დაეხმარება. რაც მთავარია, ეცადეთ აღმოფხვრათ კორუფცია.

ომი საშინელებაა 12



გოსლაბ-შმაზის კონცერნი
ГОСЛАБ - SHMAZI Cooperation

War is horror 12

ქმრების საკითხავი

შაკო ბაკურაძე

1;

ამ გამოშინულ ვაგონებში ცხოვრობენ გზები ბალახმოვლილი და უიმედოდ დავ-
იწყებული,

კუხი ბალახი - ასე ჰქვია მერძევე მოხუცს. კარდაკარ ყველს რომ დაატარებს და
გარდაცვლილთა ამბებს გვიყვება

მისი თვალები მინდვრის ცისფერი ყვავილებია ჩემს სასკოლო ჰერბარიუმში,

მისი ტუჩები კარადაზე ჩამომხრჩვალ ვაშლის ჩირია

და მაცვლის ბუჩქთან აბუხული ბელურებია მისი სიტყვები:

ის ამბობს,

თითქოს გვქონდეს გული

და ეს გული გრძნობდეს სიყვარულს,

თითქოს გვყავდეს ღმერთი, რომელიც

ხედავს ნასვრეტებს ჩვენს ყველივით ქათქათა გულზე.

თითქოს ვგრძნობდეთ ბავშვობას როგორც

ძირგახვრეტილ ჩექმებს წვიმაში.

“წარმოიდგინეთ თქვენი სახლი, როცა მოკვდებით“ -

იტყვის და თვალებს გააპარებს შენობებისკენ,

რომლებშიც კედლებს ისეთივე გრილი კანი აქვთ როგორც

ადამიანს სიცოცხლის შემდეგ.

“წარმოიდგინეთ თქვენი სახლი, როცა მოკვდებით

თქვენი კეთილი ფანჯრები და სავარძლები როცა მოკვდებით.

ეს თქვენი სახსე ოთახები, როცა მოკვდებით,

როცა ამ ჭერქვეშ ვერ შემოხვალთ.

გახსოვთ ბაბუას მზიანი და ფართო ოთახი,

იმ დილით ახლადგაღვიძებულებმა კარი რომ შეაღღეთ,

მან კი გთხოვათ:

ნუ შემოხვალთ, ბებო მოკვდაო,

გარეთ თოვდა

და დაორთქლილი შუშიდან დაინახეთ -

ეზოში

საადრეო ვაშლის ადგილას პერანგისამარა იდგა ბებო
და ბავშვით ფეხისწვერებზე წამოწეული
ცდილობდა შეეხედა ოთახში, სადაც
დებდა ტიროდა.
თქვენ კი ფიქრობდით თოვლზე, რომელიც
როგორც იქნა მოვიდა
და ბებოზე,
რომელმაც ყველას დაგასწროთ ადგომა
და ფეხშიშველი გავიდა თოვლში
ხელისგულზე ფანტელების შესაგროვებლად.
სიკვდილიც მაშინ ეს გეგონათ,
როცა ფანტელები ხელისგულზე აღარ დნებოან.
მერე გამოანათა მზემ და მოვიდნენ ახლობლები, მეზობლები და ნათესავები
და თითოეულმა საკუთარი წილი სიკვდილი წაიღო თქვენგან,
წაიღეს, მაგრამ არცერთს სახლამდე არ მიჰყოლია.
სახლი კი უფრო დაცარიელდა -
არც ბებო იყო, აღარც სიკვდილი და აღარც თოვლი.

გახსოვთ, ბაბუას მზიანი და ფართო ოთახი,
მატარებლით გაემგზავრეთ უცხო ქალაქში?
ფანჯრებიდან ისევ ნაცნობი ცა მოჩანდა,
დედიკოც ისევ ახლოს იყო
და თქვენ შეგეძლოთ მის კალთაში დიდხანს გეთვლიმათ.

გახსოვთ ის კაცი, ტამბურში ასტრას რომ ეწეოდა,
თან ისე მძიმედ ახველებდა იფიქრებდი ნახველს გულსაც ამოაყოლებსო?
გახსოვთ მისი რუხი პალტო,
ჟღალი თმები და სისხლისფერი წყლიანი თვალები?
გახსოვთ ის კაცი, მაშინ შეშლილი რომ გეგონათ -
ახლა მკვდარია.

ის შუალადით თქვენს კუბეში შემოეხეტა
და იღრიალა:

“ყველა მოკვდებით, ადრე თუ გვიან
და ვერ მიხვდებით საითკენ მიდის
ეს გზა, რომელსაც სიცოცხლე ჰქვია
და ეს სიკვდილი, რომელსაც ჭყინტი
ყველის ყიდვისას ღუმილით გამცნობს
მერძევე კარის ზარზე რომ რეკავს,
ის ყიდის კარაქს, ყველსა და მაწონს
და ნაცვლად წარსულს ყიდულობს შენგან.

მე კი ვიყიდე ერთხელ სიბერე,
 რაც რამ მებადა გავყიდე და შუა ომში უწვერული ყმაწვილებისგან
 ნაოჭები და სევდა ვიყიდე,
 გულგრილობა და სიკვდილის შიში ვიყიდე.
 და შემდეგ უკვე მათ საფლავთან მქონდა ცრემლები
 და წუთიწუთზე ამოსაყვანი ყველივით თბილი სიტყვებიც,
 მათი კანივით ქორთვა ვარდებიც
 და შეძენილი გულგრილობაც.
 და მაშინ მითხრა სასაფლაოზე მოხეტიალე ათი წლის ბიჭმა:
 “დილით, როდესაც მეძინა, დედამ
 მერცხალი ხარო ასე თქვა, ძია,
 მე კი თქვენს დამშრალ თვალებში ვხედავ,
 რომ მეც მოვკვდები ადრე თუ გვიან
 და ვერ მივხვდები, საითკენ მიდის
 ეს გზა, რომელსაც სიკვდილი ჰქვია.
 და ეს სიცოცხლე, რომელსაც ჭყინტი
 ყველის გემო აქვს და მაწვნის სუნი,
 ღამდამობით რომ მაჭმევენ ალით
 და ჭამის შემდეგ მერევა გული
 და ვარწყევ როგორც ფეხმძიმე ქალი,
 მთელს დედის რძეზე ნაყიდ ბავშვობას“.

მკვდარი იყო ის ბიჭი

ჰოო. დედათქვენი ახლა შორსაა,
 ცოცხალია და რძისფერ ღრუბლებში დაფარფატებს რძისფერი ფრთებით,
 მამათქვენი კი ჩააძაღლეს,
 ისინი მიხვდნენ და ჩააძაღლეს.
 მიხვდნენ - ჰო. მიხვდნენ თუ ვინც იყო,
 რომ თქვენს მამობას იბრალებდა
 და სააღდგომო ღორივით დაკლეს
 მდინარის პირას, რომელსაც ჰქვია
 “ჩვენთან არს ღმერთი“.

თქვენ კი ზღვისპირას უნდა იცხოვროთ
 და უნდა ჭამოთ თაფლი და თევზი,
 ესაა მამის ბოლო სურვილი,
 ესაა მამის ბოლო ლექსი:
 “სიცოცხლე ჩემი საუკეთესო თვისებაა და გეკითხები ცოცხლებს შორის განა იცნობ
 ვინმე ისეთს,

ამ თვისებაში ეჭვს რომ შეიტანს;

შენი ქმარი ვარ და ყოველდღივით ამ სიზმრებისგან დაცლილ ზეცას, ამ სიხარულს და ამ ქალაქს ვიწყებ შენიდან;

და ამ უკვდავი ღმერთითა და მოკვდავი ძმებით გულისრევამდე ბედნიერი ვარ.

ვერ გავრკვეულვარ, ღვთის სიძულვილს თუ თქვენს სიყვარულს გამოვხატავ, როცა ხეიბარ

სიტყვებს ვაგროვებლოცვისათვის და როცა ღამით შენთან წოლის ვითხოვ უფლებას და ვისმენ, ეჭვი გულის ბნელი სარდაფებიდან ნესტიანი ხმით მესაუბრება, რათა მეასედ დამარწმუნოს, რომ ყველა ქმარი მოკვდავია და სიკვდილიდან რომ ვარ მოსული.

რაც თავი მახსოვს, ცოცხალი ვარ - რა ვუპასუხო - შემრთეს ქალი. რომელიც მიყვარს და ის არის სხვისგან ორსული;

და ბნელ ოთახში ატუხული ილღიის ქვეშ ცოლის დაკარგვის ლაქას ვეხები როგორც ნიშნობის ბეჭედს.

მაგრამ ის მაინც ყოველღამით სხვასთან მიღის და მთვარის შუქზე წმინდანივით მიარხევს ბეჭებს.

ხოლო მე ისიც აღარ ვიცი, რა უნდა ვიგრძნო, სად მტკიოდეს, უბრალოდ ვზივარ, ვეწევი და ვხედავ ფანჯრიდან,

კუპრისფერი ზღვა როგორ რიყავს მეომართა წაშლილ გვამებს.

მესმის დაჭრილთა

მიწისფერი ხროტინი და შენ გეკითხები, რისთვის დასჭირდა

უფალს ამდენი ბედნიერი, ამდენი მოწმე მისი ღრეობის;

მე ზომ არაფერს. არაფერს არ დავიშურებდი, რომ ერთხელ მაინც, ერთხელ მაინც გადავხვეოდი მათ,

ვისი ხსოვნაც გადააქციეს საფლავის ჯვრებად, მარმარილოდ, ანდა გრანიტად.

რათა სიცოცხლე როგორც უბნის ბებიაქალი დახმარებოდათ გამოძრომაში სიკვდილის თბილი ჭუჭრუტანიდან

და შეეყვარეთ ისე, როგორც მიყვარხარ ახლა.

ყველაზე შორი, ყველაზე უცხო

და რაც ამ გრძნობას სიხარული და ცრემლი ახლავს,

ამ გულის გარდა არავინ უწყის;

სწორედ ამიტომ ვიმეორებ: სიცოცხლე ჩემი საუკეთესო თვისებაა და ვიწყებ ისევ შენი შვილიდან;

ის ღმერთი როა. აშკარაა და მოდის რათა გადაღლილი და

დამძიმებული, დაკოჟრილი ხელისგულები შემოვაგლო სიყვარულს, როგორც ანთებულ სანთელს;

ის ბავშვია და უფროსებმა, როგორც ბავშვური საიდუმლო სიცოცხლე ანდეს

და სიზმრად, როცა შენს მუცელზე ყურმილებული ვისმენ მის ყოფნას, ვრწმუნდები რომ ადამიანთა

ყველა ღიმილი და ყველა ცრემლი ამ ცეროდენა მფეთქავ გულში გაერთიანდა;

რომ შენ იცოცხლებ უსიკვდილოდ. მე კი მომკლავენ როგორც მოკლეს ქმრები ჩემამდე და ახლა ნებსით

თუ უნებლიეთ შუაღამით თავდახრილი ვდგავარ ზღვასთან და საკუთარ თავს დავებებ მკვდრებში,

რომ მივასვენო მამის სახლში, რომელშიც კედლებს

ისეთივე გრილი კანი აქვთ, როგორც ადამიანს სიცოცხლის შემდეგ;

რომელშიც სკამებს კუბოს ირგვლივ ალაგებენ და ფერად-ფერად

ყვავილებში მჯდომ ორ წინაპარს, მშობელთა კვლმას რომ შეესწრნენ და ვერაფრით წარმოედგინათ ჩემი სიკვდილი, ალბათ უფრო ამიტომ სჯერათ,

რომ აღარა ვარ და ცივ ნუგეშად იტოვებენ მტვრიან ფარაჯას, მაისურს და თიხიან ჩექმებს.

ჩარჩოში სვამენ ძველ ფოტოებს. ჭერს ღებავენ და კედლებზე ქაღალდს აკრავენ. ეგებ ოთახის ძვლებმა მათზე უკეთ შეინახონ ჩემი სიცოცხლის ნაფლეთები, რუხ ბათქამზე ნესტად რომ რჩება.

საფლავს ჯებირებს უშენებენ. რომ დავიწყებამ არ დატბოროს და ყოველწლიურ სერობებზე სანთელივით უნთებენ ხელფასს

გარდაცვლილის სულს. შენ კი ცოცხლობ, რათა გიყვარდეს ყველა. ვინც შენში ჩემი ცოლი ვერ დაინახა.

ყველა, ვინც მომკლა, ან ვერ მომკლა, ვინც ვერ დამთმო დავიწყებისთვის და ვინც კინალამ

ღმერთად მომნათლა

თქვენთვის არავის უთხოვია ბუნებრივი სიკვდილით მოკვდილო,

თქვენთვის არავინ გაიმეტა ნაოჭები, სიბერე ან ჭაღარა,

როცა სიძულვილს აუღუღარ რძესავით გასმევდნენ,

როცა შიშისპირა ქალაქში გზრდიდნენ.

ისინი იდგნენ თავდახრილნი თქვენს ლოგინთან და გიმღეროდნენ ნაზის ხმით, დაიძინე.

მე გაგზავნი როგორც მგელს ცხვრის ფარაში,

დაიძინე.

მე გასწავლი სხვისი სიკვდილით გახარებას

და კვლისპირა ქალაქში გზრდიდნენ

თქვენ კი გინდოდათ ყოფილიყავით მამათქვენზე სულ ცოტა უფრო ბედნიერი, გყოლოდათ ცოლი თეძოების ნაზი რხევით გაძლებასა და სიკვდილს რომ გასწავლიდათ,

გესუნთქათ მისი მკერდიდან გადმოღვრილი რძისფერი ღაძეები,

მაგრამ სიძვისპირა ქალაქში გზრდიდნენ.

ისინი მუდამ უკითხავად შემოდისოდნენ და ბოლთას სცემდნენ თქვენს სიზმრებში,

ღვთისსიყვარულს გირეგდნენ პურში ღვარძლივით,
ღვთისკენ ლოცვებს აშრიალებდნენ ზურგზე ფრთებად
და ღვთისპირა ქალაქში გზრდიდნენ,
ღვთისპირა ქალაქში”.

2;

“საღღაც იპოვეს უფროსებმა შავ-თეთრი დროშა
და გასაფერადებელი ალბომივით
გვაჩუქეს ბავშვებს“.

ჩვენ კი გავიხსენეთ ისტორიის სახელმძღვანელო
და სკოლაში დაზეპირებული ლექსები
და ყოველ შემხვედრს ცხვირწინ ვუფრიალებდით სამშობლოს სიყვარულს.
მოკვდავ მეზობელს ნაჭრის ბურთივით ვტენილდით პირში ჩვენს უმიზეზო უკვდავებას
და ნესტიანი სანგრებისაკენ მივათრევდით დასაღვრელ სისხლს საგმირო სხეულებით.

მე მახსოვს შენი სისხლი
მოედანზე, როცა მუხლი გადაიტყავე
სკოლის ექთანმა იოდით მოგბანა ჭრილობა და
გაოფლილ შუბლთან გიშრისფერი თმა ხელისგულით გადაგიწია.
ეს რა მტირალა ყოფილხარო - ჩაგიცინა
და მამაჩვენს სამსახურში გადაურეკა.
მამამ კინოში წაგვიყვანა და ვნახეთ ფილმი ომზე.
წლების შემდეგ კი ერთმანეთი წავიყვანეთ ომში როგორც კინოში.

მე მახსოვს შენი სისხლი,
თბილ ხნულში შავი ღივებივით რომ მოჩანდა.
სისხლიც როგორ გაგშავებია-მეთქი გავიფიქრე,
ვიდრე ზურგზე მოგიკიდებდი უკვე ცივს და სიკვდილგაჟღენთილს.
შენ კი საბოლოო უსასრულო სიზმარს ხედავდი

“მე მინახავს მწვანე მოლზე შინდისფერი თბილი ლაქები,
ეს არ იყო ჩვენი დროშის ნაგლეჯები,
ეს იყო აბზაცები მეგობრების საბოლოო სიზმრებიდან“.

ვინ დაგაჯერო, რომ ღმერთი ვარ?
ერთი აბზაციც ვერ შევცვალე შენს სიკვდილში,
ერთი მძიმეც ვერ წავშალე,

ერთი პატარა მწვანე მორჩიც ვერ გადმოვრგე ჩემი გულიდან.

ვინ დავაჯერო, რომ ღმერთი ვარ?
ვისაც ღიმილი შევუთვალე, ცრემლი მაუწყა.
ვისთვისაც ცრემლი გავიმეტე, ყველა მკვდარია,
მე კი უმიზნოდ უნდა ვსუნთქავდე გაზაფხულს წლიდან წლამდე.

ვინ დავაჯერო, რომ ღმერთი ვარ,
ყოველ დღით პურს კყიდულობ მაღაზიაში,
მივირთმევ ვახშამს,
ვიღებ ხელფასს
და გულს ვინახავ სიყვარულისთვის.
ჩემს შიშველ ზურგთან ბევრი იწვა
და მკერდიც უკვე სხვისი ვნებებით მაქვს გაჯირჯული,
ოცნებებს კი ისე ვაფურთხე, გამკვლელები მესალმებიან,
დარბაისელი კაციაო - ასე ამბობენ.

“სამშობიარო, სადაც დავიბადე,
დაბომბვის დროს დაინგრა.
როგორ აღარ ვიფიქრო სიკვდილზე“?

ვინ დავაჯერო, რომ გაქრობის არ მეშინია,
როცა შიშები ქინქლევით ეხვევიან ჩემს ლამპასავით მბჟუტავ სიცოცხლეს,
როცა იმედი საგულედან ხურდა ფულივით ამომაცალეს,
როცა ლექსებს ფესვებივით ვიწვდი მიწისკენ,
მიწისკენ, სადაც თქვენ მეგულებით
და შემორჩენილ სიზარულებს შემოდგომის ფოთლებივით ვაშრიალებ.

3;

ვის კუმდერო ჩემი გათოშილი გულით,
ვის ავუნთო ჩემი დავიწყებული ლოცვა,
ვისკენ გავახილო ჩემი თვალდათხრილი ქალაქი?

მე უფლება მაქვს ვიყო ერთ-ერთი,
ვითრევდე
კორპუსების ტეხილ კონტურებს,
ვრითმავდე
სიკვდილთან მისასვლელ დღეებს.

გვერდით ოთახში პერანგს აუთოებს დედა,
ხანგრძლივი თვალებით იატაკს ჩაჰყურებს.
მას ყველაფერი დაავიწყდა,
დაავიწყდა, რომ მკვდარი ვარ და ყველაფერი მორჩა უკვე,
რომ მამაჩემის ძაძა ვერ მოირგო,
რომ ველარცერთი ჩემი ღიმილი ვერ მოინატრა.
ვის მოვუთხრო ჩემი სახლის ჩამქრალი ფანჯრები?

მე უფლება მაქვს ვირბინო შენსკენ
ქანცგაწვევებამდე,
სიყვარულამდე ვათეთრო შენსკენ ნათევი გზები,
დედა,
მიყვარხარ, დედა,
რძისფერი კანი და მიწისფერი თვფლები რომ გაქვს,
მიყვარხარ, დედა,
მამა რომ მოკლეს, მეც რომ მომკლეს და შენ მაინც ცოცხალი ხარ,
მიყვარხარ, დედა,
ის ქალიც, ჩემთან ვინც დაწვება,
ვინც შემეყვარებს და შემდეგ დედა რომ გახდება და . . .
მიყვარხარ, დედა,
ყველას სიმღერა შენსკენ რომ მოდის,
ყველა ლოცვას რომ შენ ლოცულობ,
ყველა ფანჯრიდან შენ რომ ჩანხარ,
მიყვარხარ, დედა!

მე უფლება მაქვს ვიყო მკვდარი
და ველარასდროს ვისურვო დაბადება,
მე უფლება მაქვს ვიყო მკვდარი
და ბნელ ოთახში ძველებურად ყვაოდნენ ქოთნის იები.
მე უფლება მაქვს ვიყო მკვდარი,
ვიდრე მომკლავდნენ,
ვიდრე აქ ვარ,
ვითომ ცოცხლად შენთან ერთად,
შენს სამოში,
მიყვარხარ, დედა!

არაფერია უფრო უღრუბლო, ვიდრე ჩემი სიყვარული,
უფრო უღრუბლო, ვიდრე ჩემი სიყვარული!

ომი საშინელებაა 13



გოსლაბ-შმაზის კონცერნი
ГОСЛАБ - SHMAZI Cooperation

War is horror 13

მოთხრობები

აღწერილობითი ოდა

შოთა იათაშვილი

ის უფრო ხშირად შეფუთულია, ხან საგულდაგულოდ, ხანაც დაუდევრად. შესაფუთი მასალა პერიოდულად იცვლება და ახლდება, რაშიც, შეიძლება ითქვას, გარკვეულ მონაწილეობას მეც ვიღებ: გამოვთქვამ საკუთარ მოსაზრებას, ხოლო ზოგჯერ შეფუთვის ამ პროცედურას ფინანსურადაც კი უზრუნველყოფ ხოლმე. აქვე არ დავმაღავ და დავძენ, რომ ყოველივე ამის თავი და თავი ისაა, რომ უსაშველო სიამოვნებას მანიჭებს საფუთავისაგან მისი თანდათანობით გამოთავისუფლების პროცესი. ფორმას რაც შეეხება, ზუსტად მისი შესატყვისი გეომეტრიული სხეული არ არსებობს. მიახლოებით შეიძლება ითქვას, რომ ის წარმოადგენს ნახევარსფეროს. ზედაპირი გლუვი აქვს. ფერი ეცვლება სეზონების მიხედვით: ქათქათა თეთრიდან მუქ ყავისფერამდე/არცთუ იშვიათად არის შემთხვევები, როცა ერთი ნაწილი თეთრი რჩება, მაშინ, როცა დანარჩენი ნაწილი შესამჩნევად მუქდება, რასაც მოცემული ობიექტის ნახევრადშეფუთულობა, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, ნახევრადლიაობა იწვევს/. ღიაშებრით ასე, 12-15 სანტიმეტრი იქნება. მასაზე წარმოდგენა არა მაქვს, თუმცა ვფიქრობ, 100 გრამზე ნაკლები არ უნდა იყოს და არც კილოზე მეტი. მუდმივი სიმკვრივე არ გააჩნია, ისე, როგორც პლასტილინს. პლასტილინს კიდეც იმითი ჰგავს, რომ ხშირად თითებით ისრისება და სრესისას რბილდება /თუმცა არა ყოველთვის/, ოღონდ, მისგან განსხვავებით, ბოლომდე დამყოლი მაინც არ ხდება. პლასტილინისაგან შესაძლებელია ნებისმიერი ფიგურის, ჟირაფის, ავტომობილის, ან თუნდაც ქარის წისქვილის გამოძერწვა, მისგან კი არა. ის ყოველთვის ინარჩუნებს ნახევარსფეროსთან მიახლოებულ ფორმას. ამიტომ მასზე ყოველთვის შეიძლება თავის ჩამოღება, რაც მე ძალიან მიყვარს. ასეთ შემთხვევებში უპირატესობას ვანიჭებ თავის ისეთ მდგომარეობას, როცა მარჯვენა ყური ნახევარსფეროს ფერდობზე თავსდება. თუ ასეთ მდგომარეობაში გარკვეული პერიოდის განმავლობაში გაჩერდებით, გამახვილებული სმენის მქონენი აუცილებლად გაიგონებთ ნახევარსფეროს სიღრმიდან ამომაველ მეტრონომის ისრის მოძრაობის მსგავს ხმას. თუ ნახევარსფეროს ჭყლეტას მიჰყოფთ ხელს, მოსალოდნელია, მეტრონომის რიტმი აჩქარდეს. მოცემული ობიექტის ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ დეტალს წარმოადგენს მოწითალო-მარჯნისფერი ღილაკი, რომელიც მის შემადგენელ ნაწილზეა დამაგრებული. ეს შემადგენელი ნაწილი ასევე მოწითალო-მარჯნისფერი და წრიულია, რითაც ხაზი ესმება ღილაკის თვისობრივ კავშირს ზემოთ დასახელებულ ნახევარსფეროსთან, ანუ იმას, რომ ისინი ერთ განუყოფელ მთლიანობას წარმოადგენენ. ამასთან არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჩვეულებრივი ღილაკებისაგან განსხვავებით, ეს ღილაკი

გაცილებით უფრო ელასტიკური და უნივერსალურია. მასზე შეიძლება არა მხოლოდ თითის დაჭერა, არამედ ცხვირის, შუბლის, ლოყის და სხეულის სხვა ნაწილებისაც / გენიტალების ჩათვლით/. გარდა ამისა, შეიძლება მისი მოქცევა კბილებს შორის, ზედ წამწამების ფახული. მსუბუქად /სიყვარულით/ წკიპურტის წაკვრა და თქვენ წარმოიდგინეთ, შეიძლება /და არა მხოლოდ შეიძლება, არამედ რეკომენდებულიც კია/ მისი ესკიმო-ნაყინივით ტლეკვა. პრინციპში, შეიძლება ითქვას, რომ ეს ღილაკი და მომცრო წრიული ზონა მის გარშემო, ამ ობიექტის უმნიშვნელოვანეს ნაწილებს წარმოადგენენ. უაღრესად მარტივი აგებულების მიუხედავად, მათზე ოპერირების არეალი ფაქტიურად შეუზღუდავი და ამოუწურავია. თანაც, სიგნალები, რომლებიც ღილაკზე თუნდაც ოდნავი შეხებისას შეიძლება იქნეს გამოწვეული, ხშირად გადამწვევტი აღმოჩნდება ხოლმე დამსიგნალებელსა და სიგნალის მიმღებ არსებას შორის ურთიერთობისას და ბადებს ისეთ მეტაფიზიკურ და გულისამაჩუყებელ ცნებებს, როგორიცაა: სიყვარული, მშვენიერება, ვნება, დედაშვილობა, დაბადება, სიკვდილი და ა.შ. რა თქმა უნდა, არ იქნება სწორი, ამ ტერმინების ადამიანთა ცნობიერებაში გაჩენა მხოლოდ და მხოლოდ ამ ობიექტის, და მითუმეტეს, ამ ობიექტის შემადგენელ ადგილზე დამაგრებული ღილაკის არსებობას მივაწეროთ, მაგრამ, მეორე მხრივ, არც ის არ შემიძლია ვაღიარო, რომ უიმისოდ მე ალბათ ძალიან გამიჭირდებოდა სიყვარულის, მშვენიერების, ვნების, დედაშვილობის, დაბადების, სიკვდილის და მსგავსი ურთულესი ფენომენების არსში ოდნავი წვდომაც კი. ეს ჭეშმარიტად ასეა და მე მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ ამას და ვამბობ მითუმეტეს ახლა, როცა შენ ჩემ წინა ხარ, ჩემო პირველო და უძლიერესზე უძლიერესო შეყვარებულო, შენ ჩემ წინა ხარ მშვენიერი, ვნებიანი, დედაშვილობით, დაბადებით და სიკვდილით სავსე და შენს ტკბილ, თბილ, საშიშ და დაუჯერებელ მარცხენა ძუძუს ჩემი მზერა მემილიონედ ევლება და ევლება გარს...

შოთა იათაშვილი / მოთხრობები

წვიმა

შოთა იათაშვილი

წვიმდა! და თანაც როგორ! ძალუმად, მადლიანად, დგაფა-დგუფით... შუა ზაფხულში, შუა აგვისტოში, სადამოთი, ლამპიონების შუქზე წვიმდა... და მე, გაღუპული შუა ქუჩაში მივაბოტებდი... ხალხი გარბოდა, ხეებისა და შენობათა თაღების ქვეშ იმალებოდა, გაჩერებებზე ჩამომდგარ ტრანსპორტს აწყდებოდა... აბა, რა ექნათ, წვიმდა! და თანაც როგორ! რომ არ გაქცეულიყვნენ, რომ არ დამაღულიყვნენ, ხომ დასველდებოდნენ... არა, ცოტათი ყველანი იყვნენ დასველებულნი და ეს სიამოვნებათ კიდევ, თვალები უბრწყინავდათ, ერთმანეთს უდიმოვნენ, იცინოდნენ, კმაყოფილები იყვნენ...

კმაყოფილები იყვნენ, რომ ცოტათი დასველდნენ და გაგრილდნენ, რომ ჰაერი შემსუბუქდა, რომ თვითონაც შემსუბუქდნენ ცოტათი და მეტი აღარც უნდოდათ... ეს თავსხმა წვიმა მეტი აღარ უნდოდათ... ასე ხომ შეიძლება გაცივებულიყვნენ კიდევ... არა, არა ეს ნიაღვარი აღარ იყო უკვე მათთვის... და ისინიც ქოლგებსა და გაზეთებს იშველიებდნენ, თავზე იფარებდნენ, გუბებს ახტებოდნენ და უხიფათო ადგილებისაკენ მიისწრაფოდნენ... მე კი, გაღუპული, შუა ქუჩაში დინჯად მივაბოტებდი... ფეხსაცმელში შესული წყალი ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ჭყლაპუნებდა... მივაბოტებდი და მიხაროდა... ცოტა კი არა, ძალიან მიხაროდა... მიხაროდა, რომ ასე კარგად, ასე ძალუმად, ასე მადლიანად, ასე დგაფა-დგუფით წვიმდა... მივაბოტებდი ცარიელ ქუჩაში და აქეთ-იქით შეყუჟულ ადამიანებს ვათვალიერებდი... მერე კი, უცბად ჩემკენ მომავალი გოგონა დავინახე. ისიც ჩემსავით მოდიოდა, შუა ქუჩაში, აუჩქარებლად... მოდიოდა... გუბებს არ ახტებოდა... თეთრი მოკლე კაბა ეცვა. ღამაზი იყო ალბათ... ღამპიონების მკრთალ შუქზე ჯერ არ ჩანდა მისი სახე... რომ მომიახლოვდა, დავაკვირდი. ერთი წამით მანაც ამომხედა.

– წინწკლავს, – ვუთხარი მე.

– არა, ჟინუღლავს – მიპასუხა მან და გამიღიმა. გამეღიმა მეც. გოგონამ გზის გაგრძელება დააპირა, მაგრამ სველ მკლავში ხელი ვტაცე და შევაჩერე.

– არა, ცრის, – ვუთხარი ჩუმად და თან კარგად დავაკვირდი. გოგონას შავი, ხუჭუჭა თმა სახეზე, ყელზე, მხრებზე მისწებებოდა... თხელი კაბიდან გამაღიზიანებლად იკვეთებოდა სავსე მკერდი... და უფრო მეტიც! სიფრიფანა ქსოვილის ქვეშ აშკარად მოჩანდა მოყავისფრო ორი ღაქა... გოგონამ იგრძნო ჩემი მზერა, მაგრამ მკერდი ხელით არ დაუფარავს, არც დაურცხვენია... ის კი არა და...

– ცრის? აკი წინწკლავსო? – მკითხა ცბიერად და თვალი თვალში გამიჟურა.

– რა მნიშვნელობა აქვს... მთავარია, რომ თქვენ სველი ხართ – ვუთხარი მე და თან ორაზროვანი მზერა ისევ მისი მკერდისაკენ გავაპარე. მანაც ტანზე დაიხედა.

– უი, მართლა დავსველებულვარ... – წამოიძახა უცაბედად და შეწუხებული სახე მიიღო. მერე ისევ ამომხედა.

– არა უშავს, – დავამშვიდე, – მეც სველი ვარ.

პასუხად გოგონამ ხელი ჩემკენ წამოიღო და მკერდზე მიწებებულ პერანგზე ჩამომისვა.

– ჰო, სველი ხართ, – დამიდასტურა ისე, თითქოს დიდი რამ აღმოაჩინა. მერე გაჩერდა, რაღაცაზე დაფიქრდა, კიდევ ერთხელ დამისვა თითები

მკერდზე და მკითხა:

– მერე რატომ არ შეეფარებით რამეს? – მკითხა და თან იქვე, ერთ-ერთი შენობის თაღის ქვეშ შეყუჟულ ადამიანებს გახედა. მეც იქით გავიხედე. ყველანი ჩვენ გვიყურებდნენ. ვერც გაამტყუნებდი. აბა რა ექნათ, ჩვენ გარდა ქუჩაში არავინ იყო.

– თქვენ რატომღა არ შეეფარებით? – შევუბრუნე კითხვა

– მე ამის უფლება არა მაქვს – სერიოზულად მიპასუხა გოგონამ.

– მე კიდევ თქვენთან მინდა ვიყო, – ვუთხარი ღიმილით და მზერა მის სხეულს ქვევით ჩავაყოლე. მოკლე კაბიდან მუხლებზე წურწურით ჩასდიოდა წყალი და თეთრი, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებისაკენ მიედინებოდა... კოხტა, წერწეტა ფეხები ჰქონდა გოგონას.

– თქვენ მე გიყვარვართ? – მოულოდნელად მკითხა მან. გაკვირვებული მზერა მისი ფეხებიდან ისევ სახეზე ავაცურე. თვალები ელავდნენ... ეშმაკურად ელავდნენ და პასუხს ელოდნენ...

– როგორ, თქვენ ამაში ეჭვი გეპარებათ? – ვკითხე ისე გულწრფელად, რომ მართლა გამიკვირდა.

– არა, – მითხრა მან მშვიდად და რაღაცნაირი იდუმალებით. ორივენი გაწეშდით. მერე ისევ ერთმანეთს შევხედეთ.

– რა გქვიათ? – მკითხა უცებ.

– მე, დათო... თქვენ?

– მე წვიმა.

– როგორ?

– წვიმა, – გაიმეორა გოგონამ და ზევით აიხედა. მეც ავიხედე. მერე დავიხედე და თეთრ ქსოვილში გამოკვართულ მის მკერდს დავასე ისევ მზერა.

– ლამაზი მკერდი გაქვთ, – ვუთხარი ცოტა ხნის შემდეგ.

– კი, – მითხრა მან, – გინდათ, მოეფეროთ?

– რატომაც არა, – ვუპასუხე ცოტა არ იყოს შემცბარმა და გული ამიჩქროლდა. – რა, შეიძლება?

– რატომაც არა, – თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა გოგონამ, წვიმამ. ისევ ზევით იყურებოდა. ვიღაცამ ფართაფურთით ჩაირბინა ჩვენს გვერდით და თაღის ქვეშ შეიმაღლა. ყველანი ისევ ჩვენკენ იხედებოდნენ. „ჯანდაბას მაგათი თავი!“ – გავიფიქრე გულმოსულმა და გაუბედავად წავიდე გოგონასაკენ ხელი. იგი არ იძროდა. ისევ ისე, ზევით იყურებოდა და თითქოს რაღაცას ელოდა... მე მელოდა... მე... და მე მის მკერდს შევეხე... ხელისგული მივაღე ქვემოდან... ერთხანს ასე მქონდა... მერე ზევით ავუცურე. აბზეკილი ძუძუსთავი ვიგრძენი კაბის ქვეშ. თუმცა რა, კაბა და მისი სხეული უკვე ერთი იყო... სველი, სლიპინა, მკვრივი, მაღლიანი მკერდი ჰქონდა გოგონას...

გოგონას, წვიმა რომ ერქვა და ზევით-ზევით რომ იყურებოდა...

– მე მათ არ ვუყვარვარ, – დაიწყო მან უცებ, – ისინი მე მემალებიან, ისინი გარბიან ჩემგან... მხოლოდ შენ იცი ჩემი ფასი, მხოლოდ შენ გიყვარვარ, მხოლოდ შენ არ გეშინია ჩემი და ამიტომ მე შენი გავხდები... შენი გავხდები თავიდან ბოლომდე... გესმის, დათო, შენი გავხდები... ნუ გერიდება, მოდი, მომხვიე მაგრად მკლავები, მომეფერე, მომეაღერსე... შენ ხომ გიყვარს წვიმა, შენ ხომ გიყვარს, როცა წინწკლავს, როცა ჟინჯღლავს, როცა ცრის... შენ ხომ გიყვარს თქეში, ნიაღვარი, თავსხმა... ხომ გიყვარს... ჰოდა, მოდი, მოდი და ჩამეხუტე, მოდი... მე შენი ვარ, თავით ფეხებამდე შენი ვარ... შენი... – ეს სიტყვები მან თითქოს ძილ-ბურანში რაღაცნაირი გზნებით, მომაჯადოებლად წარმოთქვა და მეც მოჯადოებულებით მივედი მასთან, მოვეხვიე და ვაკოცე... ტუჩებში, ლოყაზე, თმაზე... სველ, გრილ თმებზე... ვკოცნიდი, სახეს ვრგავდი შავ, ნესტიან კულულებში, ვიყნოსავდი წვიმის საოცარ სურნელს... მერე ყელზე ვკოცნიდი, მხრებზე, მკერდზე... ვეწებებოდი ტუჩებით მის სხეულს ისე, როგორც ჩვენი ტანისამოსი იყო მიწებებული ჩვენს სხეულებზე... თუმცა არა, მის სხეულზე უკვე აღარ იყო ტანისამოსი... თეთრი კაბა ჩემს ბაგეებსა და თითებს თან მიჰყვებოდა ქვევით და ქვევით... გოგონას მუხლებისთავეებზე წურწურით ჩამოსდიოდა წყალი... გუბებში ჩავიწოქე და მის მუხლისთავეებს დავეწაფე... წვიმდა! და თანაც როგორ! და კიდევ უფრო და უფრო მატულობდა! მეგონა ჩანჩქერის ქვეშ ვიდექი... არა, კი არ ვიდექი, ჩანჩქერის ქვეშ ვიყავი ჩამუხლული... თაღს შეფარებული ხალხი კი აღბათ ისევ ჩვენ გვიყურებდა... მაგრამ მე აღარ ვფიქრობდი მათზე და აღბათ არც ის ფიქრობდა... ის გოგონა, წვიმა... იდგა წვიმა, შიშველი, ღამაზი, ვნებიანი, იდგა და ზევით იყურებოდა... დაბლა კი, ფეხებთან, გუბებში, თეთრი, სიფრიფანა კაბა ეგდო... და მე მას, წვიმას ფეხის თითებს ვუკოცნიდი... ზურგზე ტყაპატყუპი გაჰქონდათ დიდრონ, მსხვილ წვეთებს... მთელი ჩემი სხეული, მთელი ჩემი სული, მთელი ჩემი არსება წვიმით იყო გაქდენთილი, შხაპუნა, თავსხმა, კოკისპირული წვიმით... მე მისი გაუმხდარიყავი და ის კი ჩემი... ის იდგა ჩემ წინ შიშველი, ღამაზი, ვნებიანი და მორჩილი... მე მას ვეფერებოდი, მე იგი მიყვარდა... მიყვარდა! ტუჩები მისი ფეხის თითებს მოვაცილე, უკან გადავიზინე და ქვევიდან აეხედე... წვიმას ხელები მადლა აეშვირა და იღიმებოდა, ნეტარებისაგან, კმაყოფილებისაგან, სიყვარულისაგან იღიმებოდა... ნატიფ ნაკვთებზე წყალი წურწურით ჩამოსდიოდა... ღამპიონების მკრთალი შუქით სიბნელეს გამოგლექილი მისი სხეული ზმანებას ჰგავდა... ჰგავდა და იყო კიდევ... წამოვიმართე და ჩავეხუტე. მანაც მომხვია თავისი სუსტი მკლავები... წვიმდა! ცოტათი დასველებული ადამიანები ისევ იდგნენ თაღის ქვეშ და განცვიფრებულნი, განრისხებულნი, აღგზნებულნი და გამხიარულებულნი

გვიყურებდნენ... ვინ როგორიც იყო, ისე გვიყურებდა... ჩვენ ჩავიხოქეთ და ასფალტზე გავგორდით... წყლის ნაკადი ზედ თავზე გადაგვევლო... გადაეკოტრიალდით... მერე კიდევ... მერე კიდევ... ხან მე ვიყავი ზევით, ხან ის... ვეფერებოდით, ვეაღერებოდით, ვეხუტებოდით ერთმანეთს... ერთმანეთი გვიყვარდა... და წვიმდა! წვიმდა და თანაც როგორ! ძალუმად, მადლიანად, დგაფა-დგუფით წვიმდა... წვიმდა... და მერე უცებ გადაიღო... წვიმა აღარ იყო... და ის გოგონაც აღარ იყო, წვიმა... მხოლოდ მე ვიწექი შუა ქუჩაში, სველ ასფალტზე, ერთიანად გალუმპული და გაოცებული ვიცქირებოდი ირგვლივ. თადის ქვეშ აღარ იყო ხალხი შეყუჟული. გამოშლილიყვნენ და თავ-თავიანთ გზას დასდგომოდნენ... მიტუნავდნენ ქუჩაში ადამიანები, დაკეტილი ქოლგებით, ცოტათი დასველებულები... გვერდით ჩამივლიდნენ და გაკვირვებულები, განრისხებულები, გამხიარულებულები გამომხედავდნენ ხოლმე... როგორებიც იყვნენ, ისე გამომხედავდნენ... მე კი ვიწექი, თავით ფეხებამდე გაწეწული, შემცბარი, შემცივნული... მერე მიიმედ წამოვდექი... თვალებს ვაცეცებდი... იმ გოგონას ვეძებდი, წვიმას... მაგრამ ის აღარ-სად ჩანდა... გადაედო... გადაედო წვიმას... თუმცა შერჩენოდა მისი კვალი ხეებს, სახლებს, ქუჩებს, ადამიანებს... მისი კვალი შემრჩენოდა მე... სველი ტანსაცმელი და სხეულის სითბო, მისი ხუჭუჭა თმის სურნელი... რა იყო ეს? ცხადი თუ ზმანება? ვედარ გამეგო... და მას შემდეგ ხშირად ვფიქრობ ამაზე და ვერ გამიგია... და როდესაც კი წვიმა იწყება, შხაპუნა, თავსხმა, კოკისპირული წვიმა, მაშინვე გავდივარ გარეთ, დავაბოტებ ქუჩებში ერთიანად გალუმპული და ისევ და ისევ დავეძებ იმ უცნაურ გოგონას, წვიმას, დავეძებ და მჯერა, რომ ვიპოვი, მჯერა, რომ აი, ახლა, აი, ამ წამს გამოჩნდება იგი, სხეულზე მიწებებული მოკლე, თეთრი კაბით. გვერდით ჩამივლის, ამომხედავს და... “წინწკლავს”, - ვეტყვი მე და “არა, ჟინუდავს”, - მეტყვის ის... მაგრამ არსად ჩანს იგი, არსად ჩანს გოგონა, რომელსაც ვუყვარვარ და რომელიც მიყვარს, გოგონა, წვიმა და მე ისევ დავდივარ გარეთ, როდესაც იწყება შხაპუნა, თავსხმა, კოკისპირული წვიმა და დავაბოტებ ქალაქის ქუჩებში ერთიანად გალუმპული და ისევ და ისევ დავეძებ მას... და ხეებსა და შენობების თაღებს ისევ აფარებენ თავს ცოტათი დასველებული ადამიანები... და ისევ და ისევ არსად არის ის, თეთრკაბიანი, თმახუჭუჭა გოგონა, წვიმა...

ომი საშინელებაა 14



გოსლაბ-შმაზის კონცერტი
ГОСЛАБ - SHMAZI Cooperation

War is horror 14

ლექსები

შოთა იათაშვილი

მოქნარება

მოდი, წავიდეთ კინოში,
 იქ ხომ იმაზე ცოცხალი ფერებია,
 ვიდრე ჩვენი ოთახის შპალერზე და
 ქალები და მამაკაცებიც
 იქ ხომ ჩვენზე უფრო ბრძნულად საუბრობენ.
 მოდი, წავიდეთ კინოში,
 ერთმანეთის გვერდით დავსხდეთ და
 ორი წყვილი პარალელური ხაზი
 გაგვიღოთ თვალებიდან ეკრანამდე.
 მოდი, წავიდეთ კინოში,
 თორემ შენც ხედავ,
 პირთამდე ამოვხაპეთ ერთმანეთს გუგები და
 ახლა უკვე ერთმანეთის გულებს მივაღებთ.
 მოდი, წავიდეთ კინოში,
 სხვათა მირაჟულ სახეებზე დავასვენოთ მზერა და
 სხვათა მირაჟულ ვნებებზე დავიმშვიდოთ სხეულები.
 მოდი, წავიდეთ კინოში და
 ცოტა ხნით მაინც დავივიწყოთ, რომ ამ ბოლო დროს
 სულ მუდამ საძებნი გვაქვს
 ერთმანეთისადმი სათქმელი სიტყვები...
 მოდი, წავიდეთ კინოში,
 იქ ჩვენს მაგივრად ილაპარაკებენ,
 ჩვენს მაგივრად ეყვარებათ და გაწამდებიან.
 მოდი, წავიდეთ კინოში,
 დაე, იქ სხვებმა ჩაატარონ სქესობრივი აქტი.
 ჩვენ ხომ მერეც მოვახლაფორთებით
 ამ აუცილებელ საქმეს და თანაც ისე,
 თითქოს მე გადამწვარ ნათურას ვცვლიდე და
 შენ კიდევ ქაბებს ხეხავდე ნედლით.
 მოდი, წავიდეთ კინოში,
 იქ ხომ არ ვიქნებით ვალდებულნი
 ხშირ-ხშირად გადავუგდოთ ერთმანეთს

შოთა იათაშვილი / ლექსები

ფარღალაღა ფრაზები,
 ბრინჯაველისგემოიანი კოცნები და
 ჟინამოჭმული გამოხედვები.
 მოდი, წავიდეთ კინოში და
 ისე დავეძალოთ ერთმანეთს, რომ
 სინდისის ზღარბებმა არ იფხაჭუნონ
 ჩვენს გულისფიცრებზე.
 მოდი, წავიდეთ კინოში და ვნახოთ,
 როგორ მოკდება მთავარი გმირი.
 ეს ხომ უფრო საინტერესოა,
 ვიდრე საკუთარ სიკვდილზე ფიქრი.
 მოდი, წავიდეთ კინოში,
 ჩავსხდეთ სავარძლებში,
 ერთმანეთს შევახოთ იდაყვები და წარმოვიდგინოთ,
 რომ ძალზედ გვინდა ერთად ყოფნა და
 სწორედ ამიტომ შემოვედით აქ,
 ისევე როგორც ის გოგო-ბიჭი,
 წინა რიგში ერთმანეთს რომ ჩახუტებიან.
 მოდი, წავიდეთ კინოში,
 ჩავეფლოთ სიბნელის მყუდრო ჭანჭრობაში და
 ეკრანისკენ მივმართოთ
 ის პერპენდიკულარული ხაზები,
 რომლებიც უკვე დიდი ხანია აღარ იკვეთება.
 მოდი, წავიდეთ კინოში,
 მოდი, წავიდეთ, სანამ დროა,
 სანამ არ დაწყებულა უკანასკნელი სეანსი და
 არ დავრჩენილვართ ერთმანეთის
 მთქნარებისმომგვრელი ფიზიონომიების ამარა,
 მოდი, წავიდეთ,
 შევიპართ სხვათა ტკივილებსა და სიხარულში
 და როგორმე ცოტახნით მაინც
 დავეკარგოთ ერთმანეთს...

სიკვდილის სტატისტიკა

გარდაიცვალა... და მერე რა, რომ გარდაიცვალა?
 კოკაც ხომ ტყდება და ხეებიც ხმებიან ხოლმე,
 ხომ ვარსკვლავებიც ფეთქლებიან

და ძაღლებიც ფშეკენ ფეხებს.
 და უყვარდაო?. მერე რა, რომ უყვარდა, ან კი
 როგორ არ უნდა ჩაბჭირდე სიცილით,
 ამისთანა არქაულ სიტყვებს რომ გაიგონებ?
 და თურმე ნუ იტყვით, იტანჯებოდაო – ასეც კი ამბობენ...
 არა, სჯობია უბრალოდ ვთქვათ,
 ვთქვათ, რომ დაეჯახა მანქანა მაშინ,
 როცა ქუჩაზე გადადიოდა და ფიქრობდა,
 დაერქმია თუ არა თავისი ლექსების კრებულისთვის
 “სიკვდილის ფრთები”.
 ვთქვათ, რომ არ გაუგია წივილ-კივილი და
 დამუხრუჭების ხმა.
 ვთქვათ, რომ ბორბლის ტალახიანი ანაბეჭდი დააჩნდა წიგნს,
 რომელიც ხელიდან გაუვარდა და ბარემ ისიც ვთქვათ,
 რომ წიგნს ერქვა “სიყვარულის ხელოვნება” და რომ იგი
 ხუთი წუთის წინ შეიძინა გამყიდველთან,
 რომელსაც შუა ტროტუარზე ედგა დახლი და ვაჭრობდა.
 ვთქვათ, რომ ჯიბეში ედო სიგარეტი “პოლიოტის” 17 ლერი,
 ოპერის თეატრის 1 ბილეთი
 31 დეკემბრისათვის “რიგოლეტოზე”
 და კიდევ მანეთი და 15 კაპიკი ფული.
 ვთქვათ, რომ ეცვა მწვანე ქურთუკი,
 რომელიც მკლავზე ერთ ადგილზე გამოგლეჯოდა
 და მის ჯიბეში ტელეფონების უბის წიგნაკი,
 კალმისტარი, დაჭმუჭნული ცხვირსახოცი და
 დაუდევრად დაკეცილი ფურცელი იპოვეს,
 რომელზეც ეწერა გარკვეული ხელით:
 ოხრახუში – 2 კონა,
 რეჰანი – 1 კონა,
 კარტოფილი – 3 კგ,
 ქეთინო – 22-27-39.
 ფურცლის მეორე მხარეს კი იყო
 გაურკვევლად მიჯღაბნილი და გადამლილი:
 “შენს ძუძუებში გამთბარი ხელები
 ისევ გამეყინა და სამარეში მიმაქვს,
 რათა ჯოჯოხეთის ბუხართან ჩამოვაწყო.”
 ხოლო იქვე მოუხეშავი ხელით ეხატა
 თავმოტვლეპილი, მომღიმარი, დიდცხვირა კაცი...
 აი, სულ ესაა და ეს.
 ჰო, კიდევ, ბალზამირება გაუკეთა არტუშამ,

საფლავი გაუთხარეს კოლამ, მურმანამ და ჟორამ,
 ხოლო დედამ, ტირილით რომ მოუჩხრიკა ჯიბეები
 იმას შემდეგ, რაც საუკეთესო და ერთადერთი
 სათეატრო და სადაბადებისდღეო შარვალ-კოსტუმი ჩააცვეს,
 მწარედ გაიფიქრა,
 „თურმე სიგარეტს ეწეოდა და მე კი აქამდე მიმაღავდაო...“
 28 დეკემბერს გამოაქვეყნეს
 გარდაცვალების ცნობა გაზეთში,
 პანაშვიდზე მუსიკად იყო შერჩეული
 შოპენი, მოცარტი, ბეთჰოვენი და ფალიაშვილი,
 დასაფლავეს 31-ში 15-სთ-სა და 29წთ-ზე,
 ქელებზე დარჩა 120 კაცი
 /სუფრაზე იყო მხოლოდ წითელი ხიზილალა,
 შავი ვერ იშოვეს/,
 და ვინც დარჩა, ისინიც მალე წამოიშალნენ.
 რაღა თქმა უნდა, რომ ყველას სახლში ეჩქარებოდა.
 იქ ხომ სულ სხვა სუფრა ელოდათ:
 გოზინაყი, ჩურჩხელები და შამპანური...
 რა დროს გვამი იყო ნეტა ამ ახალ წელს!
 რა დროს გვამი იყო...

შოთა იათაშვილი / ლექსები

ლექსი თირკმელებზე

ხანდახან გახსენდება, რომ ქრონიკული ნეფრიტი გაქვს
 მარცხენა თირკმლის დაქვეითებული ფუნქციით
 და მარჯვენა თირკმლის დესტრუქციული ფორმით
 და სადღაც, შენს სხეულში ამოსული
 ორი ყვითელი ყვავილი უღმობლად ჭკნება...
 ხანდახან გახსენდება, რომ
 ამ ყვავილებს ზემოთ წითელი მზე ბორგავს,
 რომელსაც ატყვია ფარშევანგივით კუდებგაშლილი გოგონების
 უამრავი ნანისკარტევი,
 ხოლო ცოტა ზევით გვირაბი იწყება,
 რომელშიც ხმათა იოგების მავთულებია გაჭიმული
 და, როცა გული მაღალ ძაბვაზე ირთვება, მაშინ
 იქიდან მოდის ემოციების მორზეს ანბანი,

გაივლის გვირაბს და
 გამორიყულ ელასტიურ, ქორეოგრაფ, პრანჭია ენაზე,
 სიტყვების პიურედ იქცევა ხოლმე...
 ყველაფერ ამას კი
 თავის ქალის აპარტამენტებში გამოჭიმული
 ავადმყოფი და ძლევაძოსილი იმპერატორი
 ხელმძღვანელობს დაუღალავად...
 იმპერატორი, რომელსაც აქვს მიდრეკილება
 მაზოხიზმისა და სადიზმისადმი,
 აქვს დაუკმაყოფილებლობის მუდმივი გრძნობა,
 განდიდების მანია და
 არასრულფასოვნების კომპლექსი აწუხებს...
 და აი, ზის სხეული საუკეთესო სასახლეში,
 დაუნდობელი ტირანი,
 წინ უდგას თვალების ტელევიზორები,
 გამუდმებით რეკავენ ყურის ტელეფონები
 და ამქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ
 აწვდიან უცნაურ ცნობებს...
 ხოლო ხანდახან ჭკნობაშეპარული ყვითელი ყვავილებიც
 მონინდომებენ შეახსენონ თავისი არსებობა,
 თავს წამოყოფენ და სუსტ ღეროებს
 ძალისძალად მიმოარხევენ,
 თითქოსდა ყელის გვირაბიდან შემოვარდნილ
 ქარს დაექროლოს,
 და ღმერთის მიერ ნაზელი თიხით ნაშენებ კედლებს
 მიასკდებიან...
 და მაშინ, აი, სწორედ მაშინ გაგახსენდება,
 რომ როგორი ზიზილ-პიპილებიც არ უნდა დაიკიდო
 ნაცნობი და უცნობი შენნაირი ორფეზიანი
 ჯუჯა და იმპერიული სახელმწიფოების წინაშე,
 რამდენიც არ უნდა უტყაპუნო სიტყვების ღოღს
 ენის ხელები,
 და როგორც არ უნდა გარმონივით წელო წამები,
 მაინც ქრონიკული ნეფრიტი გაქვს
 მარცხენა თირკმლის დაქვეითებული ფუნქციით
 და მარჯვენა თირკმლის დესტრუქციული ფორმით
 და სადღაც შენს სხეულში ამოსული
 ორი ყვითელი ყვავილი უმოწყალოდ ჭკნება და
 ასევე უმოწყალოდ აჭკნობს ყველაფერს ირგვლივ...

ომი საშინელებაა 15



გოსლაბ-შმაზის კონცერნი
ГОСЛАБ - SHMAZI Cooperation

War is horror 15



ლექსები

ზურაბ როველიაშვილი

აპოკრიფი

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა,
კრემატორი ვარ ავსებული ხალხთა ცოდვებით,
მილიარდობით ხსოვნა დავწვი ფოლადის გულში,
რომ დავუბრუნო ცას სპეტაკი მისი ლოცვები...
მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა,
ავტოსტრადა ვარ უსასრულოდ ჯვარცმული გზების,
პოლიციელი რკინის ფარას ხელკეტით მწყემსავს,
ფარას, რომელიც სავსე არის რკინის მხეცებით...
მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა,
ბუდა ვარ, შივა, შენი ძე ვარ, შენი სიმშვიდე,
გთხოვ ააცილო განსაცდელი ამ სხეულს წმინდას,
სხეულს, რომელსაც რკინისა აქვს ყველა ნეკნები.
მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა,
ქარხნების ხმაზე წაგიკითხავ აკრძალულ ლოცვებს,
სექტა ვარ დოლით! წმინდა სექტა
და რწმენის ლიფტით
ვმოძრაობ ფრთხილად, უნეტარეს შენს სართულებზე...
მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა,
ელმაგალი ვარ ავსებული ხალხთა ცოდვებით,
როგორც თეთრეულს, აღსარებას გაბარებ წმინდას,
რომ დავუბრუნო ცას სპეტაკი მისი ლოცვები...

ზურაბ როველიაშვილი / ლექსები

ნმ. მარგარეტ

შენ ვნებიანი ხარ ჩემი დედა, წმ. მარგარეტ!
 შენ გიყვარს ჩემი თვალის ჭრილი და სიტყვის ზომა,
 მშობლის ალერსით უწმინდესი სექსს მიქადაგებ და
 ზაფხულივით დანებდები სვალ შემოდგომას.
 რა არის შენი თვითმიზანი ან უმიზნობა?
 ვისთვის მსახურებ, თეთრი მკერდის რწევით დასველდი,
 თუ შეგწევს ძალა ჩემს სხეულზე შენც მოიზომე
 წარმართის ხელით აღმართული ეგ ცხელი სვეტი.
 შენ ვნებიანი ხარ წმინდანი, ჩემო მარგარეტ!
 მსჯავრად დამადე მძიმე შიში სიმშვიდის მიმართ,
 სულის ორგაზმით ტკივილებზე გადაატარე
 ჩქარი ელმავლის გაქანება გვირაბის მიღმა.
 შენ ვნებიანი ხარ ჩემი დედა, წმ. მარგარეტ!
 ფათერაკივით გაურბიხარ საკუთარ სხეულს,
 როგორც მშობელი და წმინდანი სექსს მიქადაგებ,
 თავგზააბნეულს და ლექსების ბოდვით შერყეულს.
 შენ იცი ჩემი თვალის ჭრილი და სიტყვის ზომა,
 რომ ააფარო სველი საშო მზის მხურვალეებას,
 შენ ხარ ზაფხული პოეტების და შემოდგომა,
 წმინდა დედა ხარ! – ამიტომაც უძლებ წამებას...

1998

რომი რომამდე იყო

გაუშვი, ცოტა ომი –
 ცოტა, მიენდე ნიშანს,
 რომი რომამდე მივა,
 ომი არაფერს ნიშნავს.

1998

* * *

მაღლაშემდგარი ადამიანები ხედავენ დაბლა,
 ზომავენ ფრთხილად ხმაურისგან დანაღმულ სივრცეს,
 მაღლაშემდგარი ადამიანები იცავენ ქალაქს,
 იცავენ მიწას მათ ფეხებქვეშ ჩუმად რომ იწვეს.
 მაღლაშემდგარი ადამიანები იჭერენ ხმაურს,
 ბგერებს, რომლებიც თავისთავად რაღაცას ნიშნავს.
 მაღლაშემდგარი ადამიანები ავსებენ ჰაერს,
 საფუძვლიანი უტაქტობით აღნობენ რკინას.
 მაღლაშემდგარი ადამიანები ხმარობენ ხელკეტს,
 მაღლაშემართულ მოღერებით უჭირავთ მზერა,
 მაღლაშემდგარი ადამიანები იწვევენ ღელვებს,
 უყვართ თასმები, რომ სწვდებოდეს ყველგან და ყველას!
 მაღლაშემდგარი არსებები იცნობენ კარგად მათ, ვინც
 არ უწყობს ფეხის ნაბიჯს მკრთალ მოწოდებებს,
 მაღლაშემდგარი გულთმისნები ხვდებიან ალბათ —
 რისგან შედგება უცნაური ჩვენი ცხოვრება...

1999

...მან-ქანა...

მანქანა გაიტანს ჩუმად,
 ვისთვისაც არ ანთებს წითელს.
 მანქანა გაიტანს წამში,
 ვისთვისაც არ ქრება მწვანე.
 მანქანამ არ იცის ფერი,
 მანქანას არ ახსოვს ფორმა,
 მანქანას არა ჰყავს ღედა,
 რომ საგანგებოდ . . .
 სტერეომობილი ბრუნავს,
 ამრავლებს ნაბიჯვრებს
 ჰოსპიტალპალასი.
 თბილისი,
 სასტიკი
 სიმშვიდის პოლისი —
 მკვდარი არტისტების ქალაქი.

1999

მესა №...

ყური დაუგდეთ გასტრონომის ალი-ლუ-იას,
 ძეხვით და ლუდით მონათლული თაობის მესას –
 ვინც წებოვანი ვაგინის ქვეშ დადო კისერი,
 ვინც ყველის დახლთან დაიოთხა სამყაროს დედა.
 ყური დაუგდეთ ტავერნების ალი-ლუ-იას!
 ძეხვით და ლუდით მონათლული თაობის მესას –
 ჩვენ ვეძებთ მამას მტვრიანი და გრძელი ქურებით და
 სიგიჟემდე გადაღლილებს ეს უნდა გვეთქვას.
 ყური დაუგდეთ პანელების ალი-ლუ-იას!
 უძლური ტემბრით ჩურჩულებენ მშიერი ხმები –
 ცეცხლოვან ხმლებით მონათლული ჩემი თაობა
 კვლავ შეასრულებს თავის მესას, უფალო, შენთვის...

1999

ისინი

ისინი შემოვარდებიან და გაგიტანენ ბურთს
 ცარიელ კარში, მაშინ, როცა ყველაზე ნაკლებად
 მოელი ამას...
 ისინი შემოვარდებიან კივილით და თმების ფრიალით,
 რომ გაგრძნობინონ საკუთარი თავისუფლება და
 მისი მოპოვების უმნიშვნელო ფასი.
 ისინი ყოველთვის მზად არიან
 უპასუხოდ დაგიტოვონ ყველა შეკითხვა.
 „შენ გაიმარჯვე“, ისინი გეტყვიან მშვიდად და
 სწრაფად გაგიტანენ მომდევნო ბურთს
 წარმოსახვის ცარიელ კარში...

1998

მარცხენა მისამართი

არაფერშუაში კაცი,
 კაცი, რომელიც არავის იცნობდა
 და არ ჰქონდა არაფრის სურვილი,

არაფრისმთქმელ მაგიდასთან
 შეექცეოდა არაფერს...
 უარაფრო ქალები ეძებდნენ რაღაცას
 ცარიელ ოთახში,
 სადაც არაფრისმქმელი კაცი იჯდა და
 ელოდა არავის.
 „ვიღაცა თუნდაც არასოდეს სადმე
 მაინც იქნებოდა
 „არავის გვერდზე“.
 ფიქრობდა არაფერშეაში კაცი და
 უარაფრო ქალებს უსურვილოდ
 აფეხმძიმებდა...

1995

ზემოდან

სამყარო მძვინვარეა და
 ქალაქები, განათებული სიბრტყეები,
 სააშურია — ზემოდან,
 ზემოდან თვითმფრინავების
 უწყვეტი ზუმერი.
 ზემოდან წვიმს უამრავი სურნელება.
 ზემოდან ვხვერავთ ასათვისებელ
 სამყაროს,
 ზემოდან!
 ზემოდან!
 ზემოდან!
 ქალები ირწვევიან სხვადასხვა ზნის და
 ზომის —
 ზემოდან!
 როგორც ენთო ის ზღვა!
 თითქოს ჩხაოდა ქარ-ხა-ნა!
 ვურტყამდით რკინის კარებს თავს,
 მეზობელი რომ გვეგონა
 ზემოდან!
 ის არ დაგვზოგავს და
 ზემოდან!
 ზემოდან!

ზემოდან!
 გაჩითავს ზამბეზს!
 მოგიწყობს ნიაგარას!
 გაგიკეთებს ოჩოპინტრეს!
 გაგიჩალიჩებს საუკეთესო
 სურვილებით
 მოკითხვამდე და
 ზემოდან
 ზემოდან
 ზემოდან!
 ზემოდან ჩემი სხეული
 შენთვის უცხო პლანეტაა
 ზემოდან — ქვემოთ
 ზემოდან მოდი,
 შენი დოკი გარ!
 ზემოდან!
 ზემოდან!
 ზემოდან!...

1993

მომეცი ნება...

ნება მომეცი, ჩავიგუბო ფილტვებში ქარი,
 ამივსე მზერა ენერგიით — გამოვწვავ მზეებს,
 თუ არ გაჩნდება ზედაპირი, ამოვყრი ძალით,
 მარმარილოზე დავაყენებ ფოლადის მძევალს.

ნება მომეცი, ვერ შევეხო ევროპის დაისს —
 შორს დევს აზიის მიმზიდველი უაზრო მტკერი.
 ფართე ფილტვებში ჩავიგუბებ დამუხტულ აირს —
 ათას ცეპელის დაუდევრად გავისვრი ზევით!

ნება მომეცი გავურიო სიყვარულს რკინა,
 ამივსე მზერა ენერგიით — გამოვწვავ მზეებს!
 შენს ბაგეს ენით, როგორც სარკმელს, შევალე ფრთხილად,
 როგორც ლიანდაგს ლიანდაგზე გადავჭრი სტვენით!

სისხლი ფარულად წაიკითხავს საკუთარ ანბანს,
 ცად აიშლება, როგორც ფერი უცნაურ ხმებზე —

ის მოდის ახლოს, ბრწყინვალე და ახალი აღთქმა,
რომ ოქროს სხივი, როგორც კვერთხი შემახოს ფრთებზე.

გაშალე ბგერა, გადარეცხონ აზრებმა სივრცე –
მაკოცე ისე, როგორც კოცნი სინათლის ღმერთებს,
იქ სადაც ცეკვავს განუწყვეტლად რამა და შივა,
სადაც ის იშვა, ყველაფერი დასრულდა ერთ დღეს.

მომეცი ნება! ჩავიგუბო ფილტვებში ქარი,
ამივსე მზერა ენერგიით, გამოვწვა მზეებს,
თუ არ გაჩნდება ზედაპირი, ამოვყრი ძალით,
მარმარილოზე დავადუღებ ფოლადის მძევალს.

2002

მე ვარ ვენახი

ყური დამიგდე, შენ კი არა,
მე ვარ ვენახი!
ფოლადის მტევნებს ვაჩხრიალებ
მჩატე სხეულზე,
ენისელი ვარ, რქაწითელი და კარდენახი,
ყურძნის ტევრი ვარ,
საწნახელში გამომწყვდეული.
კარგად შემხედე, შენ კი არა,
მე ვარ ვენახი!
ზვრები გავცურე, რომ
დამედგა თავზე გვირგვინი.
სტროფებს ვაფეთქებ, როგორც
ნაღმებს ვისვრი ხელადმა!
არ სცდება მიზანს ცეცხლოვანი
ჩემი სიტყვები.
ყური დამიგდე, შენ კი არა,
მე ვარ ვენახი!
ფოლადის მტევნებს ვაჩხრიალებ
მჩატე სხეულზე.
სისხლივით მძიმე საფერავი და კარდენახი -
ყურძნის ღმერთი ვარ, საწნახელში გამომწყვდეული...

2002

ომი საშინელებაა 16



გოსლაბ-შმაზის კონცერნი
ГОСЛАБ - SHMAZI Cooperation

War is horror 16



სიყვარულის დოქტრინა

მსოფლიო თანამეგობრობასთან მიმართებაში

ირაკლი კაკაბაძე

დღევანდელ მსოფლიოში ბევრი საინტერესო პროცესი მიმდინარეობს. როგორც ჩინური სიბრძნე ამბობს, არ არსებობს საინტერესო პერიოდი, რომელიც ამავე დროს საშიში არ არისო. ჩვენც, რა თქმა უნდა, სხვადასხვა გრძნობა გვეუფლება ამ პროცესების შემხედვარე.

ერთი მხრივ მსოფლიო სავაჭრო ცენტრის აფეთქების შემზარავი სურათი და მეორე მხრივ დიდი კორპორაციების ფინანსური მაქინაციების აღმოჩენა უდიდესი შოკის ფაქტორი იყო მთელი მსოფლიოსათვის. ბოლო ოცი წლის განმავლობაში განმტკიცებულ რწმენას, რომ ყველაფერს დაარეგულირებს ბაზარი ან სამხედრო ძალის ხმარება, საფუძველი შეერყა. ის მოსაზრებაც დადასტურდა, რომ ხელშეუხებელი არავინ არის. ბოლო წელს მსოფლიოში განვითარებული მოვლენები კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ შეუმცდარი არავინაა და რომ სხვისი დაჩაგვრით და იმპერიალისტური საგარეო პოლიტიკით ვერც ერთი სახელმწიფო, რაც არ უნდა ძლიერი იყოს იგი, ფონს ვერ გავა. ერთი მხრივ რუსეთის იმპერიის დაშლის პროცესი გრძელდება და ძალაზე დამყარებული ეს “დერჟავაც” უშნოდ იქნევს კუდს. ჩვენ, სამწუხაროდ, გვიწევს მათ მეზობლად ყოფნა და მათი ბრაზი ხშირად უმართებულოდ, ჩვენზე გადმოინთხევა. მეორე მხრივ, ამერიკის ახალი ადმინისტრაცია ზედმეტადაა გატაცებული ომებით და, ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ალ გორის განცხადებისა არ იყოს, ერთი ომიდან მეორეზე გადახტომას ლამობს, იმისათვის რათა შიდა პოლიტიკური სიტუაცია მოაგვაროს. ამ კორპორატიული სკანდალებით გარემოცულ ბუშის ადმინისტრაციას ომი თითქოს საკუთარი პოლიტიკური გადარჩენის ერთადერთ შანსად მიაჩნია. მაშინ, როდესაც ვიცე-პრეზიდენტ დიკ

ჩეინის საქმეს საკუთარი ქვეყნის ფინანსების მარეგულირებელი კომისია და კონგრესი იძიებენ, იმის გამო, რომ ერთ დღეში 46 მილიონი დოლარი „გააკეთა“ და საკუთარი კომპანია „ჰალიბარტონის“ აქციონერები პრაქტიკულად ამის მერე უკაპიკოდ დარჩნენ. იგი ამ ომის ყველაზე აქტიურ პროტაგონისტად გვევლინება. ამავე სულისკვეთებას იჩენს რუსეთის პრეზიდენტ პუტინის ადმინისტრაცია საქართველოს მიმართ. მოკლედ, ერთი მხრივ ერაყის, მეორე მხრივ საქართველოს დაბომბვა გახდა აუცილებელი იმისათვის, რომ მსოფლიოში მშვიდობა დამყარდეს. ასეთი იმპერიალისტური აზროვნება ძირშივე მცდარია. მაგრამ ამავე დროს ჩვენ ჩვენს თავში უნდა ვეძიოთ პრობლემის საწყისი და ვნახოთ, რა იყო მცდარი აქამდე ქართულ საგარეო პოლიტიკაში.

1992 წელს საქართველო გაეროს წევრი გახდა და ფორმალურად საერთაშორისო თანამეგობრობას შეუერთდა. ბევრი თვლიდა, რომ ედუარდ შევარდნაძის გამოცდილება ქვეყანას სასიკეთოდ წაადგებოდა და, აქედან გამომდინარე, ჩვენც უკეთ ვიცხოვრებდით. ათი წლის მერე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს წინასწარმეტყველება არ გამართლდა. დღეს ჩვენ უკეთეს დღეში ნამდვილად არა ვართ. ერთადერთი იმის თქმა შეიძლება, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (და არა მხოლოდ ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში) გვაქვს ნეგატიური მშვიდობა, ანუ ისეთი მშვიდობა, რომელიც ომზე არანაკლებ საშიშია. ამის მიზეზი ის არის, რომ ქვეყანაში ძალიან დიდია სტრუქტურული და კულტურული ძალადობა, რომელიც ნებისმიერ მომენტში შეიძლება გადაიზარდოს შეიარაღებულ შეტაკებებში. ყველანაირი საერთაშორისო თუ შინაგანი სტანდარტით ჩვენი ცხოვრების დონე ხელს უწყობს ძალადობრივი კონფლიქტების წარმოშობასა და გაღრმავებას. გამწარებულ ხალხში ყოველთვის ზემოთ იწევს სიძულვილის დონე. ზოგი დემაგოგი ამას გარკვეულ სოციალურ ჯგუფს აბრალებს, ზოგი მასონებს, ზოგიც რუსებს და ზოგიც საერთაშორისო შეთქმულებას ქართული სულის წინააღმდეგ. სინამდვილეში ქართული სულისა და ყოფის პირველი მტრები თვით ჩვენვე გავხდით, იმის გამო, რომ არ გვაქვს საკუთარი მომავლის ნათელი ხედვა, არ ვიცით, რა გვინდა მომავალში, და არ ვიცით, საით მივდივართ. საქართველოს საგარეო პოლიტიკა ყოველთვის აწყობილი იყო იმპერიალისტურ ძალებთან თანამშრომლობაზე და მათი ძალის გამოყენებით ქვეყნის შიგნით გარკვეული ფინანსური თუ პოლიტიკური კლანების მოძლიერებაზე. საუბედუროდ, აქამდე არ გვიფიქრია დოქტრინაზე, რომელიც საქართველოს საკუთარ ადგილს მიუჩენდა საერთაშორისო თანამეგობრობაში. ამის გამო, გაუმართლებელ სამხედრო

ჯგემვასა და, სინამდვილეში, ბიუჯეტიდან უამრავი ფულის მოპარვას უფრო და უფრო მეტი უბედურება მოაქვს ჩვენი საზოგადოებისათვის. მართალია, რამდენიმე ოჯახი საკუთარ ოფშორულ ანგარიშებს ავსებს, მაგრამ ეს არანაირად არ ეტყობა ეროვნული ეკონომიკის მომძლავრებას.

ქართულ საგარეო პოლიტიკაში ნეიტრალიტეტის და არამილიტარული სახელმწიფოებრივი განვითარების აზროვნებას ადგილი, პრაქტიკულად, საერთოდ არ ეთმობა. თუმცა, ათი წლის წინ “მშვიდობიანი კავკასიის იდეაზე” ჯერ ერთი ქართველი პრეზიდენტი საუბრობდა და შემდეგ მეორე. მაგრამ დროთა განმავლობაში ეს აზრი მივიწყებული იქნა. ნეიტრალიტეტი და არამილიტარული განვითარება სრულიად არ ნიშნავს საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობის უგულვებელყოფას. ჩვენთვის ეროვნული დამოუკიდებლობა უძვირფასესი ობიექტია, რომლის დასაცავადაც ყველანი უნდა დავდეთ. უბრალოდ, საქართველოს სულიერი მისია, მის მშვიდობიან განვითარებაში, იმ დოქტრინაშია, რომელიც არა შიშის, არამედ ძალის პოზიციიდან ლაპარაკობს განიარაღებაზე. ასეთი პროგრამის ამოქმედებისათვის აუცილებელია ჩვენი ინტელექტუალური რესურსების მომძლავრება. საქართველოს ჰყავს ინტელექტუალურ კადრთა დიდი არმია, რომელიც მომავალ მსოფლიოს შეიძლება მნიშვნელოვანწილად გამოადგეს. განათლებას და ინტელექტუალური კადრების მომზადებას მომავალშიც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. აქვე აუცილებელია გავითვალისწინოთ სხვადასხვა ფაქტორები. ინფორმატიკის საუკუნის შემოსვლასთან ერთად ჩვენს ქვეყანას აუცილებლად სჭირდება თანამედროვე მსოფლიოს დონეზე მომზადებული ინტელექტუალური კადრები. მომავალ მსოფლიოში ის იქნება გამარჯვებული, ვინც მეტ ინფორმაციას ფლობს და გასცემს. და სწორედ მეტი ინფორმაციის ფლობა და გაცვლა მოგვცემს საშუალებას, რომ მხოლოდ შიშველი ძალოვანი პოლიტიკის ენაზე არ ვილაპარაკოთ, არამედ ვძლიოთ ნულოვანი ჯამის სინდრომს და გადავიდეთ თანამშრომლობაზე, რომელიც კარგ შედეგს მოგვცემს როგორც ჩვენ, ასევე ჩვენს პარტნიორებს. ამ თანამშრომლობაზე ჩვენ სისუსტის პოზიციიდან არასდროს უნდა წავიდეთ. ამისგან კი მხოლოდ კარგად გათვლილი საგანმანათლებლო პოლიტიკა დაგვიცავს.

საქართველომ, როგორც ქვეყანამ, უნდა მიიღოს ნეიტრალიტეტის პოლიტიკა, რომელიც მას რეალურად დამოუკიდებელს გახდის ნებისმიერი იმპერიალისტური ძალის მანიპულირებისაგან. ეს ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის რეალური ძალის გამოჩენას მსოფლიოში. ჩვენი შიდა კონფლიქტების მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი მოლაპა-

რაკეპებით ჩვენს აფხაზ და ოს პარტნიორებთან ჩვენ შორის დამოუკიდებლად უნდა ჩამოყალიბდეს და წარიმართოს ისეთი ურთიერთობები, სადაც ძალადობა მიუღებელი გადაწყვეტაა ნებისმიერი პრობლემისა. ამისათვის ჩვენ გარეშე ძალების ჩარევა არ გვჭირდება. ამავე დროს, არც საკუთარი ცხოველური ინსტიტუტების აყოლა გვარგებს.

მომავალ მსოფლიოში ისახება ახალი პარადიგმა სახელმწიფოთა და ადამიანებს შორის ურთიერთობებისა. ეს პარადიგმა უფრო ცოდნასა და ურთიერთგაგებაზეა დამყარებული, ვიდრე უხეშ ძალაზე. დღეს დასავლეთშიც კი ძალიან ბევრი აღიარებს, რომ ე.წ. “რეალპოლიტიკის” ზედმეტად პრაგმატულმა და მატერიალისტურმა მიდგომამ არ გაამართლა. ახალი ტიპის აზროვნება ყველასათვის საჭიროა, საჭიროა ჩვენთვისაც და ჩვენი მეზობლებისთვისაც. 21-ე საუკუნის მსოფლიოში კი ყველანი ერთმანეთის მეზობლები ვიქნებით. ყველამ უნდა გავიზიაროთ ერთმანეთის ბედი. „ეს მე არ მეხება“ უკვე აღარ არის მისაღები, რადგანაც პატარა აფეთქებაც კი ახალ ზეღანდიაში ან ინდოეთის ოკეანის რომელიმე მცირე კუნძულზე, დამანგრეველ გავლენას ახდენს გარემოზე ჩვენთანაც. ჩვენი დღევანდელი მიდგომა საგარეო პოლიტიკის მიმართ უნდა იყოს სასარგებლო სინთეზი იმ ჯანსაღი ელემენტებისა, რომელიც აქვს უილსონის, ჩერჩილის, ბარტონის, ქენანისა თუ სხვა მსოფლიო მოაზროვნეების ნააზრევს ქართულ აზროვნებასთან. მე აღარ დავიწყებ ჩამოთვლას იმ ქართული ნაწარმოებებისა, სადაც რეალური მშვიდობის საწყისების გაგება შეიძლება. ეს ჩვენს ცხოვრებაშიც ბევრია და კულტურულ მემკვიდრეობაშიც. უბრალოდ, ხანდახან ამის უკეთესად მოძიება არის საჭირო.

ახალი დოქტრინა ირჩევს იმ ძალას, რომელიც სიყვარულს აქვს და რომელიც ყველაზე დიდი ძალაა. ახალი დოქტრინა ებრძვის ძალაუფლების უზურპაციას და რესურსების უსამართლოდ გადანაწილებას და, რაც მთავარია, იმ საშინელ თვისებას ჩვენი მოქმედებისას, როდესაც გარკვეულ ადამიანთა ჯგუფების ბედნიერება სხვების ხარჯზე იგება, როცა ერთმანეთის ჩაგვრა ნორმალურად აღიქმება. მსოფლიოში კარგი მაგალითებიც უამრავია. სამწუხარო უბრალოდ ის არის, რომ პრესა მხოლოდ ნეგატიურ მაგალითებზე აკეთებს განსაკუთრებულ აქცენტებს, მაგრამ ამან ჩვენ არ უნდა გვაფიქრებინოს, რომ სიყვარულის დოქტრინის ცხოვრებაში გატარება შეუძლებელია.

შეუძლებელი არაფერია. მთავარია, მოვინდომოთ.

